

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული
ჟურნალი „იურისტი“

International Scientific-Practical Referenced Journal
Международный Реферированный Научно-Практический

Журнал – „Юрист“

იურისტი – Lawyer

№8

თბილისი — Tbilisi
2019

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ და-
ფუძნებულია საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტე-
ქნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
მიერ.

International Referral Scientific-Practical Journal “Lawyer” is Founded by both Georgian Acade-
my of Law Sciences and Faculty of Law and International Relations of Georgian Techniacal University



ჟურნალი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით

The journal is published with support of the Faculty of Law and
International Relations of Georgian Technical University

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ, იურიდიული მისამართი:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №75,
ფაქტობრივი მისამართი: კოსტავას №77 სტუ, მე-6 კორპუსი.,
ოთახი 903 ა, ტ.: 995 99940 114 ელ-ფოსტა: law@gtu.ge Law.academy@mail.ru

The journal is published four times in a year. Address:
Tbilisi, Vazha-Pshavela Avenue, №75 Actusi Address: Tbilisi, Kostava street, №77, STU,
6 block Room 903 a, T., 599 940 114 E-mail: law@gtu.ge Law.academy@mail.ru

ISSN 9772449270009

© ავტორები

©სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჟურნალ „იურისტი“-ს მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი.

რედაქტორის მოადგილე, პროფესორი - ჯემალ გაბელია.

სარედაქციო კოლეგია

ჯონი ხეცურიანი - პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

არჩილ ფრანგიშვილი - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

შოთა ფაფიაშვილი - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თავმჯდომარე);

ჯემალ გახოკიძე - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი;

ირაკლი გაბისონია - პროფესორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი;

ლადო ჭანტურია - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ელჩი გერმანიაში;

ზაზა რუხაძე - პროფესორი, ქართულ—ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი;

ჯემალ გაბელია - პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

გენადი ხობრიაკოვი - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — მოსკოვი;

მიხეილ მამნიაშვილი - პროფესორი;

ნიკოლა ბელიაევი - პროფესორი, სანკტ-პეტერბურგი;

იანეს გრანცი - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლუბლიანას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (სლოვენია). საპატიო დოქტორი (პუატიე, საფრანგეთი)

ჰანს იორგ ალბრეხტი - გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

პეტერ იურგენ გრაფი - გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი;

რომან შენგელია - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ვეფხვია გვარამია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ივანე ჯაგოდნიშვილი - სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გივი ლობჯანიძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

შენგელი ფიცხელაური — პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

ლალი ფაფიაშვილი — პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

ელიკო ნიკლაური—ლამიხი— პროფესორი — გერმანია.

ტექნიკური რედაქტირება- თამარ ბარამია

თარგმანი- ეკა რუსიეშვილი

Executive Managing Editor, Doctor of Law Science, Professor – Shota Papiashvili
Managing Editor. Professor –Jemal Gabelia

Editorial Board

Joni Khetsuriani – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia

Archil Prangishvili – Professor, Rector of GTU, Academiein of National Science of Georgia;

Shota Papiashvili- Doctor of Law Science, Professor. (Chairman)

Jemal Gakhokidze – Professor, Speaker of Georgian Technical University, General;

Irakli Gabisonia – Professor, Dean of Law and International Relations Faculty in Georgian Technical University;

Lado Tchanturia – Professor, Tbilisi State University, Ambassador of Georgia in Germany;

Zaza Rukhadze – Professor, Dean of Georgian-American University;

Genadi Khokhriakov – Professor, PhD of cLaw - Moscow

Mikheil Mamniashvili – Professor;

Jemal gabelia- Professor, Deputy Dean of Law and International Relations in Faculty Georgian Technical University;

Nikola Believi – Professor. St. Petersburg;

Janez kranjc - Doctor of legal Sciences, dr.h.c.)(polotiers, France)Full Professor of The University of Ljubljana Faculty of law;

Hans Jorg Albrekht - Director of the Max Planck Institute of German Criminal Law, Professor;

Peter Jurgen Graf-German Supreme Court Deputy Chairperson of the Senate, Professor;

Roman Shengelia- Doctor of Law Science, Professor;

Vepkhvia Gvaramia – Professor, Sokhumi State University, Dean of Juridical Faculty

Ivane Jagodnishvili – Dean of Engineering economy, Media an social Sciences Faculty, Doctor of Philology, Professor;

Givi Lobzhanidze – Doctor of Law Science, Professor;

Shengeli Pitskhelauri – Professor, Guram Tavartkiladze’s University, Dean of Juridical Faculty;

Lali Papiashvili – Professor, Deputy Chairman of Georgian Constitutional Court;

Eliko Tsiklauri-Lamikhi - Professor, Germany.

Technical reduction - Tamar Baramia

Translation - Eka Rusieshvili

ს ა რ ჩ ე ვ ი

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „გლოქჩინების ტექნოლოგიების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები ელექტრონულ მმართველობაში“ ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

ქეთევან მარშავა, ირაკლი გაბისონია- კრიპტოვალუტის, როგორც მომავლის ფულის პერსპექტივები (სამართლებრივ-ეკონომიკური ანალიზი).....9

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სოციალურ-ზნაობრივი სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა“ ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

- 1.ირაკლი გაბისონია-სოციალური სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები.....24
- 2.ალექსანდრე ტალიაშვილი-სამართლებრივი სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა.....39
3. ალექსანდრე ტალიაშვილი-სამართლიანობის პარადიგმა საბაზრო ეკონომიკაში.....46

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „კულტურის სამართლის“ ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

მანანა დარჩაშვილი- კულტურის პოლიტიკა - საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი გამონწვევა (პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები)53

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“, ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

მაია ყიფიანი, ემილია ალავერდოვა- გენდერული ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში.....68

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „პოლიტიკური პარტიების სამართლის“ ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

ანა-ფუტკარაძე- პოლიტიკური პარტიები და სისტემები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.....76

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სორტის სამართლის“ ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

როჯერ უელჩი-შრომის სამართალი სპორტში თარგმანი: გიორგი გორაძე და ელენე ჯოხიძე.....86

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საპოლიტიკო და საგადასახადო სამართლის“ ფარგლებში გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატია

ალექსანდრე ჩხიტაური- სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების თეორიული ასპექტები საფინანსო კონტროლის განხორციელებისას.....97

კონსტიტუციური სამართალი

- 1. მარიამ ჯიქია, სოფიო დემეტრაშვილი - ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში და სასამართლო პრაქტიკა.....103
- 2. სოფიო დემეტრაშვილი- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი საერთო სასამართლოების მიმართ.....118
- 3. თინათინ დაუთაშვილი- არასამთავრობო ორგანიზაციების მახასიათებელი დემოკრატიულ სახელმწიფოში.....133

სამოქალაქო სამართალი

- 1. კარლო ბზიშვილი- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 943—ე მუხლის განმარტებისთვის.....138
- 2. გიმზერ ალანია-კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში.....145
- 3. ბადრი (კახა) კვარაცხელია- ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართლის სუბიექტები და ობიექტი.....154
- 4. ეკატერინე შენგელია-სასესხო—სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა.....160

სისხლის სამართალი

მიხეილ ქანუყვაძე- თეთრსაყელოიანთა დანაშაული.....166

საერთაშორისო ურთიერთობები და სამართალი

გრიგოლ ლილუაშვილი-საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან და ეკონომიკური უსაფრთხოების გამონვევები.....171

მილოცვა

რევაზ ცინცაძე
ავთანილ ხაზალია

Contents

Scientific research article published in the framework of Scientific Research Project on Legal Aspects of Blockchain Technologies' use in e-Governance”

Ketevan Marshava, Irakli Gabisonia- Cryptocurrency – Perspectives as Currency of Future (Legal and Economic Analysis).....9

Scientific-research article published in the framework of the research project “Legal State as Socio-moral State and Market Economy”

1. Irakli Gabisonia - Legal and Economic Aspects of Social State Tax Policy.....24
2. Alexander Taliashvili- Law-governed state and market economy.....39
3. Alexander Taliashvili-The paradigm of justice in a market economy.....46

Scientific research article published in the framework of the scientific project "Cultural Law"

Manana Darchashvili- Cultural Policy – Significant Challenge of the Georgian Government (Political-Legal Aspects).....53

Research article published in the framework of the scientific research project "Gender Equality and Discrimination: Political-Legal Aspects"

Maia Kipiani, Emilia Alaverdova- Gender Factor in Georgian Politics68

Scientific research article published in the framework of the project "Law of Political Parties"

Ana Putkaradze -Political Systems and Parties In Georgia, Moldova and Ukraine.....76

Scientific-research article published within the framework of the project "Law of Sport"

Translation of Roger Welch ““Employment Law in Sport”: Giorgi Goradze and Elene Jokhidze.....86

Scientific-research article published within the framework of the “Budgetary and Tax Law” research project

Alexander Chkhitaouri - Theoretical Aspects of Legal Regulation Mechanisms in Financial Control.....97

Constitutional Law

1. Mariam Jikia, Sophio Demetrashvili -Freedom of Information in Georgia and Judicial Practice.....103
2. Sophie Demetrashvili- The Effect of the Constitutional Court's Decision on Common Courts.....118
3. Tinatin Dautashvili - Characteristics of NGOs in a Democratic State.....133

Civil Law

1. Karlo Bzishvili - For clarification of Article 943 of the Civil Code of Georgia.....138
2. Gimzer Alania – Legal and a Testamentary legacy in ancient Georgian Hereditary Law.....145
3. Badri (Kakha) Kvaratskhelia- Subjects and Objects of Old Georgian hereditary law.....154
4. Ekaterine Shengelia - Protecting interests of the subjects of loan-legal relations.....160

Criminal Law

- Mikheil Chanukvadze - Economic Crimes.....166

Law and International Relations

- Grigol Liluashvili-Georgia's International Relations with Neighboring States and Challenges of Economic Security.....171

Congratulations

Revaz Tsintsadze
Avtandil Khazalia

კრიპტოვალუტის, როგორც მომავლის ფულის პერსპექტივაში
(სამართლებრივ-ეკონომიკური ანალიზი)

ქეთევან მარშავა *

ირაკლი გაბისონია *

შესავალი

კრიპტოვალუტების მიმართ მსოფლიოს საზოგადოების ინტერესი საკმაოდ მაღალია, ბოლო დროს საქართველოშიც განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა და მასზე საზოგადოების ცნობიერებაც ეტაპობრივად იზრდება, ხოლო კრიპტოვალუტების გახსენებაზე ალბათ უმეტესობას პირველ რიგში ბიტკოინი ახსენდება. ბიტკოინი შეიქმნა 2008 წელს მის ტექნოლოგიურ პლატფორმად მიიჩნევა ბლოკჩეინი — ახალი ტექნოლოგიური პარადიგმა. ტექნოლოგია ბლოკჩეინი შეიცავს რამდენიმე კონცეპტუალურად განსხვავებულ იდეას, აერთიანებს ისეთ დარგებს, როგორცაა: მონაცემთა შენახვის განაწილებული რეესტრები, კონსენსუსის ალგორითმები და მონაცემთა დაცვის კრიპტოგრაფიული მექანიზმები.

ადამიანების ნაწილი ბიტკოინს იაფი ფულის შოვნის გზად მიიჩნევს და მასში ინვესტიციების დაბანდებას არ ერიდება, ზოგი ნეგატიურად უყურებს მის მომავალს და მიიჩნევს რომ ყველა კრიპტოვალუტა ერთი დიდი საპნის ბუშტია, რომელიც კაცმა არ იცის როდის გასკდება. თუმცა ყველა ფაქტორის გათვალისწინებით კრიპტოვალუტა მომავლის ფულია, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მნიშვნელოვან როლს დაიკავებს მსოფლიო ეკონომიკაში და ადამიანების ცხოვრებაში, შეასრულებს რა ფულის იმ ძირითად ფუნქციებს როგორებიცაა: პროდუქციის ღირებულების განსაზღვრა, გადახდა (გაცვლის საშუალება), დაგროვება. ბოლო პერიოდში ბიტკოინმა ისე გაიმყარა პოზიციები საფინანსო სფეროში, რომ ეკონომიკის ექსპერტების ყურადღება მის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა და ელექტრონული ფულის გავრცელებას მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკურ მოვლენების გვერდით აყენებენ. ფაქტორები რაც ხელს უშლის კრიპტოვალუტების გავრცელებასა და მოცვას მსოფლიო ეკონომიკაში არის: სახელმწიფოების მთელი რიგი რეგულაციები კრიპტოვალუტების წინააღმდეგ და რიგ შემთხვევებში საზოგადოების გაუცნობიერებელი შიში ან არ ცოდნა ელექტრონული ფულის შესახებ. ბლოკჩეინ ინდუსტრიის რეგულაციის გადანყვეტილებები ბევრ ქვეყნას აქვს მიღებული, თან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომებით: დაწყებული მოქნილი რეგულაციებით (იაპონია, შვეიცარია) დამთავრებული მკაცრი რეგულაციებით (აშშ).

ტექნოლოგიურმა ევოლუციამ უკვე გამოიწვია ელექტრონული ფულის საჭიროება, ხოლო განვითარების ამ გზაზე იზრდება როგორც ელექტრონული ფულის სახეობები, ასევე ამ ფულების გამოყენების მასშტაბები. მაგალითად, ebay-ზე³ შეგიძლიათ ივაჭროთ: ბიტკოინით, ლაითკოინით, დოჯკოინით, ეთერიუმით. ტრავალა.კომ-ზე ბიტკოინის გადახდით შეგიძლიათ დაჯავშნოთ სასტუმროები, ასევე მსოფლიო ბრენდები McDonald's- და Subway-ი ბიტკოინისა და სხვა ციფრული ვალუტის გამოყენებას იწყებენ. დუბაიმ გამოაცხადა, რომ მსოფლიოს პირველი “blokCeinqalaqi” გახდება. შვეიცარიის მთავრობა მსჯელობს ბიტკოინით გადასახადების გადახდის დაშვებაზე, ხოლო ბერმუდაში ადგილობრივი მთავრობის გადანყვეტილებით გადასახადებს კრიპტოვალუ-

* ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-ემირიტუსი

* სამართლის დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

³ https://www.ebay.com/b/Virtual-Currency/179170/bn_754931

ტას teiblkoini USDC-ითაც გადაიხდიან.⁴ ეს და სხვა მრავალი მაგალითი მიანიშნებს იმაზე, რომ კრიპტოვალუტების პოპულარობა, მათ მიმართ საანდობო და გამოყენების მასშტაბები იზრდება, ყოველივე ეს კი ხელს უწყობს კრიპტოვალუტების მომავლის ფულად ჩამოყალიბებას.

ფულის ეკოლოგია - ნატურიდან კრიპტოვალუტებამდე

საუკუნეების განმავლობაში, ფულადი ერთეულები მუდმივად იცვლება, მას ცალკეულ ქვეყანაში თავისი ისტორია და განვითარების ეტაპები აქვს, რითაც განსხვავდება სხვა და სხვა ქვეყნისა თუ ტერიტორიული ერთეულის მიხედვით. ფულადი ერთეულების განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა ამ ფულს აქვს უნიკალური ფუნქციები: გაცვლის, ღირებულებისა და დაგროვების. ფულის თავდაპირველი ფუნქცია, რატომაც ის შეიქმნა, არის გაცვლის საშუალება, რამაც ავტომატურად გამოიწვია მისი ღირებულების ფუნქციის გაჩენა. მომდევნო პერიოდში კი, როცა ფულმა ისეთი თვისებების მიღება დაიწყო, როგორც არის გამძლეობა, სტაბილურობა, ცნობადობა, ერთგვაროვნება, პორტატიულობა, გაყოფადობა, ის მიმზიდველი გახდა დაგროვებისა და მომდევნო სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად. თავად ფული, როგორც გაცვლის საშუალება, გაჩნდა მას შემდეგ რაც მოხდა შრომის დანაწილება. როცა ადამიანები თავად ვერ ქმნიდნენ იმ ყველაფერს რაც სჭირდებოდათ დაიწყეს გარკვეულ საქმიანობაში დასპეციალიზება, ხოლო სხვა ადამიანის მიერ წარმოებული პროდუქტის მისაღებად საჭირო გახდა გაცვლის საშუალების პოვნა, რამაც გამოიწვია ფულის კონცეფციის გაჩენა. თავდაპირველად ეს იყო უბრალოდ ნატურალური გაცვლა, თუმცა გასაცვლელი საქონლის სახეობების ზრდამ, მის მალფუჭებადობამ და დროითმა დანაკარგებმა განაპირობა ფულის ლითონური სახით გარდაქმნა, რომელიც თავის მხრივ არ იყო იდეალური გაცვლის საშუალება, ვინაიდან მასაც ჰქონდა დანაკარგების პრობლემები, ამიტომ ეტაპობრივად გაჩნდა ქალაქის ბანკნოტები, რომლის უზრუნველყოფაც ხდებოდა ოქროში. ამ მოვლენასაც თავისი ისტორიული წინაპირობა ჰქონდა, მაშინ როცა ვაჭრებს A პუნქტიდან B პუნქტში გადაჰქონდათ ოქროს მონეტები, აქ დიდი იყო რისკი მათი დაყარალების, ასევე დამატებითი ფულის ერთეულები დამატებითი ბარგი იყო, შესაბამისად ამ ოქროს მონეტებს თუ ზოდებს ტოვებდნენ მის გამომდნობ ოქრომჭედლებთან, თავად ვაჭრებს კი ოქრომჭედლებისგან ხელნერილი მიჰქონდათ, სადაც დამონმებული იყო ვაჭრების ოქროს მოცულობა. თანამედროვე სურათი რომ წარმოვიდგინოთ, ოქრომჭედლები დღევანდელი ეროვნული ბანკები იყვნენ, ხელნერილი დღევანდელი ქალაქის ფული, ხოლო ოქრო ამ ხელნერილის, ანუ ქალაქის ფულის გამყარების სტანდარტს წარმოადგენდა. 90-იანი წლებიდან კი ოქროს სტანდარტი აღარ არსებობს.

ქალაქის ფულმა, ფულის ფუნქციებსა და თვისებებთან დაკავშირებული, ბევრი პრობლემა მოაგვარა, თუმცა ის გახდა სახელმწიფოების მიერ დაწესებული მონოპოლიური გადასახადებისა და გადახდების საშუალებები, რასაც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოები საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ. ისტორიულად ჰიპერინფლაციები სწორედ სახელმწიფოების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო, რაც დაკავშირებული იყო ფულის მასის ჭარბ ბეჭდვასთან, ან წარმოების შემცირებასთან და ფასების სტაბილურობის მიზნით ფულის მასის ზრდასთან. ელექტრონული ფულის პირველი სახეობა, ანუ პლასტიკურ ბარათებზე ნაღდი ფულის გადასვლა უზრუნველყოფს მისი დაგროვების, გადახდისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო კრიპტოვალუტები წარმოადგენენ „კერძო ფულებს“ რამაც უნდა უზრუნველყოს ერთის მხრივ სახელმწიფოების მონოპოლიების გაქრობა ფულის ბაზარზე, ხოლო მეორე მხრივ, გაცვლისა და საფინანსო ტრანზაქციების სწრაფ და გამარტივებულ პროცესს ვიღებთ.

⁴ <https://bm.ge/ka/article/bermudashi-gadasaxadebis-gadaxda-kriptoalutit-iqneba-shesadzlebeli/42002>

კრიპტოვალუტის წარმოშობის ისტორია

ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მაღალმა ტემპმა და შედეგად ინტერნეტ ბაზრის განვითარებამ ახალი გამოწვევები და საჭიროება გააჩინა, კერძოდ მოთხოვნა გაჩნდა ციფრულ ვალუტაზე, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ვირტუალურ სივრცეში სხვადასხვა პროდუქტის შეძენას შეძლებდნენ.

ბიტკოინი არის პირველი დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტა (Bitcoin, bit – „ბიტი“, ციფრული ინფორმაციის საზომი ერთეული, რიცხვითაა ორობით სისტემაში გამოყენებული ციფრი, რომლის შესაძლო მნიშვნელობებია 0 ან 1 და coin – „მონეტა“), ის შეიქმნა 2008 წელს, ხოლო მისი შემქმნელი ანონიმი პროგრამისტია (ან პროგრამისტა ჯგუფი), ფსევდონიმით სატოში ნაკამოტო. ბევრი ეჭვია იმაზე თუ ვინ არის რეალურად satoSi nakamoto, ბოლო პერიოდში ყველაზე პოპულარული იყო ავსტრალიელი kreig raiTi,¹ რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებდა თავად იყო ბიტკოინის შემქმნელი, მან ვერ მოიყვანა ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი და კრიეგ რაითს თაღლითი და satoSi nakamotos მიმთვისებელი უწოდეს.

ბიტკოინს სხვებმაც მიბაძეს და დღეს კრიპტოვალუტების ბაზარზე გვაქვს ისეთი მძლავრი და პერსპექტიული ციფრული ვალუტები როგორებიცაა: ეთერიუმი, რიპლი, კარდანო, ლაითკოინი, ნემი, ნეო, იოტა, საიაკოინი, ვეჩინი და სხვ. თუმცა მათგან, ბიტკოინს დღეს ყველაზე დიდძალი რაოდენობა დაკაპიტალიზაცია აქვს.

ბიტკოინის სისტემა P2P (Peer-to-Peer) პრინციპზეააგებული,² რაც გულისხმობს იმას, რომ ორკომპიუტერულ სისტემას შეუძლია, ერთმანეთს შორის ინფორმაცია გაცვალოს პირდაპირ, მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე და გვევლინება როგორც საბანკო სისტემის ალტერნატივა. ქალაქის ფულისგან განსხვავებით, ციფრული ვალუტით ანგარიშსწორებისას ნაკლები საკომისიოს გადახდა გინევთ, რადგან არ გყავთ შუამავალი ბანკი, რაც ამავე დროს გადარიცხვის სისწრაფესაც ზრდის. თუ ადამიანი A ქვეყნიდან B ქვეყანაში ფულს აგზავნის ბიტკოინის საშუალებით, ის უბრალოდ ინტერნეტში ხსნის ბიტკოინის სპეციალურ მისამართს ანუ ანგარიშს და ურიცხავს B ქვეყანაში მიმღებ ადამიანს ანგარიშზე.

სავაჭრო ოპერაციები ციფრული ქსელების სისტემებში მოწმდება დაინახება დამოუკიდებელ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც „ბლოქჩეინი“ (BlockChain) ეწოდება. ეს ბაზა დახურულია სხვა მესამე პირისთვის და მხოლოდ ანგარიშის მფლობელმა იცის მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ. არც ბანკებს, არც საფინანსო ორგანიზაციებს, არც ძალოვან სტრუქტურებსა თუ სხვა სახელმწიფო წარმომადგენლობას არანაირი წვდომა არ აქვთ აღნიშნულ ბაზებზე.

მაინინგი და მაინერები: მაინერები არიან ადამიანები რომლებიც სისტემურად ძლიერი კომპიუტერების მეშვეობით გამოიმუშავენ ბიტკოინებს, ხოლო გამომუშავების ამ პროცესს მაინინგი ეწოდება.

ცხრილში მოცემული გვაქვს ტოპ 10 კრიპტოვალუტის კაპიტალიზაციისა და კოინების მოცულობების სტატისტიკა. ცხადია ბიტკოინი უპირობო ლიდერია დაკაპიტალიზაციის დონით თითქმის 8-ჯერ უსწრებს რიგით მეორე კრიპტოვალუტაეთერიუმს. ბიტკოინის შემთხვევაში, რაც თავიდანვე გაცხადებული იყო, 21 მილიონ კოინს ეტაპობრივად უშვებენ ბაზარზე, დღემდე გამოშვებულია 18 003 000 კოინი. იმ პირობით, რომ მსოფლიო ბაზარმა მთლიანად აითვისოს კრიპტოვალუტები, ანუ ყველა პროდუქტის გაცვლა დაშვებული იყოს კრიპტოვალუტებზე ბიტკოინის ფასი კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო დაბალი ღირებულების პროდუქტების შეძენისას გარკვეული დისკომფორტიც წარმოიქმნება, რადგან შესაძლებელია რიგი პროდუქტების შეძენა ვერ მოხდეს ბიტკოინის უმცირესი კოინის მაღალი ღირებულებისა და შესასყიდი პროდუქტის დაბალი ღირებულების გამო. შესაბამისად ბიტკოინით ვაჭრობა შესაძლებელი იქნება შედარე-

¹ <https://www.bbc.com/news/technology-36168863>

² <https://www.investopedia.com/terms/p/peertopeer-p2p-service.asp>

ბით მაღალი ფასის პრუდუქტებით. ამ მხრივ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იქნება სტელარი, რომლის კოინების ჯამური რაოდენობა იქნება 105,4 მლრდ.

ცხრილი 1. ტოპ 10 კრიპტოვალუტის კაპიტალიზაციისა და კოინების მოცულობების სტატისტიკა, 2018 წლის ოქტომბერი³

№	კრიპტოვალუტა	ბაზრის კაპიტალიზაცია (მლრდ)	სავაჭრო ლირებულება (მლრდ)	გამოშვებული კოინების მასა (მლნ)	კოინების ჯამური რაოდენობა (მლნ)
1	ბიტკოინი	143.627	13.941	18.003	21
2	ეთერიუმი	18.688	6.637	108.223	108.223
3	XRP	12.52	1.847	43 243	100 000
4	თეზერი	4.112	17.648	4 108	4 208
5	ბიტკოინ ქეში	3.916	1.155	18.067	21
6	ლაით კოინი	3.396	2.442	63.506	84
7	BINANCECOIN	2.804	0.219	155.5378	187.537
8	EOS	2.709	1.322	936.654	1 033
9	Bitcoin SV	1.619	0.021	17.855	21
10	სტელარი	1.261	0.105	20 035	105 424

„ელექტრონული ფულის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კომპანია Digi-Crash-ის(ჰოლანდია) მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა (1994 წ). პირველი ელექტრონული გადახდა DigiCrash-ის მეშვეობით განხორციელდა 1994 წელს. პირველი ელექტრონული ბანკი გაიხსნა 1984 წელს, ოქტომბერში, ერთი მილიონი არაუზრუნველყოფილი კიბერერთეულით. ექსპერიმენტმა გაამართლა. 1996 წელს ამ პროექტით დაინტერესდნენ ისეთი კომპანიები, როგორცაა: Visa, Mastercard, Microsoft.”⁴

ელექტრონული ფულის სახეობები და მათი გამოყენება პერიოდულად იზრდება, მომხმარებლებში ელექტრონული ფულის პოპულარობა მისი უპირატესობებიდან — ოპერატიულობა, სიმარტივე, უსაფრთხოება, გადარიცხვის მინიმალური საკომისიო, ანონიმურობა, ვალუტის მაღალი და მზარდი ღირებულება, სტაბილურობა (ინფლაციის მოლოდინის დაბალი ალბათობა) და სხვ. გამომდინარეობს. ეს ყველაფერი ელექტრონული ფულის ის უპირატესობებია, რაც მომხმარებლებისთვის მიმზიდველ პროდუქტს წარმოადგენს. შესაბამისად ელექტრონული ფული კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება საქონლით ვაჭრობასა და ნაღდი ფულის გადარიცხვის ოპერაციებთან.

2017 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა⁵ გაავრცელა განცხადება, რომ კრიპტოვალუტები არ არის კანონიერი გადახდის საშუალებები, არ არის რეგულირებული საქართველოს კანონით და კრიპტოვალუტებით ვაჭრობისას საქართველოს მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდა. საქართველოში კრიპტოვალუტების ყიდვა შესაძლებელია, თუმცა კრიპტოვალუტებით პროდუქტის ყიდვა-გაყიდვა ან მისი ჩართვა საგადასახადო საქმეში არ არის დაშვებული.

კრიპტოვალუტები სრულად აკრძალულია შემდეგ ქვეყნებში: ბოლივია, ალჟირი, ეგვიპტე, ერაყი, მაროკო, ნეპალი, არაბთა გაერთიანებულ ემირატები. არასრულად აკრძალვები შეეხება ძირითადად აზიის ქვეყნებს, თუმცა აქ გვხვდება ევროპული და ამერიკის ქვეყნებიც: ჩინეთი, ბაჰ-

³ <https://www.cryptoz.ge/coins>

⁴ დ. სიჭინავა, მ. მაღრაძე - ელექტრონულ ფულზე გადასვლის წინამძღვრები და პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი, №6 / 2018

⁵ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3352>

რეინი, ბანგლადეში, ირანი, ქუვეითი, ყატარი, საუდის არაბეთი, ტაივანი, კოლუმბია, დომინიკის რესპუბლიკა, ლიეტუვა. მაგალითად, ჩინეთში ბანკებს აეკრძალათ კრიპტოვალუტებით ფინანსური ოპერაციები და აიკრძალა კრიპტოვალუტებით ვაჭრობა.⁶ საგადასახადო კანონმდებლობაშია მოქცეული შემდეგ ქვეყნებში: არგენტინა, ავსტრია, ბულგარეთი, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, ისლანდია, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ს. აფრიკა. ფულის გათეთრებისა და ანტიტერორისტული დაფინანსების სამართლებრივ კანონმდებლობის ფარგლებშია მოქცეული: კაიმანის კუნძულები, კოსტარეკა, ჩეხეთი, ესტონეთი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, გიბრალტარი, ლატვია, ჰონგ კონგი, სინგაპური. ხოლო კანადაში, დანიაში, შვეიცარიაში, იაპონიასა და ავსტრალიაში კრიპტოვალუტები მოქცეულია როგორც საგადასახადო ასევე ფულის გათეთრებისა და ანტიტერორისტული კანონმდებლობის ჩარჩოებში. ქვეყნები რომლებიც უშვებენ საკუთარ კრიპტოვალუტებს ან იყენებენ მათი რეგიონის კრიპტოვალუტებს, არიან: ანტიგუა და ბარბუდა, დომინიკის რესპუბლიკა, ვენესუელა, ირლანდია, ლიეტუვა და ჩინეთი. როგორც ჩანს ჩინეთი და ლიეტუვა, კრძალავენ სხვა კრიპტოვალუტებს და მხოლოდ თავიანთკრიპტოვალუტებს იყენებენ და მონოპოლიურ მდგომარეობაში აყენებენ, რაც ელექტრონული ფულის, როგორც კერძო ფულის კონცეფციას სცდება.

აშშ-ში კრიპტოვალუტების წინააღმდეგ კამპანია მიმდინარეობს, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლები განიხილავენ სასამართლო ბრძანებას, რომლის თანახმადაც მსხვილ ტექნოლოგიურ კომპანიებს შეიძლება კრიპტოვალუტების გამოშვება აეკრძალოთ. ბრძანებაში ვკითხულობთ: „ფედერალური სარეზერვო სისტემის გამგებლების საბჭოს გადაწყვეტილებით, მსხვილპლატფორმას არ აქვს უფლება შექმნას, შეინარჩუნოს ან მართოს ციფრული აქტივი, რომელიცგა მიზნულია ფართოდ ასათვისებლად როგორც გადაცვლის შუამავალი, ფულისერთეული, ღირებულების შესანახი, ან სხვა მსგავსი ფუნქციის შემსრულებელი.“⁷ ნებისმიერი კომპანია, რომლის წლიური შემოსავალიც აღემატება 25 მილიარდ დოლარს, მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიების კატეგორიაში მოექცევა და კანონის დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმდება „არაუმეტეს ერთი მილიონი დოლარისა ყოველი დარღვეული დღისთვის.“ თავად აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც აკრიტიკებს კრიპტოვალუტებს და აშშ დოლარს ბევრად სანდო ვალუტად აღიარებს, თუმცა ეს მისი განცხადება უფრო სამთავრობო ხედვას წარმოადგენს ვიდრე ბიზნესმენის პოზიციას. ცხადია ყველა სახელმწიფოს აქვს იმის შიში, რომ მათ ეროვნულ ვალუტებს ჩაანაცვლებს ელექტრონული, დამოუკიდებელი და კერძო ვალუტა და მათი გავლენებიც გაქრება როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე მსოფლიო მასშტაბით.

საქართველოში პირველი ქართული კრიპტოვალუტის ბირჟა- coinet-იც შეიქმნა 2018 წელს. რამდენიმე წელია საქართველოში შესაძლებელია კრიპტოვალუტების ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ აქამდე, ბაზარზე არსებული კრიპტო მომსახურეობის პროვაიდერები იყვნენ, როგორც ვალუტის გადამხურდავებელი პუნქტები, ოღონდ ისინი საქმიანობდნენ ინტერნეტ სივრცეში. ფასს აწესებდნენ საკუთარი შეხედულებებისამებრ, რაც მსოფლიო საბაზრო ფასთან შედარებით, მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო. ასევე, მნიშვნელოვნად მაღალი იყო მომსახურეობის საკომისიოც. ამ მხრივ კოინეტიკი წარმოადგენს პროგრესულ ნაბიჯს ელექტრონული ფულის ქართულ ბაზარზე. დღეს, koinetik-ზე შეგეძლებათ იყიდოთ პოპულარული კრიპტოები როგორებიცაა: ბიტკოინი (BTC), ეთერიუმი (ETH), რიპლი (XRP), ბიტკოინქეში (BCH), ლაიტკოინი (LTC) დადეში (DASH).

კრიპტოვალუტების გამოყენება იძლევა მეტ ფინანსურ თავისუფლებას, ფინანსების განკარგვისა და ტრანზაქციების გამარტივებას, რაც ბიზნესისთვის და არამარტო მათთვის უფრო მომგებიანი იქნება ელექტრონული სისტემის სრულფასოვნად დანერგვა. “კრიპტოვალუტის გამოყენების ყველაზე კარგი შედეგები შეიძლება იყოს ის, რომ ბიტკოინის ლეგალიზაციით

⁶ <https://www.scmp.com/business/banking-finance/article/2129645/pboc-orders-banks-halt-banking-services-cryptocurrency>

⁷ <https://www.cryptoz.ge/single-post/2019/07/16/>

მივიღებთ უფრო მეტ თავისუფლებას. ფინანსები იქნება გაცილებით უფრო ძლიერი, რადგან-ბიტკოინის ღირებულება მაღალია. ასევე ფინანსების განკარგვა კიდევ უფრო გამარტივდება, თუ მთელი მსოფლიო მხოლოდ ერთი ტიპის კრიპტოვალუტას გამოიყენებს. **ამ შემთხვევაში საერთაშორისო ბიზნესები უფრო მარტივად სამართავი გახდება, ვიდრე ახლა**”, - წერს Inside Bitcoins-ი. Inside Bitcoins-ი ასევე აფასებს კრიპტოვალუტის სავაჭრო პლატფორმას.⁸ „Bitcoin Future” არის ავტომატიზირებული სავაჭრო პლატფორმა, რომელსაც მხარს უჭერს მენარმე კაპიტალისტთა ჯგუფი და რომელსაც ტრეიდერები იყენებენ ბიტკოინისა და სხვა კრიპტოვალუტების ვაჭრობისთვის და მათი გამომუშავება დღეში საშუალოდ 1,121 აშშ დოლარს შეადგენს. აქვე, BitcoinFuture აცხადებს, რომ მას აქვს სავაჭრო სიგნალების 99.4%-იანი სიზუსტე.

კრიპტოვალუტის ფასი და კურსის მერყეობა

ხშირად ისმის შეკითხვა თუ რატომ აქვს ბიტკოინს ასეთი მაღალი ღირებულება და რა განსაზღვრავს მის ფასს. ნებისმიერი საქონლის ფასი განისაზღვრება ამ საქონლის მოცულობისა და არსებული ფულის მასის მიხედვით, ეს შემთხვევაა აქაც. პროტოკოლის თანახმად ბიტკოინის წარმოების ფორმულა ითვალისწინებს რომ, ჯამში შესაძლებელია მხოლოდ 21 მლნ ბიტკოინის გამომუშავება, ამჟამად კი გამომუშავებულია 16 მილიონზე მეტი ბიტკოინი. უშუალოდ ბიტკოინი კი თავის მხრივ იყოფა მცირე ერთეულებად, მისი უმცირესი მოცულობა ასი მემილიონედი ბიტკოინი, რომელიც მისი შემქმნელის სახელს ატარებს „satosi”. პირობითად, თუ ბაზარზე გვაქვს მხოლოდ 100 ერთეულის საქონელი და 100 ფულადი ერთეული, მაშინ ერთი ერთეული საქონლის ფასი გამოდის 1 ფულადი ერთეული. თუ ფულის მასის მოცულობა გახდა 120 ერთეული ხოლო საქონლისა 600, მაშინ ერთი ერთეული საქონლის ღირებულება გაიზრდება 5 ფულად ერთეულამდე. ასევე ბიტკოინის შემთხვევაშიც, იმ პირობებში როცა ძალიან ნელა იზრდება ბიტკოინის, როგორც ფულის მასა, ხოლო ბევრად სწრაფი ტემპებით ხდება ბიტკოინის ქვეშ არსებული სავაჭრო პროდუქციის სიის ზრდა, შესაბამისად იზრდება ბიტკოინის ფასიც, ანუ ამ შემთხვევაში იზრდება ბიტკოინის მომხმარებელთა რაოდენობა.

კრიპტოვალუტის კურსის მერყეობა - ეს მერყეობა მით უფრო დამახასიათებელია იმ ვალუტებისთვის, რომელთა სავაჭრო ურთიერთობებში ნაკლები პრუდუქტი მონაწილეობს და ბაზრების მცირე სეგმენტები აქვთ ათვისებული, რაც უფრო გაიზრდება კრიპტოვალუტით სასაქონლო ბაზრების ათვისება მით უფრო დაბალი იქნება სავალუტო რყევები და მანიპულაციები. სახელმწიფოები სასაქონლო ბაზრებს უზღუდავენ კრიპტოვალუტებით ვაჭრობას და აღნიშნულ სავალუტო რყევებს თავად ამ ვალუტებს აბრალევენ, შემდეგ მოსახლეობას აფრთხილებენ თავი დაიცვან სავალუტო რისკებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ბიტკოინის მიმართ ინტერესი ჩვენს ქვეყანაშიც საკმაოდ დიდია, საქართველოში ბიტკოინით ოფიციალურად ვერაფერს იყიდით, ვინაიდან კანონით, აქ ანგარიშსწორება მხოლოდ ლარში შეიძლება.

coindesk.com-ზე დაყრდნობით, „2019 წლის 19 ივლისის სტატია შეეხება ბიტკოინის ფასს, რომელიც სულ რაღაც ნახევარ საათში 1 000\$-ით გაიზარდა დაკიდევ ერთხელ გადალახა 10 000\$-იანი ბარიერი. როგორც ძირითადად ხდება ხოლმე, ბაზრის მოცულობით პირველ კრიპტოვალუტას სხვა ციფრული ვალუტებიც მიჰყვნენ. ლაითკოინი და ბიტკოინი SV ორ ნიშნა მოგებას აჩვენებენ, ეთერიუმისა და რიპლის ფასი კი 6% და 3%-ით გაიზარდა. გაზრდილია ბიტკოინის წილიც კრიპტოვალუტების საერთო ბაზრის მ მოცულობაში - ისახლა 65.4%-ის მაგივრად 65.8%-ს ფლობს. როგორც ვარაუდობენ, თუ ბიტკოინი 11,080\$-იან ბარიერს გადალახავს (რაც ამჟამინდელი მონაცემებით მოსალოდნელია), ამას კრიპტოვალუტის ფასის ზრდა უნდა მოჰყვეს

⁸ <https://insidebitcoins.com/bitcoin-robot/bitcoin-future>

12,000\$-მდე.⁹ კრიპტოვალუტის ფასს განსაზღვრავს შემდეგი კრიტერიუმები:

- .შეზღუდული მიწოდება;
- .მოთხოვნა/მიწოდების თანაფარდობა;
- .საკანონმდებლო შეზღუდვები და სახელმწიფო მიდგომები;
- .ვალუტის გამოყენებადობა, მისი სარგებლიანობა, ბაზრის მასშტაბი სადაც ეს ვალუტა გამოიყენება, შენახვისა და ტრანზაქციის სიმარტივე;
- .ბლოკჩეინის დიზაინი და მუშაობის სირთულე;
- .ბლოკჩეინის ფუნქციონირებისა და ელექტრონული მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ელექტროენერგია;
- .ინვესტორები;
- .მედია და მედიის გამოხმაურება;
- .საზოგადოების მიერ ვალუტის ღირებულების შეფასება;
- .საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ტრადიციული აღქმები;
- .თაღლითები და შავ ბაზართან დაკავშირებული გარიგებები;
- .ბიტკოინის ფასი;
- .ინოვაციურობა;
- .ბაზრის გაჯერებულობა.

შეზღუდული მიწოდება და მოთხოვნა/მიწოდების თანაფარდობა; ძვირფასი ქვები და ლითონები თავიანთ ღირებულებას სწორედ შეზღუდული რაოდენობის გამო იღებენ, რაც არამართო მათ ბუნებრივ მდგომარეობაში გამოიხატება, არამედ ამ ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდანაც ხდება მიწოდების მოცულობის კონტროლი და მაღალი ფასის შენარჩუნება ბაზარზე. მიწოდების კონტროლის დროს კი გათვალისწინება ხდება თუ როგორი მოთხოვნაა ამა თუ იმ პროდუქტზე, ცხადია მოთხოვნის ზრდა ზრდის პროდუქტის ფასსაც. მსგავსი ტრენდია კრიპტოვალუტების შემთხვევაშიც, როცა გამოშვებული კრიპტოვალუტები არის შეზღუდული რაოდენობის ხოლო რაც უფრო იხსნება ბაზარი და მოთხოვნა იზრდება მათზე, შესაბამისად ფასიც იმატებს, ხოლო ყოველი რეგულაცია და კრიპტოვალუტების მიმოქცევის შეზღუდვა ამცირებს ელექტრონულ ფულზე მოთხოვნასა და შესაბამისადაც ამცირებს ამ პროდუქტს.

საკანონმდებლო შეზღუდვები და სახელმწიფო მიდგომები. როგორც სტატიაში ვიხილავთ, ყოველი საკანონმდებლო ინიციატივები რაც ზღუდავს კრიპტოვალუტების მიმოქცევას, იწვევს მისი ფასის შემცირებას. საკანონმდებლო შეზღუდვების მთავარი მიზეზი მთავრობების შიშია, რომ მათი მონოპოლიური მდგომარეობა ფულის ბაზარზე არ დაემხოს, რითაც ისინი დაკარგავენ გავლენებსა და ფინანსურ ძალაუფლებას. ამიტომ მთელი რიგი შეზღუდვებითა და პროპაგანდით ცდილობენ კრიპტოვალუტების ბაზრის შესუსტებას.

ვალუტის გამოყენებადობა, მისი სარგებლიანობა, ბაზრის მასშტაბი სადაც ეს ვალუტა გამოიყენება, შენახვისა და ტრანზაქციის სიმარტივე. ეს ის ფაქტორებია, რაც განსაზღვრავს კრიპტოვალუტის ფასს. ნებისმიერი კრიპტოვალუტის ფასს განსაზღვრავს მისი სარგებლიანობა, რამდენად ინვესტირებადი პროდუქტია, რა ზომის ბაზარზე შეგიძლია შესვლა მოცემული ვალუტით და სხვ. რაც უფრო იზრდება კრიპტოვალუტის სარგებლიანობა, მით უფრო ედება მას ფასი და მიმზიდველი ხდება მომხმარებლისთვის.

ბლოკჩეინის დიზაინი და მუშაობის სირთულე. რაც უფრო დაცულია ბლოკჩეინი დამატალია მაინინგის სირთულე, მით უფრო მოთხოვნადი ხდება ის, მომხმარებელი დაცულობისა და სტაბილურობის გარანტიის მიღების შემდეგ ზრდის ამ პროდუქტზე მოთხოვნას და შესაბამისად იზრდება ფასიც.

ბლოკჩეინის ფუნქციონირებისა და ელექტრონული მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ელექტროენერგია. რაც უფრო რთულია მაინინგი დამონეტების მოპოვება, ეს ზრდის

⁹ <https://www.cryptoz.ge/single-post/2019/07/19/>

ელექტროენერჯის მოხმარებას და შესაბამისად გავლენას ახდენს ფასზე. ამიტომაც ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად უნდა მოხდეს და მოხდება კიდევ მაინინგის პროცესში ელექტრო ენერჯის მოხმარების შემცირება და/ან ალტერნატიული ენერჯის მიღების ზრდა.

ინვესტიორები. ინვესტიორებს შეუძლიათ მანიპულირება ყველა კრიპტოვალუტით: დიდი კაპიტალის შემთხვევაში შეიძლება მონეტების დიდი რაოდენობის შექმნა, შემდეგ კი ამ მონეტების შესახებ კარგი ინფორმაციის გავრცელება და ფასის ხელოვნურად გაზრდა. თუმცა ამის განხორციელება თითქმის შეუძლებელია, რადგან მოითხოვს დიდ ფინანსურ მხარდაჭერას. ყოველი ბიჯი მონეტის შექმნისას აძვირებს მონეტებს და ამიტომ „განუსაზღვრელი რაოდენობით“ მონეტების ყიდვა რომელიმე პირის მიერ შეუძლებელი ხდება, სამაგიეროდ რაც უფრო მეტი ფინანსურად ძლიერი ადამიანი თუ კომპანია შემოვა კრიპტოვალუტების ბაზარზე, დაინყებენ მის გამოყენებასა და აღიარებენ მათ სავაჭრო ვალუტად, მით უფრო გაიზრდება მოთხოვნა კრიპტოვალუტებზე და მეტად გამოყენებადი გახდება, შესაბამისად მისი ღირებულებაც გაიზრდება.

მედიის და მედიის ბამოხმაშრება. მედიის საუბრებმა კრიპტოვალუტებზე შეიძლება დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოების მიერ მის აღქმაზე. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფასის მანიპულირება, ვინაიდან, მასმედიის რიგი საშუალებებისა გარკვეულ ადამიანებს ეკუთვნით და ფასის მანიპულაციის პოტენციურ იარაღს წარმოადგენენ. ასევე მასმედიის სიტყვებმა ვალუტის დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესახებ შეიძლება ფასის ცვალებადობა გამოიწვიოს.

საზოგადოების მიერ ვალუტის ღირებულების შეფასება და საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ტრადიციული აღქმები

კრიპტოვალუტის საზოგადოებრივ აღქმას დიდი მნიშვნელობა აქვს ვალუტის ღირებულებისთვის. ადამიანები, რომლებიც დადებითად რეაგირებენ სიახლეებზე მალე ერკვევიან ტექნოლოგიურ სიახლეებში და ტექნოლოგიურ მიღწევებს ნერგავენ საკუთარ ცხოვრებაში თუ ბიზნესში, ცხადია ასეთი ადამიანები ზრდიან მოთხოვნას. ხოლო მეორეს მხრივ ის ადამიანები, რომლებიც პირიქით, ძნელად ადაპტირდებიან თანამედროვე ტექნოლოგიებთან, არასწორი ინტერპრეტაციით აიგივებენ მას რელიგიურ, კულტურ თუ ნაციონალურ ღირებულებებთან, ცხადია მოქმედებენ ერთის მხრივ ციფრული ვალუტების მოთხოვნაზე, მეორეს მხრივ ამკვიდრებენ პესიმისტურ აზრებს საზოგადოებაში და რაც მთავარია, ლეგიტიმაციას ანიჭებს მთავრობებს, რომ გაატარონ რეგულაციები კრიპტოვალუტების მიმართ და შეზღუდონ სხვა ადამიანების ეკონომიკური თავისუფლება.

თაღლითობი და შავ ბაზართან დაკავშირებული ბარიერები; ზოგჯერ კრიპტოვალუტები შეიძლება თაღლითობის მიზნით იყოს შემუშავებული. ეს ეხება მონეტებს, რომლებიც უახლეს და საუკეთესო ტექნოლოგიებს ჰპირდება და უკვე მოპოვებულია დეველოპერების მიერ გამოშვებამდე. მსგავსი მექანიზმით კრიპტოვალუტები იქმნება იმ მიზნით, რომ მწარმოებელმა ერთჯერადი სახით მიიღოს მოგება. თუმცა მასშტაბები ცხადია ძალიან მცირეა, ის ვერ მოახერხებს მომხარებელთა დიდი ბაზრის ათვისებას, განსაკუთრებით მომავალში, როცა ადამიანების ცნობიერება და ცოდნა კრიპტოვალუტების მიმართ იზრდება, მას შემდეგ რაც კრიპტოვალუტების მფლობელები დაინყებენ სწრაფ გაყიდვებს, ცხადია მონეტების ფასი დაეცემა, ამ გზით მონეტების მფლობელებიც ვერ მიიღებენ დიდ მოგებას. ამიტომ მომხმარებლები კარგად უნდა გაერკვნენ იმ კრიპტოვალუტების ისტორიაში და წარმომავლობაში, რაშიც ფულის დაბანდებას აპირებენ და როგორც უკვე ავლნიშნეთ, ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად იზრდება ადამიანების ცნობიერება და ცოდნა კრიპტოვალუტების მიმართ, შესაბამისად თაღლითური გზით გამდიდრების მცდელობები კრიპტოვალუტის დეველოპერებს აღარ გამოუვათ, ამავე დროს კრიპტოვალუტის წარმოებისთვის საჭიროა შესაბამისი დანახარჯების განევა და

თუ დევლოპერი ხედავს რომ ბაზარზე წარმოება უფრო ძვირი დაუჯდება ვიდრე თაღლითური სქემის გზით მოგების მიღება, ცხადია ისთავის ჩანაფიქრს სისრულეში აღარ მოიყვანს.

ბიტკოინის ფასი. ბიტკოინიარის პირველი კრიპტოვალუტა რომელიც გამოუშვეს და ამ-
ავე დროს ყველაზე ფართოდ გავრცელებული კრიპტო ვალუტა, ადამიანების ცნობიერებაში ის
კრიპტოვალუტებს შორის ნომერ პირველია და კრიპტოვალუტებთან პირველს, სწორედ ბიტ-
კოინს აიგივებენ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კუთხით მან დიდი გზა გამოიარა და კიდევ
ბევრი დეტალი ემატება. დღეს, ფასის მიხედვით ის პირველ ადგილს იკავებს კრიპტოვალუტებს
შორის, შესაბამისად კარნახობს კიდევ ექსპერტებს სხვა კრიპტოვალუტების მომავალი ფასის
განსაზღვრას.

ინოვაციური შიშობა. ინოვაციას შეუძლია ფასზე გავლენის მოხდენა. ზოგჯერ ეს ხელს უწყობს
ვალუტის გამყარებას. რაც მეტია ტექნოლოგიური განვითარება, მით მეტ ინოვაციურობას განა-
პირობებს ის. ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებული სიახლეებისჭირდება მომხმარებელს
და რაც უფრო იზრდება მსგავსი სიახლეებით გამოწვეული კომფორტი მით უფრო იზრდება
მოცემულ კრიპტოვალუტებზე მოთხოვნა და იზრდება მისი ფასიც. თუმცა უნდა აღინიშნოს,
რომ ინოვაციურობა არის ერთ-ერთი და არა გადამწყვეტი ფაქტორი კრიპტოვალუტების ფასის
განსაზღვრაში.

ბაზრის ბაჟირაშულობა. ბიტკოინის გამოჩენის შემდეგ, უსწრაფესად ჩნდებიან ახალი
კრიპტოვალუტები, მათ შორის ბევრი პრაქტიკულად უსარგებლო კრიპტოვალუტა. ბაზარი გა-
ჯერდა კრიპტოვალუტებით, თავად ელექტრონულ ვალუტებს შორის მიდის დიდი კონკურენცია
და მომხმარებელსაც დიდი არჩევანის შესაძლებლობას აძლევს. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ
ძირითადად კრიპტოვალუტებმა, როგორებიცაა მაგალითად ბიტკოინი, ლაიტკოინი, ეთერიუმი
და სხვა, დაიკავეს ბაზრის ძირითადი სეგმენტი. ახალ კრიპტოვალუტებს შედარებით გაუჭირ-
დებათ ადგილის დამკვიდრება. სანყის ეტაპზე ცხადია მათი ფასი იქნება დაბალი, რაც უფრო
დიდი მასშტაბით შევლენ ბაზარზე, შესაბამისად გაიზრდება მათი ღირებულებებიც. ამ მხრივ კი
ტოპ კრიპტოვალუტები, რომლებიც ძირითადად არიან ბაზარზე წარმოდგენილები, ინარჩუნებენ
კიდევ მაღალ ღირებულებებს ზრდის ტენდენციით.

რატომ ან როდის შეიძლება შემცირდეს ბიტკოინის ღირებულება?

მიზეზი 1. ბიტკოინის ფასი შემცირდება, თუ უფრო მეტი ბიტკოინი იწარმოება და გამო-
ვა ბაზარზე ვიდრე ბაზარზე არსებული პროდუქცია რომელთა შეძენაც ბიტკოინით ხდება. ეს
შემთხვევა გამოირიცხება რადგან უკვე განსაზღვრულია ბიტკოინების სამომავლო მაქსიმალური
მოცულობა.

მიზეზი 2. თუ ბიტკოინების წარმოება უცვლელი დარჩება, ხოლო ბაზარზე არსებული პრო-
დუქცია შემცირდება. ცხადია მობილურების, კომპიუტერების, მანქანებისა და სხვა პროდუქტების
წარმოებას არავინ შეწყვეტს, შემცირება შეიძლება მოხდეს სახელმწიფო რეგულაციებით, თუ
მიიღებენ კანონს რომ გარკვეული ტიპის პროდუქტების შექმნა აიკრძალოს ბიტკოინებზე, ან
სხვა ფორმით აიკრძალოს ქვეყნებში ბიტკოინებით ვაჭრობა, რაც ავტომატურად გამოიწვევს
ბიტკოინით შესაძენი პროდუქციის შემცირებას. მთავარი მიზეზი თუ რატომაც შეიძლება ბიტ-
კოინზე ფასი გაიზარდოს სწორედ სახელმწიფო რეგულაციებია ვინაიდან ის ციფრულივალუტაა,
რომელიც ელექტრონული ვაჭრობისთვის გამოიყენება და მას სახელმწიფო სტრუქტურებივერა-
კონტროლებენ. ასე მაგალითად; ბიტკოინის, რიპლისა და ეთერიუმის ფასები დაეცამას შემდეგ,
რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ კორეაში ემზადებიან ციფრული ვალუტით ვაჭრო-
ბის აკრძალვისთვის. მოგეხსენებათ სამხრეთ კორეა წარმოადგენს კრიპტოვალუტით ვაჭრობის
ერთ-ერთ ძირითად ბაზარს, ხოლო აკრძალვა სერიოზულ ზიანს მიაყენებს კრიპტოვალუტების
ბაზარს. ქვეყნის ხელისუფლება არ იძლევა კონკრეტულ დეტალებს ახალი კანონმდებლობის

შესახებ, თუმცა ეჭვგარეშეა რომ სახელმწიფოები შეშინდნენ მსოფლიოში კერძო ფულის გაბატონების, თავისუფალი ფულის არსებობა კი მათ მონოპოლისტურ გეგმებში არ შედის.

მიზეზი 3. ბიტკოინის ფასის შემცირდება გამონვეულია არა ეკონომიკური არამედ ჰაკერების მიერ კიბერშეტევებით. თუმცა როგორც ბლოქჩეინის შემქმნელები ირწმუნებიან ეს შეუძლებელია, აქამდე ეს ვერცერთმა ჰაკერმა ვერ მოახერხა. ამ მხრივ ბიტკოინი ყველაზე დაცული ვალუტაა მსოფლიოში.

მიზეზი 4. ფასის შემცირების მიზეზია სავალუტო მანიპულაციები. ვთქვათ რომელიმე მილიარდელმა შეიძინა დიდი რაოდენობით კრიპტოვალუტა, პირობითად 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების და შეინახოს უძრავად. ცხადია ეს გამოიწვევს კრიპტოვალუტის ფასის გაზრდას, ხოლო გაზრდილი ფასის დროს თუ მის კრიპტოვალუტებს მთლიანად გაყიდის და ბაზარს ერთდროულად ჭარბად მიაწვდის ეს პროცესი გამოიწვევს კრიპტოვალუტის ფასის შემცირებას. ასეთი თეორიული დაშვებების პრაქტიკული განხორციელების ალბათობა ძალიან დაბალია, ვალუტის 10 წლიანი არსებობის პირობებში ბოლოს მოხდა ასეთი შემთხვევა, როცა ემილოლ დენბურგმა, რომელიც არის ბიტკოინის ყველაზე მსხვილი საიტის Bitcoin.com-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მის ხელთ არსებული ყველა ბიტკოინი გაყიდა და პესიმისტური განცხადებები გააკეთა, ამას თან ერთვოდა სინგაპურის საფინანსო საკრედიტო სამმართველოს, სხვა საერთაშორისო ექსპერტებისა და ცნობილი მილიარდელების სიფრთხილე და ნეგატიური მოლოდინები, შედეგად ბიტკოინის ფასი 15%-ით შემცირდა. თუმცა, მცირე პერიოდის შემდეგ კვლავ გაგრძელდა ბიტკოინის ფასის ზრდა, ხოლო მომავალში თუ გავითვალისწინებთ რომ ბიტკოინი კიდევ უფრო ძვირი იქნება ვიდრე დღეს და ბიტკოინები კიდევ უფრო დიფერენცირებულად იქნება გადანაწილებული მომხმარებლებში, მისი დიდი მოცულობის ერთ ხელში მოხვედრა და ვალუტის კურსით მანიპულირება ძნელი იქნება, ხოლო ამ შემთხვევის დადგომის პირობებში დანაკარგი არ იქნება კატასტროფული (მაგ; გაუტოლდეს 0-ს), ხოლო ასეთი ტრანზაქციით განხორციელების შემდეგ ვალუტა კვლავ დაიწყებს ღირებულების მატებას, ვინაიდან პრინციპი ერთია, შეზღუდულია კრიპტოვალუტის მოცულობა და მას არ ბეჭდავს რომელიმე უწყება მისი სურვილის მიხედვით.

კრიპტოვალუტების დადებითი და უარყოფითი მხარეები

არის თუ არა კრიპტოვალუტებზე არსებული ნეგატიური მოლოდინები რეალური? ელექტრონული ფულის მიმართ ადამიანთა ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი, რასაც განვიხილავთ ბიტკოინის შესახებ გამოთქმულ არგუმენტებში:

მისი ანონიმურობიდან გამომდინარე კრიპტოვალუტას წარმატებით იყენებენ იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრე ადამიანები. ცხადია ეს სიმართლეა, მაგრამ ის რომ მსოფლიოში არსებობენ დანაშაულებრივი ჯგუფები ეს კრიპტოვალუტას არ გამოუწვევია, იქნება თუ არა კრიპტოვალუტა ამის მიუხედავად, ტერორისტები და დამნაშავეები მაინც იარსებებენ და დაფინანსების სხვა წყაროებს გამოიყენებენ როგორც ამას კრიპტოვალუტების არსებობამდე ახერხებდნენ, ხოლო სახელმწიფოებმა რომ „მოსახლეობის დაცვის“ მიზნით შეზღუდონ კრიპტოვალუტების ბაზარი კიდევ უფრო დიდი დანაშაული იქნება და ადამიანებს თავისუფლად განვითარების შესაძლებლობას უსპობს. ამასთან აუცილებლად უნდა განვიხილოთ შემდეგი ფაქტი. როცა დამნაშავეების მიერ უკანონო ფულის გადმოტანა ხდება საზღვრებზე, ცხადია ამას გაძლიერებული დაცვის მექანიზმებით ახორციელებენ, ხდება შეტაკებები, ამ სქემაში ჩათრეულნი არიან მოქალაქეები და ის ახალგაზრდები, რომლებმაც იოლი ფულის შოვნა გადაწყვიტეს, რაც ახალ დამნაშავეებსა და დანაშაულის წრეებს ქმნის. ასევე საზღვარზე გადმოსასვლელად ხდება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების მოსყიდვები, შანტაჟი და სხვა უარყოფითი

ფაქტები. ხოლო ამავე შავი ფულის კრიპტოვალუტების გამოყენების გზით გადარიცხვა მსგავს დანაშაულის ფაქტებს გამოირიცხავს და მეტი სიმშვიდე იქნება საზოგადოებაში. დანაშაულებებს და დამნაშავეებს სხვა გზით უნდა ებრძოლოს სახელმწიფო, ხოლო ადამიანებს, ბიზნესსა და ეკონომიკას მეტი თავისუფლება მისცეს.

ანონიმურობის გამო თქვენს დაკარგულ ბიტკოინს არავინ აგინაზღაურებთ. მაგალითისთვის მოჰყავთ პროგრამისტიჯეიმსჰაუელსი, რომელმაც მყარი დისკის დაკარგვის გამო მილიონობით აშშ დოლარი იზარალა და ვერ დაამტკიცა რომ ბიტკოინები მას ეკუთვნოდა. ეს უსაფუძვლო ბრალდებაა, წარმოიდგინეთ თუ თქვენ ქუჩაში დაკარგეთ ქალაქის ფული, როგორ ფიქრობთ ვინ აგინაზღაურებთ ამ ზარალს ან რომელ სახელმწიფო უწყებაში დაამტკიცებთ რომ თქვენ გეკუთვნოდათ? ბლოქჩეინის სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ თქვენ დაცული ხართ და სხვა ვერ მოგპარავთ თქვენს კუთვნილ ბიტკოინს, ხოლო საკუთარ ფულს, ანგარიშის ნომერსა და პაროლს თავად უნდა გაუფრთხილდეთ.

ბიტკოინი არ არის გამყარებული რომელიმე ძვირადღირებული ნივთით და არის საპნის ბუშტი. ოქროსსტანდარტი აღარ არსებობს ანუ ქალაქის ფული არცერთ ლითონზე არაა მიმაგრებული და თავისუფლად იხმარება მსოფლიო სავალუტო სისტემაში. აქედან გამომდინარე ეროვნული ვალუტის უკან არ დგას ოქრო ან სხვა მატერიალური ქონება, ქალაქის ფულის უკან დგას მხოლოდ სახელმწიფო, რომელიც საგარეო ვალისა თუ სხვა საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ბეჭდავს მეტ ფულს და განაპირობებს ინფლაციურ პროცესებს. აქედან გამომდინარე ეროვნული ვალუტაც საპნის ბუშტად უნდა მივიჩნიოთ, რომლის უკან არაფერი დგას (საქართველოს შემთხვევაში კუპონის გაუფასურების მაგალითი).

ელექტრონული ფულის ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეა ის, რომ მისი წარმოება მოითხოვს დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას, რაც ერთის მხრივ აძვირებს და ართულებს კრიპტოვალუტის წარმოებას, ხოლო მეორეს მხრივ გაზრდილი წარმოების პირობებში ელექტრო ენერჯის დეფიციტის საშიშროებაც შეიძლება დადგეს.

როგორც Forbes-ის კვლევაშია მოცემული, „ბიტკოინის გამომუშავებაზე დახარჯული ელექტრო ენერჯის წილი მსოფლიოს მიერ წლიურად მოხმარებული ელექტროენერჯის 0.13% -ა, რაც დაახლოებით 29.05 ტერავატ საათს შეადგენს. მიუხედავადიმისა, რომ 0,13% ბევრი არაა, ეს მაინც ნიშნავს, რომ ბიტკოინის გამომუშავებაზე უფრო მეტი ელექტრო ენერჯია იხარჯება, ვიდრე მსოფლიოს 159 ქვეყნის წლიური მოხმარებაა“¹ კვლევის ავტორები ასევე საინტერესო შედარებას გვთავაზობენ, თუ ჩვენ ბიტკოინს ქვეყნად მივიჩნევთ, მაშინ ის მოხმარებული ელექტროენერჯის წილით მსოფლიოში 61-ე ქვეყანა იქნებოდა. **Digiconomist’s Bitcoin Energy Consumption Index**-ის მიხედვით, ირლანდია წლიურად 25 ტერავატ საათეელექტრო ენერჯიას მოიხმარს, რაც 16%-ით ჩამოუვარდება ბიტკოინ მაინერების მიერ მოხმარებულ ელექტრო ენერჯიას. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, ბიტკოინმა ინერების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია კიბრიტანეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის მხოლოდ 9,4%-ია. მსოფლიოში ყველაზე მეტელექტროენერჯიას ჩინეთი მოიხმარს და ბიტკოინის მაინერების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია ქვეყნის მთლიანი მოხმარების მხოლოდ 0,49%-ია. საქართველო ამ სიაში 93-ე ადგილს იკავებს.

ცხრილი 2. საქართველოს ვაჭრობა ელექტროენერჯით 2010–2018 წლებში²
(მლნ აუგ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ექსპორტი	36.5	32.6	18.6	14.0	29.5	26.0	22.3	18.2	22.2

¹ <https://forbes.ge/news/3079/qveynebi-bitkoinze-nakleb-energias-moixmaren>

² <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

იმპორტი	13.0	24.4	32.5	30.3	51.0	43.8	21.8	66.7	75.8
საღარი	+23.5	+8.2	-13.9	-16.3	-21.5	-17.8	+0.5	-48.5	-53.6

საქართველოს ელექტროენერჯით ვაჭრობის სტატისტიკაში, 2018 წელს ბოლო ათწლეულის ყველაზე მაღალი უარყოფითი საღარი დაფიქსირდა. რაც ერთის მხრივ ქვეყანაში გაზრდილ ელექტროენერჯის მოხმარებაზე მიანიშნებს, ხოლო მეორეს მხრივ ეს დაკავშირებულია ბიტკოინების წარმოებასთან.³ მსოფლიოში ბიტკოინის წარმოების დიდი წილი მოდის საქართველოში რეგისტრირებულ კომპანია „BitFury“-ზე. მოცემულ კომპანიას თავისი ოფისები განლაგებული აქვს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში: ვაშინგტონი, ლონდონი, ამსტერდამი, ტოკიო, ჰონგ კონგი, სეული, დუბაი, მოსკოვი. ხოლო წარმოება ხდება: კანადაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში და საქართველოში. ჯამურად კი, საქართველოში მოდის ბიტკოინის მსოფლიო წარმოების 15%. BitFury-ს გარდა, საქართველოში ბიტკოინს სხვა კომპანიებიც მოიპოვებენ, რისიალრიცხვაც არ ხდება. ამასთან, საქართველოში ბიტკოინის მოპოვებისთვის შექმნილია ძალზე ხელსაყრელი პირობები.

სამწუხაროდ ოფიციალური მონაცემები არ გვაქვს ბიტკოინისა და სხვა კრიპტოვალუტების წარმოებისათვის დახარჯული ელექტრო ენერჯის შესახებ. როგორც „რონდელის ბლოგში“⁴ არის განხილული, მათი შეჯამება ეფუძნება გარკვეულდაშვებებს კრიპტოვალუტების მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯის შესახებ. განმარტავენ, რომ ელექტროენერჯის მდგენელი ბიტკოინის წარმოების თვით ღირებულებაში შეადგენს დაახლოებით 75%-ს. შესაბამისად, ქართული ბიტკოინების წარმოებას მოხმარდებოდა \$ 375 — 550 მილიონის ღირებულების ელექტროენერჯია. მსგავსი მონაცემები უნდა იყოს საჯარო და დათვლადი, არ უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ცალკეული კომპანიებისათვის სასათბურე პირობების შექმნა და ამით არ დააზარალოს ადგილობრივი ეკონომიკა. ჯანსაღი კონკურენციისა და ეკონომიკის პირობებში მსგავსი კომპანიები დამოუკიდებლად, თავად უნდა ახდენდნენ ელექტრო ენერჯის იმპორტს წარმოებისათვის და მათ სახელმწიფო მხარდაჭერა არ უნდა ჰქონდეთ.

დასკვნა

ფული მისი ისტორიის მანძილზე ვითარდება და იმ პერიოდისათვის არსებული ბაზრის მოთხოვნებს პასუხობს. ფული არ არის ბანკნოტები და ოქროსზოდები, ის საზოგადოებისშეთანხმებააიმაზე, თუ რა უნდა იყოს გაცვლის საშუალება, ფული.

ქალაქის ფულმა, ფულის ფუნქციებსა და თვისებებთან დაკავშირებული, ბევრი პრობლემა მოაგვარა, თუმცა ის გახდა სახელმწიფოების მიერ დანესებული მონოპოლიური გადასახადებისა და გადახდების საშუალებები, რასაც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოები საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ. ისტორიულად ჰიპერინფლაციები სწორედ სახელმწიფოების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო, რაც დაკავშირებული იყო ფულის მასის ჭარბ ბეჭდვასთან, ან წარმოების შემცირებასთან და ფასების სტაბილურობის მიზნით ფულის მასის ზრდასთან.

ისტორიის მანძილზე საზოგადოება ყოველთვის ეჭვის თვალთ ხვდებოდა ხელშესახები სამყაროს პირობითი გზებით აღწერის მცდელობებს. როცა მარკოპოლო აღმოსავლეთიდან დაბრუნდა, მან აღმოფოთებულმა უამბო თანამემამულეებს, რომ ჩინეთში ლითონის ნაცვლად, ქალაქის ფულს იყენებდნენ. დასავლურისამყარო ამ გამოგონებას მეჩვიდმეტე საუკუნემდე ეწინააღმდეგებოდა. მსგავსი ბარიერის წინაშე დგას ელექტრონულიფულიც, რადგან სკეპტიკოსებმა ახლა იერიში ელექტრონულ ფულზე მიიტანეს. ბლოკჩეინ ინდუსტრიის რეგულაციის გადანყვეტილე-

³ <https://www.gfsis.org/ge/blog/view/881>

⁴ <https://www.gfsis.org/ge/blog/view/881>

ბები ბევრ ქვეყნას აქვს მიღებული, თან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომებით: დაწყებული მოქნილი რეგულაციებით (იაპონია, შვეიცარია) დამთავრებული მკაცრით (აშშ).

კრიპტოვალუტას, როგორც დეცენტრალიზებულ ელექტრონულ სისტემას ფულის მიმოქცევის შუამავლები (ბანკი, საფინანსო ორგანიზაციები, სახელმწიფო) არ სჭირდება, მის ფასს განსაზღვრავს ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა: მოთხოვნა/მიწოდების თანაფარდობა, ბაზრის მასშტაბები, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ტრადიციული აღქმები, ღირებულებების შეფასებები, თაღლითობები და შავ ბაზართან დაკავშირებული გარიგებები, ასევე მედია გამოხმაურება და მხარდაჭერა; ბლოკჩეინის დიზაინი, ინოვაციურობა, ფუნქციონირებისა და ელექტრონული მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ელექტროენერჯია; კრიპტოვალუტის გამოყენებადობა, შენახვისა და ტრანზაქციის სიმარტივე, სარგებლიანობა, ინვესტორები, საკანონმდებლო შეზღუდვები და სახელმწიფო მიდგომები.

ელექტრონული ფულის პირველი სახეობა, ანუ პლასტიკურ ბარათებზე ნაღდი ფულის გადასვლა უზრუნველყოფს მისი დაგროვების, გადახდისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო კრიპტოვალუტები „კერძო ფულები“ უზრუნველყოფენ ერთის მხრივ, სახელმწიფოების მონოპოლიების გაქრობას ფულის ბაზარზე, ხოლო მეორე მხრივ, გაცვლისა და საფინანსო ტრანზაქციების სწრაფ და გამარტივებულ პროცესს.

ელექტრონული ფულის სახეობები და მათი გამოყენება პერიოდულად იზრდება, მომხმარებლებში ელექტრონული ფულის პოპულარობა მისი უპირატესობებიდან — ოპერატიულობა, სიმარტივე, უსაფრთხოება, გადარიცხვის მინიმალური საკომისიო, ანონიმურობა, ვალუტის მაღალი და მზარდი ღირებულება, სტაბილურობა (ინფლაციის მოლოდინის დაბალი ალბათობა) და სხვ. გამომდინარეობს. შესაბამისად ის კიდევ უფრო მიმზიდველია მომხმარებლისთვის და ფართოგამოიყენებას პოულობს საქონლით ვაჭრობასა და ნაღდი ფულის გადარიცხვის ოპერაციებთან.

კრიპტოვალუტების უარყოფითი მხარე, — წარმოებისათვის ელექტრო ენერჯიის ჭარბი მოხმარება, უნდა აღმოიფხვრას დამატებითი ჰიდრო და თბო ელექტრო ენერჯიის რესურსებისა და განახლებადი ენერჯიის ეფექტიანად ათვისებით, ასევე ალტერნატიული ენერჯიის წყაროების გაჩენით. რაც წამყვანმა კომპანიებმა, ტექნოლოგიური განვითარების ერაში და ბაზრების სრული ათვისების პირობებში, თავად უნდა უზრუნველყონ.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ბლოქჩეინების ტექნოლოგიების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები ელექტრონულ მმართველობაში“ ფარგლებში.

სტატიაში განხილულია ფულის ევოლუცია, მისი განვითარების ისტორია, თუ რა გზა გამოიარა თანამედროვე ეპოქამდე და რა პერსპექტივები აქვს მომავალში. სტატიაში ასევე მოცემულია კრიპტოვალუტების წარმოშობის ისტორია, კრიპტოვალუტის შექმნის მიზეზები, სხვა და სხვა ქვეყანაში ბლოქჩეინ ინდუსტრიის რეგულაციასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი გადაწყვეტილებები და მიდგომები. გაანალიზებულია კრიპტოვალუტების ფასისა და კურსის მერყეობის განმსაზღვრელი ფაქტორები, ხოლო კონკრეტულ მაგალითზე განვიხილავთ ბიტკოინის ღირებულებას და მის სამომავლო ფასს. მიმოვიხილავთ მსოფლიოს წამყვანი კრიპტოვალუტების კაპიტალიზაციასა და მოცულობებს. შეჯერებულია კრიპტოვალუტების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს მაინინგის პროცესში ელექტრო ენერჯის ჭარბი მოხმარება, ხოლო დადებითი ფაქტორია ის ეკონომიკური თავისუფლება, რაც მეტ ეკონომიკურ კეთილდღეობას მისცემს ადამიანებს, ბიზნესსა და ქვეყნის ეკონომიკას.

Resume

Prepared within the research project - Legal Aspects of Blockchain Technologies in e-governance – held by the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University.

Presented article discusses the prerequisites for the existence of money, its evolution and prospects for its development. The article also reviews the history and causes of development of cryptocurrencies; the practice of different countries, legal decisions and approaches related to the regulation of blockchain industries. The factors determining the fluctuations in the price and exchange rate of cryptocurrencies are analyzed and the cost of bitcoin and its future price are considered using a specific example. The article discusses the volume and capitalization of the world's leading cryptocurrencies. The negative and positive aspects of cryptocurrencies are summarized, in particular excessive use of electric energy in the mining process (negative side) and the economic freedom that provides economic welfare to people, business sector and state.

Анотация

Подготовлено в рамках научно-исследовательского проекта - Правовые аспекты блокчейн-технологий в электронном управлении - факультета права и международных отношений Грузинского технического университета.

В статье рассмотрены предпосылки возникновения денег, эволюция и перспективы его развития. В статье, также изложена история и причины возникновения криптовалют. Рассмотрены, приняты в разных странах, правовые решения и подходы, связанные с регулированием индустрий блокчейн. Проанализированы факторы определяющие колебания цены и курса криптовалют, а стоимость биткойна и его будущую цену рассматриваем на конкретном примере. В статье рассмотрены объемы и капитализация ведущих криптовалют мира. Подитожены отрицательные и положительные стороны криптовалют: избыточное использование электро энергий в процессе майнинга - значительная отрицательная сторона, а положительная - экономическая свобода, которая даст людям, бизнесу и государству экономическое благосостояние.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. სიჭინავა, მ. მალრაძე - ელექტრონულ ფულზე გადასვლის წინამძღვრები და პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი, №6 / 2018
2. https://www.ebay.com/b/Virtual-Currency/179170/bn_754931
3. <https://bm.ge/ka/article/bermudashi-gadasaxadebis-gadaxda-kriptoalutit-iqneba-shesadzlebeli/42002>
4. <https://www.bbc.com/news/technology-36168863>
5. <https://www.investopedia.com/terms/p/peertopeer-p2p-service.asp>
6. <https://www.cryptoz.ge/coins>
7. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3352>
8. <https://www.scmp.com/business/banking-finance/article/2129645/pboc-orders-banks-halt-banking-services-cryptocurrency>
9. <https://www.cryptoz.ge/single-post/2019/07/16/>
10. <https://insidebitcoins.com/bitcoin-robot/bitcoin-future>
11. <https://www.cryptoz.ge/single-post/2019/07/19/>
12. <https://forbes.ge/news/3079/qveynebi-bitkoinze-nakleb-energias-moixmaren>
13. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>
14. <https://www.gfsis.org/ge/blog/view/881>
15. <https://www.gfsis.org/ge/blog/view/881>

სოციალური სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები

ირაკლი გაგისონია *

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა მოქალაქეთა ურყევ ნებად აცხადებს სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი კი. თავის მხრივ, სახელმწიფოს მიზნის დამდგენ ძირითად დებულებადაა მიჩნეული. იმისთვის, რომ აღნიშნულ მიზანს სწორად ჩავწვდეთ არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტია განსახილველი, მათ შორის, ის თუ რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფო, რამდენად არის იგი დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი, რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და მრავალი სხვა საკითხის შესწავლა დაგვეხმარება გავიაზროთ სოციალური სახელმწიფოს როლი თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სოციალური სახელმწიფოს ცნება წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. სოციოლოგიური კონცეფციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს ძირითადი მოვალეობაა გარანტირებული გახადოს პიროვნების ეკონომიკური თავისუფლება. ამასთანავე პოლიტიკური უფლებები უნდა ემსახურებოდეს პიროვნების დამოუკიდებლობას და ინდივიდუალიზაციას. ეკონომიკურ თავისუფლებას კი მიიჩნევენ უმაღლეს ღირებულებად.⁶

საგულისხმოა, რომ “მხოლოდ ადამიანს შეუძლია აღიქვას ისეთი ცნებები, როგორცაა სიკეთე და ბოროტება, სამართლიანობა და უსამართლობა და ა.შ.” ამათი ერთობლიობა კი შეადგენს ოჯახისა და სახელმწიფოს საფუძველს⁷-თუკი არისტოტელეს ამ მოსაზრებას დავეთანხმებით უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად ახერხებენ თანამედროვე სახელმწიფოები ინდივიდთა სამართლებრივ და სოციალურ უზრუნველყოფას. აშშ-ის კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ადამიანებს გააჩნიათ ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. ინდივიდი უფლებამოსილია სახელმწიფოსაგან მოითხოვოს როგორც ფიზიკური დაცვის, ხელშეუხებლობის, ასევე სოციალური დაცვის უფლება. შევიცარიის კონსტიტუცია აცხადებს: - გვნამს რომ მხოლოდ ის არის თავისუფალი, ვინც თავისუფლებით სარგებლობს და რომ ხალხის სიძლიერე მის უსუსტეს წევრთა კეთილდღეობით განისაზღვრება. ა. ლინკოლნის სიტყვებით, მთავრობა არსებობს იმისათვის, რომ გააკეთოს ადამიანებისათვის ის, რისი გაკეთებაც მათ თვითონ არ შეუძლიათ.⁸ ამასთანავე, ყოველი სახელმწიფო, წერს არისტოტელე “პოლიტიკის” შესავალში, არის ადამიანთშორისი ურთიერთობის თავისებური ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს სათნოებას....⁹

პროფ. დოქტ. კლაუს ოფე შეხედულებით სოციალური სახელმწიფო ეს არის სხვადასხვა ინსტიტუციებისგან შემდგარი, კომპლექსური სისტემა, რომლის სრულყოფილ მოცულობას არავინ იცნობს. ეს არის წარმოუდგენლად კომპლექსური, მუდმივად ცვალებადი ისტორიული მიღწევა, ისტორიული განვითარება.¹⁰ სოციალური სახელმწიფო არა მარტო მონესრიგებული არსებობის პირობებს ქმნის, არამედ აქტიური მონაწილეცაა და ცდილობს შეარბილოს საბაზრო ეკონომიკის უთანასწორობა და უსამართლობა. მისთვის მთავარია არა სიმდიდრის დაგროვება, არამედ ამ

* სამართლის დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

⁶ თ, ალფაიდე, სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ, 2015; 113

⁷ <https://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e18390e183a0e18398e183a1e183a2e1839de183a2e18394e1839ae18394e183a1-e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e18393e18390.pdf>

⁸ გ.გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2019, 86

⁹ მ. ჭიბაშვილი, პოლიტიკური თეორია, თბ, 2006, 16, იხ: http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/polit_theory.pdf

¹⁰ პროფ. დოქტ. კლაუს ოფე არის ბერლინის Hertie School of Governance-ის ემერიტუს პროფესორი <https://1tv.ge/analytics/shroma-da-shromis-sazogadoeba-socialuri-sakhelmwifo-da-demokratia-gavlenebi-aghmosavlet-evropa-sa-da-saqartveloze-interviu-prof-klaus-ofestan/>

სიმდიდრის თანაბრად და სამართლიანად განაწილება. პრაქტიკაში ამას სიღარიბის მოსპობისა და სოციალური უთანაბრობის შემცირების მცდელობამდე მივყავართ. ე.წ. კეთილდღეობის სახელმწიფოს გაჩენას შეუწყო ხელი, რომლის პასუხისმგებლობებში შევიდა თავისი მოქალაქეების სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობა.¹¹

თავის მხრივ, სოციალური სამართლიანობის იდეა არა მხოლოდ სამართლებრივი ან ფილოსოფიური კატეგორიაა, იგი უპირველეს ყოვლისა, სოციალური ყოფის ნაწილია. სწორედაც რომ სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა ის მიზანია, რომელიც სამართალს და სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს და ზრუნავდეს მის პრაქტიკულ იმპლემენტაციაზე.¹² ტერმინი „სოციალური სახელმწიფო“ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ატარებს პასუხისმგებლობას საზოგადოების არსებობაზე.¹³ ანუ ატარებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების ორგანიზებისაკენ, ადამიანთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისაკენ.¹⁴ ამასთანავე, სოციალური სახელმწიფო არის ორგანიზაცია რომელიც ეხმარება სუსტს, რომელიც ესწრაფვის ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკურ სიკეთეთა განაწილებაზე სამართლიანობის პრინციპების დაცვით, რათა ფასეულობისათვის უზრუნველყოს ღირსეული არსებობა.¹⁵ შესაბამისად, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ხიბლი... სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის საყრდენს, საფუძველს და მუდმივ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ადამიანი-ინდივიდი, რომლისთვისაც აღიარებულია უფლებები და თავისუფლებები და სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულია, ამ უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით, თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.¹⁶ უდავოა, რომ სოციალურ სახელმწიფო, აუცილებლად მოიაზრებს სახელმწიფოს, რომლის მიზანია სოციალური თანასწორობისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სოციალური სახელმწიფოს თანამედროვე გაგება, ასევე, მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს მოქალაქეთა განათლების, ჯანდაცვის, შრომის და სხვა უფლებები, რომელთა რეალიზაციაც საზოგადოებაში ადამიანის ღირსეულ ადგილს განაპირობებს.

სამწუხაროდ, ყველა პოლიტიკური იდეოლოგია და საკონსტიტუციოსამართლებრივი თეორია არ აღიარებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სავალდებულო არსებობას.¹⁷ უფრო მეტიც, სოციალური სახელმწიფოს პრინციპს და შესაბამისად, კონსტიტუციის მე-5 მუხლის ნორმებს არა აქვს უშუალოდ მოქმედების სამართლის ძალა. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი იურიდიულ ლიტერატურაში „სახელმწიფოს მიზნის განსაზღვრებად“ განიხილება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არსებითად აბსტრაქტული იურიდიული ბუნებისაა და რაიმე იმპერატიულ სამართლებრივ ვალდებულებებს სახელმწიფოს არ აკისრებს. იურისპრუდენციაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის კონკრეტული სამართლებრივ გარანტიებად გარდაქმნა, არსებითად, კანონმდებლის პრეროგატივაა.¹⁸ ამიტომაც, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სხვადასხვა განმარტება არსებობს: ფართო გაგებით, ის გულისხმობს სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის დაგეგმვაში, მართვასა და ორგანიზებაში. ამ მიდგომით, სოციალური სახელმწიფო აქტიურად ერევა სიმდიდრისა და რესურსების გადანაწი-

¹¹ სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო სტატიების კრებული, დაწვრილებით იხ: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.20&d=HASH012bac5cd4efc4c4ef689390.10.3>1>

¹² დ.გეგენევა, სოციალური დაცვის სამართალი, წიგნი, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძველები, თბ, 2016, 549

¹³ გ.გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2019, 86

¹⁴ ე. ბუხრაშვილი, ევროპის სოციალური პოლიტიკა, თბ, 2017, 41

¹⁵ გ.გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2019, 86

¹⁶ ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ, 2013, 8

¹⁷ დ.გეგენევა, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, თბ, 12

¹⁸ ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2019, 71

ილების პროცესში; პრინციპის ვინრო გაგებაში მოიაზრება სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის არსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების შეთავაზებითა და სოციალური ფულადი დახმარების გაცემით.¹⁹

სოციალური სახელმწიფოს კონცეფციის განხორციელება შრომის თავისუფლებისა და ოჯახის ავტონომიის გარდა მოითხოვს კიდევ ოთხ პირობას: ინდივიდის შესაძლებლობას სახელმწიფოსაგან მიიღოს არსებობის უზრუნველყოფისათვის საჭირო კუთვნილი კეთილდღეობის ნაწილი, ასევე ფლობდეს, გამოიყენოს და განკარგოს ეს სიკეთეები. მთვარ როლს ამ კუთხით თამაშობს საკუთრების ინსტიტუტი. მეორე საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესაძლებლობა, უზრუნველყოს ცალკეული ადამიანებისათვის აუცილებელი პირობები და მომსახურება; მესამე ადამიანებს უნდა უნდა ქონდეთ პროფკავშირებში გაერთიანების უფლება, ამას უზრუნველყოფს კავშირებსა და გაერთიანებების თავისუფლება, მეოთხე, არ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მონოპოლია დახმარებების აღმოჩენისას, საზოგადოებრივ ძალებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს უნდა მიეცეს გასაქანი ალტერნატიული დახმარების აღმოსაჩენად. ამ პირობათა შესრულების თავისუფლება არის ადამიანის თავისუფალი განვითარების პირობა. სოციალური სახელმწიფოს სხვა ძირითადი კომპონენტებია: ბ) სოციალური თანასწორობა. გ) სოციალური უზრუნველყოფა დ) საერთო კეთილდღეობის ამაღლება.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე არსებობს ხუთი მთავარი სფერო, რომლებითაც ხდება თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს იდენტიფიცირება. ვინაიდან, ამ ტიპის სოციალური სახელმწიფო დიდი სასიცოცხლო რისკებისგან აზღვევს და ადამიანის ღირსების დაცვას უზრუნველყოფს, ჯანმრთელობის, უმუშევრობის და საპენსიო დაზღვევა სოციალური სახელმწიფოს ელემენტარული შემადგენელია. თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ცნება განათლების (მომზადების) პოლიტიკასაც გულისხმობს, რადგან განათლება (მომზადება), პირველ ყოვლისა, დემოკრატიული უფლებების გაცნობიერების წინაპირობაა. ის, ასევე, გადამწყვეტია მატერიალური რესურსების განაწილების კონტექსტში.²¹ სოციალური სახელმწიფოს პრინციპს ახასიათებს ერთგვარი კოლიზიური დამოკიდებულება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი არსი და მიზანი კანონის წინაშე თანასწორობისა და სახელმწიფოსგან თავისუფალი საზოგადოებრივი უთანასწორობისა უზრუნველყოფაა, სოციალური სახელმწიფო, ამის საპირისპიროდ, მატერიალური თანასწორობის ნახალისებასა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი თავისუფლების განსაზღვრულ ფარგლებში შეზღუდვას ესწრაფვის. აღნიშნული კოლიზიის რეგულირებას გონივრული ბალანსის დაცვა კანონმდებლის ფრთხილ მიდგომასა და პრიორიტეტების რაციონალურ აწონ-დანონვას მოითხოვს.²²

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ემსახურება უსაფრთხოების, ადამიანის ღირსების და თავისუფლების დაცვას, შენარჩუნებას. მის ძირითად არსს წარმოადგენს: 1. სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2. სოციალური სამართლიანობის მიღწევა. 3. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა, 4. ზოგადი კეთილდღეობის დამკვიდრება საზოგადოებაში.²³

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით კანონმდებლისათვის, იმ დავალებებსა და მითითებებს, რომელიც საჭიროა სოციალ-

¹⁹ <https://emcrights.files.wordpress.com/2017/04/e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e183a3e183a4e1839ae18394e18391e18394e18391e18398.pdf>

²⁰ გ. გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2019, 86-87

²¹ ა. პეტრინგი და სხვები; სოციალური დემოკრატიის კურსი 3; თბ., 2014; გვ. 8

²² ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2019, 72

²³ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. კახიანი, გ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2016, 109

ური სამართლიანობის მისაღწევად.²⁴ ეს პრინციპი არის არა მხოლოდ პოლიტიკური პროგრამის ნაწილი, არამედ ასევე სამართლებრივი ხასიათის მქონე. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრულ სოციალურ აქტივობებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი სოციალური წესრიგი. ასე რომ, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს გარკვეული მინიმალური ზომები სოციალური კეთილდღეობისათვის. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ კეთილდღეობისაკენ სწრაფვა განგრძობადი პროცესია, აუცილებელი არ არის მისი მხრიდან მიღწეული სოციალური სტატუსკვოს შენარჩუნება — სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ღიაა ახალი მიდგომებისთვისაც. როგორც წესი, ამ პრინციპიდან არ გამომდინარეობს თავად ინდივიდუალური უფლებები.²⁵ გამონაკლისია ადამიანი ღირსების უფლება, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსაგან ცხოვრებისა და ჯანმრთელობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფას.²⁶ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ხელს უშლის ძირითადი უფლებების აბსოლუტურ მოქმედებას და, შესაბამისად, ახორციელებს მათი პარალიზების პრევენციას. მისი მეშვეობით შესაძლებელია სამართლიანობის მიღწევა საზოგადოებრივ ურთიერთობებში.²⁷

სახელმწიფოს გავლენა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში იგრძნობა. განათლება იქნება ეს თუ ეკონომიკური მართვა, სოციალური უზრუნველყოფა თუ სანიტარული პირობების გაუმჯობესება, წესრიგი ქვეყნის შიგნით თუ საგარეო თავდაცვა, სახელმწიფო ყოველთვის უზრუნველყოფს მართვისა და კონტროლის განხორციელებას; და იქ სადაც სახელმწიფოს მართვა და კონტროლი არ შეუძლია, იგი არეგულირებს, ზედამხედველობას უწევს, სანქციას გაცემს ან კრძალავს²⁸

სოციალური სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს პიროვნების ცხოვრების სათანადო დონე და შესაბამისად დაიცვას მისი ღირსება, ხელი შეუწყოს სამართლიანობის, პასუხისმგებლობის პრინციპების დამკვიდრებას, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკის განვითარება და ინდივიდის სამართლებრივი დაცვა.²⁹

აუცილებლად უნდა განვიხილოთ სოციალური სახელმწიფოსა და უფლებების თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციაში რეგლამენტირებული დებულებები. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მე-5 მუხლის თანახმად - 1. საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. 2. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის უზრუნველყოფასთან ერთად, სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. 3. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების განსავითარებლად კანონი ადგენს შეღავათებს. 4. სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით. 5. სახელმწიფო ზრუნავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებაზე. 6. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვაზე, ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობასა და ქვეყნის მდგრად ეკოლოგიურ განვითარებაზე. 7.

²⁴ Badura P., Das Prinzip der sozialen Grundrechte und seine Verwirklichung im Recht der Bundesrepublik Deutschland, Der Staat, Vol. 14, No. 1 (1975), 32-33.

²⁵ Heinig H.M., The Political and the Basic Law's Sozialstaat Principle – Perspectives from Constitutional Law and Theory, German Law Journal, Vol.12, Issue 11, November 2011, p.1889.

²⁶ იქვე

²⁷ Müller G.,Drittwirkung von Grundrechten und Sozialstaatsprinzip, RdA 1964, 127-128

²⁸ ენრიუ ჰეიგუდი, სახელმწიფო, დანვრილებით იხ: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-OutfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.20&d=HASH012bac5cd4efc4c4ef689390.10>

²⁹ თ, ალფაიდი, სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ, 2015, 114

სახელმწიფო ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნაზე. 8. სახელმწიფო ხელს უწყობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.³⁰

სოციალური სახელმწიფო, ან, როგორც ხშირად უწოდებენ, კეთილდღეობის სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე, რაც გულისხმობს შესაძლებლობების თანასწორობის, სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილებისა და სოციალური რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფას. სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, არ არის სრულად მიღწევადი და უწინარესად, წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს ამ მიმართულებით მოქმედების ფართო არეალი გააჩნია. სუბიექტური უფლებები, გარკვეული სოციალური რეგულირების მოთხოვნა და კონკრეტული მოვალეობები კანონმდებლისათვის სოციალური სახელმწიფოს ცალკე აღებული პრინციპიდან არ გამომდინარეობს.³¹ ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებდეს აღნიშნულ უფლებებს საკანონმდებლო დონეზე ხოლო პრაქტიკულად სახელმწიფო ახორციელებდეს მას.

როგორც ვხედავთ, სოციალური სახელმწიფოს ელემენტებია: ა) ადამიანის ღირსეული საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა; სოციალური სახელმწიფო იზიარებს წარმოდგენას, რომლის თანახმადაც ყველა სრულწლოვანს ექნება შესაძლებლობა და ვალდებულია გამოიმუშავოს საკუთარი თავისა და ოჯახის შესანახად. ამ მიზნით კონსტიტუცია ინდივიდს აცხადებს თავისუფალ პიროვნებად. საზოგადოების პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ამოსავალი წარმოდგენა ვერ რეალიზდება და ადამიანის მოთხოვნები, მიუხედავად მისი მცდელობისა ვერ დაკმაყოფილდება სათანადოდ. აუცილებელი მოთხოვნები დაკმაყოფილება არ უნდა აღემატებოდეს ინდივიდისა და მისი ოჯახის ძალეს. ამიტომ სოციალური სახელმწიფო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ისეთ სასიცოცხლო კეთილდღეობათა ხელმისაწვდომობაზე, როგორცაა საკვები, ბინა, სამედიცინო მომსახურება, სავალდებულო მოვლა და ა.შ.³²

„იმ დროს, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლებას სამართლებრივი საშუალებებით განამტკიცებს, სოციალური სახელმწიფო უზრუნველყოფს მის მატერიალურ და ეგზისტენციალურ დაცვას“. ეს განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, სადაც ინდივიდი საკმაოდ მონყვლადია, ხოლო თავისუფლება დაცულობაშია. სოციალური სახელმწიფოს ამოცანაა, რომ ადამიანი სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო თავისუფალი იყოს, ხოლო მისი შემზღუდველი მატერიალური და სოციალური ფაქტორები შესუსტდეს ან გამოირიცხოს.³³

როგორც ნესი, სოციალურ სახელმწიფოში უნდა ტარდებეს პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის მიღწევა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის სოციალური სფეროზე საბიუჯეტო ანარიცხების ზომები, მომსახურებისა და სამსახურების განვითარებული სისტემა მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფებისთვის, განვითარებული სამართლებრივი სისტემა, სადაც განხორციელებულია ხელისუფლების ყველა შტოს უფლებრივი ურთიერთობებისა და ფუნქციების დაყოფა, აგრეთვე შემუშავებულია ნორ-

³⁰ http://eurus.ge/index.php?act=new_view&id=518

³¹ saqarTvelos moqalaqe SoTa beriZe da sxvebi saqarTvelos parlamentis winaaRmdeg, №2/1/392, 31 marti, 2008

³²დ. გეგენავა, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, თბ, 2018, 12

³³ ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფო — საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (სტატიათა კრებული), თბილისი 2012, 119-120

მატიულ-სამართლებრივი ბაზა სოციალური მუშაობის, სახელმწიფო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო ინიციატივების ურთიერთდამოკიდებულების მხრივ.³⁴

აღსანიშნავია, რომ სოციალური დაცვის საერთო სარგებლიანობას კაუფმანი ხედავს შემდეგი ეფექტების შეთანხმებულობასა და „ურთიერთშემავსებლობაში“:

ეკონომიკური ეფექტი: სოციალური დაცვა განიხილება როგორც საბაზრო ეკონომიკის „შემავსებელი“ ჰუმანიტარული კაპიტალის დაგროვების საშუალება, რაც ხელს უწყობს მუშაობის სათვის მზადყოფნას და, აქედან გამომდინარე, მწარმოებლურობის ზრდასაც.

პოლიტიკური ეფექტი: სოციალური დაცვა ხელს არ უშლის სოციალურ დიფერენციაციას, თუმცა ცდილობს მის შერბილებას. კულტურული ეფექტი: სოციალური დაცვა ქმნის საზოგადოებაში სრულიად საამართლიანად დამკვიდრებული წესრიგის სტაბილურობის გარანტიებს და ამით სახელმწიფო ინტერვენციების ლეგიტიმურობას ამაღლებს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ქმედებების საფუძველზე.

სოციალური ეფექტი: სოციალური დაცვა ხორციელდება, პირველ რიგში, საოჯახო მეურნეობისთვის „კეთილდღეობის პროდუქტის“ შეთავაზების გზით.³⁵

სოციალური პოლიტიკის კონკურენტული ამოცანები მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და ამ ყოველივეს განხორციელება შეუძლებელია ფულის აგრეშე, ამიტომა, ბუნებრივია, უნდა განვიხილოთ სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტები, როგორებიცაა: 1. უფლებები, 2. ფული და 2. მონაწილეობა.³⁶ როუს (Rowe) თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობა არის თვითრეგულაცია, რომელიც წარმოადგენს მთავრობის ჩარევის გარეშე გლობალურ ბაზარზე ბიზნესისა და საზოგადოების ინტერესების ბალანსის გზას.³⁷

ეკონომისტების აზრით, სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებები არ წარმოადგენს „სოციალური დატვირთვას“ ეროვნულ ეკონომიკაზე, არამედ წარმოადგენს მის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ამისდა შესაბამისად მისი უზრუნველყოფის აუცილებლობა სახელმწიფოსაგან მოითხოვს სოციალური ურთიერთობის მექანიზმის შექმნას. სოციალური ურთიერთობის უზრუნველყოფა- ეს არის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც შეუძლებელია განხორციელდეს განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის გარეშე.³⁸

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, საზღვარგარეთიდან რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა, მენარმეებისათვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რაც ბუნებრივია, პროდუქციის ზრდაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სასიკეთოდ აისახება, ამიტომაც, დღის წესრიგში დგას არსებული საგადასახადო სისტემის სრულყოფა. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ცვლილებასთან ერთად საგადასახადო სისტემაც ვითარდებოდა, სახეს იცვლის. ქართული საგადასახადო სისტემის ნიშნები ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში გაჩნდა, დღეს კი ჩვენ უკვე საკმაოდ დახვეწილ საგადასახადო კანონმდებლობას ვხვდებით, რომელსაც ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება ახასიათებს, რაც ქვეყნის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისაა აუცილებელი.³⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მართებულად მიმაჩნია ე. სოკოლოვის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარი ამოცანაა არა მარტო საგადასახადო სისტემის განსაზღვრა,

³⁴ ე. ბუხრაშვილი, ევროპის სოციალური პოლიტიკა, თბ, 2017,41

³⁵ იქვე 38

³⁶ იქვე 27

³⁷ Rowe, J. K. 2005. *Corporate Social Responsibility as Business Strategy. Reprint Series, Center for Global, International and Regional Studies, UC Santa Cruz.* <http://escholarship.org/uc/item/5dq43315>

³⁸ ე. ბუხრაშვილი, ევროპის სოციალური პოლიტიკა, თბ, 2017,36

³⁹ ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, თბ, 2013, 94-95

არამედ ის, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობაზე და სხვ.⁴⁰ საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, მუდმივად საჭიროებს სრულყოფას.

სამართლიანობის კუთხით, საგადასახადო სისტემებს ორ განსხვავებულ პრინციპზე აგებენ, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს ფუნქციონირების ეფექტიანობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიუთითებს სოციალური კონტრაქტების ქმედუნარიანობაზე სახელმწიფოსა და საგადასახადო სუბიექტებს შორის. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო ადმინისტრირება წარმოადგენს სტაბილური ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან გეგმებში. სახელმწიფო ფინანსების საიმედო სისტემის შექმნა გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, სოციალური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სირთულეების წინაშე დგება.

როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო ურთიერთობებზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი უნდა გავაკეთოთ საგადასახადო სისტემის მნიშვნელობასა და ელემენტებზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების გადახდევინების პრინციპებს, ფორმებს, მეთოდებს, საგადასახადო ორგანოებს, საგადასახადო კონტროლს და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.⁴¹ საგადასახადო სისტემა განისაზღვრება სახელმწიფო წყობილების მიხედვით და ასევე სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების უფლებამოსილებით.⁴² იგი არის მოცემული ქვეყნის საგადასახადო ორგანოების, გადასახადების სახეებისა და საგადასახადო ადმინისტრირების მეთოდების, სახელმწიფოს მიერ ამოსაღები გადასახადების და მეთოდების ერთობლიობა.⁴³ უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც კი.⁴⁴ ამკარაა, რომ საგადასახადო სისტემის ბუნების განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის სრულყოფილი სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად. საგადასახადო სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ცალკეული ელემენტების ერთობლიობა, მათ შორის გადასახადებისა და მოსაკრებლების სისტემა, იგი ფორმირდება საუკუნეების მანძილზე და იცვლება ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.⁴⁵

მრავალი ქვეყნის საგადასახადო სისტემა, საგადასახადო მმართველობის პოლიტიკის არარსებობის, საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საგადასახადო ადმინისტრირების შესაძლებლობების შესაბამისობის დაბალი დონის გამო, არ შეესაბამება საგადასახადო სტრუქტურების საერთაშორისო სტანდარტებს. გადასახადებისაგან თავის არიდება და გადასახადების დამალვა რთული პრობლემაა. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ ცდილობენ გადასახადის გადამხდელები თავი აარიდონ ან შეამცირონ დაბეგვრას დაქვემდებარებული გადასახადის თანხა. დაბეგვრისაგან თავის არიდების კანონზომიერება და ხარისხი ძალზე განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. ასევე ძალზე განსხვავებულია

⁴⁰ См. подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы , //Финансовое право ,2011.#1. С.28-31

⁴¹ საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, მუხლი 2

⁴² Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.ст. 45

⁴³ გ. ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, თბ, 2016, გვ310

⁴⁴ გ. ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ, 2013,17

⁴⁵ См. подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы , //Финансовое право ,2011.#1. С.28-31

გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადასახადების დაფარვის მეთოდები გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში.

უკიდურესად ნეოლიბერალი ამერიკელი ავტორი ლორენს მიდი (Lawrence Mead) ამბობდა, რომ ადამიანს აქვს ხუთი მოვალეობა. ესენია: პირველი, განავითაროს თავისი ჰუმანური კაპიტალი, ისწავლოს და მომავალი პროფესიისთვის მოამზადოს; მეორე, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე, იზრუნოს ოჯახისათვის და დააფუძნოს სტაბილური ოჯახი; მესამე, გაზარდოს საზოგადოებისათვის გამოსადეგი ბავშვები, მეოთხე დაიცვას კანონები, მეხუთეც დაახლოებით ასე... ეს მოვალეობები ახასიათებს ე.წ. “ეკონომიკურ მოქალაქეს”, ანუ “სახელმწიფოსა და ეკონომიკურ მოქალაქეს,” და თუ მან ესენი არ შეასრულა, მაშინ შეგვიძლია ის მშვიდად გავწიროთ დასაღუპად. შერბილებული ვერსიით, ეს ნიშნავს, რომ უკვე მოქალაქეებს ევალებათ სამუშაოს შოვნა, ქონა და მისი შენარჩუნება და ასევე საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა.⁴⁶ თავის მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის ელემენტები, კერძოდ: გადასახადებით დაბეგვრის პრინციპები, გადასახადების დანესების, შეცვლისა და გაუქმების წესი, გადასახადების სისტემა, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შენატანების განაწილების წესი, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები, საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა პასუხისმგებლობა, გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადანყვეტისადმი მიდგომები და სხვა.⁴⁷

საგადასახადო სისტემის დასახასიათებლად ასევე გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის თანაფარდობა. მოცემული თანაფარდობა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე. ვინაიდან, არაპირდაპირი გადასახადების აკრეფა არ მოითხოვს საგადასახადო აპარატის განვითარებას და გადასახადების გამოანგარიშების დახვეწილ სისტემას.⁴⁸ აქვე განსახილველია საგადასახადო ტვირთი, ანუ ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე (მაკრო, მიკრო) გამოხატავს გადასახადელი გადასახადებისა და საგადასახადო ბაზის თანაფარდობის სიმძიმეს. მაკროეკონომიკური ასპექტით საგადასახადო ტვირთი შეიძლება იყოს გადასახადების თანხის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.⁴⁹ თავის მხრივ, საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე-ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა. ზოგჯერ, როგორც სპეციალურ, ასევე პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა, რაც ნაკლებია გადასახადები, მით მაღალია ეკონომიკის ზრდის ტემპი.⁵⁰ აღნიშნულს ამყარებს ამერიკელი ეკონომისტის არტურ ლაფერის შეხედულება, „რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერია ინდივიდების მიერ გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მოტივაცია. ადამიანები იმის გამო არ მუშაობენ რომ გადასახადები გადაიხადონ“. საგადასახადო წნეხის, ტვირთის განხილვისას მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სუბიექტის სურვილი, თავი აარიდოს გადასახადის გადახდას, იზრდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია საგადასახადო წნეხი.

მაგალითად, გერმანიაში საგადასახადო სისტემა ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს: გადასახადები უნდა იყოს შესაძლებლობის მიხედვით მინიმალური; დანახარჯები მათ ამოღებაზე უნდა იყოს ასევე მინიმალური; გადასახადებმა არ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს კონკურენციას; გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურულ პოლიტიკას; გადასახადები

⁴⁶ <https://1tv.ge/analytics/shroma-da-shromis-sazogadoeba-socialuri-sakhelmwifo-da-demokratia-gavlenebi-aghmosavlet-evropasa-da-saqartveloze-interviu-prof-klaus-ofestan/>

⁴⁷ ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, თბ, 2018, 36 იქვე:37

⁴⁸ ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002, 81

⁴⁹ გ. ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, თბ, 2016, 311

⁵⁰ ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002, 79

გამიზნულია შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე; საგადასახადო სისტემა უნდა აიგოს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემაზე.⁵¹

საგადასახადო პოლიტიკა ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საგადასახადო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია შემოსავლების ზრდა და ეკონომიკური და სოციალური მიზნების ადვოკატირება. გადასახადები გამოიყენება სასურველ სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებზე ზეგავლენის მოსახდელად. მაგალითად, მექანიზაციის და ავტომატიზაციის სფეროში ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მთავრობა უფლებას აძლევს, მოახდინოს ძირითადი კაპიტალის სწრაფი ამორტიზაცია. შობადობის ნახალისების მიზნით, საგადასახადო შეღავათებს იღებს ის ოჯახი, რომელშიც იბადება პირველი და მეოთხე ბავშვი.⁵²

საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. შესაბამისად, კერძო სექტორის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს⁵³. ქვეყანაში ძალიან მცირეა მრეწველობით დაკავებული ბიზნესის წილი. კომპანიების დიდი ნაწილი დაკავებულია ვაჭრობით და სერვისით. მიუხედავად ხელისუფლების გაცხადებული სტრატეგიისა, კვლავაც პრობლემად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, მართალია, იზრდება, თუმცა, მათი წვლილი დასაქმების, მთლიანი შიდა პროდუქტისა და საერთო ბრუნვის მაჩვენებლებში ჯერ კიდევ დაბალია.⁵⁴

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში საგადასახადო ტვირთი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ფორბსის მონაცემებით საქართველო რიგით მეოთხე ადგილზეა გადასახადების სიმცირის მიხედვით. გადასახადებს საქართველოში უფრო მეტად საშუალოდ აღიქვამს 28%, მძიმედ 26% და/ან ძალიან მძიმე ტვირთად 20%-სთვის აღიქმება. მათი ნახევარი ვინც გადასახადების ტვირთს მძიმედ აფასებს, ვაჭრობის სფეროშია მოქცეული. უფრო ზუსტად, კომპანიები გადასახადების სიმძიმეზე საუბრობენ შემდეგ სფეროებში: ტრანსპორტი/ლოჯისტიკა, სასტუმრო და რესტორნები და საკვები პროდუქტების წარმოება⁵⁵.

წიგნის “დიქტატურისა და დემოკრატიის ეკონომიკური ფესვები” ავტორები დერონ აჩემოლ-ლუ და ჯეიმს მორისონი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოები, რომელთა მაცხოვრებლები მაღალ გადასახადებს იხდიან, გამოირჩევიან დემოკრატიული და პოლიტიკური თავისუფლების მაღალი დონით. ნაწილობრივ, ეს იმით აიხსნება, რომ თუკი ადამიანი თვლის, რომ საკუთარი საგადასახადო შენატანები მაღალ დონეს აღწევს, ის უფროა დაინტერესებული, შეამომოს როგორ ხარჯავს სახელმწიფო ამ ფულს. სხვა მხრივ, დიქტატურის მქონე სახელმწიფოები დრაკონულ გადასახადებს იყენებენ. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიის პირობებში ძირითადი საგადასახადო ტვირთი მოდის მრავალრიცხოვან, ძლიერ საშუალო კლასზე, ხოლო დიქტატურის დროს ამ ტვირთს ზიდავს ყველაზე ღარიბი, ან ყველაზე მდიდარი მოქალაქეები.⁵⁶

დღესდღეობით არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც მუდმივად არ დაობდნენ საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა უნდა ესადაგებოდეს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. გამომდინარე აქედან, საგადასახადო კანონმდებლობა მუდმივ ცვალებადობასა და სრულყოფას უნდა განიცდიდეს.⁵⁷

⁵¹ Fiscal Incentive Effects of the German Equalization System, Sven Jari Stehn and Annalisa Fedelino, IMF Working Paper, 2009

⁵² სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია, სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისათვის?, თბ, 2012.16

⁵³ ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის, თბ, 2016.,7

⁵⁴ http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

⁵⁵ ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის, თბ, 2016.,12

⁵⁶ <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=968>

⁵⁷ ი. გაბისონია, ჯ. გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივი ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი

როდესაც ევროპის სოციალური ქარტია გაიხსნა ხელმოსაწერად 1961 წელს და ძალაში შევიდა 1965 წელს, ევროპის საბჭომ პირველი ნაბიჯი გადადგა ეკონომიკური და სოციალური უფლებების ყოვლისმომცველი კოდექსის დანერგვისაკენ. ეკონომიკური უფლებები, როგორც ეს განმარტებულია ქარტიაში, გულისხმობს იმ უფლებებს, რომლებიც შეეხება დასაქმებას და შრომის ბაზარს, ხოლო სოციალური უფლებები, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ჯანდაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას. ქარტია შეიცავს ცხრაშედეგად დამოუკიდებელ მუხლს, რომელთაგან პირველი ათი ეძღვნება უმეტესწილად დასაქმებას, შრომის ბაზრისა და ინდუსტრიული ურთიერთობების საკითხებს, ხოლო დანარჩენ თავეებში უფრო ფართოდ არის განხილული სოციალური უფლებები.⁵⁸ სინამდვილეში, დაცვის საჭიროება, როდესაც საქმე ეხება დასაქმებას, ჯანმრთელობას, საცხოვრებელ პირობებს, შემოსავალს, სოციალურ უზრუნველყოფას და განათლებას, ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს. ანუ ახალმა საჭიროებებმა თუ უფლებებმა ვერ შეცვალა ძირითადი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საჭიროებები, რამაც, პირველ რიგში, გამოიწვია სოციალური უფლებების რეგლამენტირება.

სოციალურ უფლებებს განამტკიცებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 22—ე მუხლი, რომლის თანახმად „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით, და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესატყვისად.“ ამ დეკლარაციის 25—ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისთვის, ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში.“ როგორც ეს დეკლარაციის პრეამბულიდან ჩანს ხალხი და სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ მისი დებულებების თანდათანობით შესრულებას ეროვნული თუ საერთაშორისო ღონისძიებების მეშვეობით.

ასევე „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.“⁵⁹ სახელმწიფო არამარტო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია.“⁶⁰

საგულისხმოა, რომ გამოცხადებული რამდენიმე ფილოსოფიური არგუმენტი, რომლებიც სოციალურ უფლებებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მსგავს პრიორიტეტულობასა და გადაუდებელ ხასიათს ანიჭებს: 1. ერთი გავრცელებული არგუმენტი ადამიანის ღირსების ცნებაზეა დაფუძნებული. როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო 12 დეკლარაციაში ვკითხულობთ, „ყველა „იურისტი“ №1, 2016, 59

⁵⁸ მ. დელი, სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, ანგარიში, თბ, 2007, გვ21

⁵⁹ ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/126,129,158, 18 აპრილი, 2002

⁶⁰ ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/126,129,158, 18 აპრილი, 2002

ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უფლებების საერთაშორისო აღიარება დიდი ხნით ჩამორჩა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღიარებას, ფილოსოფოსები სავსებით მართებულად თვლიან, რომ ადეკვატური საცხოვრისი, ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა ადამიანის ღირსეული ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია (დვორკინი, დონელი); 2. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც სოციალურ უფლებებს ამართლებს, ეფუძნება ერთმანეთის მსგავს ისეთ იდეებს, როგორებიცაა: ავტონომიურობა, შესაძლებლობები (capabilities), დომინაციისგან თავისუფლება და ა.შ. ამ შემთხვევაში თავისუფლება გაგებულია როგორც შესაძლებლობა და უნარი, დამოუკიდებლად, სხვისი ჩარევის გარეშე აირჩიო და გაუძღვე იმ ცხოვრებას, რომელიც კარგ ცხოვრებად მიგაჩნია. სოციალური უფლებების დაცვა ამ მიდგომისთვის თავისუფლების რეალიზების აუცილებელი წინაპირობაა. გამოჩენილი ფილოსოფოსები: ჯონ როულსი, ჯოზეფ რაზი, ამარტია სენი და მარტა ნუსბაუმი ამ შეხედულების თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან; 3. წამყვანი ფილოსოფიური მიდგომები: სამოქალაქო რესპუბლიკანიზმი, სოციალური მოქალაქეობა და დელიბერაციული დემოკრატია სოციალურ უფლებებს ადამიანის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევენ. მხოლოდ ადამიანების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, მათი, როგორც მოქალაქეების, მონაწილეობა საჯარო საკითხებზე გადწყვეტილებების მიღების პროცესში, უზრუნველყოფს პოლიტიკური გადწყვეტილებებისა და მთლიანად სამართლებრივი სისტემის ლეგიტიმურობას. თავისუფლება გაგებულია როგორც თვითმართველობა, როგორც სამოქალაქო აქტივობა საჯარო სივრცეში. ეს არის თავისუფლების იდეა, რომელიც არ დაიყვანება კერძო სივრცის ხელშეუხებლობაზე. სოციალური უფლებების უზრუნველყოფის გარეშე ამგვარ ჩართულობასა და თანამონაწილეობაზე და, შესაბამისად, თავისუფლებაზე საუბარი შეუძლებელია. გარდა ამისა, კონკრეტულად სოციალური მოქალაქეობის თეორია, რომელიც ცნობილმა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა თ. ჰ. მარშალმა შეიმუშავა, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ ყველა მოქალაქეს თავისი ნვლილი შეაქვს სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირებაში და რომ სახელმწიფოს აქვს შესაბამისი საპასუხო ვალდებულება, თავისი მოქალაქეების მატერიალური დაცვა და დახმარება უზრუნველყოს; 4. კიდევ ერთი არგუმენტი სოციალური უფლებების მხარდასაჭერად მიუთითებს ადამიანის უფლებების განუყოფლობასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა პირდაპირ დაკავშირებულია სოციალური უფლებების დაცვასთან. ერთი თაობის უფლებების ეფექტური განხორციელება აუცილებლობით გულისხმობს მეორე თაობის უფლებების დაკმაყოფილებას.⁶¹

ბევრი სხვადასხვა ვარიანტის არსებობის მიუხედავად, სოციალური უფლებები, როგორც წესი, ხორციელდება სამ სხვადასხვა პოლიტიკურ პრინციპზე დაყრდნობით. პირველ შემთხვევაში სოციალური უფლებები გაერთიანებულია სოციალური დაზღვევისა და დაბეგრის პროგრამებში, რომელთა მიზანია შემოსავლების დაცვა, გადანაწილება და სიღარიბის შემცირება. საარსებო მინიმუმი, პენსიები, უმუშევრობის შემწეობები, მშობიარობისა და ოჯახური დახმარებები აქ მთავარი საყრდენია, რომელსაც სხვადასხვა დონით აფინანსებენ დამქირავებლები, მუშაკები და სახელმწიფო. მეორე ტიპური საყრდენი, რომელზეც აგებულია სოციალური უფლებების ეროვნული სტრუქტურა, შედგება სოციალური მომსახურების ქსელისაგან. ჯანდაცვა, განათლება და საცხოვრებელი პირობები ძირითადი ელემენტებია, თუმცა ევროპული ქვეყნების უმეტესობა ასევე უზრუნველყოფს გარკვეული სოციალური მომსახურების პაკეტს, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ამგვარ საჯარო მომსახურებას აკისრია კიდევ ერთი ფუნქცია, რაც მასში მომუშავეთა დასაქმებას გულისხმობს.⁶²

სოციალურ სახელმწიფოზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, ქვემოთ მოცემული რამ-

⁶¹დანვრილებით იხილეთ: <https://emcrights.files.wordpress.com/2017/04/e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e183a3e183a4e1839ae18394e18391e18394e18391e18398.pdf>

⁶² მ. დელი, სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, ანგარიში, თბ, 2007, 20

დენიმი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ შორის, უმუშევრობა, სოციალური პროგრამები/პროექტები და ასე შემდეგ. ის ფაქტი, რომ ნეოლიბერალური ნარატივის თანახმად, დახმარების მიმღებები სოციალური პროგრამების ბოროტად გამოყენებისკენ არიან მიდრეკილები, რასაც, ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, საზოგადოებაში არსებული ღირებულებითი ფონიც უწყობს ხელს. სახელმწიფომ მკვეთრად უნდა შეზღუდოს პარაზიტობის ეს მცდელობები და მხოლოდ იმ ადამიანებს დაეხმაროს, ვისაც შრომით ბაზარზე მონაწილეობა არ შეუძლია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ასევე საჭიროა სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობის შეზღუდვა. ნეოლიბერალური იდეოლოგიის მომხრე ექსპერტების თანახმად, საზოგადოების წევრთა უმრავლესობა დღესდღეობით მზად არ არის, კერძო, ეგოისტურ ინტერესებზე ამაღლდეს და მხარი დაუჭიროს „გონივრულ“ სოციალურ პოლიტიკას. ამით პოლიტიკოსებიც სარგებლობენ და საზოგადოებრივ ინტერესზე ზრუნვას ხელისუფლებაში დარჩენის ან მისი მოპოვებისთვის საჭირო პოპულისტურ რიტორიკას ამჯობინებენ.⁶³

სამწუხაროდ, კორუფციის მაღალი დონე მოქალაქეებს უკარგავს იმის რწმენას, რომ მათ მიერ გადახდილი თანხები საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მომსახურების დაფინანსებისათვის გამოიყენება. შედეგად, იზრდება ალბათობა იმისა, რომ ისინი თავს აარიდებენ საგადასახადო ვალდებულების შესრულებას. ყოველივე ამას ხელს უწყობს ისიც რომ გადასახადის გადამხდელები ცდილობენ საერთო ენის გამონახვას მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკებთან, არ იხდიან გადასახა თუ საგადასახადო ინსპექტორის მოსყიდვის ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე გადასახადებისაგან თავის არიდებით მიღებული პოტენციური სარგებელი.

ძლიერ სამართლებრივ სისტემას და სასამართლოს ან პირიქით, კანონის უზენაესობის არსებობას და სუსტ ფისკალურ იურისდიქციას დიდი მნიშვნელობა აქვს თვითნებობისაგან გადასახადების გადამხდელთა დაცვისათვის. თუ სამართლებრივი სისტემა ვერ მუშაობს კანონის უზენაესობის შესაბამისად, მოქალაქეებს ეშინიათ თვითნებობის, დისკრიმინაციის, სასამართლოში არათანაბარი დამოკიდებულებისა და ა.შ. შედეგად, მოქალაქეები ვერ იქნებიან მზად დააფინანსონ სახელმწიფო გადასახადებით და არჩევენ თავი აარიდონ ამ ვალდებულებებს. საგადასახადო თალღითობა და გადასახადებისაგან თავის არიდება, შესაძლოა, ასევე, იყოს სუსტი სასამართლო ხელისუფლების შედეგი.

სახელმწიფოების საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკის ანალიზით, ჩვენ შეგვიძლია წარმოგვინათ შევიქმნათ ამა თუ იმ საზოგადოების მოწყობაზე, სოციალურ ფენებს შორისარსებულ ძალთა ბალანსზე და სხვა საზოგადოებრივ მისწრაფებებზე. არსებული სტატისტიკის თანახმად, საქართველოში სოციალური უთანასწორობა თითქმის ყოველწლიურად იზრდება. საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს „ჯინის“ კოეფიციენტი 40 ნიშნულს მიაღწია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველოზე უარესი მაჩვენებელი მხოლოდ რუსეთს აქვს. იმავე 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 21% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.⁶⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს დაბეგვრის პროგრესული მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ჰარმონიზებულია დაუბეგრავი მინიმუმისა და სოციალური ხარჯების გამოქვითვების სისტემასთან. ამასთან, პროგრესული გადასახადის შემოღების დროს მნიშვნელოვანია გადასახადების ფისკალური და სოციალური სამართლიანობის ფუნქციების შეთანასწორება (მაღალშემოსავლიანი პირები იხდიან მეტს აბსოლუტური ოდენობის თვალსაზრისით). ამ შემთხვევაში, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაუბეგრაობა ხელს უწყობს გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას. ვინაიდან, ასეთი თანხები პირდაპირ ფულის მიმოქცევის არხებში გადადის.⁶⁵

პროგრესული საგადასახადო სისტემები მოქმედებს სკანდინავიაში, საფრანგეთში, ჩინეთში

⁶³ https://emc.org.ge/ka/products/sotsialuri-politika-sakartveloshi-chareva-chaurevlobis-debatebis-mighma#_ftn1

⁶⁴ <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>

⁶⁵ იქვე

და კიდევ ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში ყველა ის პირი, ვისი წლიური შემოსავალიც ნელინადში 8130 ევროზე ნაკლებია, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება. ბევრ ქვეყანაში პროგრესული გადასახადით იბეგრება მოგება, უძრავი ქონება, ფუფუნების ძვირადღირებული ნივთები და ა.შ.⁶⁶ საინტერესოა შვედეთის საშემოსავლო გადასახადის სისტემა. შვედეთში დაბალშემოსავლიანები იხდიან ნაკლებს, ბიუჯეტიდან ლეზულობენ მეტს, ხოლო მაღალშემოსავლიანებს ბიუჯეტში შეაქვთ მნიშვნელოვანი თანხები. აქაც მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემა დაუბეგრავი მინიმუმისა და გამოქვითვების სქემით. ამასთან, რაც ყველაზე საინტერესოა ჩვენი დაბეგრის სისტემასთან შედარებით შვედეთში ყველა მოქალაქეს აქვს საკუთარი ანგარიშსწორების ანგარიში (პირადი ბარათივით), რომელზეც აღირიცხება მოქალაქის მიერ გადახდილი გადასახადები და ბიუჯეტიდან მიღებული (დაბრუნებული) თანხები. ამასთან, საგადასახადო ორგანოს ხელი მიუწვდება პირის ყველა შემოსავლის წყაროსთან და შესაბამისად, საგადასახადო დეკლარაციის შევსებას და გადასახადების გამოანგარიშებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო. გადასახადის გადამხდელი მხოლოდ ხელმოწერით ამონებს მას.⁶⁷

სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება მუდმივი და განუწყვეტელი პროცესია, რომელიც მოითხოვს რეაგირებას ეკონომიკაში, პოლიტიკაში და ზნეობაში წარმოშობილ ახალ სიტუაციებზე. სახელმწიფოს შესაძლებლობა სოციალური რეფორმების განხორციელებაში განუსაზღვრელია. ზოგიერთი სოციალური პრობლემა იმდენად რთულია, რომ მათი გადაჭრა საკანონმდებლო გზით შეუძლებელია, ზოგიერთი კი ბევრად არის დამოკიდებული ზნეობრივ პრინციპებზე. აუცილებელია, რომ სოციალურმა სახელმწიფომ დაიცვას ბალანსი თავისუფალ ეკონომიკასა და განაწილების სამართლიანობის პრინციპს შორის და აღმოფხვრას სოციალური უთანასწორობა. როგორც სტატიაში განხილული საკითხებიდან ნათლად სჩანს, ამისთვის სახელმწიფომ უნდა განხორციელოს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელსაც კომპლექსური სახე ექნება.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროექტის „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სოციალურ-ზნეობრივი სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა“ ფარგლებში.

სტატიაში განხილულია სოციალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი, პოლიტიკურ-სამართლებრივი და საგადასახადო ასპექტები. მათ შორის, შესწავლილია ის თუ რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფო, რამდენად არის იგი დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი, რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და მრავალი სხვა. აღნიშნული საკითხების შესწავლა დაგვეხმარება გავიაზროთ სოციალური სახელმწიფოს როლი თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

Resume

This article is prepared at the faculty of law and international relations of GTU, within a framework of scientific and research project ~Law-governed state as a social-moral state and market economy”.

The article discusses important political, legal and tax aspects of a social state. Among

⁶⁶ <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>

⁶⁷ გონერ ურიდია, საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის №10(154), 2012, <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=154&rubr=3&mas=1501>

them, we have studied what a social state means, whether it is an indispensable attribute of a democratic state, what the principle of a social state means, and much more. Studying these issues will help us to understand the role of the social state in modern democratic society.

Резюме

Статья подготовлена на факультете права и международных отношений ГТУ, в рамках научно-исследовательского проекта «Правовое государство, как социально-нравственное государство и рыночная экономика».

В статье рассматриваются важные политические, правовые и налоговые аспекты социального государства. Среди них мы изучили, что такое социальное государство, является ли оно обязательным атрибутом демократического государства, что означает принцип социального государства и многое другое. Изучение этих вопросов поможет нам понять роль социального государства в современном демократическом обществе.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, 2019 წლის მდგომარეობით;
- საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია,
- ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ., 2013;
- ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019 ;
- გ. გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019;
- ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. კახიანი, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2016
- დ. გეგენევა, სოციალური დაცვის სამართალი, წიგნში, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2016
- დ. გეგენევა, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, თბ., 2018
- თ. ალფაიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ., 2015,
- ე. ბუხრაშვილი, ევროპის სოციალური პოლიტიკა, თბ., 2017,
- ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ., 2013
- ა. პეტრინგი და სხვები; სოციალური დემოკრატიის კურსი 3; თბ., 2014
- ი. გაბისონია, ჯემალ გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივი ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი „იურისტი“ №1, 2016,
- სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია, სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისათვის?, თბ., 2012.
- ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის, თბ., 2016.,
- მ. დეილი, სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, ანგარიში, თბ., 2007,
- ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, თბ., 2018,
- ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ., 2002,
- გ. ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, გამომცემლობა :მერიდიანი“, თბილისი, 2016,
- გიორგი ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ., 2013,

-
- ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/126,129,158, 18 აპრილი, 2002
 - მ. ჭიბაშვილი, პოლიტიკური თეორია, თბ, 2006, http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/polit_theory.pdf
 - სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო სტატიების კრებული, დაწვრილებით იხ: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-0&cl=CL2.20&d=HASH012bac5cd4efc4c4ef689390.10.3>=1>
 - საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/1/392, 31 მარტი, 2008
 - ენრიუ ჰეივუდი, სახელმწიფო, დაწვრილებით იხ: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.20&d=HASH012bac5cd4efc4c4ef689390.10>
 - <https://emcrights.files.wordpress.com/2017/04/e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e183a3e183a4e1839ae18394e18391e18394e18391e18398.pdf>
 - Badura P., Das Prinzip der sozialen Grundrechte und seine Verwirklichung im Recht der Bundesrepublik Deutschland, Der Staat, Vol. 14, No. 1 (1975),
 - Heinig H.M., The Political and the Basic Law's Sozialstaat Principle – Perspectives from Constitutional Law and Theory, German Law Journal , Vol.12, Issue 11, November 2011, p.1889.
 - Rowe, J. K. 2005. Corporate Social Responsibility as Business Strategy. Reprint Series, Center for Global, International and Regional Studies, UC Santa Cruz. <http://escholarship.org/uc/item/5dq43315>
 - Müller G.,Drittwirkung von Grundrechten und Sozialstaatsprinzip, RdA 1964,
 - lolaZe b., socialuri saxelmwifo – safrTxe adamianis ZiriTadi uflbebis da TavisuflbebisTvis?, adami-anis uflbeTa dacva: miRwevebi da gamowvevebi (statiaTa krebuli), Tbilisi 2012
 - См.подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы , //Финансовое право ,2011.#1
 - Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.
 - Fiscal Incentive Effects of the German Equalization System, Sven Jari Stehn and Annalisa Fedelino, IMF Working Paper, 2009
 - <https://1tv.ge/analytics/shroma-da-shromis-sazogadoeba-socialuri-sakhelmwifo-da-demokratia-gavlenebi-aghmosavlet-evropasa-da-saqartveloze-interviu-prof-klaus-ofestan/>
 - http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo
 - <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=968> <https://emcrights.files.wordpress.com/2017/04/e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e183a3e183a4e1839ae18394e18391e18394e18391e18398.pdf>
 - https://emc.org.ge/ka/products/sotsialuri-politika-sakartveloshi-chareva-chaurevlobis-debatebis-mighma#_ftn1
 - <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>
 - <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>
 - <https://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e18390e183a0e18398e183a1e183a2e1839de183a2e18394e1839ae18394e183a1-e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0e18398-e18393e18390.pdf>

სამართლიანობა აბსტრაქტული, მორალური და საერთო სამართლებრივი კატეგორიაა.

„XXI საუკუნეში ზოგადსაკაცობრიო ფაქტორების მნიშვნელოვანი ზრდის გამო საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის იურიდიული სამართლიანობა კონსტიტუციური პრინციპია, რის საფუძველზე ვცნობთ და ვაღიარებთ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას; სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთკავშირს, მათი უფლებამოვალეობების დემოკრატიულ პრინციპებს. თუმცა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში სამართლის ზნეობრივი შინაარსის უგულებელყოფა გამორიცხული არაა“.⁶⁹

სამართლიანობის პარადიგმა მკაფიოდ ავლენს ზღვარს ეკონომიკაში რეალურ მოთხოვნებსა და პოლიტიკურ პოპულიზმს შორის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ არსებული რესურსები დაბალანსდეს საზოგადოებრივ მოთხოვნებთან. ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანობის მოთხოვნით განხორციელებული ეკონომიკური აქტივობები წარუმატებელი იქნება და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს.

თანამედროვეობის გამორჩენილი პოლონელი ეკონომისტი ლეშეკ ბალცეროვიჩის აზრით, „მეურნეობის რაციონალური გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ სწორედ ავირჩიოთ საქმიანობის ის მიმართულება, რომელსაც რესურსების შეზღუდული რაოდენობის გამოყენებით ყველაზე მაღალი შედეგის მოტანა შეუძლია. რა გვაქვს მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა? უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი არის განვითარების ტემპები, ამიტომ თუ სახელმწიფო მოექცევა ინტერესთა ჯგუფების ან პოლიტიკოსთა დემაგოგიის ქვეშ, რომლებიც ხალხში პოპულარობის მოხვეჭას ცდილობენ, ცხადია, იგი ვერ შეძლებს რაციონალური სამეურნეო პოლიტიკის გატარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეზღუდული რესურსების ეფექტურ გამოყენებას გულისხმობს. ამით ზიანი მიადგება მთელს საზოგადოებას, ვინაიდან შეფერხდება ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა“.⁷⁰

ეკონომიკური რეფორმები და სამართლიანობის თემა არის კიდევ ერთი პარადიგმის მნიშვნელოვანი ასპექტი. ნებისმიერი რეფორმა, მათ შორის ეკონომიკური, მოითხოვს მის კოორდინაციას საზოგადოებრივ მექანიზმებთან და თუნდაც მისი განხორციელების საწყის ეტაპზე შეიცავდეს გარკვეული უსამართლობის ნიშნებს ის ამ ეტაპზე მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ლოგიკას უნდა დაექვემდებაროს, სხვა შემთხვევაში რეფორმები თანმიმდევრობის რეჟიმიდან გადავლენ ქაოსში. ეკონომიკას არ უყვარს იმპულსურობა და ის მკაცრად ემორჩილება საზოგადოებრივ კანონებს. რეფორმების თანმიმდევრობა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ იქ, სადაც მთავრობა აქვს მათ განხორციელების მკაფიო სტრატეგია და ტაქტიკა.

სამართლიანობა ეკონომიკაში ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის დაცვა უპირობოდ აუცილებელია იმისათვის, რომ სამართლიანობა იყოს ეკონომიკური განვითარების ლოგიკის ორგანული ნაწილი, ეს პრინციპები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

პოლიტიკური პოპულიზმისაგან თავშეკავება;

ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრობა;

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში სახელმწიფოს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წესრიგიანობა;

მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ხარჯვაში ზომიერება და კეთილგ-

* სამართლის დოქტორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

⁶⁹ ს. ხიზანიშვილი, ი. გაბისონია, ა. ტალიაშვილი., სამართლიანობა, ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები., თბილისი; 2019; 172

⁷⁰ ლ. ბალცეროვიჩი, „თავისუფლება და განვითარება“, თბილისი., 2004., 354

ონიერება. მეცნიერები მიუთითებენ, რომ სახელმწიფოს ჩართვა ეკონომიკაში შეიძლება იყოს ორი სახის: „სამართლებრივი გზით, როდესაც სამეურნეო სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა კონკურენციის თანაბარი პირობების დადგენით რეგულირდება (ერთიანი წესები ყველასათვის), და მეორე, როდესაც სამეურნეო პირობებში პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ამოცანების გადაჭრას სახელმწიფო ახორციელებს სპეციალური ღონისძიებების, ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების ფორმისა და მეთოდების აქტიური გამოყენებით, თუ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა არ აჩენს კითხვებს. პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებებით საბაზრო ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული სოციალური პირობების გათვალისწინებით, საჭიროებს მისი ეფექტურობისა და მიზანშეწონილობის შეფასებას“.⁷¹

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში სახელმწიფოსა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წესრიგიანობა დიდი და ვრცელი თემაა, თუმცა მათ შორის ფულადი რესურსების განაწილება ყველაზე აქტუალურია. ეს განპირობებულია იმით, რომ ფინანსები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის წამყვან რგოლს წარმოადგენენ და მათ აქვთ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და სპეციფიკა:

პირველი — ის ფულადი ურთიერთობებია, რომელიც უკავშირდება მატერიალური წარმოების სფეროდან ფულადი ნაკადების სამართლიან გადანაწილებას არამატერიალურ დარგებში როგორცაა: კულტურა, განათლება, მედიცინა, ეკოლოგია და სხვა;

მეორე — სახელმწიფო პოლიტიკური კონფიგურაცია აჩენს სამართლიან ფინანსურ ურთიერთობებზე მოთხოვნილებას;

მესამე — ფინანსების სამართლიანი გადანაწილება გავლენას ახდენს კვლავწარმოების პროცესის მთელ მსვლელობასა და საინვესტიციო გარემოზე.

ფინანსური რესურსების რაციონალური გადანაწილება მჭიდრო კავშირშია მსოფლიო ეკონომიკის რეალურ სექტორში მიმდინარე პროცესებთან, რადგან გლობალიზაციის პირობებში ბიზნესში წარმატებულ საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, და მისი წილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება. მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ხარჯვაში ზომიერება და კეთილგონიერება რესურსების სიმცირეს პრობლემას უკავშირდება, მათი რაციონალური ხარჯვა და რაც მთავარია სამართლიანი განაწილება იძლევა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაში ახალ შესაძლებლობას.

დღეს გლობალურ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარება ღრმა სოციალიზაციის ტენდენციით ხასიათდება, რადგან მთავრობების წინაშე ძალზედ მწვავედ დგას სიღარიბის დაძლევის და რესურსების სამართლიანი განაწილების უმწვავესი პრობლემა. მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის დროს, ძირითად აქცენტებს აკეთებენ სოციალური სამართლიანობის იმპერატივებზე, როგორც ეკონომიკური სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე, რადგან მოსახლეობის ზრდა დედამიწაზე და მისი გამოკვება, კლიმატის ცვალებადობა, სოციალური უთანაბრობა, მიგრაცია და სხვა გლობალური თემები თანამედროვე სამყაროსთვის მძიმედ მოსაგვარებელი პრობლემები ხდება. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, „თუ 1998 წელს დედამიწაზე ცხოვრობდა 5.9 მილიარდი ადამიანი, 2018 წელს მოსახლეობამ შეადგინა 7.6 მილიარდი. 20 წლის წინ მოსახლეობის 50,5 პროცენტი ცხოვრობდა სოფლად, დღეს ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის წილი გაიზარდა 55,5 პროცენტამდე, ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ეს მაჩვენებელი 2050 წელს მიაღწევს 66,5 პროცენტს“,⁷² რაც არა მარტო მოსახლეობის გამოკვების, არამედ მიგრაციის და უმუშევრობის უმწვავესი პრობლემა ხდება.

ასეთ პირობებში მიმდინარეობს საზოგადოების პოლარიზაცია და რესურსების დიდი ნაწილი

⁷¹ В.А. Вайпан. «Теория справедливости: право и экономика». Москва. Юстицинформ, 2017, стр. 136-136

⁷² ბანკები და ფინანსები 2.04.2018

მდიდართა ხელში ხვდება, რაც იწვევს სიღარიბის უფსკრულის გაღრმავებას და უმუშევრობის ზრდას. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს არა მარტო ბუნებრივ, არამედ კულტურულ გარემოში და ამიტომაც სამართლიანობა წმინდა მორალური კატეგორიიდან ეკონომიკურ პრობლემად გადაიქცევა.

ნობელის პრემიის ლაურიატი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ანრი ბერგსონი წერს: „ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ საზოგადოების მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარება ვერ უზრუნველყოფს მის ზნეობრივ სრულყოფას, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში დოვლათის ზრდა შეიძლება საშიშიც კი აღმოჩნდეს, თუ ის არ დაეფუძნება განაწილების სფეროში სამართლიანობას“.⁷³

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე, საერთაშორისო კორპორაციები იქცნენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ელემენტად. მათი მდგრადი განვითარება წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო სამეურნეო კავშირების გლობალიზაციის პროცესს ასახავს. დღეს საერთაშორისო კორპორაციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის თავისებური „ლოკომოტივი,“ რომელიც გზაზე თავისთვის იხვეჭს და სხვისთვის ანადგურებს ყველაფერს.

საერთაშორისო კორპორაციები, ერთის მხრივ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფად განვითარებადი პროდუქტია და, მეორეს მხრივ კი, თვითონ წარმოადგენს ამ ურთიერთობებზე ზემოქმედების მძლავრ მექანიზმს.

განვითარების ასეთმა ტენდენციამ, მართალია, შექმნა ეკონომიკის ზრდის ახალი შესაძლებლობები, მაგრამ, ამავე დროს, ახლად შექმნილი მთლიან შიდა პროდუქტის გადანაწილებაში სერიოზული დისპოპორცია გაჩნდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ეს სიკეთე მნიშვნელოვანწილად ხმარდება იმათ, ვისიც არის ეს ტრანსნაციონალური ბიზნესები. ეკონომიკური პოლარიზაციის ასეთი მდგომარეობა ბევრს ალელვებს დასავლეთში, რადგან აქ საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებაში სოციალური სამართლიანობა და სოლიდარობა უპირველესი ევროპული ფასეულობაა.

ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის ბოლო ათწლეულის განვითარების ვექტორად განსაზღვრულია მისი სოციალური პრიორიტეტულობა, რაც გულისხმობს ფინანსური, ეკონომიკური და სოციალური რისკების შემცირების მიზნით ეკონომიკის განვითარებაში თანამოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას და მიღებული სარგებლის სამართლიანად განაწილებას.

ევროპის სოციალური ქარტიის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს გამოკვებოს თავისი თავი შრომით, რომელსაც ირჩევს საკუთარი ნებით; ყოველ მშრომელს უფლება აქვს ჰქონდეს სამართლიანი სამუშაო პირობები; ყოველ მშრომელს აქვს უფლება მიიღოს სამართლიანი გასამრჯელო, რომელიც საჭიროა მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონის შენარჩუნებისათვის, ყოველ მშრომელს და მის კმაყოფაზე მყოფ პირს აქვს სოციალური დაზღვევის უფლება. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენს, უფლება აქვს დაცულ იქნეს სოციალურად, სამართლებრივად და ეკონომიკურად მისი ყოველმხრივი განვითარების მიზნით“.

სოციალური სამართლიანობის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ განვითარებითა და შედეგებით ისარგებლოს არა მარტო მცირე ბიზნეს ჯგუფებმა, არამედ მთელმა მოსახლეობამ. ასეთი პერსპექტივა ზრდის დასაქმების შესაძლებლობას და ხელს უწყობს დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დამყარებას. ამ იდეის განხორციელებას სჭირდება ძალზედ დეტალური პროგრამა, სადაც განერილი იქნება ყველა ეკონომიკური ღონისძიება, მექანიზმი და ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ეფექტიანი სოციალური შედეგების მიღწევა.

საქართველოს ევროპული ორიენტაცია მოითხოვს მისი ეკონომიკური და სოციალური გან-

⁷³ Мусский И.А. Сто великих мыслителей. Москва, «ВЕЧЕ», 2000

ვითარების სივრცის მაქსიმალურ დაახლოვებას და ინტეგრაციას ამ მოთხოვნებთან. ამისთვის საკითხთა ფართო სპექტრია მოსაგვარებელი: ეკონომიკური საზღვრების დაცვა, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესი, საინვესტიციო პოლიტიკა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ახალ ბაზრებზე ეროვნული პროდუქციის მარკეტინგი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ექსპორტის სტიმულირება, ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარება, სამრეწველო პოტენციალის ზრდის მიზნით, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება და სხვა.

ვფიქრობთ, რომ ეკონომიკაში სამართლიანობის პრობლემა საქართველოში არასათანადოდ ანალიზირდება. მაკროეკონომიკური ანალიზის დროს მეტი აქცენტი კეთდება გარე რისკებზე და გამოწვევებზე, ვიდრე შიდა სოციალურ პრობლემებზე. ის, როგორც ხშირად, როდესაც ვაფასებთ სხვის ცხოვრებას და აღმოვაჩინებთ, რომ საკმარისად კარგად არა ვართ ჩახედული საკუთარ ცხოვრებაში.

თანამედროვე ეკონომიკაში სამართლიანობის მაღალი სტანდარტი ცხოვრების დონით იზომება, რაც სიცოცხლის ზრდას, ახალგაზრდა კადრების გადამზადებას და მათი განათლების მაღალ სტანდარტებს უკავშირდება.

სახელმწიფოს ჩარევა განსაკუთრებით აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს სოციალური დაზღვევის სფეროში, სადაც დაზღვევის მექანიზმების გამოყენებით სახელმწიფო მონაწილეობს ეკონომიკის რეგულირებაში, ზემოქმედებას ახდენს კვლავწარმოების პროცესზე და ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას. აქედან გამომდინარე, სოციალური დაზღვევა, როგორც ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი მექანიზმი, ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას, არის სოციალური პოლიტიკის დაფინანსების წყარო და ბიზნესისთვის დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობა. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებიდან ჩანს, რომ საფინანსო დანაზოგები სახელმწიფო სოციალურ სადაზღვევო სისტემებში, სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ამ ქვეყნების საინვესტიციო კლიმატზე როგორც მოცულობის, ასევე ინვესტიციათა ვადების ხანგრძლივობის თვალსაზრისით, როდესაც სოციალურ სექტორში რეფორმა მიმდინარეობს გააზრებულად, მაკროეკონომიკური შედეგები გაცილებით ეფექტურია, რადგან ქვეყანა წყვეტს ერთდროულად ორ ამოცანას: სოციალურსა და საინვესტიციოს.

სამართლიანობას ეკონომიკაში განაპირობებს მრავალი სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორი, რომელთაგან განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება ცხოვრების დონის განმსაზღვრელი შემდეგი ინდიკატორები: ინფლაცია, სუსტი ტექნოლოგიური ბაზა, შრომის პირობები, უმუშევრობა, სიღარიბე, მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანაბრობა, ჯანდაცვა, განათლება, ცხოვრების სტილი და სხვ.

სამართლიანობა, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი არსებითი პარადიგმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკური მონყოების ფორმასა და შინაარსზე. ბოლო ოც წელზე მეტია დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში დომინირებს ლიბერალური ეკონომიკის ფილოსოფია, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ინდივიდების ეკონომიკურ თავისუფლებაზე და არ ზღუდავდეს მათ სხვადასხვა რეგულაციებით და მოთხოვნებით. ლემუკ ბალცეროვიჩი ასე განმარტავს ლიბერალიზმს ეკონომიკაში: „პრობლემის ლიბერალურ გადაწყვეტას წარმოადგენს სახელმწიფოს საქმიანობის იმგვარი მონყობა, რომ მან, ერთის მხრივ, დაიცვას ცალკეული ადამიანების მოქმედების ფართო თავისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ, თავად არ დაარღვიოს იგი. ძლიერი სახელმწიფო ცალკეული ადამიანების ფართო თავისუფლების სამსახურში — აი, ლიბერალური კონცეფციის მთელი არსი“.⁷⁴

ლიბერალიზმის კონცეფცია საბაზრო ეკონომიკაში ახალი არ არის, მას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ადამ სმიტის აზრით:

⁷⁴ ლ. ბალცეროვიჩი. „თავისუფლება და განვითარება“, თბილისი, 2004, 16

„საზოგადოებრივი, ეროვნული და კერძო დოვლათის წარმოების წყარო არის თავისუფალი ადამიანის მუდმივი, განუწყვეტელი, რუტინული ძალისხმევა, გაიუმჯობესოს საკუთარი პირობები. საბაზრო სისტემის ლოგიკა ისაა, რომ ის ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას, და შესაბამისად აუმჯობესებს ადამიანის კეთილდღეობას“.⁷⁵

დღეს, როდესაც შესაძლებელია თვალი გადავავლოთ დასავლეთის ბოლო ოცნლელის განვითარებას, თვალნათლივ შეიძლება დავინახოთ, რომ ლიბერალიზმი, განსაკუთრებით ეკონომიკაში, სულაც არ აღმოჩნდა ერთადერთი და უალტერნატივო პანაცეა. უფრო მეტიც, მან მთელ რიგ ევროპის ქვეყნებში (იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები) შექმნა სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, რასაც მოყვა სამუშაო ადგილების შემცირება, უმუშევრობის ზრდა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების მიგრაცია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნები ადვილად შევიდნენ შედარებით სუსტი (აღმოსავლეთ ევროპის) და არა დივერსიფიცირებული ქვეყნების ბაზრებზე და უმეტეს შემთხვევებში აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის და მათ ქვეყნებში წარმოებული საქონლის თავისუფლად გადაადგილების მეშვეობით შეზღუდეს ადგილობრივი მენარმეობა.

საკუთარი ეკონომიკური სივრცისა და ტრადიციების დაცვის მიზნით ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლამ, აშშ პროტექციონისტული შეხედულებების მომძლავრებამ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამ მიმართულებით დაწყებულმა მოძრაობებმა დაგვანახა, რომ თავისუფალ სამყაროში ბევრი რამ იცვლება, მძლავრობს ეკონომიკურ პოლიტიკაში პროტექციონიზმი, რომლის მიზანია სამამულო წარმოების განვითარება უცხოეთიდან იმპორტირებულ საქონელზე შეზღუდვების დაწესების გზით. ეს თავდაცვითი ინსტინქტებია, რომელიც ამ ქვეყნებიდან წამოსული ზემოქმედების ტალღების სახით შეუქცევადად ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ალბათ მომავალში ეკონომიკაში ლიბერალიზმთან სოციალური სამართლიანობის სწორი შეხამება ისეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება კაცობრიობისათვის, როგორც ყველა ისტორიული ხდომილება.

ერთი რამ ცხადია, დასავლეთიდან წამოსული სამართლიანობის მოთხოვნები აუცილებლად განაპირობებს ჩვენს ეკონომიკაში სოციალური იმპერატივების ზრდას, რასაც უმაღლეს მოყვება ქართული ეკონომიკის განვითარების პარადიგმის სერიოზული კორექტირება.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროექტის „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სოციალურ-ზნეობრივი სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა“ ფარგლებში.

ეკონომიკური რეფორმები და სამართლიანობის თემა არის პარადიგმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ნებისმიერი რეფორმა, მათ შორის ეკონომიკური, მოითხოვს მის კოორდინაციას საბაზრო მექანიზმებთან და თუნდაც მისი განხორციელების საწყის ეტაპზე შეიცავდეს გარკვეული უსამართლობის ნიშნებს, ის ამ ეტაპზე მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ლოგიკას უნდა დაექვემდებაროს. სხვა შემთხვევაში რეფორმები თანმიმდევრობის რეჟიმიდან გადავლენ ქაოსში.

ვფიქრობთ, რომ ეკონომიკაში სამართლიანობის პრობლემა საქართველოში არასათანადოდ ანალიზირდება. მაკროეკონომიკური ანალიზის დროს მეტი აქცენტი კეთდება გარე რისკებზე და გამონწვევებზე, ვიდრე შიდა სოციალურ პრობლემებზე.

⁷⁵ ნ. ჟვანია, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია: სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისთვის“. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 74

Resume

This article is prepared at the faculty of law and international relations of GTU, within a framework of scientific and research project ~Law-governed state as a social-moral state and market economy”.

Economic reforms and topic of justice is the another one important aspect of the paradigm. Any reform, including economic one, requires its coordination with market mechanisms and even if it contains some indications of injustice at the initial stage of its implementation, at this stage it should be subject to logic of economic development. Otherwise, reforms will transit from sequential mode to chaos.

We think that the problem of justice in economy is not properly analyzed in Georgia. During macro-economic analysis the greater emphasis is placed on external risks and challenges than on internal social problems.

Резюме

Статья подготовлена на факультете права и международных отношений ГТУ, в рамках научно-исследовательского проекта «Правовое государство, как социально-нравственное государство и рыночная экономика».

Экономические реформы и тема справедливости являются еще одним важным аспектом парадигмы. Любая реформа, в том числе экономическая, требует ее координации с рыночными механизмами и даже если на начальном этапе ее осуществления она содержит определенные признаки несправедливости, она на этом этапе должна подчиняться только логике экономического развития. В противном случае реформы из режима последовательности перейдут в хаос.

Мы полагаем, что в Грузии проблема справедливости в экономике не анализируется соответствующим образом. При макроэкономическом анализе больший акцент делается на внешних рисках и вызовах, чем на внутренних социальных проблемах.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, გ. წერეთელი. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. „მეცნიერება“, თბილისი, 2003წ.
2. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია. თბილისი, 2004
3. ლუდვიგ ერხარდი. „კეთილდღეობა ყველასათვის“, თბილისი, 2011წ.
4. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჯიბუტი ა. „საჯარო ფინანსები“, თბილისი, 2007 წ.
5. დ. იაკობიძე გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე“. თბილისი, 2011წ.
6. ბანკები და ფინანსები. 2.04.2018წ.
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010 წ. 17 სექტემბერი.
8. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. "საგადასახადო საქმე". თბილისი, 2007წ.
9. ტერაშვილი ნ. "საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა". თბილისი, 2006 წ.
10. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. "გადასახადები და დაბეგვრა". თბილისი, 2002წ.
11. ცაავა გ., ხანთაძე გ. „საჯარო ფინანსები“, თბილისი, 2013 წ.

-
12. ბერიშვილი ხ. „მცირე ბიზნესის განვითარების მასშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში“. ჟურნალი „ინოვაციები ბიზნესში“, 2010. წ.
 13. გაბელაია ა. ფინანსები. თბილისი, 2011.
 14. ჟვანია ნინო. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია: სალექციო კურსი „სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისთვის«. თბილისი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2006 წელი.
 15. სალომე ხიზანიშვილი, ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი. სამართლიანობა, ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები, 2019წ.
 16. დ. ვეკუა ი. ვეკუა. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაზღვევის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები, თბილისი, 2013წ.
 17. ვეკუა დ. „მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლო პერსპექტივები საქართველოში“. გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 2014წ.
 18. ვეკუა დ. პოლიტიკის სრულყოფის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები საქართველოში. გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 2011წ.
 19. Statistical Abstract of the US, 2009.
 20. В.А. Вайпан. «Теория справедливости: право и экономика. Москва. Юстицинформ, 2017г.
 21. Мүссский И.А. Сто великих мыслителей. Москва, «ВЕЧЕ», 2000г.
 22. <https://ka.wikiquote.org/wik>
 23. www.mof.ge
 24. www.geostat.ge

სამართლიანობის პარადიგმა საბაზრო ეკონომიკაში

ალექსანდრა ტალიაშვილი *

სამართლიანობის პარადიგმა, როგორც სამართლიანობის იდეისა და შეხედულებათა ერთობლიობა, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის განსაზღვრავს ეკონომიკის თავისუფლების ხარისხს და არის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი.

ისტორიის ყველა ეტაპზე საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილების მოთხოვნა იყო და მომავალშიც დარჩება ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რადგან მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების რაციონალური მართვა და სამართლიანი გადანაწილება ეკონომიკაში არის სტაბილურობის და დინამიური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

ჩვენს ერამდე ათასწლეულებით ადრე, სამართლიანობის საკითხი მტკიცებულ ცხოვრებისეულ საკითხთა შორის უმთავრესად მიიჩნეოდა. ასეა დღესაც. აქედან გამომდინარე, სამართლიანობის არსის დადგენა ერთნაირად ღირებულია ნებისმიერი ტიპის ფილოსოფიური და სამართლებრივი დისციპლინისათვის. საქმე ეხება სამართლიან სანდოებზე საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობას, რაც კაცობრიობის განვითარების უწყვეტ პროცესში ყველა დროის იდეალია.⁷⁷

კერძო საკუთრების განვითარებასთან ერთად ანტიკურ სამყაროში ჩნდება იდეები სოციალური სამართლიანობის შესახებ. ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ეთიკურ სამართალში მიუთითებს, რომ სოციალური სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია განათლებით და არა საკუთრების აკრძალვით.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ „სულ არსებობს სამი სახის ურთიერთობები, რომლებიც კავშირშია „სხვის სიკეთესთან“. ესენია განაწილების, მიზღვის და გაცვლის ურთიერთობები. ყოველ მათგანში შეიძლება იყოს მათთვის დამახასიათებელი სამართლიანობა“.⁷⁸

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არისტოტელეს ეკონომიკური თეორია და სამართლიანობის მისეული შეფასებები მსგავსია ა. სმიტის „ხალხთა სიმდიდრისა და ბუნების მიზეზების შესახებ“ ნაშრომის პირველი ნაწილის.⁷⁹

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ბიზნესისთვის აყალიბებს ისეთ საზოგადოებრივ მოთხოვნას, სადაც ეკონომიკური აქტიურობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ორგანულად უნდა შეერწყას სამართლიანობასა და მოქალაქეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობას. სამართლიანობის განცდა ქვეყნის სიყვარულივით არ ძველდება და ის როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნა ახალ პირობებს უყენებს ეკონომიკას, აქტიურ ზეგავლენას ახდენს საბაზრო ურთიერთობებზე.

სამართლიანობის პრობლემის კვლევას ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა დევიდ რიკარდომ. იგი თვლიდა, რომ სამართლიანობის პრობლემა ეკონომიკაში არა დოვლათის შექმნაში, არამედ მის განაწილებაშია და საზოგადოებამ უნდა შექმნას ეკონომიკის რეგულირების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დამყარებას.

ამავე მოსაზრებას იზიარებს ინგლისური «ნეოკლასიკური» ეკონომიკური სკოლის თვალსა-

* სამართლის დოქტორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

⁷⁷ ს. ხიზანიშვილი, ი. გაბისონია, ა. ტალიაშვილი. სამართლიანობა. ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2019, 15

⁷⁸ ს. ხიზანიშვილი, ი. გაბისონია, ა. ტალიაშვილი. სამართლიანობა. ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2019, 66-67

⁷⁹ Аникин В.А. Юность науки. М., 1985, с. 23-25

ჩინო წარმომადგენელი არტურ პიგუც თავის ცნობილ ნაშრომში „კეთილდღეობის ეკონომიკა“. მისი აზრით, „ეკონომიკური კეთილდღეობა სოციალური პროდუქტის დონეზე, განაწილებასა და სტაბილურობაზეა დამოკიდებული“⁸⁰.

ეკონომიკაში წონასწორობისა და სამართლიანობის დამყარების მიზნით სახელმწიფოს ჩარევისა და რეგულაციების მომხრეა დიდი ინგლისელი ეკონომისტი და პოლიტიკოსი ჯონ კეინზი. მისი მოსაზრებით, „ეკონომიკური კრიზისები შედეგია უარყოფითი საბაზრო ძალების კონცენტრაციისა, რომელთა ნეიტრალიზებაც მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური და ძლიერი ჩარევის შედეგად არის შესაძლებელი და ეს ჩარევა მანამ უნდა მიმდინარეობდეს, სანამ არ აღდგება კლასიკური ეკონომიკური თანაფარდობები.“⁸¹

1971 წელს გამოჩენილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯონ როლზმა გამოაქვეყნა ნაშრომი „სამართლიანობის თეორია“. ჯონ როლზის აზრით, სამართლიანობის დამყარების მცდელობისას, უნინარეს ყოვლისა, უნდა მოისპოს უთანასწორობა, რაც არსებობს ცხოვრებისეული სიკეთეების დაუფლებისას. იგი ფიქრობს: „სამართლიანობა უნდა განისაზღვროს, როგორც მოთხოვნის მიხედვით ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთის მიღების შესაძლებლობის უფლება, შესაბამისად, საზოგადოებრივი წყობილება არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლიანად, თუ ის ყველა მოქალაქეს არ აძლევს გარანტიას, დაიკმაყოფილოს თავისი ძირითადი მოთხოვნები“.⁸²

ცივილიზებული თანამედროვე სამყარო ითხოვს, რომ არა მარტო მთავრობებს, არამედ ბიზნესის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული ის აქსიომა, რომ ბიზნესის განვითარების და აქტივების ზრდასთან ერთად მათი წარმატება უნდა მოხმარდეს იმ ადამიანს, ვისაც მათი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება. თუმცა სამართლიანობა მხოლოდ ბიზნესის პრობლემა ვერ იქნება, რადგან ბიზნესი მისი იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე არის პირადი აქტივების ზრდაზე ორიენტირებული საქმიანობა და მხოლოდ ამის შემდეგ კეთილი ნების პირობებში ქველმოქმედება და მეცენატობა.

ცივილიზაციის განვითარების ამ ეტაპზე აღიარებულია, რომ საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველაზე ეფექტურ მოდელს, რომელსაც თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია (ეკონომიკური კრიზისები, არასტაბილური ფასები, ეკონომიკური სუბიექტების გაკოტრება, უმუშევრობა და სხვა). ეკონომიკას აქვს შეზღუდული რესურსები, რაც მატერიალური სიკეთის შექმნის, განაწილების, გამოყენების დროს პერიოდულად წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. მენარმე სუბიექტების მიერ დიდი ოდენობით მოგების მიღება იწვევს იმ მოქალაქეების გაღიზიანებას, რომლებიც ჩართული არ არიან წარმოებასა და შემოსავლის განაწილებაში.

საბაზრო პირობებში ეკონომიკური სუბიექტების კოორდინაცია, როგორც წესი, მოკლევადიან ხასიათს ატარებს, ჭარბობს პირადი ინტერესები, ადგილი აქვს შემოსავლების არათანაბარ განაწილებას, რაც აჩენს საბაზრო ეკონომიკის არასამართლიანობის ეჭვს.

საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანების შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს. მაგრამ ეკონომიკური განვითარების უფრო ეფექტური გზა დღეისათვის არ არსებობს და მას სახელმწიფოს სრული მხარდაჭერა აქვს.

ამასთან უნდა გვახსოვდეს ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორია, ნაციონალური ინტერესები და გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასთანაა დაკავშირებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლის განსაზღვრისას გასარკვევია, თუ რა დოზით ხდება სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და როგორი თანაფარდობაა სახელმწიფო

⁸⁰ ი. ანანიავილი, კ. აჩელავილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, გ. წერეთელი. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 70

⁸¹ დ. იაკობიძე. „გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე“. თბილისი, 2011, 116

⁸² ს. ხიზანიშვილი, ი. გაბისონია, ა. ტალიაშვილი. სამართლიანობა. ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2019, 158

რეგულირებასა და თავისუფალ კონკურენციას შორის. სამართლებრივი თანაარსებობის გარე-
მო მოითხოვს სათანადო რეგულაციების და მექანიზმების არსებობას, რათა, ერთის მხრივ,
ბიზნესმა სრულად და რეგულარულად იხადოს გადასახადები, როგორც საზოგადოებრივი თანხ-
მობის კონტრიბუცია და, მეორეს მხრივ, მთავრობებმა საბიუჯეტო რეგულირების მექანიზმების
გამოყენებით დაძლიონ ბიზნესსა და საზოგადოებრივ მოხმარებას შორის წარმოქმნილი ქონე-
ბრივი დისპროპორცია.

ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სამართლიანობის მოთხოვნით, თუნდაც დიდი
საზოგადოებრივი ზენოლის შედეგად მიიღება, საჭიროებს მაკროეკონომიკურ პროცესებთან სა-
თანადო შეთანხმებას, რადგან სამართლიანობის დამყარების ან აღდგენის მიზნით ეკონომიკა-
ში გაუაზრებელი ჩარევის შედეგად განხორციელებული აქტივობები შეიძლება ბევრად უფრო
დამაზიანებელი აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის, ვიდრე ამ გადაწყვეტილებების მიუღებლობის
შედეგად შექმნილი პირობები.

სამართლიანობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოჩინდება, როგორც ზნეობრივ-სამართ-
ლებრივი კატეგორია, მაგრამ ეკონომიკაში ის ფინანსურ- ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტე-
მაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებასთან ერთად აშკარად სო-
ციალურ ხასიათს იძენს.

მაკროეკონომიკური წონასწორობის ეკონომიკური ლოგიკა მოითხოვს მთავრობებისგან, რომ
სამართლიანობის მოტივით მოსახლეობაში განხორციელებული სოციალური დაცვის ღონისძიე-
ბები მონეტარულ პოლიტიკასთან იყოს კოორდინირებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში
მოსახლეობაში გაჩნდება ეგრეთწოდებული „ჭარბი ფული“ და საფუძველი ჩაეყრება ხანგრძლივ
სავალუტო დისბალანსს და ინფლაციას. ეს კი ფინანსურ ბაზრებზე გაზრდის არასტაბილურობის
განცდას და შეამცირებს ეკონომიკაში საინვესტიციო რესურსების შემოდინების შესაძლებლო-
ბას.

ზნეობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით ადამიანები იმსახურებენ იმას, რომ იცხოვრონ
სამართლიან გარემოში, თუმცა ეკონომიკური რისკების სიმრავლე და გამონვევები მათ ამის
შესაძლებლობას არ აძლევს. რისკების რეალიზაცია ბიზნესში და წარუმატებლობა ადამიანთა
ერთი ნაწილის არასწორი გადაწყვეტილების შედეგია, ხოლო მეორე კი არასათანადო გარე-
მო პირობების. რისკების მართვის და სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულების პრობ-
ლემატიკა დღეს მჭიდროდაა დაკავშირებული სადაზღვევო ბაზრის ეფექტიანობასთან. სწორედ
ეს ბაზარი ნაწილობრივ არეგულირებს რისკების დადგომის შედეგად მიღებული ზარალების
კომპენსაციას და ხელს უწყობს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით მოსახლეობის ქონებრივი
ინტერესების დაცვას.

უსამართლობა ეკონომიკაში მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. ძირითადად ის
დისკრიმინაციული ხასიათს ატარებს. ეს დისკრიმინაცია შეეხება კონკურენციას ბაზარზე,
პროტექციონიზმს რესურსების განაწილებაში, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, დაბეგვრის
რეჟიმების და შეღავათების შერჩევას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირებას, საინვესტი-
ციო პოლიტიკას და სხვა. უსამართლობის დაძლევა, აპათიასა და სიღარიბიდან თავის დაღწე-
ვის მიზნით, ადამიანებისგან მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევას, მორალურ სიმტკიცეს და
ფიზიკურ ენერჯიას. სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია ამ სირთულეების დაძლევაში საკუთარი
მოქალაქეების მხარდაჭერა და დახმარებაა. ეს მხარდაჭერა შეიძლება იყოს როგორც მატერი-
ალური, ისევე მორალურ—ფსიქოლოგიური. დახმარების ფორმა დამოკიდებულია ბენეფიციარის
მდგომარეობასა და სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობებზე.

სამართლიანობის დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარ ამოცა-
ნას წარმოადგენს. სამართლიანობის პარადიგმა საბაზრო ეკონომიკაში გულისხმობს:

— ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათის განაწ-
ილებაში სამართლიანობას;

— სახელმწიფო ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გადანაწილების სისტემის სამართლიანობას;

— სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლების, ეკოლოგიის მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობას და ეფექტიანობას;

— ჯანსაღი კონკურენციის მიზნით ბაზრების დივერსიფიკაციას, ანტიმონოპოლიური საქმიანობის ქმედითუნარიანობას;

— სამართლიანი ბიზნეს-გარემოს შექმნას და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას;

— სამართლიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას;

— ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას;

— სამართლიანი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

ეს არის ის ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც საჭიროებენ მოგვარებას, რადგან არ მოხდეს საბაზრო ეკონომიკის იდეის სრული დისკრედიტაცია და ადამიანებს არ გაუჩნდეთ ნოსტალგია ეგრეთწოდებული „სამართლიანი წარსულისადმი“.

საბაზრო მექანიზმების გამოყენება, როგორც წესი, უზრუნველყოფს ეკონომიკაში ორი უმნიშვნელოვანესი ურთიერთდაკავშირებული საკითხის მოგვარებას. ერთის მხრივ, განვითარება და კეთილდღეობა და მეორეს მხრივ, სამართლიანობა.

სამართლიანობის პარადიგმამ ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გამიჯნოს სოციალური სამართლიანობა და სოციალური პარაზიტიზმი. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება მოხუცებს, ინვალიდებს, ბავშვებს, ადამიანებს, ვისაც სხვადასხვა მდგომარეობის გამო შრომა არ შეუძლია და ისინი, ვინც ამ უნარს მოკლებული არიან, მაგრამ შრომის სურვილი არა აქვთ. თუ ჩვენ სხვადასხვა სამთავრობო პროგრამებითა და გრანტების გამოყოფითა და მათი დაფინანსებით დაუზარავეთ ასეთ კონტიგენტს ეკონომიკური აქტიურობის სურვილს, სახეზე იქნება კლასიკური უსამართლობა, რადგან ისინი, ვინც საჭიროებს მიზნობრივ მხარდაჭერას, ფინანსური რესურსების არამიზნობრივად ხარჯვის და სიმცირის გამო აღმოჩნდებიან დაზარალებული.

ცნობილი გერმანელი ეკონომისტის და სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიის ფუძემდებლის ლუდვიგ ერჰარდის აზრით: „როდესაც სოციალური პოლიტიკის მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ ადამიანი თავისი დაბადების წუთიდანვე დაცული იყოს ცხოვრებისეული წინააღმდეგობებისაგან, ანუ ადამიანს როდესაც საგულდაგულოდ იცავენ ცხოვრებისეული სიურპრიზებისგან, ბუნებრივია, ამგვარ პირობებში აღზრდილი ასეთი ადამიანისგან უბრალოდ ვერ მოითხოვ, რომ მან გამოიჩინოს სასიცოცხლო ძალა, გარკვეული ინიციატივები, მაღალი მწარმოებლური სწრაფვა.“⁸³

სამართლიანობის პარადიგმა ეკონომიკაში პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისკენ, რადგან ეს მოტივაცია აჩენს პერსპექტივას მეტი პროდუქტების და სერვისების მოხმარების და საზოგადოებრივი რესურსების რაციონალური გადანაწილების. მატერიალურად და ფინანსურად უზრუნველყოფილი ადამიანები საზოგადოებრივი სიმშვიდის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტორებია, რადგან ისინი საბოლოო შედეგებზე მოტივირებული არიან და მათთვის და მათი ოჯახებისთვის სტაბილურობა უმნიშვნელოვანესია.

სამართლიანობის მთავარი მიზანი და ამოცანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის უზრუნველყოფა მოქალაქეები თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობებით და სოციალური დაცვის სათანადო მექანიზმებით. ბიზნესში მომუშავე ადამიანებისათვის ეს არის შრომის უფლება და დასაქმების პერსპექტივა, ამ თვალსაზრისით დამსაქმებლები უნდა ცდილობდნენ, რომ მათთან დასაქმებულები შრომის ბაზარზე მუდმივად იყვნენ მოთხოვნადები და მეორე — ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ დოვლათის საზოგადოებრივ განაწილებაში.

⁸³ ლ. ერჰარდი, „კეთილდღეობა ყველასათვის“, გამომცემლობა „გრანალი“, თბილისი, 2011წ., 287

სამართლიანობის პარადიგმა საბაზრო ეკონომიკაში გულისხმობს, რომ თვითოეული ადამიანი მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქტიურად იყოს ჩართული შრომით საქმიანობაში. დამსაქმებლები მუდმივად უნდა აფასებდნენ დასაქმებული პერსონალის პოტენციალს და ზრუნავდნენ მათ ეფექტურ გამოყენებაზე. წარმატება მხოლოდ ადამიანთა სინერგიული ურთიერთობის შედეგადაა შესაძლებელი, როდესაც საბაზრო ეკონომიკისა და სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთზეგავლენის პრობლემატიკას განვიხილავთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, რადგან კრიზისები მოითხოვს ეროვნული ეკონომიკისგან ახალ რესურსებს და დინამიური განვითარების ახალ შესაძლებლობებს. ის ქვეყნები გაუძლებენ რყევებს და არ დაარღვევენ ბალანსს პირად ეკონომიკურ დაინტერესებასა და სამართლიანობას შორის, რომლებიც შეძლებენ, რაციონალურად გამოიყენონ საკუთარი რესურსები, ფინანსური და ადამიანური კაპიტალი. ეკონომიკური საქმიანობის პროცესში არის მთელი რიგი მიმართულებები, სადაც სამართლიანობა განმსაზღვრელია ერთის მხრივ, როგორც ამ დარგების განვითარების ვექტორი, მეორეს მხრივ როგორც მნიშვნელოვანი ბერკეტი, ქვეყანებში სოციალური წონასწორობის დამყარებისა და შენარჩუნების. ეკონომიკის ეს მიმართულებებია: სოციალური ეკონომიკა, სადაზღვევო საქმე, დასაქმება, მედიცინა, სოციალური უზრუნველყოფა, დემოგრაფია და შრომითი მიგრაცია, შრომის ანაზღაურების მატერიალური სტიმულირების სისტემა და სხვა.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-16 მუხლის თანახმად ქარტიაზე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი მთავრობები ვალდებულია იღებენ ითანამშრომლონ ოჯახური ცხოვრების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური დაცვის საქმეში ისეთი საშუალებებით, როგორცაა სოციალური და ოჯახური დახმარება, საგადასახადო შეღავათები, ოჯახის უზრუნველყოფა ბინით, დახმარება ახალშეუღლებულთათვის და სხვა შესაბამისი საშუალებებით.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სოციალურ-ზნეობრივი სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა“ ფარგლებში.

ნაშრომში განხილულია სამართლიანობის პარადიგმა, როგორც სამართლიანობის იდეისა და შეხედულებათა ერთობლიობა ეკონომიკაში.

სამართლიანობის მთავარი მიზანი და ამოცანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის უზრუნველყოს მოქალაქეები თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობებით და სოციალური დაცვის სათანადო მექანიზმებით. ბიზნესში მომუშავე ადამიანებისათვის ეს არის შრომის უფლება და დასაქმების პერსპექტივა. ამ თვალსაზრისით დამსაქმებლები უნდა ცდილობდნენ, რომ მათთან დასაქმებულები შრომის ბაზარზე მუდმივად იყვნენ მოთხოვნადები და მეორე — ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ დოვლათის საზოგადოებრივ განაწილებაში.

სამართლიანობის პარადიგმა საბაზრო ეკონომიკაში გულისხმობს, რომ თითოეული ადამიანი მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით აქტიურად იყოს ჩართული შრომით საქმიანობაში. დამსაქმებლები მუდმივად უნდა აფასებდნენ დასაქმებული პერსონალის პოტენციალს და ზრუნავდნენ მათ ეფექტურ გამოყენებაზე. წარმატება მხოლოდ ადამიანთა სინერგიული ურთიერთობის შედეგადაა შესაძლებელი.

Resume

This article is prepared at the faculty of law and international relations of GTU, within a framework of scientific and research project “Law-governed state as a social-moral state and market economy”.

Justice paradigm is given in the work as the unity of ideas and visions of justice in economy.

The main goal and objective of justice under the market economy conditions lies in the provision of citizens with equal economic opportunities and appropriate mechanisms of social protection. For humans working in the business sector, it is a right to work and employment prospects. In this regard employers have to try their best that their employees would be always much-in-demand in labor market and second – they would be actively involved in the distribution of social wealth.

Justice paradigm in the market economy implies that each human has to be engaged in the work activities based on his/her individual abilities. Employers should permanently estimate the potential of employees and care for its effective use. Success is possible as a result of synergetic relations between humans only.

Резюме

Статья подготовлена на факультете права и международных отношений ГТУ, в рамках научно-исследовательского проекта «Правовое государство, как социально-нравственное государство и рыночная экономика».

В работе рассмотрена парадигма справедливости, как единство идеи и представлений о справедливости в экономике.

Главная цель и задача справедливости в условиях рыночной экономики заключается в обеспечении граждан равными экономическими возможностями и соответствующими механизмами социальной защиты. Для людей, работающих в сфере бизнеса, это право на труд и перспектива трудоустройства. В этой связи работодатели должны стараться, чтобы трудоустроенные у них люди были бы всегда востребованы на рынке труда и второе – они активно участвовали бы в разделении общественных благ.

Парадигма справедливости в рыночной экономике подразумевает, что каждый человек, с учетом его индивидуальных возможностей должен быть включен в трудовую деятельность. Работодатели постоянно должны оценивать потенциал трудоустроенного персонала и заботиться о его эффективном использовании. Успех возможен только в результате синергических отношений между людьми.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, გ. წერეთელი. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. „მეცნიერება“, თბილისი, 2003 წ.
- ლ. ბალცეროვიჩი. თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, თბილისი, 2004.
- ლუდვიგ ერჰარდი. „კეთილდღეობა ყველასათვის“. გამომცემლობა „გრაალი“, თბილისი, 2011წ.
- დავით იაკობიძე. „გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე“. თბილისი, 2011წ.
- დ. ვეკუა, ი. ვეკუა. საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაზღვევის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები. თბილისი, 2013წ.
- დ. ვეკუა. პოლიტიკის სრულყოფის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები საქართველოში“. გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2011.
- სალომე ხიზანიშვილი, ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი. სამართლიანობა. ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2019წ.
- Аникин В.А. Юность науки. М., 1985.
- В.А. Вайпан. Теория справедливости: право и экономика.
- Мусский И.А. Сто великих мыслителей. Москва. М., 2010г.

კულტურის პოლიტიკა - საქართველოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი ბამონწივე (პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები)

მანანა ღარაშვილი *

შესავალი

ყველან, ყველა დროში საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა წარმოადგენს ხელისუფლების ძირითად ფუნქციას. საზოგადოების ცხოვრების წესს კი - ღირებულებები, ნორმები და ამ საზოგადოების წევრთა მიერ წარმოებული მატერიალური სიკეთეები - კულტურა მოიცავს.

ამერიკელი სოციოლოგი - ენტონი გიდენსი აღნიშნავს, რომ ამ ორ კონცეფციას შორის უმჭიდროესი კავშირია. ვერც ერთი კულტურა ვერ იარსებებს საზოგადოების გარეშე, მაგრამ ვერც ერთი საზოგადოება ასევე ვერ იარსებებს კულტურის გარეშე⁸⁵.

ფართოდ გავრცელებული და იმავდროულად ყველაზე მოკლე განმარტების მიხედვით, კულტურა - ესაა ადამიანის გარემოცვის ის ნაწილი, რომელიც ადამიანების მიერაა შექმნილი.⁸⁶

საყურადღებოა, საერთაშორისო მიდგომა - UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია კულტურული მრავალფეროვნების შესახებ (2001 წლის 2 ნოემბერი, გენერალური კონფერენცია), რაც გულისხმობს მტკიცე სოლიდარობის დამყარებას კულტურული მრავალფეროვნების აღიარების, კაცობრიობის ერთიანობის გაცნობიერებისა და კულტურათშორისი გაცვლების გაძლიერების საფუძველზე. ამასთან, რომ „ადამიანის, ღირსების დასაცავად აუცილებელია კულტურის ფართოდ გავრცელება, და კაცობრიობის განათლება, რაც ემსახურება სამართლიანობის, თავისუფლებისა და მშვიდობის მიზნებს, და ყველა ერის საკრალური ვალთა უზრუნველყოს ეს ურთიერთდახმარებისა და ზრუნვის სულისკვეთებით“.⁸⁷

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის ქრილში, პოლიტიკის კულტურასთან დამოკიდებულება არაერთხელ გახდა დისკუსიის საკითხი, რომელიც მიმართულია და განიხილავს სახელმწიფოსა და საზოგადოების როლს კულტურული პროცესების უკეთ წარმართვისათვის, რადგან სწორედ კულტურას ცენტრალური ადგილი უკავია იდენტურობის, სოციალური ერთიანობის, და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების საკითხებზე ამჟამად მიმდინარე დებატებში. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება კანონის საფუძველზე (კონსტიტუციის 34 მუხლი), სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას; საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე და რომ კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული კანონმდებლობის გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით (იუნესკო, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა და სხვა), თანამშრომლობით გაზიარებული ვალდებულებებიც აქვს, კულტურის სექტორის გასაძლიერებლად და კულტურის, როგორც რეფორმატორის, ტოლერანტულობისა და სოციალური შემაკავშირებლის როლის გასაზრდელად. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის კვლევა ხელისუფლების ცვლის დინამიკაში, არსებული დოკუმენტაციის შესწავლა, პოლიტიკური პარტიების

⁸⁴ * ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

⁸⁵ Гиденс Э. Социология. М. 1999

⁸⁶ იგულსხმება სულიერი და მატერიალური კულტურა.

⁸⁷ კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია, 2001 წლის 2 ნოემბერი, გენერალური კონფერენცია.

ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი და მისი ასახვა მათ საპროგრამო დოკუმენტებში, ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულების და ინიციატივების შესრულება რამდენად არის ქვეყნისადმი დასახულ მიზანთან შესაბამისობაში მეტად აქტუალურია.

კვლევის მიზანია - საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული კულტურის პოლიტიკის შესწავლა.

კვლევისას ძირითადად გამოყენებულია ისტორიზმის, დოკუმენტების, ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე ანალიზის მეთოდი. წყაროთმცოდნეობის ბაზას წარმოადგენს კულტურის პოლიტიკის სფეროში არსებული ნაშრომები, სტატიები, პრესა, ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული დოკუმენტები.

კვლევის ჰიპოთეზაა - საქართველოში ყველა დროის ხელისუფლება, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდა კულტურის ხელშეწყობას; თანამედროვე ეტაპზე, თუ დასახული მიზნის მიღწევისთვის ქვეყნის კულტურის პოლიტიკა ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, კერძო სექტორის და საზოგადოების ფართო ჩართულობით განხორციელდება, მაშინ იქნება შესაძლებელი ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემების და გამოწვევების დაძლევა შესაძლებელი.

კულტურა, როგორც თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი განზომილება და კატალიზატორი სხვადასხვა საკითხის განვითარებაში (საქართველოს კონტექსტი)

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ კულტურა - მშვიდობიანი, სამართლიანი, ჰუმანური გარემოსა ფორმირების საჭირო ინსტრუმენტია.

საერთაშორისო გამოცდილებით აღიარებულია კულტურის როლი მსოფლიოს მდგრადი განვითარების - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კომპონენტების ამოქმედებასა და გაძლიერებაში. სწორედ ამიტომ, ბოლო პერიოდში გაერომ არაერთი რეზოლუცია მიიღო განვითარების დღის წესრიგში კულტურის კომპონენტის ინტეგრირებაზე. მთელი რიგი კვლევების შედეგებით კულტურა და შემოქმედება ევროპის ქვეყნებში პირველ 3 დამსაქმებელს შორის არის, მშენებლობისა და საკვები/სასმელების ბიზნესის შემდგომ და რომ შემდეგში კიდევ უფრო გაიზრდება მისი მნიშვნელობა.⁸⁸

საქართველოსთვის ამ კუთხით კულტურის მნიშვნელობა განსაკუთრებით ტურიზმთან ურთიერთკავშირით იკვეთება. ტურიზმი ხომ მსოფლიო ეკონომიკის ის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომლის როლი და მნიშვნელობა მუდმივად მზარდია. გასაკვირი არაა, რომ საქართველოსადმი, ისტორიულ/გეოგრაფიული მონაცემებიდან გამომდინარე, ინტერესი ყოველთვის დიდია. საქართველოში ტურიზმი ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა. ყოველწლიურად მატულობს, ტურისტთა ნაკადი, როგორც შიდა ისე საერთაშორისო მიმართულებით. ტურიზმის განვითარებისთვის მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული რესურსის შესწავლა/შეფასება რეგიონების მიხედვით. არსებული დამოკიდებულების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში ყველა შესაბამისი სტრუქტურა ცდილობს დახვეწოს, განავითაროს თავისი მუშაობა.

„ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“ (1999წ.01.10.) ტურიზმის ერთ-ერთ ძირითად სფეროდ კულტურულ მემკვიდრეობას განიხილავს (მუხლი4), რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს კაცობრიობის განვითარებაში და ამასთან ქმნის სტიმულს საზოგადოების მიერ გარე სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისა და მათი დაცვის აუცილებლობის საფუძველიანი გაგებისთვის. აღნიშნული კოდექსი მნიშვნელოვანია იმდენად, რომ პირდაპირ მითითებულია ტურისტული პოლიტიკის და საქმიანობის განხორციელებაზე ხელოვნების, არქეოლოგიისა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემისა და დაცვით, ტრადიციული კულტურის, ხელნაკეთი ნივთებისა და ფოლკლორის ინდივიდუალობის შენარჩუნება და აღორძინებით, მათი

⁸⁸ <http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-Creating-Growth-Measuring-Cultural-and-Creative-Markets-in-the-EU,pdf> nanaxia 22.06.2019. https://matsne.gov.ge/ka/document/download/2704251/0/ge/pdf_sajaro_samarTlis_iuridili_piris – kulturuli memkvidreobis dacvis erovnuli saagentos debuleba, 2015 w.03.02. nanaxia 06.04.2019.

დაცვისა და მომავალი თაობებისათვის გადაცემის მიზნით.⁸⁹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების - მიზნებში პირდაპირაა მითითებული - საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევასა და პოპულარიზაციაზე; კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და შემეცნების მიზნით; სააგენტოს საქმიანობის საგანს კი, შეადგენს თანამშრომლობა საქართველოს და საზღვარგარეთის შესაბამის სამთავრობო, სამეცნიერო, სასწავლო და სხვა დაწესებულებებთან; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სესიების, სიმპოზიუმების, თათბირების, სემინარების, კონსულტაციების მოწყობა; საქმიანი კონტაქტების და თანამშრომლობის დამყარება საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან და ძეგლთა დაცვის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ორგანიზებული ტურიზმისათვის ხელშეწყობა, რომელიც კულტურულშემეცნებითი პროგრამების მოამზადება/განახორციელებაში გამოიხატება⁹⁰.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყანა, რომელიც ცდილობს განვითარებას სწორი, ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელებით, მისთვის გაეროს ინიციატივა, რომ 2017 წელი საერთაშორისო წლად იყო გამოცხადებული დევიზით: „მდგრადი ტურიზმი - განვითარებისათვის“ დიდ ინტერესს იწვევდა. ბუნებრივია, ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა, ხელშეწყობა და ამავდროულად, კულტურისადმი განსაკუთრებული ინტერესი - ეს ქმნიდა კულტურული ტურიზმის საერთო ხელშეწყობას.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით კულტურული ტურიზმი - არის ადამიანთა მოგზაურობა, რაც განპირობებულია კულტურული მოტივაციებით, როგორცაა სასწავლო და სამეცნიერო ტურები, ხელოვნებასთან ზიარება, ფესტივალებზე და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მონახულება, კულტურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების გაცნობა, მომლოცველობა, კულტურული კავშირების გაღრმავება და ა.შ.⁹¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 თებერვლის №49 დადგენილებაში, „საქართველოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ პირველად იქნა საქართველოში ოფიციალურ დონეზე გამოყენებული ტერმინი „კულტურული ტურიზმი“⁹².

კულტურული ტურიზმის მნიშვნელობა ხასიათდება რამდენიმე კომპონენტით, გარდა ეკონომიკური და სოციალური სარგებლისა იგი ახდენს ქვეყნის ტურისტულ იდენტიფიცირებას, ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადამიანებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

კულტურული ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ატრაქციებს⁹³ და მისთვის ხარისხის მინიჭების საკითხს (განსაკუთრებით ტურისტულ ქვეყნებში). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის იუნესკოს მიერ აღიარებული ძეგლები. სახელმწიფოთაშორისო კომიტეტს ყოველწლიურად მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეაქვს ახალი ობიექტები. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ობიექტები სამ - კულტურულ, ბუნებრივ და კულტურულ-ბუნებრივად ჯგუფად იყოფა. ამ ნუსხაში მოხვედრილი ობიექტი, როგორც კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქმნილება მსოფლიო საგანძურის ნოდებით სარგებლობს.

საქართველო 1992 წლის 7 ოქტომბრიდან UNESCO-ს სრულუფლებიანი წევრია. იმ დროიდან ორგანიზაციის კონსტიტუციის მე-7 მუხლის საფუძველზე, დაარსდა საქართველოს (საგარეო

⁸⁹ ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი, <http://cf.cdn.unwt.org/sites/all/files/docpdf/georgia2015.pdf>,

⁹⁰ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, <https://gnta.ge/ge/authors/> ნანახია 06.02. 2019

⁹¹ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, ჰტტპს://გნტა.გე/გე/აუტჰორს/ ნანახია 06.02. 2019, 17

⁹² დევიძე, ე., კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები. 2012

⁹³ ქართულად ღირსშესანიშნაობის სინონიმი (უფრო ვიწრო მნიშვნელობით მიმზიდველი).

საქმეთა სამინისტროს ბაზაზე) უნეშჩ-ს საქმეთა ეროვნული კომისია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს უნეშჩ-ს მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების კოორდინირება და ორგანიზაციის საქმიანობის პოპულარიზაცია.⁹⁴

საქართველოს კულტურის 3 ძეგლი შევიდა იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (მცხეთის ისტორიული ძეგლები, ზემო სვანეთი, გელათის სამონასტრო კომპლექსი).

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სია, რომელშიც წარმოდგენილია 4 ქართული ნომინაცია:

1. ქართული მრავალხმიანობა — 2001 წელს, ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს მიერ აღიარებული იქნა როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედეგრი, ხოლო 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციაზე საქართველოს მიერთების შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა შეტანილ იქნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში.

2. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი — შეტანილ იქნა 2013 წელს.

3. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა — შეტანილ იქნა 2016 წელს.

4. ქართული ჭიდაობა — შეტანილ იქნა 2018 წელს⁹⁵.

მნიშვნელოვანია ასევე, UNESCO-ს ნეკრი სახელმწიფოებისადმი მხარდაჭერა, უკვე ტრადიციად ქცეული, მთელი რიგი კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს კულტურული ტურიზმის განვითარებას.⁹⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუნესკო 1956 წლიდან ნეკრ ქვეყნებში აღნიშნავს ღირსესანიშნავი ისტორიული მოვლენებისა და გამოჩენილი პირების იუბილეებს, რაც თავის მხრივ ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს. მიმდინარე, 2019 წელს კი - „მარჯორი სკოტ უორდროპის დაბადების 150 წლისთავი“ აღინიშნება (2019). საინტერესოა, რომ ზუსტად 110 წლის წინ ქართული პოლიტიკური აზრის ღირსეული წარმომადგენელი მიხაკო ნერეთელი გულისტკივილით აღნიშნავდა ქართული კულტურის დიდი ქომაგის მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შესახებ, ეს ინფორმაცია კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში კულტურისადმი ინტერესი და ერთაშორისი ურთიერთობები ამ მიმართულებით ყოველთვის აქტუალური იყო.⁹⁷

წარმოდგენილი მასალით, ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, დასტურდება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს UNESCO-ს ეგიდით განხორციელებულ პროექტებსა და თანამშრომლობას კულტურის უნიკალური თავისებურებანის, სახელმწიფოებრიობის ისტორიის, თვითმყოფადობის შენარჩუნების, რწმენა წარმოდგენების განსაკუთრებული პატივისცემისა და კიდევ სხვა მრავალი ღირებულების შენარჩუნება - პოპულარიზაციისათვის მსოფლიოში.

ქვეყნისთვის საერთაშორისო თანამშრომლობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამის დასტურია, ის დიდი ინტერესი და გამოხმაურება საზოგადოების მხრიდან რაც მოჰყვა 2017 წლის გაზაფხულზე მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად ზურაბ პოლოლიკაშვილის არჩევას (ის ამ თანამდებობაზე 2021 წლამდე იმუშავებს), რაც გარკვეულწილად საქართვე-

⁹⁴ 1992 წლიდან დღემდე, საქართველოს UNESCO-ს საქმეთა ეროვნულ კომისიას ჰყავდა ოთხი გენერალური მდივანი: პეტრე მეტრეველი, ირაკლი მეტრეველი, ეკატერინე ენუქიძე და ქეთევან კანდელაკი.

⁹⁵ ქართული ნომინაცია შეტანილ იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში <http://unesco.ge/?p=2405#more-2405> ნანახია 16.03. 2019

⁹⁶ საერთაშორისო ფესტივალები UNESCO-ს ეგიდით, მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსების მონაწილეობით და სხვა.

⁹⁷ მ. ნერეთელმა მ. უორდროპისადმი მიძღვნილი წერილი ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ 1909 წელს ფსევდონიმით B. გამოაქვეყნა (ის. დანართი№1) რომელიც ფაქტობრივად დღემდე ქართველ მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა.

ლოს როლის, ტურიზმში ერთ-ერთ მონინავე ქვეყნად აღიარებას მოიაზრებს⁹⁸. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მისი ინიციატივით, საქართველო მომავალ წელს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომას უმასპინძლებს. ამის შესახებ ზ. პოლოლიკ-აშვილმა აღნიშნა, რომ მასპინძელი ქვეყანა დიდი ისტორიისა და კულტურის მქონეა, რომელიც მიჩნეულია ღვინის სამშობლოდ, უნიკალური დამწერლობით და ტრადიციებით, სტუმართმოყვარე ხალხით⁹⁹.

საჭიროა აღინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, სადაც აღნიშნულია ტურიზმის განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები დასახული მიზნების მისაღწევად, მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას მთელ რიგ ასპექტებზე: საქართველოს მდიდარ და უნიკალური კულტურაზე (მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება, ისტორია, საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; ტურიზმთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციაზე; ამასთან, აღსანიშნავია სახელმწიფოს ზრუნვის საჭიროება საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე - ტრენინგების, განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ტურიზმის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით. რათა ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობა შეიქმნას და 2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იყოს, როგორც მონინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ¹⁰⁰ აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს“¹⁰¹.

საერთაშორისო ტურიზმში საქართველოს ჩართულობის შესახებ ზოგადი სურათის შესაქმნელად ვიკვლიეთ ბოლო ხუთი წლის პირველი კვარტლის განმავლობაში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობას საქართველოში (ეს მართალია უშუალოდ კულტურულ ტურიზმის კვლევა არ არის, მაგრამ, არსებული მონაცემებით აშკარა ქართული კულტურისადმი ინტერესი, ამასთან, როგორც ტურიზმის მსოფლიო საბჭო (ჭთთჩ) აღნიშნავს - საერთაშორისო ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების გათვალსწინებით.¹⁰²

2015 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა -0.7%-ით (სულ 1,122,035) ნაკლები იყო (აქედან 28.2% ვიზიტის მიზნად მეგობრების მონახულებ-

⁹⁸ "ეს იქნება ძალიან დიდი წარმატება არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის და კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ საქართველო ტურიზმში ერთ-ერთი მონინავე ქვეყანაა", - აღნიშნა მან.

⁹⁹ 2020 წელს საქართველო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომას უმასპინძლებს, <http://www.ghn.ge/news/232621-2020-tsels-sakartvelo-gaeros-msofliu-turizmis-organizatsiis-aghmas-rulebeli-sabchos-skhdomas-umaspidzlebs>, nanaxia 18.09.2019.

¹⁰⁰ თავი II, სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო რეგულირება ტურიზმისა და კურორტების დარგში, მუხლი 4. ტურიზმისა და კურორტების დარგის სახელმწიფო რეგულირების პრინციპები.

¹⁰¹ საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ. 1997 წლის 6 მარტი. N 599 - II ს. ნანახია 02.06.2019

¹⁰² ოფიციალურ მონაცემებს აქვეყნებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე). პირველი კვარტალი შეგნებულად შეირჩა (როგორც ნეიტრალური სეზონი).

ბას, 24.2% გართობა/დასვენებას ასახელებს. საერთაშორისო ვიზიტების 43.1% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 23.7%-ით. ეს მონაცემი დიდი ალბათობით კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას მოიცავს.).

2016 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 11.8%-ით (სულ 1,254,855) გაიზარდა (აქედან 27.4% ვიზიტის მიზნად გართობა/ დასვენებას, 25.9% მეგობრების მონახულებას, ასახელებს. საერთაშორისო ვიზიტების 46% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 24.8%-ით. ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში შოპინგი (65.8%) და ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (58.4%) დაფიქსირდა. მას მოსდევს ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება (26.6%).

2017 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 9.8%-ით (სულ 1,378,097) გაიზარდა (აქედან 29.3% ვიზიტის მიზნად გართობა, დასვენებას, 26.9% მეგობრების მონახულებას, ასახელებს. საერთაშორისო ვიზიტების 46.1% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 19.3%-ით. ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში შოპინგი (75.7%) და ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (62.5%) დაფიქსირდა. მას მოსდევს ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება (26.2%).

2018 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 14.8%-ით (სულ 1 582 382) გაიზარდა (აქედან 35% ვიზიტის მიზნად გართობა, დასვენებას, 26.8% მეგობრების მონახულებას, ასახელებს. საერთაშორისო ვიზიტების 51% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 21.5%-ით. ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში შოპინგი (72%) და ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (64.3%) დაფიქსირდა. მას მოსდევს ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება (30.3%).

2019 წლის I კვარტალში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2.2%-ით (სულ 1 617 548) გაიზარდა (აქედან 35.8% ვიზიტის მიზნად გართობა, დასვენებას, 21.6% მეგობრების მონახულებას, ასახელებს. საერთაშორისო ვიზიტების 52.1% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 19.4%-ით. ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში შოპინგი (58.4%) და ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (67.4%) დაფიქსირდა. მას მოსდევს ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება (36.9%). ცხრილი №1


საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტები წლების მიხედვით (პირველი კვარტალი, ცხრილი №1)

წლები (კვარტალი)	ვიზიტორთა საერთო რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი წინა წელთან მიმართებაში	ვიზიტის მიზნის მაჩვენებელი ცვლა	ვიზიტი განხორციელდა ქალაქებში(თბილისი, ბათუმი და სხვა)	ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში
2015	1 122 035	-0.7%	28.2% მეგობრების მონახულება, 24.2% გართობა, დასვენებას.	43.1 თბილისი, 23.7% ბათუმი	არ ფიქსირდება

2016	1 254 855	11.8%	27.4 გართობა, დასვენება. 25.9% მეგობრების მონახულება,	46% თბილისი, 24.8% ბათუმი	შოპინგი (65.8%); სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (58.4%); ძეგლების მონახულება (26.6%).
2017	1 378 097	9.8%	29.3% გართობა, დასვენება, 26.9% მეგობრების მონახულება,	46.1% თბილისი, 19.3% ბათუმი	შოპინგი (72%);სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (62.5%);ძეგლების მონახულება (26.2%).
2018	1 582 382	14.8%	35.8% გართობა, დასვენება; 21.6% მეგობრების მონახულება.	51% თბილისი, 21.5% ბათუმი	შოპინგი (72%); სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (64.3%); ძეგლების მონახულება (30.3%).
2019	1 617 548	2.2%	35.8% გართობა, დასვენება, 21.6% მეგობრების მონახულება.	52.1% თბილისი, 19.4% ბათუმი	შოპინგი (58.4%); სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (67.4%);ძეგლების მონახულება (36.9%).

ამ მონაცემებიდან აშკარაა, რომ ტურიზმის მსოფლიო საბჭოს განცხადებაში ნათქვამი საერთაშორისო ტურიზმის წვლილთან მიმართებაში - მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მის პირდაპირ და გვერდით ეფექტებში, სწორედაც რომ ამ კუთხით შეიძლება ქართული სინამდვილისთვის ღირშესანიშნაობებისადმი ინტერესი ვიგულისხმოთ (რაც ბუნებრივია კულტურასთან პირდაპირ კავშირშია).

ვიზიტორთა რაოდენობის მაჩვენებლის ცვალებადობა წლების მიხედვით.



ბუნებრივია, კულტურული ტურიზმის ხელიშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ საერთაშორისო კულტურული და სპორტული ღონისძიებებიც, რომელიც აქტიურად გამოიყენება ტურისტების მოსაზიდად და ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ ადგილის პოპულარიზაციის მიზნით სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. აღსანიშნავია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის კლასიკური მუსიკის კონცერტები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.

ერთობლივი ძალისხმევით, ხელისუფლების ჩართულობით, მიმდინარე წელს (2019), მიუხედავად ქვეყანაში ტურიზმის სექტორში შექმნილი პრობლემისა (რუსი მაღალჩინოსანი პოლი-

ტიკოსის სტუმრობით გამონვეული დაძაბული პოლიტიკური ვითარება იგულისხმება, რამაც რუსეთიდან ტურისტთა დენადობა შეაფერხა), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცულ ტერიტორიებზე შენარჩუნებული იქნა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პოზიტიური ტენდენცია¹⁰³.

ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობის ამოცანა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს, რაც მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, პრაქტიკულად ხორციელდება.

საქართველოს ხელისუფლების კულტურის პოლიტიკა

თანამედროვე გლობალურ სამყაროში მართალია გარკვეულწილად კნინდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ფაქტია, თავის მხრივ იზრდება ამ სახელმწიფოებში საკუთარი ეროვნული იდენტობის განვითარების მნიშვნელობა. ქართული ნაციონალური იდენტობა მჭიდროდ უკავშირდება კულტურას, საკუთარი თვითმყოფადობისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და ამ მიმართულებითაც საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას. რაც მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას - ხელისუფლების მიერ გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომ ადილი ჰქონდეს, როგორც არსებულის დაცვა-შენახვას, ასევე სიახლეების დანერვასა და განვითარებას.

ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც მრავალფეროვანია, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მრავალფეროვანი და დინამიური კულტურული იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედება, ასევე მათი მისწრაფება თანაცხოვრებისკენ. ხელისუფლების პოლიტიკამ კი ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას სოციალური ერთიანობისათვის, სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მშვიდობისათვის, როგორც კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია მიუთითებს¹⁰⁴ ამ თვალსაზრისით, კულტურული პლურალიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ პასუხს კულტურული მრავალფეროვნების რეალიზაციაზე. კულტურული პლურალიზმი, რომელიც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია და საუკეთესო პირობებს ქმნის კულტურული გაცვლებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებისთვის, რაც საზოგადოების მასაზრდოებელი რესურსია. საქართველოს ეს ვალდებულება რა თქმა უნდა აქვს (ამ დეკლარაციით) და მე-9 მუხლის - პოლიტიკა კულტურის სფეროში როგორც შემოქმედების კატალიზატორი, ფარგლებში, ცდილობს ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყოს კულტურის სფეროში ისე, რომ უზრუნველყოს იდეებისა და ნაწარმოებების თავისუფალი გავრცელება, ხელსაყრელი პირობები შეუქმნას კულტურული დანიშნულების ნივთებისა და მომსახურეობათა წარმოებას და გავრცელებას იმ კულტურული ინდუსტრიების საშუალებით, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობა დაიმკვიდრონ თავი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

ქართულ სინამდვილეში (როგორც უკვე აღინიშნა), ეს ყველაფერი სწორადაა გააზრებული და საქართველოს კანონით „კულტურის შესახებ“ რეგულირდება¹⁰⁵, რომელიც, კანონში აღნიშნულია, რომ ამკვიდრებს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის პრიორიტეტულობას პიროვნების

¹⁰³ დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 17%-ით გაიზარდა, <http://www.ghn.ge/news/>, ნანახია 01.07.2019

¹⁰⁴ კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია, 02.11.2001წ. http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/diversity/pdf/declaration_cultural_diversity_ka.pdf, ნანახია 07.06.2019

¹⁰⁵ საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ არის ქვეყანაში კულტურის განვითარების და დაცვა-შენარჩუნების სამართლებრივი საფუძველი. 12/06/1997. პარლამენტის უწყებანი, 33, 31/07/1997

ჰარმონიულ აღზრდასა და განვითარებაში, მის შეუზღუდავ თვითგამოხატვაში, ხალხის, თითოეული მოქალაქის კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებაში, მთელი საზოგადოების ზნეობრივ სრულყოფასა და ჰუმანიზაციაში. ამასთან, ითვალისწინებს ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან უმდიდრეს ტრადიციებს, კულტურის სფეროში მსოფლიოს ცივილიზებული ერების გამოცდილებას; აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას - ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას; კულტურის სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ჩამოყალიბებასთან ერთად, განსაზღვრავს თითოეული მოქალაქის ვალდებულებას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის საქმეში; საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ კულტურის სფეროს პრიორიტეტულობის, მისი უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ავალებს სახელმწიფოს, ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებს გაუწიონ მაქსიმალური ფინანსური და სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური დახმარება კულტურის ყველა დარგს.¹⁰⁶

აღნიშნული ფაქტი მეტყველებს, რომ მიუხედავად, მეოცე საუკუნის მიწურულს ქართულ სინამდვილეში, სამოქალაქო დაპირისპირების გამო, მიმდინარე რთული პოლიტიკური პერიოდებისა, საქართველოს ხელისუფლება კანონის შემუშავება/მიღებით ცდილობდა საკითხის რეგულირებას, თუმცა ფაქტია ამ პერიოდმა კულტურას, განვითარების კუთხით, მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა. მართალია, 2003 წლიდან¹⁰⁷ ქვეყანაში რეფორმების, აღმშენებლობის პერიოდი იწყება¹⁰⁸, იმ უამრავი ჩატარებული ღონისძიების მიუხედავად ქართველი ხელოვანებისგან ხშირად ისმოდა მკაცრი შეფასებები კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტების განსაღვრის, თანამედროვე ხელოვნებისა და მის განვითარებასათვის ნაკლები ყურადღების გამო. დრამატურგი დავით გაბუნია 2003 წლის შემგომ კულტურული პოლიტიკის შეფასებას შეუძლებლად იმ მარტივი მიზეზის გამო მიიჩნევს, რომ ცალკეულმა კულტურულმა ინიციატივებმა ერთიანი სისტემური პოლიტიკის სახე ვერ მიიღეს. „საინტერესოა, რომ გადანყვევტილებების მიღება ხშირად ინდივიდების პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნით ხდებოდა და ამას კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია, ხშირ შემთხვევაში, არც მალავდნენ. პერსონალიების მნიშვნელობას თუ არ ჩავთვლით, გაუგებარია, რა პრინციპით ფინანსდებოდა ცალკეული კულტურული პროექტები,“ - აღნიშნავს ის.¹⁰⁹

განეული საქმიანობის ვრცელი ნუსხის მიუხედავად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ნახსენები სიტყვა „ჩარეცხილები“ მუდამ ახსენებდა თავს ყოფილ ხელისუფლებას. ამ პერიოდის კულტურის მინისტრი ნიკა რურუა კულტურის პოლიტიკის შესახებ (შემდეგ წლებში), აღნიშნავდა, რომ კულტურის პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ არსებულის შენარჩუნებაზე, არამედ მის განვრცობაზე, რაც გულისხმობს სხვადასხვა დარგში ახალგაზრდა კრეატიული ჯგუფებისა და ადამიანების ხელშეწყობას, მათ უნდა ჰქონდეთ უპირობო მხარდაჭერა სახელმწიფოსგან, რადგან ეს ინდუსტრია ეკონომიკური სარგებლის მომტანიაო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს კულტურის საკითხის პრიორიტეტულობა მმართველი პარტიის, ქართული ოცნების, ხელისუფლებაში მოსვლამდე წინასაარჩევნო პროგრამაშიც, სადაც მითითებულია, რომ კულტურის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შედეგად საქართველო

¹⁰⁶ საქართველოს კანონი კულტურის შესახებ, 10.06. 1997წ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=9>, ნანახია 05.06.2019

¹⁰⁷ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს.

¹⁰⁸ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გასული 10-იან წლებში პრიორიტეტი ძეგლთა დაცვა, მათი რესტავრაცია-კონსერვაცია, ფოლკლორული მუსიკის პოპულარიზაცია იყო.

¹⁰⁹ კულტურული პოლიტიკის მოლოდინში, 19.10. 2012. ჰტტპ://ლიბერალი.გე/არტიკლეს/ვიენ/2717/კულტურული-პოლიტიკის-მოლოდინში . ნანახია 02.03.2019

თანამედროვე სამყაროს ღირსეული წევრი გახდება. შემუშავდება კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ისეთი პრინციპები, რითაც ხელი შეეწყობა ქართული კულტურული სივრცის მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი საქმიანობას კულტურის სფეროში და მოხდება შემოქმედებით პროცესში ხელისუფლების ჩაურევლობის უზრუნველყოფა.

2012 წლიდან, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკითხის დაყენება გააქტიურდა, როგორც უნდა ყოფილიყო კულტურის პოლიტიკა, რა აქცენტები იკვეთებოდა კულტურის პოლიტიკის სივრცეში. პირველ რიგში აქცენტი კულტურის დეპოლიტიზების აუცილებლობაზე, ბიუჯეტის სწორად განკარგვაზე კეთდებოდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2016 წელს მიიღო კულტურის „სტრატეგია -25“, სადაც აღნიშნულია საქართველოს მთავრობის მისია - შექმნას ხელსაყრელი გარემო და ნაყოფიერი ნიადაგი ეროვნული მემკვიდრეობის, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის და განერილია სტრატეგიული მიმართულებებით მუშაობა¹¹⁰.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ქართული ოცნების“ სამთავრობო პროგრამაში - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა მიმართული იქნება ქვეყნის ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად კი, უზრუნველყოფილი იქნება თანამშრომლობა ევროკავშირთან, რათა შემუშავდეს და დაინერგოს ინკლუზიური კულტურის პოლიტიკა.

აღებული კურსი შემდეგშიც გრძელდება. მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში. რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრულია 8 მიზნის მიღწევა, რომლითაც კულტურის სფეროში შეიქმნება სასურველი გარემო. კერძოდ: „1.კულტურისა და შემოქმედების ღირებულება გაცნობიერებულია საზოგადოებაში და ინტეგრირებულია განათლების სისტემის ყველა დონეზე; 2.კულტურა ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა წევრისთვის, ადგილმდებარეობის განურჩევლად, კულტურული მრავალფეროვნება დაცულია და მხარდაჭერილი; 3.კულტურა და შემოქმედებითობა ქვეყნის განვითარების ინტეგრირებული ნაწილია, რაც დამატებით ინოვაციურ შესაძლებლობებს ქმნის სხვა დარგების გაძლიერებისთვის და ხელს უწყობს საქართველოს საზოგადოების მდგრადობასა და კეთილდღეობას; 4.კულტურის სფეროში დასაქმება მიმზიდველია და სფეროს მუშაკთა ღირსეული სათანადოდაა დაფასებული; 5.კულტურის ინფრასტრუქტურა შეესაბამება მომხმარებლისთვის თანამედროვე, მაღალხარისხიანი პროდუქტის და მომსახურების მიწოდების მოთხოვნებს; კულტურის სფეროს ფინანსური მხარდაჭერა სტაბილურია, დაფინანსების მექანიზმები - მრავალფეროვანი და გამჭვირვალე; 6.კულტურის პოლიტიკა დაფუძნებულია კვლევებზე, პოლიტიკის ღია და გამჭვირვალე პროცესში ჩართულია პროფესიული წრეები და ფართო საზოგადოება; 7.კულტურა და შემოქმედება სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ზრდისა და ინოვაციის მნიშვნელოვანი წყაროა; 8.ინდივიდის შემოქმედებითობის გამოსავლენად შექმნილია საუკეთესო გარემო“¹¹¹.

ამასთან, საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველია, რომელიც ევროკავშირის პროგრამის - „შემოქმედებითი ევროპის“ წევრი გახდა და მომდევნო წლებში კულტურის პოლიტიკის სფეროში მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას გეგმავს.¹¹²

¹¹⁰ კულტურის სტრატეგია 2025, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2016 წელი. <http://www.georgianmuseums.ge/ckfinder/userfiles/files/kulturis-strategia-2025-bolo.pdf>. ნანახია 12.06.2019

¹¹¹ ძირითადი ასპექტი საქართველოს კულტურის სტრატეგიის მაგალითზე, 2016, <http://mcs.gov.ge/News/7-dzir-itadi-aspekti-saqartvelos-kulturis-strategii.aspx>, . ნანახია 11.07.2019

¹¹² საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის,

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი მთელი რიგი დოკუმენტების შენაწილის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ საზოგადოების დემოკრატიული განვითარება მხოლოდ საერთო კეთილდღეობაზე ორიენტირებით მიიღწევა, თანასწორი უფლებებით და პასუხისმგებლობებით. ამასთან, იკვეთება დასკვნები და რეკომენდაციები:

ნაშრომში შესწავლილი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ცხადად ჩანს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მართალია გარკვეულწილად სუსტდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ფაქტია, თავის მხრივ იზრდება ამ სახელმწიფოებში საკუთარი ეროვნული იდენტობის განვითარების მნიშვნელობა.

საქართველოში ქართული ნაციონალური იდენტობა მჭიდროდ უკავშირდება კულტურას, საკუთარი თვითმყოფადობისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას, ამავდროულად ხელს უწყობს საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას.

საქართველოში სახეზეა ხელისუფლების მიერ შესაბამისი ორგანიზაციების ოპერირებით კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა-განვითარება, რომელიც მიიღწევა, როგორც ადგილობრივ დარგთაშორისი, ისე საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებთან თანამშრომლობით.

საქართველოში ყოველი დროის ხელისუფლება ცდილობდა კულტურის სფეროს მონესრიგებას, ქართული კულტურის პოპულარიზაციას, დაცვა/განვითარებას; კულტურული ტურიზმის ხელშეწყობას.

ქართული კულტურის მეტი პოპულარიზაციისთვის, სასურველია კონკრეტული სიტუაციების, ღონისძიებების შესაბამისი შენაწილის საფუძველზე, მოხდეს მასში მოქალაქეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთიანი, მეტი ჩართულობა.

საჭიროა ხელისუფლების ზრუნვა მოქალაქეთა ფართოდ ინფორმულობისთვის, კულტურული ტურიზმის განვითარების მოთხოვნების შესაბამისობაში.

კულტურული ტურიზმის პოტენციალის მთლიანად გამოვლინებისათვის საჭიროა - მთელი რიგი ფაქტორების: კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სათანადო დონეზე დაცულობა; ინფორმაციის, კომუნიკაციის, მარკეტინგის მონესრიგება /უზრუნველყოფა.

კულტურული ტურიზმის მაქსიმალური ხელშეწყობით, რომელიც საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებას და მის მნიშვნელობას წარმოაჩენს, საზოგადოების ინტერესი წარმართული იყოს კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

კულტურის განვითარებისათვის საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა ხელისუფლების მხრიდან. შესაბამისად, სასურველია განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაცია, სამინისტროების გაყოფა, რადგან ცალკე განათლება და კულტურა განვითარებისათვის დიდ ძალისხმევას მოითხოვენ ხელისუფლების მხრიდან.

ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციასა და ქვეყნის პოპულარიზაციისთვის საჭიროა: ხელისუფლების მხრიდან მეტი ხელშეწყობა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის; კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება და თანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე.

რეზიუმე

ნაშრომი მომზადებულია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „კულტურის სამართლის“ ფარგლებში.

ნაშრომში ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე შეწავლილი და განხილულია კულტურის როლი და ადგილი თანამედროვე მშვიდობიანი გარემოსა ფორმირების პროცესში.

ნაჩვენებია - კულტურა, როგორც მსოფლიოს მდგრადი განვითარების - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კომპონენტების ამოქმედებასა და გაძლიერებაში; საქართველოში (ამ კუთხით) კულტურის მნიშვნელობა ტურიზმთან ურთიერთკავშირში, რადგან ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა, ხელშეწყობა და ამავდროულად, კულტურისადმი განსაკუთრებული ინტერესი - ეს ქმნის კულტურული ტურიზმის საერთო ხელშეწყობას, რაც ამავდროულად ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადამიანებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას; შესწავლილია კულტურული ტურიზმის განვითარებაში ატრაქციების მნიშვნელოვანი ადგილი, კერძოდ, საქართველოს მაგალითზე, დასტურდება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს UNESCO-ს ეგიდით განხორციელებულ პროექტებსა და თანამშრომლობას კულტურის უნიკალური თავისებურებანის, სახელმწიფოებრიობის ისტორიის, თვითმყოფადობის შენარჩუნების, რწმენა-წარმოდგენების განსაკუთრებული პატივისცემისა და კიდევ სხვა მრავალი ღირებულების შენარჩუნება - პოპულარიზაციისათვის მსოფლიოში.

ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემებით დასტურდება, რომ ხელისუფლების აქტიური ჩართულობით, მიმდინარე წელს (2019), მიუხედავად ქვეყანაში ტურიზმის სექტორში შექმნილი პრობლემისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცულ ტერიტორიებზე შენარჩუნებული იქნა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პოზიტიური ტენდენცია.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ხელისუფლების მცდელობა - შექმნას ხელსაყრელი გარემო და ნაყოფიერი ნიადაგი ეროვნული მემკვიდრეობის, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის.

Resume

The thesis was prepared in the framework of the scientific-research project of the Faculty of Law and International Relations "Cultural Law"

The paper examines and discusses the role and place of culture in the formation of a modern peaceful environment based on the study of empirical material.

Culture is presented - as the World's Sustainable Development – in the field of economical activation and empowerment of social and environmental components; the importance of Georgian culture and its interconnection with tourism, as it fosters the promotion, and at the same time, draws a special interest toward the cultural tourism. This creates a common promotion of cultural tourism and contributes the preservation of cultural heritage, the establishment of harmony and mutual understanding between people; is studied the development of cultural tourism attractions. Georgia's example demonstrates the importance of UNESCO-led projects and collaborations on unique cultural features, it aims to preserve the history of statehood and its originality, respect independence and faiths, etc., thus, promoting them in the world.

The data presented in the paper shows that with the active involvement of the authorities the current year (2019), (despite the problem in the country's tourism sector) the positive trend of increasing number of visitors has been maintained in the protected areas of the Ministry of Environment and Agriculture.

The paper examines the efforts of Georgian authorities to create a certain environment and a fertile ground for the preservation of national heritage, cultural diversity and its new perceptions, the development of creative activities and the diversification of cultural life.

Резюме

статья была подготовлена в рамках научно-исследовательского проекта факультета права и международных отношений "Культурное право".

На основании изучения эмпирического материала изучена и рассмотрена роль и место культуры в процессе формирования современной мирной среды.

Показана - культура, как отрасль устойчивого развития мира в процессе задействования и усиления экономических, социальных и экологических компонентов; в Грузии (в этом направлении) значение культуры находится во взаимосвязи с туризмом, так как забота о развитии и поддержке туризма, и в тоже время особый интерес по отношению к культуре – создаёт общую поддержку культурного туризма, что в свою очередь способствует сохранению культурного наследия, формированию гармонии и взаимопонимания между людьми; изучено важное место атракций в развитии культурного туризма, в частности, на примере Грузии, подтверждается важное значение проектов и сотрудничества, проводимых под эгидой UNESCO, для популяризации и сохранения уникальных культурных особенностей, истории государственности, сохранения самобытности, особого уважения к вере – представлениям и сохранения ещё многих других ценностей и их популяризации в мире.

По данным представленным в труде подтверждается, что благодаря активному участию правительства, в текущем (2019) году, несмотря на создавшиеся проблемы в сфере туризма, на территориях охраняемых Министерством по охране окружающей среды и сельского хозяйства, была сохранена позитивная тенденция роста количества визитёров.

В труде рассмотрена попытка правительства Грузии – создать благоприятную среду и плодородную почву для защиты национального наследия, защиты культурного многообразия и его нового осмысления, для развития творческой деятельности и многообразия культурной жизни.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гиденс Э. Социология. М. 1999
2. Rerry J.W. Culture: the neglected concept. The Search of indigenous Psychologies. Social Psychology AcrossCultures. 1999
3. კულტურული მრავალფეროვნების შესახებ უნეშფ-ს საყოველთაო დეკლარაცია, 2001 წლის 2 ნოემბერი, გენერალური კონფერენცია.
4. <http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-Creating-Growth-Measuring-Cultural-and-Creative-Markets-in-the-EU.pdf> nanaxia 22.06.2019.
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2704251/0/ge/pdf> საჯარო სამართლის იურიდიული პირის — კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულება, 2015 წ.03.02. ნანახია 06.04.2019.
6. ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი, <http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/docpdf/georgia2015.pdf>, ნანახია 20.05 2019

7. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულება, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4591823?publication=0> ნანახია 01.04. 2019
8. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, <https://gnta.ge/ge/authors/> ნანახია 06.02. 2019
9. დევიძე, ე., კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები. 2012.
- ქართული ნომინაცია შეტანილ იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში <http://unesco.ge/?p=2405#more-2405> ნანახია 16.03. 2019
11. 2020 წელს საქართველო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომას უმასპინძლებს, <http://www.ghn.ge/news/232621-2020-tsels-sakartvelo-gaeros-msoflio-turizmis-organizatsiis-aghmasrulebeli-sabchos-skhdomas-umaspindzlebs>, ნანახია 18.09.2019.
12. საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ. 1997 წლის 6 მარტი. N 599 - II ს. ნანახია 02.06.2019 დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 17%-ით გაიზარდა, <http://www.ghn.ge/news/>, ნანახია 01.07.2019
13. კულტურული მრავალფეროვნების შესახებ UNESCO-ს საყოველთაო დეკლარაცია, 02.11.2001წ. http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/diversity/pdf/declaration_cultural_diversity_ka.pdf, ნანახია 07.06.2019
14. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ, 10.06. 1997წ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=9>, ნანახია 05.06.2019
15. კულტურული პოლიტიკის მოლოდინში, 19.10. 2012. <http://liberali.ge/articles/view/2717/kulturuli-politikis-molodinsh> . ნანახია 02.03.2019
16. კულტურის სტრატეგია 2025, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2016 წელი. <http://www.georgianmuseums.ge/ckfinder/userfiles/files/kulturis-strategia-2025-bolo.pdf>. ნანახია 12.06.2019
17. ძირითადი ასპექტი საქართველოს კულტურის სტრატეგიის მაგალითზე, 2016, <http://mcs.gov.ge/News/7-dziritadi-aspekti-saqartvelos-kulturis-strategii.aspx>, . ნანახია 11.07.2019
18. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის, 2017, http://gov.ge/files/468_64590_885185_2041.pdf, ნანახია 10.05.2019
19. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, 2015წ. <https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/%E1%83pdf> ნანახია 02.03.2019
20. კულტურა და კრეატიულობა, www.culturepartnership.eu/ge/more-doc, ნანახია 01. 05.2019
21. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი <https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E12017-20201.pdf> ნანახია 08. 06.2019

დასართი №1¹¹³

მისს მარჯორი ვორდროზ

ბუხარესტში წელს მიიღვალა მოულოდნელად საუკეთესო უცხოელი მეგობარი საქართველოსი და ქართველი ერისა მისს მარჯორი ვორდროზ, დაბადებული 1869 წელს ინგლისში.

მისს მარჯორი ვორდროზი განუყრელი მეგობარი იყო თავისის ძმის მისტერ ოლივერ ვორდროზისა, რომელიც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ქვეყნებში დიდი ბრიტანიის კონსულად იყო ხოლმე. და-ძმანიც სარგებლობდნენ შემთხვევითა და სწავლობდნენ იმ ხალხის ენასა და ზნე-ჩვეულებას, სადაც ცხოვრება უხდებოდათ.

¹¹³ ავტორისეული სტილი დაცულია

მისს მარჯორი ვორდროპი დააინტერესა მისი ძმის, მისტერ ოლივერის მოგზაურობამ საქართველოში და მისმა წიგნმა, „საქართველოს სამეფო“-მ. მან ქართული ენის შესწავლაც დაიწყო და მალე მთელი თვისი ოჯახით ეწვია საქართველოს და ისე შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა, ისე გაიტაცა იგინი ჩვენი ქვეყნის მშვენიერებამ, ქართველთა წარსულმა და აწმყომ, რომ საუკუნოდ დაუმეგობრდენ საქართველოსა და უკანასკნელ დრომდე არ დავიწყებიათ არც მისი ყოველ-დღიური ჭირი-ვარამი, არც თავიანთი ქართველი მეგობრები.

მისტერ ოლივერ ვორდროპმა დასწერა მთელი წიგნი საქართველოზე: „საქართველოს სამეფო“. მისს მარჯორი ვორდროპისთვის კი ქართული ლიტერატურა თითქმის მეორე სამშობლო ლიტერატურად შეიქმნა. იგი მშვენივრად სწერდა და კითხულობდა ქართულად; მან შეისწავლა ძველი და ახალი ლიტერატურა ქართველთა და მუდამ სცდილობდა ინგლისის საზოგადოებისათვის გაეცნო იგი.

მისს მარჯორი ვორდროპმა ბევრი უცხო ენა იცოდა, მაგრამ ქართული ენა რაღაც განსაკუთრებულის სიმპატიით უყვარდა და ერთი სტრიქონიც არ გამოუტოვებია, ისე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი ახალი მწერლობის განვითარებას, ჩვენს პრესასა და უმნიშვნელო ბროშურებსაც კი.

ერთხელ წ. კ. გ. ს. ების წიგნის მაღაზიაში შეველდა ვნახე განსვენებულისაგან დაკვეთილი წიგნები გამიკვირდა. განსვენებულს საინტერესო წიგნთა შორის ისეთი რაღაც წვრილმანები გამოეწერა, რომ ჩვენ, აქ მცხოვრებთაც კი არ წავიკითხავს და ყურადღებაც არ მიგვიქცევია. მისს მარჯორი ვორდროპს ქართული მწერლობა სავსებით აინტერესებდა, - ძველიცა და ახალიც, მნიშვნელოვანიც და წვრილმანიცა.

დიდი ღვაწლიც დასდო განსვენებულმა, რომ ქართული ლიტერატურა და კულტურა ინგლისისათვის გაეცნო. მან გამოსცა ინგლისურად 1) ცხოვრება წმინდა ნინოსი, 2) „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, თარგმანი. 3) ქართული ხალხური ზღაპრები: 4) „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ საბა-სულხან ორბელიანისა. მისს მარჯორი ვორდროპი ისეთი თაყვანის მცემელი იყო ჩვენის უკვდავის შოთა რუსთაველისა, რომ ზედმინევნით შეისწავლა „ვეფხვის ტყაოსანი“, და არა ისე ზერელედ, როგორც ბევრი უცხოელი სწავლობს ხოლმე. მან მოინდომა გადათარგმნა ინგლისურად „ვეფხვის ტყაოსნისა“, და ნამდვილად გადათარგმნა, - არა ისე, როგორც ბევრი უცხოელი სთარგმნიდა ხოლმე ყოვლად უნიჭოდ და უშნოდ, ისე უხეიროდ, რომ ქართველი მკითხველი თავის „ვეფხვის ტყაოსანს“ ვეღარც კი სცნობდა ხოლმე. მისი თარგმანი არა გავდა - *Быль въ Аравьи Ростевань, покоритель многих стран*“-ს; მისს ვორდროპი სცდილობდა „ვეფხვის ტყაოსნის“ ენა, ორიგინალობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი „ვეფხვის ტყაოსნის“ შექმნა ინგლისურად, როგორც განსვენებულმა ივანე მაჩაბელმა შექსპირი შექმნა ქართულად.

ათ წელიწადს მუშაობდა მისს ვორდროპი ამ დიდი საქმის აღსასრულებლად, მაგრამ სიკვდილმა უმუხბთლა და შეაწყვეტინა ეს მისთვის სასიამოვნო შრომა. არ ვიცი, დაამთავრა თუ არა განსვენებულმა თვისი შრომა, მაგრამ უმეტესი ნაწილი რომ დამთავრებული და შემუშავებული ჰქონდა, ეს კი გვსმენია. შეიძლება ვიხილოთ როდისმე იგი დაბეჭდილი, და მაშინ ნათლად დავინახავთ, თუ რა ნიჭი გამოუჩენია მას „ვეფხვის ტყაოსნის“ ინგლისურად შექმნაში, რაიცა, განვიმეორებთ, დიდი და ძნელი საქმეა და უბრალო თარგმანს არ დაედრება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდ-ბუნებოვანო ადამიანო; საუკუნოდ იყოს ხსენება შენი როგორც შენს განუყრელ ძმამეგობრის ოლივერისათვის და სხვა მეგობართა შორის, შენთვის უცხო მაგრამ ძვირფასს მეგობარ ქართველთა შორის. ღვაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე, და მადლობელი ქართველი ერიც ეცდება დაუვიწყარ ჰყოს შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს.

Gender Factor in Georgian Politics

Maia Kipiani *

Emilia Alaverdov *

We cannot imagine sustainable development of the country without gender parity, as it helps to overcome many certain kind of problem. For example, harmonious development of society, political humanization and other not less important problems.

When talking about women role in politics, it is good to look in the past and start with Georgia's rich and multicultural history, which had many talented and powerful leaders, especially men. However, in the 12th century, instead of the king, Georgia had a queen. It was a representative of the Royal Family of Bagrationi, Queen Tamar. The period of her reign was marked as one of the brilliant chapters in the history of Georgia. At that time the country's borders were expanded, the trade was flourished, the social hardships overcome and the legislation improved. We have to highlight that exactly in that period, the death penalty was abolished and many other beneficial measures were undertaken. For these reasons the epoch of Queen Tamar is called the "Golden Age".

During the different times the history of Georgia is marked having various powerful and wise women: queens, mothers and wives of kings, who played significant and positive roles in the development of the country, but the head of state was mostly men. During the Soviet period men and women had equal rights, but during 70 years of its existence, the first secretary of the any republic was always a man. As for the woman, she was given only the second place.

The influence over the female representatives in political institutions is done by social, economic and political factors. Based on the existing realities, we know many worldwide cases of achieving gender equality. It depends on country's specifics, its features, political and social-economic system and not less important one the level of social development.

During the 1994-2012, Georgia joined almost every existing program and signed many agreements about gender equality. Nowadays, the gender equality problem is considered as one of the human development problem, and the world community faces a certain dilemma. The expectations are not satisfactory, legal declaration of documents, already adopted laws must be implemented and work in practice and not only be signed in papers. I think, to overcome the centuries long problem gender stereotype, government must do its best – to work out specific mechanisms. Here, we have to mention the equal election process and rights which are obviously the universal principles of democracy. However, we have to admit that in many countries there are violations of these principles.

It is known that, in order to overcome and combat the gender parity, the world's more than 70 countries carried out such kind of temporary events as electoral quotes. However, we have to highlight the fact that electoral quoting system has its supporter and opponents as well.

The supporters of quoting system refer to the following arguments.

Women represent the half of population and accordingly they must have half of mandates;

Quoting for women is not only discrimination but abusive and embarrassing;

Woman, as a citizen has all the rights to take decisions in legislative organs;

It is necessary to take into account women experience and specific needs in politics;

Woman is ignored in elections not because they are less professional but just because they are females;

* Professor, Georgian Technical University

* Associate Professor. Georgian Technical University

Women are as qualified as men but just because of male domination their qualification is diminished and minimalized;

Quoting is the quickest and most effective mechanism to increase the number of women representative in decision making organs.

The opponents say:

Quoting is against the equal principles of abilities, as the women are always in priority;

Quoting is anti-democratic, as the voter must make his/her decision;

Due to quoting system more professional men will stay out of politics;

Quoting causes conflicts within the political parties;

Quoting is against the liberal democratic process;

Political representatives are the ones who represent ideas and interests and not gender and social groups' representatives.

The introduction of quoting system is a way to strengthen female's opportunities, but if women do not have certain power they will not achieve the success of above mentioned system. Quoting system is a system which provokes misunderstandings, contradictions and criticism. There is no doubt that, all above mentioned arguments are very important, and to achieve and have success in quoting system women have to do certain steps and of course much affords. They have to prove that they are not just the decoration and law lever stuff of political sphere but they are a solid base and power of the system. Here we have to say that, the secretarial and office work of the political parties and official structures are done by almost mostly by women. We can claim that female stuff makes up almost 90% of all employees.

The woman activity first of all should include the development of new strategies and introduce their success to the society, as women achievements and activities mostly are unknown to the public.

The mentioned issue is very urgent and topical in Georgia as well. The quoting system first was initiated in Georgian parliament in 2003. In April 2008, the mentioned topic was introduced to the parliament by the support and signature of 32400 voters, to make amendments in the Organic Law of Georgia. The committee session was held, however in vain, the topic was not even listed in the session. Parliament, in 2010 again did not even pay any attention to the initiative about positive discrimination. But in December 27, 2011, in the Organic Law of Georgia was made an amendment about "the citizen political unification". According to the amendment political parties will be financed 10% more in case if in the first top 10 line will be female representative names; it means that they will make up 20% of candidates.

Women's activation is supported by civil sector too, which paid much attention in the country nowadays, and lobby gender quota since July 2014 (Gender Quota for political parties, election blocs, it was mandatory for them to have a different sex representatives in the name list. According to this system, in case of parliamentary election in the Georgian parliament there must be 38 women, it is 25% of all parliament members). The gender issue is actively discussed in the governmental level. Especially, is discussed and planned – "Amendment of Gender Equality in Georgian Legislation" according to the international legal standards.

We want to look back for the parliamentary elections and see the percentage of women candidates in 2008, it made up only 9%, in 2012 11.3% and in 2016-16% here we have see a positive trend in the process of women involvement but it is not enough for democratic standards.

Dates of the elections	The name of the legislative organ	The total number of MPs	The total number of female MPs
1990	Supreme Council	250	18
1992	Parliament	222	14
1995	Parliament	250	16
1999	Parliament	235	17
2004	Parliament	235	22
2008	Parliament	150	9
2012	Parliament	150	17
2016	Parliament	150	24

In the democratic society, political parties represent the most important subject of political relations. They play an important role in social fairness and in such democratic values development process as gender equality and women rights defense. Existing political parties in Georgia recognize the importance of women political participation and are ready to give a hand and support their promotion in political entities structures. The development of gender parity in political parties is very important and represents a vital process of realization female's interests. It is a tool women promotion, the indicator of parties' democratic development and the sign of social development.

Political parties give us a very interesting picture of women involvement in political list. The study of this picture shows us that, in 2012 all the 16 political subjects taking part in parliamentary elections, in the first top 20 names had approximately 20% of female candidates. It is true that, in accordance to the results of 2012 parliamentary election the number of women in parliament increased (twice), what exceeds all the previous indicators. But still situation leaves much to be desired. As the number of women candidate was very low, - the quota for 16 voluntary election subject was - 2 women out of 10 candidates will have state funding, and will get 10 percent of supplement (based on the discussed policy of recommendations of Venice Commission the amendments of "Political Coalitions Law" (28.12.2011) in order to increase women political activation), but this was fulfilled only by 6 political subjects out of 16.

As it is known from the results of 2012 parliamentary elections 2 political subjects entered the parliament: political block: "Bidzina Ivanishvili and Georgian Dreams" and political party "United National Movement". Out of 150 candidates 17 were women. From here, block: "Bidzina Ivanishvili and Georgian Dreams" had 11 female candidates and the "United National Movement" - 6. The first mentioned party in its majoritarian list represents 6 female candidates and by proportional - 5, as for the second one - the picture was - 1 majoritarian female candidate and 5 proportional. We want to look back for the parliamentary elections and see the percentage of women candidates in 2008 it made up only 9%, in 2012 11.3% and in 2016- 16%, here we have see a positive trend in the process of women involvement but it is not enough for democratic standards. As for the 2016 the situation is the following: out of 150 members there are 23 women, it makes up 16%. From ruling party "Georgian Dream-Democratic Georgia" 13; 8 - presented by party and 5 are majoritarian. From oppositional party "United National Movement" - 5 women, "David Tarkhan-Mouravi-Georgian Patriot Alliance, United Opposition" - 3, "European Georgia" -1, Independent Majoritarian Member - 1.

In terms of gender balance, a similar situation is in Judiciary system, for instance out of the Council of Justice 14 members, 10 are men and 4 women.

Still the female representatives in parliament do not make a "critical" mass, which is very important decision making factor. Today, when the 20% of Georgian territory is occupied by Russia and the country

has many IDPs, the 2/3 of population is under the line of poverty. The labor law has to be amended for the women protection and defense and many other vital issues leaves much to be desired. I think all the mentioned issues need female lobby.

To overcome and combat the mentioned problems, first of all must be arranged the inter-party structure, where gender mainstream would be in charge of decision making process. It is obvious that, women are considered as a middle or even lower level of party. As for the higher positions, they are occupied by men. It urges to rearrange the party system and make the given promises and taken responsibilities work.

In spite the fact that, gender equality issue is vital for government and social organizations. We have to mention that to reach the gender equality in the country are being carried out certain activities. For example, the transparency of information gender statistic and popularization of gender activities. But all these are not enough as they are going with very slow paces. I think that government should work out certain mechanisms for gender policy. Here, we have to say that the main way out of the situation is education. It is true that in Georgia there are conducted many trainings, seminars, round table discussions to raise public awareness but they are not enough. In my mind the gender principles must be studied at schools or even universities. Unfortunately, we have to say the activities of gender organizations are not satisfactory because in most cases they are duplicated. Gender issue becomes actual during pre-election period and in the period of international women' day. Such fragmentation reflects negatively on positive start of women activities and hinders mass scaled activities.

In spite of the fact that the principles of gender equality are written almost in every party's documents, they do not work in practice. We want to give some recommendations and advice which are based on the results of our various researches and monitoring;

To do certain steps to implement the principles of written gender parity in parties documents;

To cooperate with women/gender equality groups;

To introduce specific mechanisms to promote women in higher positions;

To work out gender strategy;

To divide parties' functions considering gender balance;

To introduce legislative changes considering women rights;

Consider international women rights standards and experience.

We want to draw your attention to the fact that, Georgian mentality about women stereotypes creates certain obstacles to achieve gender equality. In the end we want to recall the great Georgian poet, Akaki Tsereteli's words: "Society cannot be awake until a woman is sleeping". We think that these words have sense nowadays.

The head of state conception and parliamentary council for gender equality, Tamar Chugoshvili claims that, the state policy of gender equality is a vital issue and must be paid a great attention. She says that parliaments will renew the state conception every 7 years, in order not to coincide with political cycle. She adds that doesn't matter which political party is in power, this topic is equally important for any political team.

Tamar Chugoshvili highlights the action plan of gender equality council. She says that, the main aim of 2018/2020 action plan is the definition of state policy the main direction, improving and developing the state mechanism of gender equality, establish and develop a legislative basis in the field of gender equality, monitoring of the activities implemented for ensuring gender equality and work out certain recommendations, to strengthen the council's institution work and activities and raising awareness.

The below given research conducted in 2017 ensures us that the working process over the gender issue must go on more intensively:

Data on the Global Gender Index 2017 by Country: (None of the countries have overcome the gender problem, but there is significant progress in this direction)

Iceland
Norway
Finland
Rwanda
Sweden
Nicaragua
Slovenia
Ireland
New Zealand
Philippines

The global gender index was divided into four subdivisions: political, education, health and economic development.

The subdivision of the economic sphere showed that (Economic Participation and Opportunity) the 13 countries, among them six African countries - Burundi, Benin, Botswana, Rwanda, Namibia and Guinea - Norway and Sweden were able to eradicate 80%.

In the last two places are Pakistan and Syria. With this sub-division, 31 countries are below the world average level.

In 2017, 27 countries have completely eradicated the sphere of education (Educational Attainment subindexes), Benin, Guinea and Chad are in the top three. The 25 countries are below the world average level.

24 countries have been able to eradicate differences in the health and survival sphere. (Health and Survival gender gap subindex) Azerbaijan, Armenia and China are in the end of this list. Only 6 countries are below the world average.

The political sphere (Political Empowerment gender gap subindex). Only Iceland succeeded to eradicate more than 70% of the difference. As for the other 34 countries, the percentage is less than 10%. In Lebanon, Qatar and Yemen, the difference in political sphere is less than 2%.

In 2017, the countries which were able to completely eradicate differences in health care and education sphere are – Czech Republic, Latvia, Lithuania, Slovakia and Slovenia, as well as Brazil, from Eastern Europe and Central Asia. So, it is obvious that no country succeeded to eradicate the subdivision of economic or political spheres.

As for the situation in Georgia today, unfortunately it leaves much to be desired. It is in the list in the 94 place, with the score 0,679, which is in a very low position. As this project is working since 2006 and Georgia from 54 drop to 94, and accordingly its sub index decreased as well. If it was in 2006 in 115, in 2017 it appeared in 124. As for educational sphere it falls down from 28 to 81, economic sphere – from 41 to 75 and political from 59 to 114. We have to admit that it is alarming.

Since 1991 Georgia has gained the independence and has been declared as a presidential republic. The first president of independent Georgia became Zviad Gamsakhurdia. But the military council and the temporary government that came to the country's power after the 1991-1992 military coups suspended the transitional period of the Constitution. The presidential institution was still established in 1995 by the adopted of a new Constitution. The rights and power of president were determined in the fourth chapter of the Constitution of Georgia. Since the adoption of the first constitution, the powers of the president have changed several times.

The amendments made in 2010 restricted the President's powers in the favor of the Government and the Parliament; the President lost all the executive powers and has been banned from holding a party position; the President became a Chief Executive Officer of the Armed Forces of Georgia.

Independent Georgia has had 4 presidents; we have to note that all of them of masculine gender:

Zviad Gamsakhurdia, Eduard Shevardnadze, Mikheil Saakashvili, Giorgi Margvelashvili (current). Here, I would also like highlight the fact that the presidential duties performer was twice a woman (from November 2003 and January 2004, and November 2007 to January 2008). It was the Chairperson of the Parliament of Georgia, Nino Burjanadze.

For the presidential election in 2018 an independent woman candidate is Salome Zurabishvili, she was supported by the ruling party "Georgian Dream". The President of Georgia shall be elected on the basis of universal, equal and direct suffrage, with secret ballot for a term of five years.

The seventh presidential election of Georgia is going on with the high competition. The first tour was held on 28 October 2018, were the future president could not be chosen, because none of the candidates succeed to gain more than 50% of the votes. Salome Zurabishvili, independent candidate gained 38.64 %, as for Grigol Vashadze, United National Movement from oppositional party - 37.74%. So, there was no way out except to hold the second tour till December 2, between Salome Zurabishvili and Grigol Vashadze.

Salome Zurabishvili was born on 18 March, 1952, in Paris, in the family of Georgian emigrants. Her father had been leading the Georgian Diaspora in France for many years. Her ancestors left Georgia after the Soviet occupation, in 1921, in the times, when the first independent government of Georgia had to emigrate from the country. Salome Zurabishvili returned to Georgia as Ambassador of France, in 2004. However, soon the diplomatic post was changed by the political position – she was offered the post of Minister of Foreign Affairs of Georgia, by the present Mikhail Saakashvili. She served in that position from March 2004 until October 2005. During that period was signed the agreement on withdrawal of Russian military bases from the territory of Georgia. Later, in 2016, Salome Zurabishvili was an independent majoritarian of Mtatsminda and became the only independent candidate in parliament.

It should be emphasized that the possibility of choosing a woman as a president did not cause unrest in Georgian society. On one hand, it may be determined by the limited powers of the President according to the Constitution of Georgia, and on the other hand, raising awareness of the population and promoting democratic values.

As we have already mentioned, after the 2016 parliamentary elections, 16% of MP are women. The speaker of the Parliament has 2 vice-speakers: Tamar Chugoshvili from ruling party and Irma Inashvili from opposition.

Five women from 15 parliamentary committees are holding the post of head of the committee: Sopho Kiladze - Human Rights and Civil Integration, Mariam Jashi - Education, Science and Culture, Eka Beselia - Legal Issues, Tamar Khulordava - European Integration, Sopo Katsarava - Foreign Relations.

Women are in the executive positions in the portfolios of important ministries: Vice Premier of Georgia, Minister of Regional Development and Infrastructure Maia Tskitishvili, Minister of Justice Tea Tsuluki-ani, State Minister for Reconciliation and Civic Equality Ketevan Tsikhelashvili. Out the 11 ministers 3 are women; however this number is not satisfactory. Because, to create the harmonious society we need to have more ministers women.

As for the self-governance system, here, the situation leaves much to be desired. We do not have any Mayor woman, they are only the deputies.

Based on the above mentioned facts, we can conclude, that nowadays Georgia in its transition period experience the democratic values introduction, which is expressed in the achieving gender balance in politics. The old patriarchal performances are still alive; however, the positive trends of women, promotion, choosing and appointing them in the leading and responsible positions are felt in the country.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“ ფარგლებში.

სტატიაში „გენდერული ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში“ შესწავლილია პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის შემაფერხებელი ბარიერები, მოცემულია კვლევის შედეგები. ხაზგასმულია, რომ გენდერული დისკრიმინაცია სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას ნიშნავს, რომელმაც შესაძლებელია დაბრკოლება შეუქმნას ან სრულიად უარყოს ქალის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამოქალაქო როლი. ნაშრომში მოცემულია გლობალური გენდერული ინდექსის 2017 წლის მონაცემები, სადაც საქართველომ შემაშფოთებელი, საშუალოზე დაბალი - 0,679 ქულა მიიღო და 54-ე ადგილადან ჩამოინაცვლა 94 ადგილზე. სტატიაში პოზიტიურად არის შეფასებული საქართველოს 2018 წლის არჩევნებში პრეზიდენტად ქალის, სალომე ზურაბიშვილის, არჩევა, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, უარყოფითად აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლები. დასკვნის სახით შეძლება ითქვას, რომ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის პოლიტიკაში, გენდერული ბალანსის მიღწევის თვალსაზრისით, გარდამავალი პერიოდია, სტრუქტურული, პატრიარქალური წარმოდგენები ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია, თუმცა ქალთა გადამწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე დანიშვნისა და არჩევის, დანიშნულების ტენდენციებიც იგრძნობა.

Резюме

Статья подготовлена в рамках исследовательского проекта факультета права и международных отношений «Гендерное равенство и дискриминация: политико-правовые аспекты».

В статье «Гендерный фактор в грузинской политике» рассматриваются барьеры для участия женщин в политике и приводятся результаты исследования. Подчеркивается, что дискриминация по признаку пола означает любое различие, отделение или ограничение, которое может препятствовать или полностью сводить на нет политическую, экономическую, социальную, культурную и гражданскую роль женщины. В работе приводятся данные из Глобального гендерного индекса 2017 года, где Грузия получила довольно таки тревожную оценку - ниже среднего 0,679 и переместилась с 54-го на 94-е место. В статье положительно оценивается избрание Саломе Зурабишвили президентом Грузии в 2018 году, совершенствование законодательной базы, однако подчеркивает низкий уровень участия женщин в исполнительной, законодательной и судебной власти. В заключение, можно сказать, что общественная жизнь Грузии, в том числе и в политике, с точки зрения достижения гендерного баланса находится на переходном этапе, при этом стереотипные, патриархальные воображения все еще жизнеспособны, но стоит отметить что, ощущается желание и тенденция назначать и продвигать женщин на руководящие должности.

Resume

The article is prepared within the framework of the research project of the Faculty of Law and International Relations "Gender Equality and Discrimination: Political-Legal Aspects".

The article "Gender Factor in Georgian Politics" examines the barriers to women's involvement in politics and provides the results of the research. It emphasizes that discrimination on any general basis means separation or restriction, which may create obstacles or even more it can completely negate the political, economic, social, cultural and civil role of women. The work provides data from the Global Gender Index 2017, where Georgia received not quite a satisfactory points - 0.679, which is below average, and shifted from 54th to 94th place. The article positively assesses Salome Zourabichvili's election as president of Georgia in 2018 and the refinement of the legislative base. However, it highlights the low rates of women's participation in executive, legislative and judicial power. In conclusion, we have to say that the public life of Georgia, including politics, is in its transition. However, at the same time, stereotypical, patriarchal imaginations are still viable, but it is worth noting that there is a desire and tendency to appoint and promote women in leadership and decision-making positions.

Using Literature:

1. L. Gafrindashvili, "Feminism and Woman Rights: Movement from Periphery to the Center", Tb. 2014l.
2. T. Bagratia. M. Bagashvili, D. Jejelava, I.Khmaladze, "Interpartial Democracy and Local Elections", Tbilisi, 2012
3. www.quotaproject.org/aboutQuota.cfm#pros
4. L. Khomeriki, "Gender and Politics", Tbilisi 2006
5. M. Kipiani "Women Integration in Politics", Historical Verticals # 18. Tbilisi 2009
6. M. Kipiani, "Gender Parity in Georgian Politics", International Scientific Conference "The World and Gender" Proceedings, Tbilisi, 2013
7. <http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/news-gender/konferencia-saqartvelo-tanabari-monawileobis-misagwevad.page>
8. <http://www.heforshe.org/en>
9. <https://mindthegapproject.weebly.com/>
10. <http://www.halftheskymovement.org/pages/book.html>
11. <https://www.weforum.org/>

Political Systems and Parties In Georgia, Moldova and Ukraine

Ana Putkaradze*

Georgia

Georgia's political system has been heavily shaped in recent years by the initial optimism and then growing critique of the dominance of the United National Movement (UNM), led by Mikheil Saakashvili. This recent history, as well as the broader context of relations with Russia, and with the West as a post-Soviet satellite, has shaped the context in which party development has taken place.

Nowadays political party – Georgian dream is the governing party of Georgia. The party was established on 19 April 2012 by the billionaire businessman and politician Bidzina Ivanishvili. It is the leading party of the six-party Georgian Dream political coalition which won the 2012 parliamentary election. The political party Georgian Dream – Democratic Georgia currently has 115 seats in the 150-seat Georgian Parliament.¹¹⁷

The party evolved from the public movement Georgian Dream, launched by Bidzina Ivanishvili as a platform for his political activities in December 2011.¹¹⁸

The party successfully challenged the ruling United National Movement (UMN) in the 2012 parliamentary election. It won this election in coalition with six other opposition parties, with 54.97% of the vote, winning 85 seats in parliament. The governing UMN took 40.34%. President Mikheil Saakashvili conceded that his party lost, and pledged to support the constitutional process of forming a new government. The party won again in the 2016 Parliamentary Elections.¹¹⁹

According to the Organic Law of Georgia ~on Political Associations of Citizens~, Article 1 - ~A political association of citizens ('a party') is an independent and voluntary association of citizens established on a common ideological and organisational basis and registered in accordance with the procedure established by this Law to conduct its activities within the scope of the Constitution and the legislation of Georgia." In addition, regarding to the Article 5 (1) - ~Any citizen of Georgia shall have the constitutional right to create a party and to participate in its activities in accordance with the Constitution of Georgia." and Article 5 (2) says that - ~It shall be impermissible to establish and operate a party whose aim is to overthrow or forcibly change the constitutional order of Georgia, or to infringe on the independence and territorial integrity of the country, or to conduct or propagandise war or violence, or to stir up national, ethnic, religious, or social strife." The Organic Law prohibits establishment of parties on a regional and territorial basies.¹²⁰

Any citizens of Georgia, who has electoral right may establish a political party or participate in its activities. In that sense, according to the article 10 - ~The party membership of a citizen shall be terminated if he/she is enlisted in the military forces of Georgia, in the internal affairs agencies or the State Security Service of Georgia, or is appointed as an officer with special authority at the Ministry of Finance of Georgia, or is appointed as an officer at the Special Penitentiary Service of the Ministry of Corrections of Georgia or is appointed to the position of a judge or prosecutor, as well as in other cases determined by

*Asistent-Professor, **Georgian Technical University**

¹¹⁷ Stephen Jones (2015). "Preface to the Paperback Edition". Georgia: A Political History Since Independence

¹¹⁸ Ivanishvili's Political Party Launched. Civil Georgia. 21 April 2012. Retrieved 12 May 2012.

¹¹⁹ Barry, Ellen (2012-10-02). "Georgia's President Concedes Defeat in Parliamentary Election". Georgia (Georgian Republic): NYTimes.com. Retrieved 2012-12-07

¹²⁰ <https://matsne.gov.ge/ru/document/download/28324/22/en/pdf>, Article 6

the legislation of Georgia.” As for financing of parties, their properties shall be formed from membership fees, donations, sums allocated by the State in cases established by law, the annual income generated from designing and distributing symbols, organising lectures, exhibitions and other public activities, as well as from publishing and other activities pursued according to statutory objectives; such income may not exceed twice the amount of the basic minimum funding.”¹²¹ According to the Organic Law of Georgia on Political Associations of Citizens – “A party may not, directly or indirectly, with the assistance of a party candidate, representative or any other person, transfer funds, gifts and other tangible or intangible assets to a citizen of Georgia (except for inexpensive, election campaign accessories such as T-shirts, caps, hats, flags and similar things), or sell or deliver goods or services at a discount or on concessional terms, or procure goods or services at a higher price than their market price, or supply or distribute goods or services free of charge (except as provided for in this Law) or solicit citizens of Georgia by supplying or promising monetary funds, securities, or tangible or intangible assets or services (including entering into fictitious labour or other relations).”¹²²

As for the total amount of donations received by a party from each citizen may not exceed GEL 60,000 per year and the total amount of donations received from each legal person may not exceed GEL 120,000 per year. The annual amount of the membership fees paid by each member of a party may not exceed GEL 1,200.¹²³ This article (27 (1,2)) also stipulates other restrictions regarding to the donations from a citizen or a legal person.

The law concerns termination of parties activities only a by decision of The Constitutional Court of Georgia. “The Constitutional Court of Georgia may ban a party that aims to overthrow or forcibly change the constitutional order of Georgia, or to infringe on the independence and territorial integrity of the country, or to propagandise war or violence, or stir up national, ethnic, religious, or social strife or that is forming or has formed an armed group”.¹²⁴

Moldova

The Republic of Moldova, The politics of Moldova take place in a framework of a parliamentary representative democratic republic, wherein the prime minister is the head of the government, and a multi-party system. The government exercises executive power while the legislative power is vested in the Parliament. The judiciary is independent of the executive and the legislature. The position of the breakaway region of Transnistria (a self-proclaimed autonomous region, on the left side of the river Nistru), relations with Romania and with Russia, and integration into the EU dominate political discussions.¹²⁵

The Republic of Moldova has a mixed system of government. It has a dual executive consisting of a President, Prime Minister, Council of Ministers and a unicameral legislature. Judicial review of the constitutionality of laws is performed by the Constitutional Court.¹²⁶

The law of political parties of the republic of Moldova, gives us definition of political parties, according to which – “Political Parties are voluntary associations, with the status of legal entity, of citizens of the Republic of Moldova with the right to vote, which through the joint activities and on the basis of the principle of free participation, are contributing to the concept, expression and accomplishment of their political

¹²¹ <https://matsne.gov.ge/ru/document/download/28324/22/en/pdf>, Article 25

¹²² <https://matsne.gov.ge/ru/document/download/28324/22/en/pdf>, Article 25(2)

¹²³ <https://matsne.gov.ge/ru/document/download/28324/22/en/pdf>, Article 27

¹²⁴ <https://matsne.gov.ge/ru/document/download/28324/22/en/pdf>, Article 36

¹²⁵ <https://en.wikipedia.org/wiki/Moldova>

¹²⁶ <https://moldovanpolitics.com/political-system-2/>

will.”¹²⁷ To follow this we can see restrictions related to the parties activities, these are:

Associations of citizens of the Republic of Moldova may act as political parties only performing activities with a political character, being constituted pursuant to the law and observing the sovereignty, unitary character of the state, territorial integrity, democratic values and legal order of the Republic of Moldova.

Political parties that through their statute and program dissipate contrary ideas to the provisions of the Constitution of the Republic of Moldova are prohibited.

(3) Political parties are prohibited from affiliation with the international political organizations which through the character, goals and their activity infringe on the values specified by paragraph (1) of this article.

Parties are prohibited from organizing military, paramilitary activities, as well as other kind of activities forbidden by the law.

Any interference with the internal activity of political parties is prohibited, except the cases stipulated by the law.

In the Republic of Moldova, establishment and activity of any parties or other states’ political organizations, as well as their branches and structures is prohibited.

The establishment of political parties on the basis of ethnic and racial criteria is prohibited¹²⁸

According to this law member of political parties can be a citizen of the Republic of Moldova which, under the norms stipulated by the current legislation, have the right to vote. The membership is certified by the identity card. To become a member of any political party, a citizen of the Republic of Moldova submits a written request to the party. At this time a citizen can not be member of two or more political parties. To register a political party the following documents should be submitted to the Ministry of Justice:

request to register the political party;

statute of the political party;

program of the political party;

document of establishment with a list of the political party’s members. A minimum of 4 000 members is required, constitutive acts of the territorial organizations of the party, the list of delegates who participate at the constituting congress. At the time of the parties’ establishment, at least half of, its members must be residents of second level administrative-territorial units from the Republic of Moldova, with no less than 120 residents in each of the administrative-territorial units. The membership list is constituted on the basis of admission requests and will consist of: name, surname, date of birth, residence, number of identity card, personal code, place of work, and member’s signature;

a declaration concerning the legal residence of the party;

proof of a bank account¹²⁹

The Ministry of Justice, in one month from the date of submittal of the documents provided shall adopt a decision of registration of the political party or, in case of non-observance to the requirements of the present law, a decision through which the registration of the party is refused.

Political parties in Moldova have central bodies and territorial organizations. The leading forum, i.e., the General Assembly of the party’s members or delegates, and the executive body, irrespective of the name they have according to the statute of the party, are compulsory for each political party, regardless of the name stipulated by the party’s statute. These are managed on both the central level of party’s leading body and on the level of its territorial organizations.¹³⁰ All political parties have equal rights to participate in the elections of Parliament, as well as in the local public administration authorities. Their activities may

¹²⁷ Moldova_law_political_parties_2007_am2012_en.pdf

¹²⁸ Moldova_law_political_parties_2007_am2012_en.pdf, article 3

¹²⁹ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), article 8

¹³⁰ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), article 14

be limited if through its actions serious damages are caused to the political pluralism or to the fundamental democratic principles and in case of the following situation the political party's activity may cease:

reorganization, in cases provided by this law, if the party loses its legal personality through the process of reorganization;

self-dissolution, through the decision of its supreme decision body;

its dissolution through the decision of the Chisinau Court of Appeals, at the notification of the Ministry of Justice;

assessment of the party's unconstitutionality through the decision of the Constitutional Court;

repeated contraventional sanctioning for breaching the provisions of this law.¹³¹

As for the Financing of political parties may proceed from the following sources:

dues from the party's members;

donations, including those collected from the recreational, cultural, sports or other mass activities organized by the party;

grants from the state budget, pursuant to the settlement of the present law and to the annual budgetary law;

other legally-obtained revenues according to art. ¹³²

The amount and way the dues is paid by members of a political party is established by the party's statute. As for donation - ~An individual may offer donations to one or more parties. The donations offered by one individual to one or more parties, during a budgetary year, cannot exceed the total worth of 500 average salaries of the country, provided for that year. If the individual is a party member, the mentioned sum is included in the amount of party quotas paid by him/her during one year, "¹³³ - ~Donations made by a legal person to one or more political parties during a year, cannot exceed the amount 1000 average salaries of the country, provided for that year."¹³⁴From the side of political parties in accordance with the regulation approved by the Ministry of Justice have a duty annually, until 31 March, represent financial reports to the Court of Accounts, Ministry of Finance and Ministry of Justice.

Ukraine

With the proclamation of its independence on 24 August 1991, and adoption of a constitution on 28 June 1996, Ukraine became a semi-presidential republic. However, in 2004, deputies introduced changes to the Constitution, which tipped the balance of power in favour of a parliamentary system. From 2004 to 2010, the legitimacy of the 2004 Constitutional amendments had official sanction, both with the Constitutional Court of Ukraine, and most major political parties. ¹³⁵ Despite this, on 30 September 2010 the Constitutional Court ruled that the amendments were null and void, forcing a return to the terms of the 1996 Constitution and again making Ukraine's political system more presidential in character.

On 21 February 2014 an agreement between President Viktor Yanukovich and opposition leaders saw the country return to the 2004 Constitution. The historic agreement, brokered by the European Union, followed protests that began in late November 2013 and culminated in a week of violent clashes in which scores of protesters were killed. In addition to returning the country to the 2004 Constitution, the deal pro-

¹³¹ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), article 22

¹³² [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), article 25

¹³³ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), article 26(3)

¹³⁴ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), article 26(4)

¹³⁵ "Vitaly Portnykov. "Comment on the Constitutional Court of Ukraine on elimination of political reform in 2004 for Radio Liberty asked Nicholas Onischuk, former Justice Minister ... 25 February 2008 the Constitutional Court came to the conclusion that this bill can not be subject to constitutional control, but now we see that the Constitutional Court concluded that it can". 1 October 2010"

vided for the formation of a coalition government, the calling of early elections, and the release of former Prime Minister Yulia Tymoshenko from prison.¹³⁶

Ukraine has a multi-party system with numerous political parties, in which no one party often has a chance of gaining power alone, and parties must work with each other to form coalition governments. In the (October 2014 and last) Ukrainian parliamentary election 52 political parties nominated candidates. In the last nationwide (October 2015) local elections this number had grown to 132 political parties.¹³⁷

There have developed two major movement in the Ukrainian parliament since its independence:¹³⁸¹³⁹

a pro-Western and pro-European general liberal national democrats who from time to time featured individual politicians with a nationalist past (for example Andriy Shkil, Andriy Parubiy and Levko Lukyachenko) with the Our Ukraine Blocs and Bloc Yulia Tymoshenko (now Fatherland) as its frontrunners; UDAR replaced the Our Ukraine Bloc in the 2012 Ukrainian parliamentary election. In the 2014 parliamentary election UDAR did not participate but its members filled 30% of the Petro Poroshenko Bloc election list. The Petro Poroshenko Bloc won the election with 132 seats.¹⁴⁰

a pro-Russian, latently Eurosceptic, often anti-American and partly anti-liberal group of parties, which in the 1990s was dominated by the Communist Party of Ukraine, and was dominated by the Party of Regions from the late 2000s till the party disintegration shortly after the 2014 Ukrainian revolution.¹⁴¹ ¹⁴²

The first movement (mentioned above) gets its voters mainly from Western Ukraine and Central Ukraine; the latter from Eastern Ukraine and Southern Ukraine. The radical nationalistic All-Ukrainian Union "Svoboda" (7 seats in the Ukrainian parliament) can not be placed in the above-mentioned two major movements. "Svoboda" gets the lion share of its votes from Western Ukraine.¹⁴³

According to the law on Political Parties in Ukraine, article 2 – "A political party shall be understood as a legally registered voluntary association of citizens adhering to a certain national social development programme, aimed at assisting in the formation and expression of citizens' political will, participating in elections and other political events."¹⁴⁴ Political parties shall conduct their activities in accordance with the Constitution of Ukraine, this Law, and other laws of Ukraine, as well in accordance with their statutes/charters enacted in accordance with the procedures provided for by this Law. This law enshrines provisions about membership of political parties and restrictions, regarding to which Only citizens with a right to vote under the Constitution of Ukraine shall be eligible as members of political parties. Also, a citizen shall be a member of only one political party at a time. In addition there are some restrictions to the following persons who shall not be eligible of membership:

- judges;
- officials of the public prosecutor's office;
- officials of bodies of the Interior;

¹³⁶ "President Yanukovich and Ukraine opposition sign early poll deal". europesun.com. 21 February 2014.

¹³⁷ Basic electoral statistics 2014 extraordinary parliamentary election Archived October 29, 2014, at the Wayback Machine.

¹³⁸ Communist and Post-Communist Parties in Europe by Uwe Backes and Patrick Moreau, 2008, ISBN 978-3-525-36912-8 (page 383 and 396).

¹³⁹ Pro-Russian bloc leads in Ukraine, BBC News (March 26, 2006).

¹⁴⁰ Electronic Bulletin "Your Choice - 2012". Issue 4: Batkivshchyna Archived December 3, 2013, at the Wayback Machine., Ukrainian Center for Independent Political Research (24 October 2012).

¹⁴¹ Ukraine's Party of Regions Refuses to Participate in Rada Elections, RIA Novosti (23 September 2014)

¹⁴² Eight Reasons Why Ukraine's Party of Regions Will Win the 2012 Elections by Taras Kuzio, The Jamestown Foundation (17 October 2012).

¹⁴³ "The Creeping Resurgence of the Ukrainian Radical Right? The Case of the Freedom Party". Europe-Asia Studies Volume 63.

¹⁴⁴ File:/ Ukraine_PartyLaw_2010.pdf

employees of the Security Service of Ukraine;
military personnel;
officials of the state tax authorities;
staff of the State Penal Service of Ukraine¹⁴⁵

Registration of political parties shall be the prerogative of the Ministry of Justice of Ukraine. In order to register a political party, the following documents shall be submitted along with an application:

statute and programme of the political party;
minutes of the constituent convention (conference, meeting) of the political party, specifying the date, place, and number of votes for the formation of the political party;
signatures of Ukrainian citizens supporting the formation of the political party, collected in keeping with this Law and certified by the persons collecting the signatures;
information about the structure of the executive bodies of the political party;
(5) document attesting the payment of the registration fee;
name and address of the bank with which the party has opened accounts. The Ministry of Justice of Ukraine shall register a given political party after verifying the documents thus submitted.¹⁴⁶

As for political party's financing, the state shall guarantee political parties the right to have funds and other property to carry out their statutory tasks. The status of Political parties shall be non-profit organizations. The law also concerns prohibitions of party's financing:

on the part of bodies of state authority and local self- government, except in cases envisaged by the law;
on the part of state and municipally owned enterprises, institutions, and organizations, as well as by enterprises, institutions, and organizations having government or municipal shares or with a foreign interest;
on the part of other countries and foreign nationals, enterprises, institutions, and organizations;
on the part of benevolent and religious associations and organizations;
on the part of anonymous persons or persons using pseudonyms;
on the part of political parties other than members of the election bloc. Banks shall notify the Ministry of Justice of Ukraine of any entries on political parties' accounts contrary to this Law.¹⁴⁷

A court of law may rule to ban a political party, as submitted by the Ministry of Justice or General Prosecutor of Ukraine, in case it transgresses [any of] the requirements to the formation and operation of political parties set forth in the Constitution, this and other laws of Ukraine.¹⁴⁸

It is very important to note that the relationship with Ukraine¹⁴⁹, Republic of Moldova¹⁵⁰ and Georgia¹⁵¹ is guided by the new Association Agreements, including Deep and Comprehensive Free Trade Areas (DCF-

¹⁴⁵ File:/ Ukraine_PartyLaw_2010.pdf, article 6

¹⁴⁶ File:/ Ukraine_PartyLaw_2010.pdf,article 11

¹⁴⁷ File:/ Ukraine_PartyLaw_2010.pdf,article 15

¹⁴⁸ File:/Ukraine_PartyLaw_2010.pdf, article 21

¹⁴⁹ EU-Ukraine Association Agreement, EU-Ukraine Association Agenda,https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

¹⁵⁰ EU-Moldova Association Agreement, EU-Moldova Association Agenda, https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

¹⁵¹ EU-Georgia Association Agreement, EU-Georgia Association Agenda https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

TAs). The EU signed the Association Agreements with Georgia and Moldova on 27 June 2014 and a number of provisions, including the DCFTA sections are provisionally applied as of 1 September 2014. The political and economic provisions of the Agreement with Ukraine were signed on 21 March 2014 and 27 June 2014 respectively but although some provisions entered into force on 1 November 2014, the provisional application of DCFTA has been postponed to 31 December 2015. The Association Agreements further establish Customs Sub-Committees, which will provide a platform for enhancing dialogue on customs matters. These committees will be responsible for monitoring the convergence of legislation and procedures according to the DCFTA commitments.

The Association Agendas include the jointly agreed priorities for the period 2014-2016 with a view to preparing for the implementation of the Association Agreements.

The customs cooperation with Republic of Moldova,¹⁵² Ukraine¹⁵³ and Georgia¹⁵⁴ is based on the Strategic Frameworks, endorsed with Republic of Moldova in October 2011, Ukraine in May 2012 and signed with Georgia in March 2015.

The Strategic Frameworks are based on three interrelated priorities, namely:

Safe and fluid trade lanes, in particular by achieving maximum trade facilitation for reliable business with customs acting as a link in the supply chain;

Risk management and fight against fraud, in particular to eliminate illegitimate trade by developing strong risk management and exchanging advance customs information; and

Investment in customs modernization, in particular by achieving close convergence of customs legislation and procedures in line with the DCFTA reforms.

Working Groups have been set up with the Republic of Moldova and Ukraine under the EU Customs 2020 Programme in order to see to the implementation of the specific objectives and activities of the Strategic Frameworks.

The medium-term priorities for Georgia, Republic of Moldova and Ukraine will be accession to the Regional Convention on pan-Euro-Mediterranean preferential rules of origin, the Convention on a common transit and implementation of the Authorised Economic Operator schemes.

The fulfillment of obligations under the Association Agreement is necessary for these countries to become a member of EU, in which active political party's involvement is also very important.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის “პოლიტიკური პარტიების სამართლის“ ფარგლებში.

თეორიულად, კარგად ფუნქციონირებული დემოკრატიის ფარგლებში პოლიტიკური პარტიები მთავარ როლს ასრულებენ მოქალაქეთა ინტერესების აკუმულირებასა და პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავებაში, რომლებიც თითოეული მათგანის ინტერესებს არიან მორგებულნი. პრაქტიკაში, ბევრ ქვეყანაში - განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში - უმრავლესობა პოლიტიკური პარტიებისა სუსტები და გათიშულნი არიან პოლიტიკური პროცესებისაგან. შესაბამისად, მოქალაქეებთან ერთად ძალისხმევს არ იზურებენ და იბრძვიან პოლიტიკური დივ-

¹⁵² EU-Moldova Strategic Framework, https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

¹⁵³ EU-Ukraine Strategic Framework https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

¹⁵⁴ EU-Georgia Strategic Framework, https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

იდენდების მოსაპოვებლად, რათა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე ფართო მასების ინტერესები უკეთესად იქნას წარმოდგენილი.

პოლიტიკური პლურალიზმისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს მრავალფეროვნება სამივე ქვეყნის პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს დადებით მახასიათებელს წარმოადგენს. ეს არის ის, რაც მათ გამოირჩევს სხვა, უფრო ავტოკრატიული რეჟიმებისგან, ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

საქართველო, მოლდოვა და უკრაინა არ წარმოადგენენ ცალკეულ გეოგრაფიულ რეგიონებს, თუმცა 2014 წლიდან ისინი საერთო ბედის ქვეშ მოექცნენ. ვგულისხმობთ, იმას რომ 2014 წელს სამივე ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებებს (AA) ევროკავშირთან, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში საქართველოსა და მოლდოვასთვის, ხოლო 2017 წლის სექტემბერში უკრაინისთვის. აღსაღნიშნავია, ისიც, რომ ეს არჩევანი ბევრად უფრო რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა, ვიდრე ამას თავდაპირველად წარმოიდგენდნენ ევროპისა და თავად ამ ქვეყნების მოქალაქეები. უკრაინამ გადაიხადა უმძიმესი ფასი იმ არჩევანისთვის რაც მან გააკეთა. კერძოდ: - მან გაუძლო ძალადობრივი ხელისუფლების დამხობას, ტერიტორიის ეფექტურ დაკარგვას და დონბასის რეგიონში განგრძობადი ომის წარმოებას რუსეთთან. ამასთან, მოლდოვასთვის და საქართველოსთვის ევროინტეგრაციის ჯერ კიდევ ამ მოკრძალებული ფორმის არჩევა დიდ პრობლემებს უქმნის მათ რუსეთთან ურთიერთობებაში და ევროპული პოლიტიკის გატრებით ისინი აქტიურ წინააღმდეგობებს თითქმის ყოველდღიურად აწყდებიან.

ამ სტატიაში ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ პოლიტიკური სისტემების ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში და წარმოვაჩინოთ ის საერთო ინტერესები და მისწრაფებები, რომლებიც მათ გააჩნიათ ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

Resume

The article has been translated within the framework of the project „Political parties' law“ of the Faculty of Law and International Relations.

In theory, political parties play a central role within well-functioning democracies, aggregating and representing citizens' interests and formulating policy agendas that can respond to citizens' concerns. In practice, in many countries – especially developing countries – political parties are weak and disconnected from the policy process, and struggle to connect with or represent citizens and their interests.

The considerable level of political pluralism and competitive political environment are among the most important positive features of the political systems in the three countries. This is what makes them stand out from other, more autocratic regimes in the post-Soviet realm.

Georgia, Moldova and Ukraine do not constitute a single geographical region, but since 2014 they have acquired a certain commonality of fate. In that year, all three countries signed Association Agreements (AA) with the European Union that came into effect in July 2016 for Georgia and Moldova and in September 2017 for Ukraine. This choice proved far more difficult, if not momentous, than what most Europeans and many citizens of these countries had initially imagined. Ukraine paid the heaviest price for the choice it made: it endured a violent government overthrow, effective loss of territory, and continuing Russia-inflicted warfare in the Donbas region. For Moldova and Georgia, however, the choice of this still modest form of European integration spells bigger problems for its relations with Russia and active resistance to its Europeanising policies from within.

In this article, we will try to discuss the most pivotal features of the political systems in Georgia, Moldova and Ukraine and identify common interests and aspirations they have on their way to Europe.

Резюме

Статья переведена в рамках проекта «Право политических партий» факультета права и международных отношений.

Теоретически, политические партии играют центральную роль в хорошо функционирующих демократиях, агрегируя и представляя интересы граждан и формулируя политические программы, которые могут отвечать интересам граждан. На практике во многих странах, особенно в развивающихся странах, политические партии слабы и не связаны с политическим процессом и борются за то, чтобы установить связь с гражданами или представлять их интересы.

Значительный уровень политического плюрализма и конкурентная политическая среда являются одними из наиболее важных положительных черт политических систем в трех странах. Это то, что отличает их от других, более авторитарных режимов на постсоветском пространстве.

Грузия, Молдова и Украина не составляют единого географического региона, но с 2014 года они приобрели определенную общность судьбы. В этом году все три страны подписали Соглашения об ассоциации (АА) с Европейским союзом, которые вступили в силу в июле 2016 года для Грузии и Молдовы и в сентябре 2017 года для Украины. Этот выбор оказался гораздо более сложным, если не важным, чем то, что первоначально представляли большинство европейцев и многие граждане этих стран. Украина заплатила самую высокую цену за сделанный выбор: она пережила насильственное свержение правительства, эффективную потерю территории и продолжающиеся военные действия России в регионе Донбасса. Однако для Молдовы и Грузии выбор этой по-прежнему скромной формы европейской интеграции ставит большие проблемы в отношениях с Россией и активном сопротивлении ее европеизирующей политике изнутри.

В этой статье мы попытаемся обсудить наиболее важные черты политических систем в Грузии, Молдове и Украине выявить общие интересы и чаяния, которые у них есть на пути в Европу.

Using literature:

Stephen Jones (2015). "Preface to the Paperback Edition". Georgia: A Political History Since Independence

Ivanishvili's Political Party Launched. Civil Georgia. 21 April 2012. Retrieved 12 May 2012.

Barry, Ellen (2012-10-02). "Georgia's President Concedes Defeat in Parliamentary Election". Georgia (Georgian Republic): NYTimes.com. Retrieved 2012-12-07

<https://matsne.gov.ge/ru/document/download/28324/22/en/pdf>, \

<https://en.wikipedia.org/wiki/Moldova>

<https://moldovanpolitics.com/political-system-2/>

Moldova_law_political_parties_2007_am2012_en.pdf

[http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF\(2013\)007-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-REF(2013)007-e), \

"Vitaly Portnykov. "Comment on the Constitutional Court of Ukraine on elimination of political reform in 2004 for Radio Liberty asked Nicholas Onischuk, former Justice Minister ... 25 February 2008 the Constitutional Court came to the conclusion that this bill can not be subject to constitutional control, but now we see that the Constitutional Court concluded that it can". 1 October 2010"

"President Yanukovich and Ukraine opposition sign early poll deal". europesun.com. 21 February 2014.

Basic electoral statistics 2014 extraordinary parliamentary election Archived October 29, 2014, at the Wayback Machine.

Communist and Post-Communist Parties in Europe by Uwe Backes and Patrick Moreau, 2008, ISBN 978-3-525-36912-8 (page 383 and 396).

Pro-Russian bloc leads in Ukraine, BBC News (March 26, 2006).

Electronic Bulletin "Your Choice - 2012". Issue 4: Batkivshchyna Archived December 3, 2013, at the Wayback Machine., Ukrainian Center for Independent Political Research (24 October 2012).

Ukraine's Party of Regions Refuses to Participate in Rada Elections, RIA Novosti (23 September 2014)

Eight Reasons Why Ukraine's Party of Regions Will Win the 2012 Elections by Taras Kuzio, The Jamestown Foundation (17 October 2012).

"The Creeping Resurgence of the Ukrainian Radical Right? The Case of the Freedom Party". Europe-Asia Studies Volume 63.

File:/ Ukraine_PartyLaw_2010.pdf,

EU-Ukraine Association Agreement, EU-Ukraine Association Agenda,https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

EU-Moldova Association Agreement, EU-Moldova Association Agenda, https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

EU-Georgia Association Agreement, EU-Georgia Association Agenda https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

EU-Moldova Strategic Framework, https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

EU-Ukraine Strategic Framework https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

EU-Georgia Strategic Framework, https://ec.europa.eu/taxation_customs/business/international-affairs/international-customs-cooperation-mutual-administrative-assistance-agreements/georgia-republic-moldova-ukraine_en

შრომის სამართალი სპორტში

თარგმანი: გიორგი გორაძე * და ელენე ჯონიძე *
რედაქტირება და კომენტარები – გიორგი გორაძე

ნაწილი I

შესავალი

პროფესიულ სპორტში დასაქმებულნი არიან როგორც კლუბის მენეჯერები, ასევე მწვრთნელთა შემადგენლობა, ამიტომ მათზე ვრცელდება შრომითი სამართლის ჩვეულებრივი წესები, რომელიც მოიცავს როგორც საერთაშორისო სამართალს, ასევე, კანონმდებლობას შრომითი უფლებების დაცვის შესახებ.

სტატიის მთავარი მიზანია, ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, თუ რამდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა შრომითმა სამართალმა სპორტზე და ასევე იმსჯელოს ურთიერთმიმართებაზე სპორტის სპეციფიკურ წესებსა და შრომით სამართალს შორის.

ზოგიერთი პროფესიული სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი, იყენებს სატრანსფერო სისტემებს, რაც ზღუდავს მოთამაშეებს კლუბთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადავიდნენ სხვა კლუბში. მსგავსი ტრანსფერული სისტემები ნებადართულია ბრიტანული კანონმდებლობით, მაგრამ მისი ამ წესის საფუძვლიანად გარდაქმნა მოხდა ევროკავშირის კანონმდებლობის ინტერვენციის შედეგად. ეს სტატია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოთამაშეთა კონტრაქტის თავისუფლების შესახებ ევროკავშირის სამართლის ბუნებასა და შედეგებზე.

დასაქმებულის სტატუსის განსაზღვრა

„საკონტროლო ტესტი“ (the Control Test) იყო საერთო სამართლის ძირითადი ტრადიციული მექანიზმი იმის დასადგენად, როდის უნდა ჩათვლილიყო სამსახურში მომუშავე პირი დასაქმებულ პირად.¹⁵⁸ დასაქმებულს კონტროლს უწევდა დამსაქმებელი, რომელიც მიუთითებდა მას

*Robert Welch - არის სამართლის დოქტორი, პორტსმუთის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) სამართლის სკოლის ემერიტუსი. 2010 წლიდან ჩამოშორდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას და ძირითადად დაკავებულია სამეცნიერო საქმიანობით. მისი სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს შრომისა და სპორტის სამართლის პრობლემურ საკითხებს.

*სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სპორტის სამართლის ხელმძღვანელი.

*სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი.

¹⁵⁸ გაერთიანებული სამეფოს სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს „დასაქმებულს“ (employee), „მუშაკს“ (worker) და „თვითდასაქმებულს“ (self-employed). დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც მუშაობს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. დასაქმებულის სტატუსი გულისხმობს რამდენიმე აუცილებელ პირობას: დასაქმებულმა სამუშაო უნდა შეასრულოს პირადად და დამსაქმებელს უნდა შეეძლოს სამუშაოს შესრულებაზე დასაქმებულის კონტროლი. დასაქმებულს აქვს ბევრი ისეთი უფლება, რაც არ აქვს დანარჩენ ორს. მაგალითად, ორსულობის, მშობიარობისა და შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების უფლება; მოქნილი სამუშაო პირობების მოთხოვნის უფლება; უფლება, არ იყოს სამსახურიდან არასამართლიანად დათხოვნილი; შემცირების გამო სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში კომპენსაციის მიღების უფლება და სხვა; მუშაკის სტატუსი არის შუალედური დასაქმებულისა და თვითდასაქმებულის სტატუსებს შორის. მუ-

არა მხოლოდ იმას, თუ რა უნდა ეკეთებინა, არამედ იმასაც, თუ როგორ უნდა ემუშავა. არგუმენტები, რომ უნარებმა, რომლებსაც ფლობდნენ ცალკეული სპორტსმენები, ისინი გამოიყვანა მათი დამფინანსებელი კლუბების დაქვემდებარებიდან, მალე შეიცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე უოლკერი შპს საფეხბურთო კლუბ კრისტალ პალასის წინააღმდეგ (*Walker v Crystal Palace Football Club Ltd [1910] 1. K.B. 87*). თანამედროვე შრომის სამართალი კვლავ მოითხოვს იმ პირის კონტროლს, რომელიც ატარებს დასაქმებულის სტატუსს, მაგრამ იგი აქცენტს აკეთებს ასევე სხვა ფაქტორებზეც, მაგალითად, პირს ხომ არ აქვს საკუთარი ბიზნესი. ამასთანავე, ცხადია, რომ კლუბის მენეჯერები, მიუხედავად კლუბში მათი მაღალი სტატუსისა თუ თანამდებობისა, ასევე ითვლებიან დასაქმებულ პირებად.

უზრუნველყოფილია დასაქმებულების შრომითი უფლებები, მათ შორის, არასამართლიანი-გათავისუფლების შემთხვევაში გასაჩივრების უფლება. ისეთი პროფესიონალური სპორტის წარმომადგენლები, როგორებიც არიან სნუკერისა და ჩოგბურთის მოთამაშეები, მიეკუთვნებიან თვითდასაქმებულებს და, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება შრომის კანონმდებლობა, თუმცა ისინი დაცულნი არიან ანტიდისკრიმინაციული კანონით. არსებობს ისეთი შრომითი უფლებებიც, რომლებიც ვრცელდება როგორც დასაქმებულზე, ისე მუშაკზე. ასეთებია სახელფასო მინიმუმის მიღებისა და სულ მცირე 28 დღიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლებები. ეს არ არის მთავარი პრობლემები პროფესიონალურ სპორტში, სადაც ხელფასიც და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებაც გაცილებით მეტია, ვიდრე კანონით დადგენილი მინიმუმი, მაგრამ, განსხვავებით სახელფასო მინიმუმისგან, საარსებო მინიმუმის¹⁵⁹ პრობლემა იდგა შოტლანდიურ ფეხბურთში.¹⁶⁰

ის ფაქტი, რომ ფიზიკური პირი იბეგრება როგორც თვითდასაქმებული, არ გამორიცხავს იმას, რომ ამავე დროს იგი იყოს დასაქმებული იმ პირობით, თუ, რეალურად, ასეთი პირი არ არის ბიზნესრისკის მატარებელი და, შესაბამისად, არ აქვს საკუთარი ბიზნესი. ადამიანს რომ ჰქონდეს დასაქმებულის სტატუსი, უნდა არსებობდეს ორმხრივი ვალდებულება, რასაც ხელ-

შაკს არ აქვს მრავალი შრომითი უფლება, თუმცა გარანტირებული აქვს ძირითადი უფლებები, როგორებიცაა უკანონო დისკრიმინაციისგან დაცვა, კანონით განსაზღვრული სახელფასო მინიმუმის მოთხოვნის უფლება, დაცვა ხელფასის უკანონო დაკავებისგან, პროფკავშირში განევრების უფლება; თვითდასაქმებულის სტატუსის მქონე პირებს არ აქვთ შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, ისინი თავად ახდენენ თავიანთი თავის დაზღვევას, თავად იხდიან გადასახადებს და ა.შ. მათ აქვთ უფლება, მოითხოვონ მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვა მუშაობის პერიოდში და ცალკეულ შემთხვევებში - დისკრიმინაციისაგან დაცვა. (გიორგი გორაძე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. <https://worksmart.org.uk/news/employee-worker-or-self-employed-what-difference-does-it-make>; https://www.dfalaw.co.uk/faq_type/what-is-the-difference-between-an-employee-and-a-worker/)

¹⁵⁹ გაერთიანებულ სამეფოში განსხვავებენ „ეროვნულ სახელფასო მინიმუმს“ (National Minimum Wage), „ეროვნულ საარსებო მინიმუმს“ (National Living Wage) და „საარსებო მინიმუმს“ (Living Wage). პირველი ორი განსაზღვრულია კანონით და ყოველწლიურად დგინდება მთავრობის მიერ. ამასთანავე, ეროვნული საარსებო მინიმუმი არის ეროვნული სახელფასო მინიმუმის ნაწილი და წარმოადგენს 25 წლის და მეტი ასაკის ადამიანისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ანაზღაურებას 1 საათში. რაც შეეხება საარსებო მინიმუმს, მას ყოველწლიურად ადგენს კერძო ფონდი და ის, როგორც წესი, უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეროვნული საარსებო მინიმუმი. კერძო ფონდის მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმი არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით და, შესაბამისად, არ არის სავალდებულო, თუმცა მრავალი კერძო კომპანია და ზოგიერთი ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანო ანგარიშსწორებას ამ მაღალი ტარიფით ახდენს. (გიორგი გორაძე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. <https://fullfact.org/economy/rates-national-minimum-wage-national-living-wage-and-living-wage/>)

¹⁶⁰ იხ. <http://www.dailyrecord.co.uk/sport/football/football-news/scottish-football-living-wage-anger-5716830> 2015 წლის ანგარიშის თანახმად, ბევრი შოტლანდიური კლუბი არ იხდიდა მაშინდელ საარსებო მინიმუმს საათში £7.85, თუმცაღა ყველა იცავდა კანონს სახელფასო მინიმუმის ანაზღაურების შესახებ. 2017 წელს საარსებო მინიმუმი 25 წელზე ზემოთ მყოფ პირებზე იყო £7.50, 21 წლიდან 24 წლამდე ასაკისათვის — £7.05, 18 წლიდან 20 წლამდე — £5.60, უფრო პატარებისთვის კი - £3.50.

შემკვრელი მხარეები კისრულობენ ერთმანეთის მიმართ. ეს საკითხი განხილულ იქნა საქმეზე სინგჰი ეროვნული სარევიზიო საბჭოს წინააღმდეგ (*Singh v National Review Board (Unreported, December 3, 2001) ET Case 5203593/99*), სადაც უნდა გარკვეულიყო, მსაჯები, რომლებიც ლიგის მატჩებს ემსახურებიან, იყვნენ თუ არა დასაქმებულები. დადგინდა, რომ მსაჯები თავად არიან პასუხისმგებელნი თავიანთ საგადასახადო საკითხებზე, რადგან არსებობს მოლოდინი, რომ მსაჯებს ჩასატარებლად რეგულარულად მიცემათ მატჩები და ისინი გაუძღვებიან მას დადგენილი წესების შესაბამისად. თუმცა, არ არსებობს ორმხრივი ვალდებულება ისეთ პერიოდულ მატჩებთან დაკავშირებით, როგორცაა ინგლისის ასოციაციის თასის თამაშები. ამიტომ მსაჯები არ არიან დასაქმებულები, როდესაც ამ მატჩებს უძღვებიან.

შრომითი ხელშეკრულება სპორტში

სპორტში შრომითი ხელშეკრულებები შესაძლოა დაიდოს უშუალოდ კლუბსა და მოთამაშეს შორის, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს ხდება მოთამაშის აგენტის მეშვეობით, რომელიც მოთამაშის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს ხელშეკრულების პირობებზე. ასევე, შესაძლებელია, კონტრაქტის პირობები გამომდინარეობდეს სპორტის მმართველ ორგანოსა და მოთამაშეთა პროფესიულ კავშირს შორის არსებული კოლექტიური შეთანხმებიდან. ძირითადი მაგალითები მოიცავს ფეხბურთელებისა და კრიკეტის მოთამაშეთა კონტრაქტებს, რომლებიც დაიდო შესაბამისად პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციისა და პროფესიონალ კრიკეტის მოთამაშეთა ასოციაციის მონაწილეობით. ამ სტანდარტულ კონტრაქტებს დაემატება კონფიდენციალური პერსონალური პირობები, როგორცაა ხელფასი, ბონუსები, სპონსორობა და გამოსახულების უფლებები.

მოთამაშის კონტრაქტის სტანდარტული პირობები მოიცავს ფიზიკურ მომზადებას, ექსკლუზიურობასა და დისციპლინას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოთამაშეებს მოეთხოვებათ დაემორჩილონ როგორც კლუბის წესებს, ასევე შესაბამის ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებს, როგორცაა პრემიერლიგა და საფეხბურთო ლიგები, ასევე ინგლისისა და უელსის კრიკეტის საბჭო. კლუბისა და ხელმძღვანელ ორგანიზაციების წესებს შორის ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელის წესებს. ფეხბურთელების და კრიკეტი მოთამაშეების კონტრაქტები ასევე მოიცავს დებულებებს, რომელიც ეხება მოთამაშის დისციპლინურ გადაცდომებს, როდესაც ისინი სახელს უტეხენ თამაშს. ბოლო პერიოდში ამის ცნობილ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი სპორტსმენები: იენ ბოთემი (Ian Botham), ედ ჰიდინსი (Ed Giddens), ლი ბოუერი (Lee Bowyer), ენდი ქეროლი (Andy Carroll) და ედრიან მუტუ (Adrian Mutu), რომლებიც დისციპლინირებულნი იქნენ ისეთი ნარკოტიკების მოხმარებისათვის, როგორცაა კანაბისი და კოკაინი, ან ლამის კლუბების მიმდებარე ტერიტორიებზე ჩხუბისთვის. კლუბებს გააჩნიათ დისკრეცია, თავად გადაწყვიტონ, მოთამაშეს დააჯარიმებენ, დაუნესებენ აკრძალვას თუ გაათავისუფლებენ სამსახურიდან. როგორც წესი, დავა შეიძლება წამოიჭრას სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების შემთხვევაში, რაც საჩივრდება ან ადგილობრივ არბიტრაჟში ან სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (the Court of Arbitration for Sport - CAS).

ნარკოტიკების მიღების გარდა, დისციპლინურ პრობლემებს ასევე იწვევს ძალადობრივი აქტები ფეხბურთელთა მხრიდან, რაც შესაძლოა დასრულდეს სპორტსმენის სამსახურიდან გათავისუფლებით მის მიერ კონტრაქტის დარღვევის საფუძველით. თუმცა, როგორც წესი, კლუბები ამ ფაქტების მიმართ გულგრილობას იჩენენ. ამას ადასტურებს საფეხბურთო კლუბების „ჩელსისა“ (Chelsea FC) და „მანჩესტერ იუნაიტედის“ (Manchester United FC) გადაწყვეტილებებიც, შესაბამისად, დენის უაიზსა (Dennis Wise) და ერიკ კანტონაზე (Eric Cantona), თავდასხმის გამო გასამართლების შემდეგ მათზე არ დაედოთ კლუბის სანქციები. სწორედ ასევე, ლიდსის ლამის კლუბის გარეთ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების გამო ჯონათან ვუდგეიტისა (Jonathan

Woodgate) და ლი ბოუერის (Lee Bower) გასამართლებას მათ კარიერაზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია. მიუხედავად ყველაფრისა, იგივე ვუდგეიტი ინგლისის ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს. მსგავსი შემთხვევა განმეორდა 2010 წელს „ნიუკასლის“ (Newcastle) მაშინდელ მოთამაშე ენდი კეროლთან (Andy Carroll) დაკავშირებითაც. ჯოი ბარტონი (Joey Barton) კიდევ ერთი მაგალითია ფეხბურთელისა, რომლის კარიერაც სავსეა ძალადობის აქტებით როგორც სტადიონზე, ისე მის გარეთ. კლუბები, რომლებშიც ის თამაშობდა, ძალიან მომთმენნი იყვნენ მის მიმართ. ერთადერთი გამონაკლისი „მანჩესტერ სიტი“ (Manchester City) იყო, რომელმაც 2007 წელს ბარტონს დროებით შეუჩერა უფლებამოსილება ინცინდენტების მთელი სერიის გამო, რისი კულმინაციაც იყო ის, რომ ბარტონი ვარჯიშის დროს თავს დაესხა თანაგუნდელ ოსმან დაბოს (Ousmane Dabo). 2015 წელს ბარტონის ტრანსფერი „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან“ (Queens Park Rangers) „ვესტ ჰემში“ (West Ham) გაუქმდა ქომაგების პროტესტის გამო, რომელთაც არ უნდოდათ ბარტონის ხილვა მათ გუნდში.¹⁶¹

2003-2004 წლების სეზონის განმავლობაში რიგი ფეხბურთელების წინააღმდეგ სექსუალური ხასიათის სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გამოთქმულ ბრალდებებს კლუბების მხრიდან რაიმე დისციპლინური სახდელი არ მოჰყოლია (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ბრალდება არ დადასტურებულა). საფეხბურთო სამყაროში მსგავსი თანაგრძნობა დაფიქსირდა ჩედ ევანსის (Ched Evans) მიმართ, რომელიც სასჯელს იხდიდა 19 წლის ქალის გაუპატიურების გამო. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის (PFA) მხარდაჭერით ციხიდან გამოსვლის შემდეგ ევანსს ნება დართეს, ევარჯიშა ყოფილ კლუბთან „შეფილდ იუნაიტედთან“ (Sheffield United) ერთად მისი გუნდში დაბრუნების მიზნით. თუმცა, სოციალური მედიის მასობრივი კამპანიის შემდეგ, რამდენიმე სპონსორმა კლუბთან დადებული გარიგებები გააუქმა, ასევე კლუბის ცნობილი მხარდამჭერები, მათ შორის, ჯესიკა ენის ჰილი (Jessica Ennis Hill) და პოლ ჰიტონი (Paul Heaton) საჯაროდ აპროტესტებდნენ ევანსის კლუბში დაბრუნების ნებისმიერ მცდელობას. ასეთივე პროტესტი გამოიწვია ინფორმაციამ, რომ „ოლდჰემ ათლეტიკი“ (Oldham Athletic) განიხილავდა კონტრაქტის გაფორმებას ევანსთან. ევანსი დიდი ხნის განმავლობაში სპორტიდან გაძევებულის სტატუსს ატარებდა. როგორც, ჩანს, ეს საზოგადოებრივი აზრის ზენოლის შედეგი უფრო იყო, ვიდრე შეხედულებისა, რომ ევანსი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი, არ იყოს მისაღები დამსაქმებელთათვის. მისი საქმის მორიგი გასაჩივრებისა და ხელახალი სასამართლო პროცესის შემდეგ, ის უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და შეფილდ იუნაიტედმა მასთან კონტრაქტი განაახლა.¹⁶²

საერთო ჯამში ჩანს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შერჩევისას, კლუბები სარგებლობენ ფართო დისკრეციით - დანყებული პატივით და დამთავრებული ჯარიმით, რაც შეიძლება მკაცრ ზომად ჩაითვალოს. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს გონივრული პასუხების ტესტთან, რაც მოცემულია არასამართლიანი განთავისუფლების შესახებ კანონში (იხ. ქვევით). საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, რეკრეაციული ნარკოტიკის მიღება უფრო სერიოზულ მოვლენად განიხილება, ვიდრე ძალადობის შემთხვევები სათამაშო მოედანზე, თუ მის გარეთ. თუ მოთამაშე არ თაღლითობს ან სექსუალური სამართალდარღვევის აქტის ჩასადენად ბოროტად არ იყენებს ძალაუფლებას, ხომ არ უნდა იყოს მისი ასეთი ქმედება მისი პირადი საქმე? რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც კლუბები მუდმივად

¹⁶¹ იხ. <http://backpagefootball.com/bad-boy-joey-bartons-sad-decline/91243/> — 2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით - კარიერის განმავლობაში ბარტონის დისციპლინური პრობლემების გასაცნობად; <http://www.dailymail.co.uk/sport/football/article3194385/West-Ham-pull-plug-Joey-Barton-free-transfer-fans-voice-displeasure.html> — 2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

¹⁶² სააპელაციო სასამართლოს მიერ ევანსის განაჩენის გაუქმებას თან ახლდა აზრთა სხვადასხვაობა. იხ. <http://www.theguardian.com/commentisfree/2014/nov/16/ched-evans-case-moral-confusion-jessica-ennis-hill> ასეთივე წინააღმდეგობები მოჰყვა გადადგომასაც. იხ. <https://uk.sports.yahoo.com/news/sheffieldunited-signing-ched-evans-123147089.html>

სჯიან მოთამაშეებს, რომ არაფერი ვთქვათ განთავისუფლებაზე დანაშაულის ჩადენის გამო. თუმცა, რაც შეეხება სეზონის განმავლობაში ნარკოტიკებისა თუ ალკოჰოლური საშუალებების გამოყენებას, ეს ქმედება ეწინააღმდეგება მოთამაშეების მხრიდან ნაკისრ ვალდებულებას, შეინარჩუნონ საკუთარი სხეული შესაბამის მდგომარეობაში.¹⁶³

უკანონო ბათავისუფლება (WRONGFUL DISMISSAL)

გათავისუფლება უკანონოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დამსაქმებლის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ხდება. ამ თვალსაზრისით, სასამართლო პრაქტიკამ წარმოაჩინა მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი გამოთქმებასა და იმ პირობებს შორის, რომლებიც ყველა შრომით ხელშეკრულებაში იგულისხმება. დასაქმებულები ექვემდებარებიან როგორც ცხად, ისე ნაგულისხმევ პირობებს და იცავენ დამსაქმებლის მითითებებს, ხოლო დამსაქმებელმა უნდა შეასრულოს სამართლებრივად ნაგულისხმევი პირობები, რათა შეინარჩუნოს ნდობა და რწმენა (trust and confidence). თუ დასაქმებულის მიმართ დაირღვა აღნიშნული პირობა და იგი გადადგება, მაშინ ეს იქნება უკანონო „კონსტრუქციული გათავისუფლება“¹⁶⁴, რომელიც უფლებას აძლევს მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დამსაქმებელისგან. ამის მაგალითია ქევინ ქიიგანის (Kevin Keegan) გადადგომა საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლ იუნაიტედის“ (Newcastle United FC) მენეჯერის თანამდებობიდან. ქიიგანს შეუბრუნდნენ, რომ კლუბში მოთამაშეთა შემადგენლობის დაკომპლექტებისას მას ექნებოდა გადამწყვეტი სიტყვა. ურუგვაელი იგნასიო გონზალესი (Ignacio Gonzalez) აიყვანეს კლუბში ქიიგანის სურვილისა და არაერთი პროტესტის საწინააღმდეგოდ. მენეჯერთა ასოციაციის ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ქიიგანს აუნაზღაურდა ზიანი იმ საფუძვლით, რომ კლუბის საქციელით დაინგრა ნდობა და რწმენა.¹⁶⁵ ზიანი ასევე აუნაზღაურდა ალან კურბიშლის (Alan Curbishley), როდესაც იგი გადადგა „ვესტ ჰემის“ (West Ham) მენეჯერის თანამდებობიდან იმის გამო, რომ, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, კლუბმა „სანდერლანდს“ (შუნდერლანდ) მიჰყიდა ენტონი ფერდინანდი (Anton Ferdinand) და ჯორჯ მაკარტნი (ჯეორჯე Mცჩარტნეი).

კონსტრუქციული გათავისუფლების ბოლო მაგალითი იყო კლუბ „ჩელსის“ (Chelsea) ყოფილი ექიმის ევა კარნეიროს (Eva Carneiro)¹⁶⁶ გათავისუფლება, რომელიც საჯაროდ გააკრიტიკა ჩელსის მენეჯერმა ჟოზე მოურინიომ (Jose Mourinho) იმისათვის, რომ კანეირო გავიდა სათამა-

¹⁶³ ნარკოტიკების გამო მოთამაშის გათავისუფლებასთან დაკავშირებით დისკუსია იხ. Welch, R., „A sport and a puff: „Recreational Drugs and Discipline in Professional Sport“, in O’Leary, J (ed), Drugs and Doping in Sport (2000), London: Cavendish, pp. 75–90. სტატიაში „Cocaine, the lurking danger“, The Guardian, 1994 წლის 26 ნოემბერი, კრისტოფერ ელიოტი (Christopher Elliott) აანალიზებს ურთიერთმიმართებას, ერთი მხრივ, ნარკოტიკის მოხმარებასა და, მეორე მხრივ, პროფესიონალი ფეხბურთელისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და მისგან მოსალოდნელ ცხოვრების წესებს შორის, რაც დღეს აქტუალურია. ამისგან განსხვავებით, თუმცა ნარკოტიკული ნივთიერება კოკაინის ტესტზე დადებითი პასუხის შემდეგ ჩელსიმ ადრიან მუტუ გაათავისუფლა, მაგრამ ამას მის კარიერაზე ხანგრძლივად არ უმოქმედია, რადგან მან მალევე გააფორმა 5 წლიანი ხელშეკრულება იუვენტუსთან. იხ. „The Guardian“, 2005 წლის 13 იანვარი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სხვადასხვა კლუბების განსხვავებულ მიდგომებს მოთამაშეთა ქცევაზე.

¹⁶⁴ კონსტრუქციული გათავისუფლება - იგივე უკანონო კონსტრუქციული გათავისუფლება (constructive unfair dismissal) გაერთიანებული სამეფოს სამართალში გულისხმობს შემთხვევას, როდესაც დამსაქმებელმა დაარღვია კონტრაქტის მნიშვნელოვანი პირობა, რაც დასაქმებულს საპასუხოდ აძლევს გადადგომის უფლებას. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ (ყოფილი) დასაქმებული არის „გათავისუფლებული“ (და არა გადამდგარი თავისი ნებით). ასეთ შემთხვევაში კანონი გადადგომას განიხილავს, როგორც უკანონოდ გათავისუფლებას. იხ. <https://www.landaulaw.co.uk/constructive-dismissal/>

¹⁶⁵ იხ. კონსტრუქციული გათავისუფლება: Kevin Keegan v Newcastle United W.S.L.R 2009, 7 (12), 14-16.

¹⁶⁶ ტექსტში შეცდომით ნახსენებია გვარი ჩანეირო, თუმცა ნამდვილი გვარია ჩარნეირო. ამიტომ აქაც და შემდგომაც გამოყენებული იქნება გვარის სწორი ფორმა - Carneiro. (გიორგი გორაძე)

შო მოედანზე და სამედიცინო დახმარება გაუწია ჩელსის მოთამაშეს ედენ აზარს (Eden Hazard) მაშინ, როცა მოუწინაო თვლიდა, რომ თამაში მიმდინარეობდა ჩელსის უპირატესობით და უნდა გაგრძელებულიყო პაუზის გარეშე. კარნიერო გადადგა თავისი პოზიციიდან, რის შედეგადაც იგი განთავისუფლდა კლუბიდან.¹⁶⁷

მისი სავარაუდო არგუმენტი ტრიბუნალის წინაშე შეიძლება ყოფილიყო ის, რომ დამოკიდებულება კლუბის მხრიდან წარმოადგენდა ორმხრივი ნდობისა და პატივისცემის დარღვევას. თუმცა აღნიშნული საქმე გადაწყდა კონფიდენციალური შეთანხმების ფარგლებში, რომელიც დაიდო მანამ სანამ კანნიერო ჩვენებას მისცემდა ტრიბუნალს. საიდუმლო შეთანხმება ასევე მოიცავდა კანნიეროს მხრიდან ჟოზე მოუწინაოს წინააღმდეგ სექსუალური დისკრიმინაციის ბრალდებით წარდგენილი საჩივრის უარყოფას.

დასაქმებულები კარგავენ უფლებას მოითხოვონ კონსტრუქციული გათავისუფლება, თუ დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევას დასაქმებული თავისი ქცევით ეთანხმება. საქმეში მაქარი სელტიქ ფუტბალისა და ათლეტიკის წინააღმდეგ (Macari v Celtic Football & Athletic Co Ltd 1999 S.C. 628), მაქარი, რომელიც იყო სელტიკის მენეჯერი, კლუბის ახალი მფლობელების მიერ უკანონოდ იქნა გარიცხული მმართველი საბჭოს სხდომებიდან. მაქარი ამ ფაქტს უპასუხა არა თანამდებობიდან წასვლით, არამედ სამუშაო კვირის განმავლობაში ოჯახთან ერთად სტოკში დასასვენებლად წასვლით. ეს საქმე განიხილა შოტლანდიის უმაღლესმა სასამართლომ და დაადგინა, რომ კლუბმა დაარღვია ნდობისა და რწმენის პრინციპი, თუმცა მაქარი კლუბში მენეჯერად დარჩენით დაეთანხმა ამ დარღვევას. აქედან გამომდინარე, მან დაკარგა მოთხოვნის უფლება კონსტრუქციულ გათავისუფლებაზე, ხოლო მისი შემდგომი გათავისუფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინადრობის პირობების დარღვევასთან დაკავშირებით კანონიერი იყო. კლუბის მიერ ნდობისა და რწმენის დარღვევა არ ამართლებდა მაქარის საქციელს, რომელმაც, იმოქმედა რა თავისი მოვალეობის საწინააღმდეგოდ, კლუბთან გააგრძელა კონტრაქტი.

მეორე მხრივ, თუ მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დასაქმებული გადადგა თანამდებობიდან დამსაქმებლის მიერ პირობის დარღვევის საპასუხოდ, მნიშვნელობა აღარ აქვს დასაქმებულის ადრე გამოთქმულ აზრს, რომ ის დატოვებდა სამსახურს უკეთესი წინადადების მიღების შემთხვევაში. ასეთი რამ დაფიქსირდა საქმეში გიბსი საფეხბურთო კლუბ ლიდს იუნაითედის წინააღმდეგ (ჩიბს ვ გედს უნიტედ ჭოტბალლ ჩლუბ [2016] 1ღღლ 493), რომლის თანახმადაც, გიბსი იყო დანიშნული კლუბის მენეჯერის თანაშემწედ და მოგვიანებით უარი თქვა შესაძლებლობაზე, ემართა კლუბი. როცა დაინიშნა ახალი მენეჯერი, გიბსი გარიცხულ იქნა ვარჯიშებიდან და მიიღო ახალი სამუშაო დასუფთავებაში. სტატუსის ეს დაქვეითება წარმოადგენდა კლუბის მხრიდან კონტრაქტის დამამცირებელ დარღვევას, მისი გადადგომა კი ნიშნავდა კონსტრუქციულ გათავისუფლებას. ის ფაქტი, რომ ის მანამდე განიხილავდა ხელშეკრულების შეწყვეტას ურთიერთშეთანხმებით, ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ კლუბის ქცევა კონტრაქტის დარღვევად ჩათვლილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მენეჯერებს ათავისუფლებენ არა გადაცდომების, არამედ გუნდის წარუმატებელი გამოსვლის გამო. ასეთი გათავისუფლებები უკანონოა, მაგრამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც წესი, წინ უსწრებს შეთანხმებას მენეჯერის მიერ მისაღები კომპენსაციის ოდენობის შესახებ.

არასამართლიანი ბათილისუფლება (UNFAIR DISMISSAL)

არასამართლიანი გათავისუფლების გასაჩივრების უფლება არის კანონიერი უფლება, რომელიც გარანტირებულია „შრომის უფლებათა შესახებ“ კანონის¹⁶⁸ 98-ე მუხლით და რომელიც არ

¹⁶⁷ ამ დავაზე მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. თჰე ჩუარდიან, 2015 წლის 29 ოქტომბერი, <http://www.theguardian.com/football/2015/oct/29/eva-carneiro-constructive-dismissal-chelsea-doctor>

¹⁶⁸ იგულისხმება გაერთიანებული სამეფოს 1996 წლის კანონი „Employment Rights Act“. (გიორგი გორაძე)

არის დამოკიდებული დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეულ გათავისუფლებაზე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამსახურიდან გათავისუფლება ჩაითვლება არასამართლიანად, როდესაც დამსაქმებელი მოქმედებდა უსაფუძვლოდ ანუ მოქმედებდა ისე, როგორც არ მოიქცეოდა არც ერთი გონიერი დამსაქმებელი და, შესაბამისად, განთავისუფლება გადის გონივრული პასუხების მიღმა. განთავისუფლება შეიძლება იყოს არსებითად არასამართლიანი, რადგან დამსაქმებელს დასაქმებულის გასათავისუფლებლად არ ჰქონდეს ადეკვატური მიზეზი, და/ან პროცედურულად არასამართლიანი, რადგან დამსაქმებელმა ვერ იმოქმედა გონივრულად და განთავისუფლების გადაწყვეტილების მიღებამდე არ დაიცვა შესაბამისი პროცედურა. პროცედურული თვალსაზრისით, დამსაქმებლები იმოქმედებენ გონივრულად, თუ ისინი განუხრელად დაიცავენ როგორც შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა პროცედურას, ასევე ACAS¹⁶⁹ 2009 წლის კოდექსს¹⁷⁰ დისციპლინური და საჩივრის პროცედურების შესახებ. უფრო მეტიც, საქმეზე პოლკი შპს დეიტონ სერვისის წინააღმდეგ (Polkey v AE Dayton Services Ltd [1988] A.C. 344), ლორდთა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად შესაბამისი პროცედურის დაუცველობა ყოველთვის არ აქცევს გათავისუფლებას პროცესუალურად არასამართლიანად, ვინაიდან არის გარემოება, როდესაც, მიუხედავად პროცესუალური ხარვეზისა, დამსაქმებელი მოქმედებს გონივრულად, რადგან გონიერი დამსაქმებელი შეიძლება ამ პროცედურებს თვლიდეს უაზროდ ან უსარგებლოდ.

როგორც წესი, როდესაც აქვთ არჩევანის საშუალება, მოთამაშეებსა და მენეჯერებს უკანონო გათავისუფლებასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა ურჩევნიათ ჩვეულებრივ საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან შრომითი დავების ტრიბუნალებს არ შეუძლიათ £25,000-ზე მეტი ოდენობის კომპენსაციის დაწესება. „არასამართლიანი გათავისუფლების შესახებ (კომპენსაციის ზღვრის ცვლილება)“ 2013/1949 დირექტივიდან (Unfair Dismissal (Variation of the Limit of Compensatory Award) Order 2013/1949) გამომდინარე, 2015 წლის აპრილიდან შემოღებული იქნა კომპენსაციის ახალი ზღვარი არასამართლიანი განთავისუფლებისათვის. კომპენსაციის აბსოლუტური მაქსიმუმი დღეისათვის 80,541¹⁷¹ ფუნტი სტერლინგით არის განსაზღვრული.¹⁷² ეს ზღვარი გამოუყენებელია, ვინაიდან დაქირავებულის წლიური ხელფასი ამ თანხაზე ნაკლებია. პროფესიონალური, მაგრამ არაელიტარული სპორტის ბევრი წარმომადგენელი გამოიმუშავებს მაქსიმალურზე ნაკლებს.

ყველას აქვს უფლება დაესწროს შრომითი დავების ტრიბუნალების მოსმენებს, ამიტომ დასაქმებულები ხშირად წარმოდგენილები არიან პროფესიული კავშირების ან სათანადო პროფესიული ასოციაციების თანამდებობის პირებით. თუმცა ხარჯები შეიძლება დაეკისრო ნაგებულ მხარეს, მაგრამ, როგორც წესი, მხარეები თავად ანაზღაურებენ თავიანთ ხარჯებს. როგორც ტრიბუნალების უმრავლესობაში ხდება, აქ სამართლებრივი დახმარება შესაძლებელი არ არის. კოალიციურმა მთავრობამ ტრიბუნალების სისტემაში მნიშვნელოვანი და უპრეცედენტო

¹⁶⁹ საკონსულტაციო, სამომრიგებლო და საარბიტრაჟო სამსახური (ACAS - Advisory, Conciliation and Arbitration Service) - არის გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო დაწესებულება, რომლის მთავარი დანიშნულება არის დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის კარგი ურთიერთობის ხელშეწყობა და მათ შორის არსებული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარება. დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. <https://acas.org.uk> (გიორგი გორაძე)

¹⁷⁰ ამჟამად მოქმედებს 2015 წლის კოდექსი. იხ. https://www.acas.org.uk/media/1047/Acas-Code-of-Practice-on-Discipline-and-Grievance/pdf/Acas_Code_of_Practice_on_Discipline_and_Grievance.PDF (გიორგი გორაძე)

¹⁷¹ საბაზისო კომპენსაციისა და შემცირების გამო გათავისუფლებისათვის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა კვირაზე გაანგარიშებით გაიზარდა 489-მდე.

¹⁷² 2019 წლის 6 აპრილიდან დადგინდა კომპენსაციის ახალი ზღვრები: არასამართლიანი გათავისუფლებისათვის კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 86,444 ფუნტ სტერლინგს, საბაზისო კომპენსაციისა და შემცირების გამო გათავისუფლებისათვის ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა კვირაზე გაანგარიშებით გაიზარდა 525 ფუნტ სტერლინგამდე. იხ. <https://www.landaulaw.co.uk/faqs/what-compensation-would-you-receive-in-a-constructive-dismissal-claim/> (გიორგი გორაძე)

ცვლილებები შეიტანა, რის შედეგადაც უკვე შეუძლებელია სარჩელის ტრიბუნალში შეტანა უფასოდ. ტრიბუნალში სარჩელის შეტანისას დადგენილი იყო მოსაკრებელი, ხოლო დამატებითი მოსაკრებელი იყო დაწესებული საქმის ზეპირი მოსმენის ეტაპზე გადაცემის შემთხვევაში.¹⁷³ 2017 წლის 26 ივლისს უზენაესმა სასამართლომ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ დაწესებული მოსაკრებლების რეჟიმი იყო უკანონო, რადგან ის აფერხებდა ტრიბუნალის სისტემის ხელმისაწვდომობას. ამის დამადასტურებელია ტრიბუნალში საქმეების 66-70%-ით შემცირება.¹⁷⁴

2014 წელს კოალიციურმა მთავრობამ კიდევ ერთი ცვლილება განახორციელა მოსარჩელებთან მიმართებაში. მოსარჩელეს დაეკისრა ვალდებულება, სანამ ტრიბუნალს წარუდგენდა თავის კანონიერ პრეტენზიას, ჯერ მიემართა ACAS-თვის. ეს ცვლილება განხორციელდა 2013 წლის კანონით „სამენარმეო და მომწესრიგებელი რეფორმის შესახებ“ (Enterprise and Regulatory Reform Act - ERRA), რომლითაც „შრომითი ტრიბუნალების შესახებ“ 1996 წლის კანონს (Employment Tribunals Act - ETA) დაემატა ახალი დებულებები (მუხლები 18A და 18B). უნდა გვესმოდეს, რომ ACAS-თვის შეტყობინება პრეტენზიის წარდგენის განზრახვის შესახებ, არ ნიშნავს ვალდებულებას, მიიღო ამ ორგანიზაციის მომრიგებელი ოფიცრის მომსახურება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთამაშეს უფლება აქვს იდავოს უკანონო გათავისუფლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი გაათავისუფლეს ხელშეკრულების შესაბამისად ან ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება არ გაუგრძელეს. ამ უკანასკნელის კარგი მაგალითია კრის სკოფილდის (Chris Schofield) საქმე. სკოფილდი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე 2004 წლის სეზონის ბოლოს გათავისუფლდა ლანკაშირიდან (Lancashire). განთავისუფლების მიზეზი გაამხილა კლუბის მწვრთნელმა მაიკ უატკინსონმა სკოფილდის მიმართ გაკეთებულ შენიშვნაში, რომ მან „აღბათ, ვერ მიაღწია სრულ პოტენციალს“. დავობდა რა არასამართლიანგათავისუფლებას,

¹⁷³ შრომის ტრიბუნალისა და შრომის სააპელაციო ტრიბუნალის შესახებ 2013 წლის ბრძანების (შ 2013/18930) შესაბამისად, თავიანთი არსებობის 50 წლის მაძილზე პირველად ტრიბუნალები ახდევინებდნენ მოსაკრებელს სარჩელისათვის და დამატებით მოსაკრებელს, თუ საქმე მივიდოდა ზეპირ მოსმენამდე. ისეთი სარჩელებისათვის, როგორცაა არასამართლიანად თანამდებობიდან გათავისუფლება ან 2010 წლის თანასწორობის აქტის (იხ. ქვემოთ) საფუძველზე შეტანილ საჩივრებზე სასამართლო მოსაკრებელი იყო §230, ხოლო ზეპირი მოსმენის მოსაკრებელი — §950. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა არასამართლიანგათავისუფლებასთან დაკავშირებით მოსარჩელეს შეიძლება დაჯდომოდა §1180. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ტრიბუნალს უფლება ჰქონდა დამსაქმებლისათვის დაეკისრებინა მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯის გადახდა, მაგრამ ეს იყო ტრიბუნალის დისკრეცია და არ ხდებოდა ავტომატურად. შრომის სააპელაციო ტრიბუნალში (EAT) სააპელაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სააპელაციო საფასურის გადახდა ხდებოდა აპელანტის მიერ მიუხედავად იმისა, დამსაქმებელი იქნებოდა ეს თუ დასაქმებული, რისთვისაც დადგენილი იყო სტანდარტული თანხა - §400. ამასთანავე, აპელაციის მოგების შემთხვევაში არ არსებობდა ნორმა, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა აპელანტის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურება წაგებული მხარი მიერ. შესაძლოა, ეს მოსაკრებლები არ აბრკოლებდა კლუბების ისეთ მაღალანაზღაურებად თანამშრომლებს, როგორებიც არიან მოთამაშეები და მწვრთნელები, ალექსანდრე დავა. თუმცა, ეს მოსაკრებლები უფრო პრობლემური იყო შედარებით ნაკლებად ანაზღაურებადი თანამშრომლებისათვის, როგორებიც არიან კლუბის მიერ დასაქმებული პირები, მაგალითად, ადმინისტრაციული, მომსახურების და კატერინგის სფეროებში.

¹⁷⁴ R (on the application of UNISON) v Lord Chancellor [2017] UKSC 51. ლედი ჰელიმ (გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე) ასევე დაადგინა, რომ მოსაკრებლების რეჟიმი არაპირდაპირ სქესობრივ დისკრიმინაციას წარმოადგენდა, რადგან დისკრიმინაციის საფუძველით შემცირებული სარჩელების არაპროპორციულად მეტი ოდენობა მოდიოდა ქალებზე. ამ გადაწყვეტილების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა, რომ მოსაკრებლების გადახდა აღარ მოხდებოდა, ხოლო ვინც უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამდე გადაიხდა მოსაკრებელი, უკან დაბრუნდებოდა. - იხ. The Guardian, 27/07/2017. კოალიციური მთავრობის მიერ დასაქმების ტრიბუნალების სისტემაში საგადასახადო რეჟიმის განმარტებასა და კრიტიკასთან, ასევე სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით იხ. Welch, R., (2016) "The Coalition Government and the Lifting of the Floor of Individual Employment Rights", in S. Williams and P. Scott (Eds), Employment Relations under Coalition Government: the UK Experience, 2010-15, New York and Abingdon: Routledge, 89-107.

სკოფილდი აცხადებდა, რომ მისთვის ბევრად ადრე უნდა ეცნობებინათ მისი გათავისუფლების გადაწყვეტილების თაობაზე. კლუბმა ეს ვერ მოახერხა, რამაც ხელი შეუშალა მას ახალი სეზონისთვის კლუბის მოძებნაში. შრომითი დავების ტრიბუნალი დაეთანხმა მას და დაადგინა, რომ კლუბი მოქმედებდა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება, სკოფილდისთვის არ განეხილებინა ხელშეკრულება, იყო არასამართლიანი.¹⁷⁵

საქმე ბექი საფეხბურთო კლუბ ლინკოლნ სიტის წინააღმდეგ (*Beck v Lincoln City FC, IT Case 2600760/98, unreported*), არის სამართლიანი გათავისუფლების ნათელი მაგალითი. ბექი გათავისუფლეს უნებართვოდ შვებულებაში გასვლის გამო. ბექმა დამაბნეველი განცხადებები გააკეთა მისი არყოფნის მიზეზების შესახებ. ჯერ მიზეზად ახლობელი ადამიანის გარდაცვალება დაასახელა, ხოლო მოგვიანებით - შეყვარებულთან დაშორება. ბექს ადრე უკვე მიღებული ჰქონდა ორი წერილობითი გაფრთხილება სხვა გადაცდომებისთვის. ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, ბექის გათავისუფლება იყო გონივრული და სამართლიანი მის მიერ შრომითი ხელშეკრულების დარღვევის გამო, არყოფნასთან დაკავშირებით მისი შემდგომი არაპირდაპირი და დამაბნეველი განცხადებებისა და წინარე ჩანაწერების გათვალისწინებით.

პროცედურული არასამართლიანობა იყო ფეხბურთელ დენის უაიზის (*Dennis Wise*) მიერ ადმინისტრაციაში შეტანილი სარჩელის საფუძველი საქმეში უაიზი ფილბერტ რეალიზაციის (ყოფილი საფეხბურთო კლუბი „ლესტერ სიტი“) წინააღმდეგ (*Wise v Filbert Realisations, EAT/0660/03, 9 February 2004*). თავისი საფეხბურთო კლუბის ლესტერის სეზონისწინა ვარჯიშების დროს, დენის უაიზს ინციდენტი შეემთხვა თანაგუნდელ ქელამ დევიდსონთან (*Callum Davidson*). უაიზის მიერ სახეში ერთი ან რამდენიმე დარტმის შედეგად, დევიდსონს გაუტყდა ყვრიმლის ძვალი და მარჯვენა თვალის ირგვლივ მიიღო სისხლჩაქცევები და შეშუპება. ამის გამო, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, უაიზი შეტყობინებით გაათავისუფლეს. უაიზმა გამოიყენა სახელშეკრულებო სამართლით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტში (*Football League Disciplinary Committee*), რომელმაც სრულად ჩაატარა განმეორებითი მოსმენა შესაბამისი მოწმეების მონაწილეობით. კომიტეტმა დაადგინა, რომ უაიზს ბრალი მიუძღოდა სერიოზულ გადაცდომაში, მაგრამ მიუთითა კლუბის მხრიდან პროცედურულ დარღვევებზე. მან გადაწყვიტა გაეუქმებინა გათავისუფლების შესახებ ბრძანება და იგი შეეცვალა დაჯარიმებით ორი კვირის ხელფასის ოდენობით. კლუბმა გაასაჩივრა კომიტეტის ეს გადაწყვეტილება საფეხბურთო ლიგის სააპელაციო კომიტეტში (*Football League Appeals Committee*). სააპელაციო საჩივრის ძირითადი არსი იყო ის, რომ სერიოზული გადაცდომების აღმოჩენის მიუხედავად, კომიტეტს არ ჰქონდა უფლება, გათავისუფლების შესახებ ბრძანება მიეჩნია არაპროპორციულად და ამიტომ მას არ უნდა შეეცვალა იგი. სააპელაციო კომიტეტმა დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და აღადგინა განთავისუფლების ბრძანება საქმის არსებითი განხილვის გარეშე. შემდგომ ამისა, შრომის სააპელაციო ტრიბუნალმა თავდაპირველი პროცედურული დარღვევების გათვალისწინებით დაადგინა, რომ საქმის არსებითად განხილვის გარეშე სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება, რითიც შეცვალა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება, იყო უსაფუძვლო პროცედურული დარღვევა და, აქედან გამომდინარე, უაიზი არ იყო სამართლიანად გათავისუფლებული. უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში ტელიორი შპს ოუსიეს გრუპის წინააღმდეგ (*Taylor v OCS Group Ltd [2006] I.C.R. 1602*), სააპელაციო სასამართლომ, პოლკის საქმის შესაბამისად, დაადგინა, რომ არ არსებობს სამართლის ისეთი ნორმა, რომლის თანახმადაც მხოლოდ საქმის სრული ხელახალი მოსმენით არის შესაძლებელი გასწორდეს თავდაპირველი პროცედურული ხარვეზები და იქნება გარემოებები, როდესაც დამსაქმებელი მოქმედებდა გონივრულად საქმის სრულად გადასინჯვის გარეშე.

ნარკოტიკების მოხმარების გამო მოთამაშის გათავისუფლების შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას როგორც მატერიალური, ისე პროცედურული სამართლიანობის პრობლემები. მაგ-

¹⁷⁵ იხ. <http://www.espncriinfo.com/england/content/story/207245.html>.

ალითად, 2009 წლის დასაწყისში, მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის შესაბამისად, ინგლისის ნაკრებისა და „ბეთ რაგბის“ (Bath Rugby) გუნდის საყრდენს მეტ სტივენსს (Matt Stevens) ორი წლით შეუჩერდა თამაშის უფლება მას შემდეგ, რაც 2008 წლის დეკემბერში ნარკოტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა კოკაინზე. 2009 წლის მაისსა და ივნისში, ბეთის ოთხმა მოთამაშემ, ჯასტინ ჰარისონმა (Justin Harrison), მაიკლ ლიპმანმა (Michael Lipman), ალექს კროკეტმა (Alex Crockett) და ენდრიუ ჰიგინსმა (Andrew Higgins) დატოვეს კლუბი ბრალდებების გამო, რომ უარი განაცხადეს შიდა ნარკოტესტის გაკეთებაზე. თუმცა აღნიშნულ შემთხვევებში არ მომხდარა სასამართლო განხილვები, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ისინი გვიჩვენებენ კონტექსტს: თუკი კლუბებმა უნდა დასაჯონ საკუთარი მოთამაშეები ნარკოტიკების მოხმარების გამო და სურთ, დაწერონ საკუთარი ნარკოტესტირების რეჟიმი, მაშინ მათ ინტერესებში შედის, ხელშეკრულებით განსაზღვრონ, რომ გარკვეული ნარკოტიკების მიღება წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების დარღვევას და მოთამაშეები ვალდებული არიან გაიკეთონ ნარკოტესტირება. თუკი კლუბი ამ დათქმას არ გააკეთებს, მაშინ მოთამაშის ზემოაღნიშნული მიზეზით გათავისუფლება შეიძლება ჩაითვალოს არასწორედ და არასამართლიანად და ასევე შეიძლება წამოიჭრას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებაში, რომელიც იცავს პირის პირადი ცხოვრების ხელშეშებლობის უფლებას. მეორე მხრივ, როდესაც მოთამაშის შრომით ხელშეკრულებაში მოცემულია შესაბამისი დებულებები და კლუბები თანმიმდევრულები არიან დამრღვევთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა თუ განთავისუფლების საკითხებში, სავარაუდოა, რომ ამ დროს ისინი იმოქმედებენ გონივრულობის ფარგლებში და ნებისმიერი გათავისუფლებს იქნება სამართლიანი.¹⁷⁶

რეზიუმე

სტატია თარგმნილია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სპორტის სამართლის“ ფარგლებში.

„შრომის სამართალი სპორტში“ არის ბრიტანელი მეცნიერის, სამართლის დოქტორის, პორტსმუთის უნივერსიტეტის ემერიტუსის როჯერ ველჩის სტატია, რომელიც წარმოადგენს 2015 წელს გამოქვეყნებული სტატიის 2017 წელს განახლებულ ვარიანტს.

თარგმანი დაყოფილია ორ ნაწილად. წარმოდგენილი პირველი ნაწილი უფრო ზოგადი ხასიათისაა და ეხება დასაქმებულის სტატუსის განსაზღვრის, სპორტში შრომითი კონტრაქტის თავისებურებებს და სამსახურიდან გათავისუფლების, მათ შორის, უკანონო და არასამართლიანი განთავისუფლების ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებს. სტატიაში უხვად არის მოცემული პრაქტიკული მაგალითები და პრეცედენტული საქმეები.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ე.წ. „მშრალი“ თარგმანი. სტატიაში სქოლიოების სახით წარმოდგენილია მთარგმნელის კომენტარები ისეთ საკითხებზე, რაც უცხოა ქართული სამართლისთვის. მოცემულ კომენტარებში ახსნილია ბრიტანული სამართლისთვის დამახასიათებელი ცალკეული ტერმინები და დებულებები, რაც ქართველ მკითხველს გაუადვილებს სტატიის გაგებას.

¹⁷⁶ იხ. Drug testing under club employment contracts W.S.L.R. 2009, 7(8), 8-9.

Resume

The article has been translated within the framework of the project „Sports Law“ of the Faculty of Law and International Relations.

"Employment Law in Sport" is an article by Roger Welch, a British academic, Doctor of Law and an Emeritus at the University of Portsmouth. This paper is the updated (in October 2017) version of the paper published in 2015.

This translation is divided into two parts. The first part is more general and deals with the determination of the employee status, the specifics of employment contract in sport and the dismissal, including the concepts of illegal and unfair dismissal and related aspects. The article is full of practical examples and case law.

It has to be said that this is not a so-called "Dry" translation. The article contains footnotes to the translator's comments on issues that are foreign to Georgian law. These comments explain some of the terms and clauses specific to British law that will make it easier for Georgian readers to understand the article.

Резюме

Статья переведена в рамках проекта «Спортивное право» факультета права и международных отношений.

"Трудовое право в спорте" - статья Роджера Уэлча, британского ученого, доктора юридических наук и Эмеритуса Университета Портсмут. Эта статья является обновленной (в октябре 2017 года) версией статьи, опубликованной в 2015 году.

Этот перевод делится на две части. Первая часть носит более общий характер и касается определения статуса работника, специфики трудового договора в спорте и увольнения, включая концепции незаконного и несправедливого увольнения и связанные с ними аспекты. Статья полна практических примеров и прецедентного права.

Надо сказать, что это не так называемый «сухой» перевод. Статья содержит комментарии переводчика по вопросам, чуждым грузинскому законодательству. В этих комментариях разъясняются некоторые термины и положения, относящиеся к британскому законодательству, что облегчит Грузинским читателям понимание этой статьи.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების თეორიული ასპექტები საფინანსო კონტროლის განხორციელებისას

ალექსანდრა ჩხიტაური *

სახელმწიფოთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ ფუნქციას წარმოადგენს კონტროლის განხორციელება სახელმწიფო საქმიანობის ყველა მიმართულებით, რომლის გარეშეც წარმოუდგენლად მიგვაჩნია სრულფასოვანი ხელისუფლების არსებობა სახელმწიფოში. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა უფლებამოსილი ორგანოების წინაშე, წარმოდგენილი ანგარიშის ანალიზი და ანალიზის შედეგად შესაბამისი დასკვნების გამოტანა, სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების დაცვა კონტროლის განხორციელების გზით, ასევე მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთა და სავარაუდო სამართალდარღვევათა თავიდან აცილება¹⁷⁸ - ესაა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც კონტროლის შინაარსს განსაზღვრავს.

სახელმწიფოკონტროლის ყველაზე თვალსაჩინოდ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს საფინანსო კონტროლი, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი და სპეციალური სახელმწიფო კონტროლის ორგანოები ახორციელებენ და რომლის ძირითადი დანიშნულებაა მთელი სახელმწიფოს საბიუჯეტო და საფინანსო სისტემის ყველა რგოლის რესურსების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების სფეროში ორგანოთა თუ ცალკეულ საჯარო პირთა ქმედებების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა.¹⁷⁹ ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკისა და საფინანსო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება წარმოუდგენელია საფინანსო კონტროლის სწორი და ეფექტური წარმართვის გარეშე. პროფესორი რომან შენგელია შემდეგი სახის განმარტებას იძლევა საფინანსო კონტროლის ცნებასთან მიმართებით : საფინანსო კონტროლი არის სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობის პროცესში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესი.¹⁸⁰

როგორც აღვნიშნეთ საფინანსო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მთელი სისტემა, ასევე სპეციალური მაკონტროლებელი ორგანოები მოქალაქეების და იურიდიული პირების მონაწილეობით. საფინანსო კონტროლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში რომ დაცულ იქნას კანონიერება სახელმწიფოს და ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო ფულადი რესურსების წარმოქმნის განაწილების და გამოყენების პროცესში, ფულადი რესურსების სრულ ობიექტურ და ეფექტურად გამოყენებაზე.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან - დღემდე, სახელმწიფოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ეკონომიკური განვითარების პირობების და სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე მდგარი პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად ცვლიდა საფინანსო ორგანოთა ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდებს, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენი აზრით საფინანსო კონტროლის განხორციელების ძირითადი ამოცანა ყოველთვის იყო ფულადი სახსრების მობილიზაციის , განაწილებისა და გამოყენების პროცესის მართლზომიერად წარმართვის უზრუნველყოფა. დღესაც დღევანდელ პერიოდშიც აუცილებელია საფინანსო კონტროლის მეთოდებისა და ფორმების დახვეწა და მეტად სრულყოფა, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს ფინანსური გაძლიერების და განვითარების პროცესს.

სამართლის დოქტორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

¹⁷⁸ შენგელია რ. საფინანსო სამართალი. თბ. 2009, 43

¹⁷⁹ მელქაძე ო. „საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში“ - თბ. 1996, 87

¹⁸⁰ შენგელია რ. საფინანსო სამართალი. თბ. 2009,34

ფინანსური კონტროლის დროს მნიშვნელოვანად მიგვაჩნია რომ შეფასდეს ფინანსური ოპერაციების კანონიერება და მიზანშეწონილობა დაკონტროლი განხორციელდეს ფინანსური რესურსების როგორც მობილიზების ასევე გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, რომლის დროსაც ასევე ხორციელდება ფინანსური რეზერვების იდენტიფიკაციის პროცესიც და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო ისე ხარჯვითი ნაწილის ეფექტური მართვა.

საფინანსო კონტროლის თეორიის თვალსაზრისით, კონტროლის ერთ-ერთი ფუნქცია წარმოადგენს უკუკავშირის მექანიზმს, ანუ საფინანსო კონტროლის სუბიექტის მიერ მართვადი ობიექტის ფუნქციონირების გადამონმებისა და მონიტორინგის სისტემის შემონმებას, მართვადი ობიექტის მიერ მმართველობითი გადაწყვეტილებების, საქმიანობის პირობების, დამდგარი შედეგებისა და მათი რეალიზაციის ეფექტურობის შეფასებისთვის.¹⁸¹

საფინანსო კონტროლის მართვის როგორც სუბიექტი ასევე ობიექტი შეიძლება იყოს მთლიანად მმართველობითის სისტემა - სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები და განყოფილებები, როგორც საკანონმდებლო ასევე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები. გამომდინარე აქედან საფინანსო კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი სახე არის - სახელმწიფო საფინანსო კონტროლი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს ნებით, სახელმწიფოს სახელით და სახელმწიფოს ძალაუფლების გამოყენებით. დღევანდელ ეპოქაში, როდესაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ღიადა განცხადებული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კურსი, საჭიროა საფინანსო კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გავითვალისწინოთ ევროპის მაღალ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება¹⁸², რათა ჩვენმა სახელმწიფომაც შეძლოს არსებული გარდამავალი ეპოქის თანმდევი კრიზისების დაძლევა და განვითარების ახალ თანამედროვე ეტაპზე გადასვლა. ჩვენი ქვეყნისთვის მისაღები უნდა იყოს საფინანსო კონტროლის სფეროში ევროპის ქვეყნებში უკვე არსებული, აპრობირებული და გაანალიზებული გამოცდილების გაზიარება, თუმცა ეს ყველაფერი ამ სფეროში საქართველოში უკვე არსებულ დადებით პრაქტიკას, დაგროვილ გამოცდილებას და ეროვნულ კანონმდებლობას უნდა მოერგოს.

რამდენადაც სახელმწიფო ფინანსური სისტემა შეიცავს სახელმწიფოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის და ეკონომიკური სუბიექტების ფინანსურ სისტემებს, ამიტომ სახელმწიფო საფინანსო კონტროლი არის მრავალდონიანი და მრავალმხრივი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო კანონიერი საშუალებებით დაცულ იქნას სახელმწიფოს კუთვნილი საფინანსო სახსრების მობილიზაციისა და ხარჯვის პროცესი. იმ ინსტიტუტებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოებს, კონტროლი მათი საქმიანობის ყველა მხარეს მოიცავს, ხოლო არასახელმწიფო ეკონომიკურ სფეროში კი სახელმწიფო საფინანსო კონტროლი ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების ნაწილზე,¹⁸³ საბიუჯეტო გათვლების გათვალისწინებით. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ძირითადი დანიშნულებაა - სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის წარმატებული რეალიზაციის ხელშეწყობა, სახელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის მაღალი ეფექტურობის მიზეზთა ანალიზი მოწმობს იმას, რომ სახელმწიფო საფინანსო კონტროლი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესში¹⁸⁴.

საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა ფორმირდებოდა ერთიანი ცენტრალიზებულიდან დეცენტრალიზებული სისტემის მიმართულებით საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით. გასული ათწლეულების

¹⁸¹ ქისტაური შ. ქისტაური ლ, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ. 1997, 87

¹⁸² მელქაძე ო. „საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში“ - თბ. 1996

¹⁸³ შენგელია რ. საფინანსო სამართალი. თბ. 2009, 63

¹⁸⁴ მელქაძე ო. „საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში“ - თბ. 1996, 98

მანზილზე შესამჩნევი იყო საგადასახადო სისტემის არასტაბილურობა და სახელმწიფო ფინანსური

რესურსების მოძრაობის ორგანიზაციული მიმართულებების არაეფექტურობა. 90-იან წლებში ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენდა ქვეყნის საბიუჯეტო ბრუნვაში რამდენიმე ვალუტის გამოყენება. რაც წარმოშობდა ხელსაყრელ შესაძლებლობებს ფინანსური რესურსების უკონტროლო ბრუნვისა. მაღალ ნიშნულებს აღწევდა სახელმწიფო აპარატის კორუმპირებულობის ხარისხი რდილოვანი ეკონომიკის უდიდეს მასშტაბებთან შეხამებით.

არსებულმა ნეგატიურმა გარემოებებმა ხელი შეუწყო სახელმწიფოს როგორც ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ნორმალიზაციისთვის აუცილებელი ინსტრუმენტის - ფინანსური კონტროლის მწყობრი სისტემის ფორმირებას ნაციონალური ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდის და მისი სოციალური პრიორიტეტების ხელშეწყობის მიზნით.¹⁸⁵

მითითებული მიზნებიდან გამომდინარე გამოიყოფენ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შემდეგ ძირითად ამოცანას, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობისა და გამოყენების, ყველა დონის ბიუჯეტის სისწორის შემონახვაში.² საბოლოოდ კი, კონტროლი საჭიროა სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გაზრდის და რეზერვების გამოვლინების მიზნით.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ძირითადი პრინციპებია: ტოტალურობა, ეფექტურობა, კანონიერება, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა და საჯაროობა³. გადავხედოთ აღნიშნული პრინციპების არსს.

ტოტალურობა გამოვლინდება მთელი ფინანსური რესურსების მოძრაობის და ფინანსური დინებების ჯამში. მაგრამ მთელი ფინანსური რესურსების მოძრაობის არხებისა და საფინანსო სახსრების შესაძლო გაყონვის კონტროლი თითოეულ კონტროლირებად ობიექტზე საკმაოდ ძვირი და არაეფექტურია. ამიტომ ტოტალურობის პრინციპი გულისხმობს მთავარი საკონტროლო ობიექტების გამოვლინებას, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მათი მეთვალყურეობა და კონტროლი კი გვაძლევს საშუალებას, თვალი ვადევნოთ ფინანსური და მატერიალური რესურსების მდგომარეობასა და მოძრაობას სრულად.

საფინანსო კონტროლის ეფექტურობის პრინციპი ძირითადად ორ კრიტერიუმად იყოფა: პირველ შემთხვევაში ის გამოიხატება სოციალურ-ეკონომიკური დინამიურობის მაჩვენებლის კომპლექტით, მეორე შემთხვევაში კი - კონტროლის ჩასატარებლად გაკეთებული დანახარჯებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში

შემოსული მოგების თანაფარდობით, განხორციელებული შემონახვების შედეგად. ეფექტურობის პრინციპის მთავარი არსია გასაკონტროლებელი ობიექტების მდგომარეობის დიაგნოსტიკა და მათ მიერ ფინანსური ოპერაციების შედეგად დაშვებული დარღვევების გამოვლინება.

კანონიერების პრინციპის ძირითადი არსი მდგომარეობს - კონტროლის განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი სრული დაცვით. კანონიერების პრინციპის კონკრეტულ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების მიზნობრივი გამოყენება. კრიტერიუმის „რესურსების მიზნობრივი გამოყენება“ - დადგენა, ოფიციალურად დაფიქსირებული არამიზნობრივი გამოყენების მაჩვენებლიდან გამომდინარეობს. ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივ გამოყენებაში იგულისხმება ფინანსური სახსრების გამოყენება, რომელსაც არ მიყვავართ კანონმდებლობით დადგენილ შედეგამდე, რომელიც გათვალისწინებულია მათი წარდგენისას, ან მიყვავართ შედეგამდე, მაგრამ კანონმდებლობის გვერდის ავლით, უკანონო გზით.¹⁸⁶

ფინანსური კონტროლის დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის მნიშვნელობაზეც საუბარია ლიმის დეკლარაციაშიც, ეს არის მაკონტროლებელ ორგანოთა ფუნქციონირების და ორგანი-

¹⁸⁵ ქისტაური შ, ქისტაური ლ, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ. 1997, 43

¹⁸⁶ შენგელია რ. საფინანსო სამართალი. თბ. 2009,98

ზაციული თავისუფლების ძირითადი პოსტულატი რათა დამოუკიდებლად, მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები.

საფინანსო კონტროლის საჯაროობის პრინციპი გულისხმობს მისი შედეგების ღიაობას, (მონაცემების გარდა, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას) არა მხოლოდ საკონტროლო ობიექტებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ამაში მდგომარეობს ფინანსური კონტროლისპირობა მისი ეფექტურობისა და ობიექტურობისა.

საფინანსო კონტროლის კლასიფიკაცია შესაძლებელია რამოდენიმე მოხდეს რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. ეს კრიტერიუმებია: საფინანსო კონტროლის შინაარსი და საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების სისტემა.¹⁸⁷

საფინანსო კონტროლი შინაარსის მიხედვით იყოფა შემდეგ სახეებად: საბიუჯეტო კონტროლი, საგადასახადო კონტროლი, საბანკო კონტროლი, სავალუტო კონტროლი, საბაჟო კონტროლი და სხვა.. საფინანსო კონტროლი მისი განმახორციელებელი სუბიექტების (ორგანოების) მიხედვით კი შეგვიძლია დავყოთ: სახელმწიფო საფინანსო კონტროლად, ადგილობრივ საფინანსო კონტროლად, შიდასაუნყებო საფინანსო კონტროლად, საზოგადოებრივ საფინანსო კონტროლად და აუდიტორული ანუ დამოუკიდებელ საფინანსო კონტროლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკაში, კონტროლის მექანიზმის ტიპის მიხედვით ფინანსური კონტროლი ტრადიციულად დაყოფილია სახელმწიფო და არასახელმწიფო საფინანსო კონტროლად და ამ უკანასკნელს აუდიტის საფუძველზე ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა.

სახელმწიფო ფინანსების კონტროლის განხორციელება შეიძლება განხორციელდეს საკანონმდებლო ორგანოების (წარმომადგენლობითი ორგანოს), აღმასრულებელი ორგანოების (ადმინისტრაციული კონტროლის), სასამართლო ორგანოებისა და სამინისტროებისა და უწყებების სახელით მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

ასევე საფინანსო ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე საფინანსო კონტროლის სახეებად დაყოფა კონტროლის განხორციელების დროის მიხედვით წინასწარ, მიმდინარე და შემდგომ კონტროლად.¹⁸⁸

წინასწარი კონტროლი კონტროლის ობიექტის ზეგავლენის ყველაზე რაციონალური გზაა. ეს პრევენციული ხასიათისაა და ხელს უშლის ფინანსური კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებს და იმავდროულად ხელს უწყობს დაგეგმვის ეტაპზე დამატებითი რესურსების იდენტიფიცირებას. ეს კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ძალაში შედის ახალი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც კონტროლირებადი ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობის რეგულირების საკითხებს ეხება.

მიმდინარე მონიტორინგი, რომელსაც ეწოდება ასევე ოპერატიული კონტროლიც, ხორციელდება ეკონომიკურ და ფინანსურ ოპერაციების შემოწმებისას. იგი ეფუძნება პირველადი აღრიცხვის მონაცემებს, ინვენტარითა და ვიზუალური

დაკვირვების შედეგებს. მისი გამოყენების უპირატესი სფეროა შიდა კონტროლის მექანიზმი. შემდგომი კონტროლი გამოხატულია გარკვეული დროის განმავლობაში დანესებულების ფინანსური საქმიანობის სიღრმისეულ შესწავლაში, ანგარიშგების, დაგეგმვისა და საბუღალტრო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სხვა წყაროების გამოყენებით. იგი საშუალებას იძლევა, მოხდეს წინასწარი და მიმდინარე კონტროლის ნაკლოვანებების შესწავლა და რადიკალური გად-ანყვეტილებების მიღება, მათ შორის რეპრესიული.

ფინანსური კონტროლის ძირითადი ფორმაა ყოვლისმომცველი აუდიტი ან აუდიტი. აუდიტის დროს შემოწმებულია პირველადი დოკუმენტები, საბუღალტრო აღრიცხვა, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება, ფულადი სახსრებისა და ინვენტარიზაციის ფაქტობრივი ხელ-

¹⁸⁷ .შენგელია რ. საფინანსო სამართალი. თბ. 2009, 65

¹⁸⁸ იქვე, 72

მისანვდომობა. აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით მიღებულაქტს აქვს იურიდიული ძალა, როგორც მტკიცებულების წყარო საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

ჩვეულებრივ, აუდიტი სამ ეტაპად გაივლის: ორგანიზაციული, კვლევისა და შედეგების განზოგადების და განზოგადების ეტაპი.

ორგანიზაციული ეტაპი მოიცავს აუდიტის ობიექტის შერჩევას და მის ორგანიზაციულ და მეთოდურ მომზადებას. ამ ეტაპზე ჩამოყალიბებულია სპეციალისტთა ჯგუფი, მათ მიერ შესწავლილი უნდა იქნას ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური დოკუმენტაცია, წინა აუდიტის აქტების, თემატური ინსპექტირების და კვლევების დოკუმენტები.

კვლევის ეტაპი ხორციელდება უშუალოდ აუდიტორულ ობიექტზე შემონმების მოულოდნელობის პრინციპის დაცვით. ამ ეტაპზე აუდიტისა და კონტროლის პროცედურები ხორციელდება პროგრამისა და გეგმების შესაბამისად, ანუ აუდიტის გრაფიკები, აუდიტის სამუშაო გეგმები.

აუდიტის შედეგების განზოგადების და განხორციელების ეტაპი მოიცავს აუდიტორთა დასკვნების დოკუმენტურ გამართლებას, ანალიტიკური ცხრილების მომზადებას, აუდიტის შედეგების განზოგადებას და პრეზენტაციას. ეს შედეგებიკი განხილულია შემონმებული ობიექტის ხელმძღვანელობასთან, რომელიც შესაბამის ოქმითაა გაფორმებული.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საბიუჯეტო და საგადასახადო სამართლის“ ფარგლებში.

სტატიაში შესწავლილია სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების თეორიული ასპექტები საფინანსო კონტროლის განხორციელებისას და მიმოხილულია მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის საფინანსო კონტროლის მექანიზმები.

Resume

The article is prepared in the framework of the research project budgetary and tax law of the Faculty of Law and International Relations of GTU.

The article examines the theoretical aspects of legal regulation mechanisms in the exercise of financial control and discusses some of the relevant issues, including financial control mechanisms.

Резюме

Статья подготовлена в рамках исследовательского проекта по бюджетному и налоговому праву факультета права и международных отношений ГТУ.

В статье рассматриваются теоретические аспекты механизмов правового регулирования при осуществлении финансового контроля и рассматриваются некоторые актуальные вопросы, в том числе механизмы финансового контрол.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. 2019
2. საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ. 2019
3. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ - 1997 წლის 15 აპრილი.
4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. 2019
5. შენგელია რ. საფინანსო სამართალი. თბ. 2009
6. შოთა ქისტაური ლევან ქისტაური, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები. თბ. 1997
7. მელქაძე ო. „საფინანსოკონტროლი ევროპულ ქვეყნებში“ - თბ. 1996 წ.
8. მელქაძე ო. „სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა“ - თბ. 1996 წ.
9. მელქაძე ო. რამიშვილინ. „გერმანიის კონსტიტუციური სამართალი“ - თბ. 1999 წ.
10. „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ - კრებული 1. რედაქ. ო.მელქაძე თბ. 1999 წ,
11. „საზღვარგარეთის ქვეყნების საპარლამენტო პრაქტიკის მიმოხილვა“ - რედ. ი.მესხია - თბ. 1991 წ.

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში და სასამართლო პრაქტიკა

მარია ჯიქია *

სოფიო დემატრაჰილი *

შესავალი

„დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ არსს, დანიშნულებას და გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა — ფუნდამენტური უფლებები-ითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გარანტირება.“¹⁹¹ სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტირების გზით,¹⁹² რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი.¹⁹³

„ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.“¹⁹⁴ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის დამოუკიდებელი სასამართლოს უფლება. საზოგადოების მხრიდან უნდა არსებობდეს ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რომელიც სასამართლო სისტემის ლეგიტიმურობის შემადგენელი ნაწილია. სასამართლო პრაქტიკის როლი და გავლენა სულ უფრო იზრდება, მათ შორის, კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც.¹⁹⁵ საზოგადოებრივი ურთიერთობები დინამიკურად და სწრაფად იცვლება. „სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, რომ მოახდინოს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია. ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი. ბუნებრივია, რომ სახელ-

*სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი,

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, აღმოსავლეთის ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

¹⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 2.

¹⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები — თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 36.

¹⁹³ იხ. იქვე.

¹⁹⁴ იხ. იქვე.

¹⁹⁵ ავტორთა კოლექტივი, „ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის“, მარინა დეკანოიძის რედაქტორობით, თბ. 2013, გვ. 148.

მნიფო ამ ვალდებულებით განსაკუთრებით შეზღუდულია პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შექმნისას და გამოყენებისას. ასეთი კანონმდებლობა თავისთავად ხასიათდება ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევის კანონზომიერებით. ამიტომ, კანონზომიერია სახელმწიფოს მომეტებული სიფრთხილის აუცილებლობა ამ პროცესში, რადგან სამართალი დაკარგავს თავის ფუნქციას, თუ ადამიანები დაისჯებიან ამისათვის შესაბამისი და აუცილებელი საფუძვლის გარეშე.¹⁹⁶ სასამართლო პრაქტიკა ხელს უწყობს ამ შეცვლილ ურთიერთობებთან სამართლის ადაპტაციის პროცესს. „სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა.“¹⁹⁷

კერძო და საჯარო ინტიმის ტანაფარდობის ფარგლები

სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობა მისი ლეგიტიმაციის აუცილებელი კომპონენტია. ინფორმაცია წარმოადგენს საჯაროს¹⁹⁸, თუკი არ არსებობს ორი გარემოება. პირველი, ინფორმაციის გამჟღავნება აზიანებს დაცულ ინტერესს, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლებას. და მეორე, ზოგადი საჯარო ინტერესი, რომელიც ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, უპირატესობას ანიჭებს კონფიდენციალობის უფლებას.¹⁹⁹ სასამართლო გადაწყვეტილების სრული ხელმიუწვდომლობა საზოგადოებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გამართლებულად. სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა მიზნად ისახავს საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემის კრიტიკის უზრუნველყოფას.

არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნების დაცვა ისეთი ფუნდამენტური პროცედურული გარანტიების სრული უგულებელყოფის გარეშე, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა.²⁰⁰

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები საკასაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისათვის, სასამართლო გადაწყვეტილების წაკითხვის გარდა, მიმართავენ სხვა საშუალებებს, მაგალითად, ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ რეესტრში განთავსება, მათ შორის საკასაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისათვის.²⁰¹ მითითებულ რეესტრში განთავსებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულად საზოგადოებისათვის „როგორც უფლება“, გადაწყვეტილების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის წარმოჩენის მოთხოვნის გარეშე.²⁰² პრაქტიკაში ევროპულ ქვეყანათა უმეტესობა ძირითადად აკმაყოფილებს გადაწყვეტილებათა საქვეყნოობის მოთხოვნას, იმ საკითხის გათვალისწინებით მოიცავს თუ არა აღნიშნული პერსონალურ მონაცემებს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ქვეყნდება ელექტრონულ რესურსებზე. შესაბამისად, ისინი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

¹⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 62.

¹⁹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

¹⁹⁸ John Henry Dingfelder Stone., Court Interpreters and fair trials, 2nd of May, 2018, page 114.

¹⁹⁹ იხ. იქვე.

²⁰⁰ სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2016 წ. გვ. 18.

²⁰¹ Pretto and Others v. Italy, 8th of December 1983 Case N 7984/77, Par 26.

²⁰² Werner v. Austria., 24th of November 1997, Case N 21835/93 Par. 57-60.

განსხვავებული რეგულაციები არსებობს კვიპროსში, სადაც არ არის კანონმდებლობით დადგენილი სასამართლოს ვალდებულება გადანყვეტილებათა გამოქვეყნების თაობაზე, პრაქტიკაში სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ ხდება ყველა გადანყვეტილების შესაბამის ინტერნეტ რესურსებზე განთავსება. ხოლო, მაკედონიის პარლამენტის მიერ, 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი, სასამართლო დოკუმენტაციის მართვის შესახებ, რომელიც ყველა ინსტანციის სასამართლოს ავალდებულებს გადანყვეტილება გამოაქვეყნონ ინტერნეტ რესურსებზე. თუმცა, კვიპროსისგან განსხვავებით, მაკედონიაში შეინიშნება პრობლემები პრაქტიკაში, რადგან არ ხდება მიღებული კანონის მოთხოვნათა სრული იმპლემენტაცია.²⁰³

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში,²⁰⁴ გადანყვეტილებათა ხელმისაწვდომობისა და სასამართლო სხდომების ღიაობის საკითხები დადგენილია „სასამართლო წესები“-თ.²⁰⁵ აღნიშნული წესის 331 მუხლის თანახმად, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება დავის მხარისა თუ მესამე პირების მიერ, არის ხელმისაწვდომი, როგორც პროცესის მონაწილეებისათვის, ასევე, ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისათვის.²⁰⁶ „სასამართლო წესების“ 471 მუხლის მიხედვით, ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ვინაობის დაფარვა. რა თქმა უნდა, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული.²⁰⁷

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო გადანყვეტილებათა ხელმისაწვდომობას განიხილავს, როგორც უფლებას საჯარო ინფორმაციაზე, რომელზეც ვრცელდება ინფორმაციის გაცემის ზოგადი წესები და არ არის გათვალისწინებული მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის ლეგიტიმური ინტერესები. თუმცა, ამკარაა, რომ სასამართლო გადანყვეტილებების საჯაროობა წარმოადგენს საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის ეფექტურ საშუალებას.²⁰⁸

არსებითი განსხვავებაა ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციულ საჯაროობასა და პროცესის საჯაროობას შორის.²⁰⁹ კერძოდ, პირველი შეეხება სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, სასამართლო პროცესის შედეგად წარმოქმნილ მონაცემებს.²¹⁰

სასამართლო გადანყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ, საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. გადანყვეტილებათა ელექტრონულ რესურსებზე განთავსება ხდება მხოლოდ ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ. თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიდგომას, როგორც პირველი, ასევე, ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების გადანყვეტილებათა ხელმისაწვდომობა მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოებისათვის.²¹¹

სასამართლო გადანყვეტილებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მრავალ ქვეყანაში აუცილებელია ძირეული ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტინენტური სამართლის ქვეყნების შემთხვევაში, სადაც მხარეთა ვინაობის და-

²⁰³ <<https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebdr-countries-of-operations>> [20.07.2019].

²⁰⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/>.

²⁰⁵ Rules of Court., 01.06.2015, http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf.

²⁰⁶ იხ. იქვე., მუხლი 33 პრიმა.

²⁰⁷ იხ. იქვე., მუხლი 47 პრიმა.

²⁰⁸ Szonja Navratil., A comprahative overview of publicity in the administration of justice, Chapter 8, page 117.

²⁰⁹ Attila Bado., Fair Trial and Judicial Independence., Hungarian Perspectives., Comparative Perspectives on Law and Justice, page 179.

²¹⁰ იხ. იქვე.

²¹¹ Byfield Paul., Kroytor O., Accessibility of judicial decisions in the EBRD's countries of operations: a comparative review., Law in Translation online 2015. Article N1.

ფარვის პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული. მიუხედავად ამისა ხსენებული პრობლემა აქტუალურია საერთო სამართლის ქვეყნებშიც, მაგალითად, ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როდესაც შესაძლებელია სათანადოდ არ ხდებოდეს მხარეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესების გათვალისწინება.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთ ნაწილში კერძო ცხოვრება უგულებელყოფილია ან, ძირითადად, იდენტური შინაარსისაა და შეიმჩნევა გარკვეულ დებულებებთან დაკავშირებით ევროსასამართლოს პრაქტიკით ხელმძღვანელობა. საჯარო ცხოვრების ცნების დადგენა აუცილებელია კერძო ცხოვრების არსის განსაზღვრისთვის, ვინაიდან საჯარო სფეროს დეფინირება არის კერძო ცხოვრების შინაარსის გარკვევის წინაპირობა.²¹² საჯარო ცხოვრება შინაარსობრივად უახლოვდება საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც, სოციოლოგიური გაგებით, არის იმ მოვლენათა კომპლექსი, რომლებიც გარკვეულ შეზღუდულ სივრცეში მყოფი ინდივიდებისა და ერთობების ურთიერთქმედებით წარმოიქმნება.²¹³ კერძო ცხოვრება კომპლექსური სამართლებრივი დაცვის ობიექტია.²¹⁴

მიუხედავად იმისა, რომ მედიას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაესწროს ნებისმიერ ღია სასამართლო სხდომას,²¹⁵ როგორც კი სასამართლო სხდომა სრულდება, არავის, მათ შორის მედიასაც, არ შეუძლია მოითხოვოს ამ სასამართლო სხდომის გადაწყვეტილება. არ შეუძლია მოითხოვოს იქიდან გამომდინარე, რომ როდესაც ადამიანი ითხოვს კონკრეტულ პიროვნებაზე ან კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილებას, დღეს დამკვიდრებული პრაქტიკით და სასამართლო სისტემით, ეს მიიჩნევა პერსონალური მონაცემების შემცველად და ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილებები არ გაიცემა, ვინაიდან, მიიჩნევა, რომ შეიძლება მოხდეს სხვისი ინტერესების შელახვა მათი პერსონალური მონაცემების დაფარვის შეუძლებლობის გამო.²¹⁶

არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც მასში დაცული უფლების შინაარსიდან გამომდინარე არ ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ ერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მცირედი ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც კი განიხილავს საკითხს, სხვა შემთხვევაში სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად და ნორმის კონსტიტუციურობის შესაფასებლად საჭირო ხდება იმის დასაბუთება, რომ ადგილი აქვს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების არა უბრალო, არამედ ძალიან უხემ დარღვევას.²¹⁷ კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დადგენისათვის აუცილებელია გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად.²¹⁸ სასამართლო გადაწყვეტილების მთავარი მიზანია, მკაფიოდ და არაორაზროვნად დადგინდეს ის მოქმედებები, რომლებიც სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის პრაქტიკულად განსახორციელებლად საჭირო.²¹⁹

ზოგადად სამართლის განვითარების საერთო გამოწვევების კვალდაკვალ, როგორც ქვეყნის კონსტიტუციის დინამიკურობის, ისე მისი მთავარი დამცველის — საკონსტიტუციო სა-

²¹² Lesch W., Medien ethik zwischen öffentliche mund privatem, 11 Juli 1998, 40.

²¹³ შჩეპანსკი ი., „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები“, თბილისი 1997, გვ. 14-16.

²¹⁴ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე არსებული „სამართლის ჟურნალი“, N1, თბ. 2011, გვ. 71.

²¹⁵ მათ შორის, მედიას აქვს უფლება, გააშუქოს და პირდაპირი ტრანსლირება განახორციელოს მაუნეებელში.

²¹⁶ <<http://oldtcc.court.ge/index.php?m=443&date=2016.5.16&newsid=841>> [02.12.2019].

²¹⁷ იხ. იქვე., გვ. 28.

²¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 101.

²¹⁹ თავხელიძე მ., ლლონტი გ., ქემერტელიძე ნ., „სამართალი“, „ბიზნესი და მართვა“, სტატიათა კრებული, თბ. 2018, გვ. 80.

სამართლოს გადაწყვეტილებების ადეკვატურობის ხელშეწყობა, საბოლოო ჯამში, დადებითად უნდა აისახოს როგორც ადამიანის უფლებების, ისე ძირითადი კონსტიტუციური ღირებულებების ეფექტურ დაცვაზე.²²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეკრების თავისუფლებას შეეხებოდა, არაორაზროვნად მიუთითა, რომ უფლების შეზღუდვა ან მასში ჩარევა მხოლოდ რეალური საჭიროების არსებობის არის შესაძლებელი — როდესაც საჯარო ინტერესებს მართლაც უშუალო საფრთხე ემუქრება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება უფლებაში ჩარევის თანაზომადი, პროპორციული საშუალება.²²¹ ბუნებრივია, სასამართლო არ შეიძლება იდგეს ისეთი გამოწვევის წინაშე, რომ მისი გადაწყვეტილება იწვევდეს უფლებების ან საჯარო ინტერესების დარღვევას, როდესაც სასამართლო თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კერძო და საჯარო ინტერესების ანონის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ ნორმა არაკონსტიტუციურია, მან, ბუნებრივია, უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ იქნება საქართველოს კონსტიტუციის დადგენილი პრინციპების დარღვევით. იმავდროულად, ასეთმა სწორმა გადაწყვეტილებამ არ შეიძლება წარმოშვას უფრო სერიოზული პრობლემები ადამიანის უფლებების თუ საჯარო ინტერესების ხელყოფის თვალსაზრისით.²²²

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით, დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“.²²³ შეზღუდვები უნდა ემსახურობდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის... ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.“²²⁴ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, იგი ქმნის მექანიზმს სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დასაცავად. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვა, ისევე როგორც ზეპირი მოსმენის ჩატარება, არ არის თვითმიზანი, მისი საჭიროება არსებობს მაშინ, როდესაც ზეპირი მოსმენის ჩატარება ობიექტურად აუცილებელია საქმის სრულყოფილი გამოკვლევისათვის და საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.²²⁵

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ისეთი უფლებათა და ინტერესთა წესრიგის შექმნა, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების არსებობას საფრთხეს არ შეუქმნის და ასეთი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების საფუძველი იქნება.²²⁶ პიროვნებასა და სახელმწიფოს

²²⁰ <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf>> [02.12.2019].

²²¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის”, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს კონსერვატიული პარტია”, საქართველოს მოქალაქეები — ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები — დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 59.

²²² <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf>> [02.12.2019].

²²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

²²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის /3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

²²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შ.პ.ს. სამაუნყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შ.პ.ს. ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 12.

²²⁶ ბურდული ი., გოციროძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა

შორის ინფორმაციული ბალანსი წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესების განონასწორებულ არსებობის საფუძველს.²²⁷ „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“.²²⁸ ძირითადი უფლებისადმი წაყენებული ეს მოთხოვნა ეხება არა მარტო კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს, არამედ იგი საერთოდ უფლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი პრინციპია. ერთი ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის უფლება იწყება. აღნიშნული კონსტიტუციური აქსიომა განონასწორებული, დაბალანსებული და მშვიდობიანი ღირებულებითი ურთიერთობების წინაპირობაა. გამოხატვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომ თავისუფალი საზოგადოების არსებობა მის გარეშე წარმოუდგენელია.²²⁹

ევროპული სასამართლო მის ერთ-ერთ განჩინებაში,²³⁰ ამკვიდრებს გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს, რომლის თანახმადაც შეიძლება დაცული იყოს „შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი, შემამოფოთებელი იდეები“ და „ინფორმაცია“. დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ემყარება პლურალიზმისა და შემწყნარებლობის (ტოლერანტობის) ფასეულობებს, ცალკეულ შემთხვევებში ადამიანებს ავალდებულებს აიტანონ მათთვის შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი, შემამოფოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა. დაუშვებელია ინფორმაციის თავისუფლების მოტივით დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებათა გაუფასურება. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით, გამოარკვიოს, ხომ არ კარგავს გამოხატვის თავი სუფლება თავის არსს იმით, რომ მომეტებულად ფართოვდება მისი მოქმედების ფარგლები, ან მომეტებულად იკვეცება იგი. სასამართლო ვალდებულია გამონახოს „ოქროს შუალედი“, რომლითაც აზრის თავისუფლებაც იქნება განხორციელებული და იმ პირთა უფლებებიც დაცული, რომლებიც ამ თავისუფლების სამიზნე აღმოჩნდებიან. ამ საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომა საძირკველს გამოაცლის დემოკრატიულ საზოგადოებას და სამართლებრივი ორბიტიდან მოწყვეტს მას.²³¹ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება, რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის.²³²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, არც ისე მრავალფეროვანია, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს საკონსტი-

მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თბ. 2013, გვ. 271.

²²⁷ იხ. იქვე.

²²⁸ იხ. იქვე.

²²⁹ იხ. იქვე. გვ. 274.

²³⁰ გოცირიძე ე., აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (დისერტაცია), თბ. 2006, გვ. 163-164.

²³¹ ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თბ. 2013, გვ. 276.

²³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძირითად ორიენტირს.²³³ საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ამ უფლებას როგორც მისი სხეულის განუყოფელ ნაწილს და როგორც დემოკრატიის ერთ-ერთ გარანტორ ფაქტორს. „კონსტიტუციის მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა“.²³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²³⁵, ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და ამომწურავად განსაზღვრა ის სიკეთე, რომელსაც იგი, მისი დროულად, სრულად განხორციელების შემთხვევაში მოუტანს საზოგადოებას: „ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლების და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის.“²³⁶

პირველი საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით განიხილა, იყო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.²³⁷ მოცემულ საქმეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა იმ დროს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით²³⁸ გარანტირებული უფლების განხორციელება, კერძოდ, „ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზე დამოკიდებული, სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულება ეკისრება, რომ არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე, არ შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დანესებით.“²³⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ, მოგვიანებით, საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ კიდევ უფრო მკვეთრად განსაზღვრა 24-ე მუხლის²⁴⁰ მნიშვნელობა ინფორმაციის თავისუფლების დაცვის საკითხში, კერძოდ, „კონსტიტუციის 24-ე მუხლის²⁴¹ პირველი პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. ეს არის ნორმა, რო-

²³³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011, გვ. 22.

²³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II, პ.16.

²³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 10.

²³⁶ იხ. იქვე.

²³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²³⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

²³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, პარაგრაფი 6.

²⁴⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17.

²⁴¹ იხ. იქვე.

მელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის ინფორმაციული ფილტრის დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.²⁴² ყოველივე ზ/ალ-ნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იცავს პირის უფლებას, კერძო წყაროებიდან მოიპოვოს ინფორმაცია, ასევე, მის ხელთ არსებული ნებისმიერი კანონიერი საშუალებით მოახდინოს ინფორმაციის გავრცელება. სახელმწიფოს ეკრძალება საინფორმაციო ბაზრის რეგულირება, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა და საშუალებებით.²⁴³ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით²⁴⁴ დადგენილი ზღვარი საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან²⁴⁵ მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კერძოდ, „საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ ანესრიგებს ინფორმაციის მოპოვებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. სახელმწიფო დაწესებულებები არ წარმოადგენენ ამგვარ წყაროებს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის ყურადღების ცენტრში მოქცეულია სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებში და ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია.²⁴⁶ ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ - სამართლებრივი რეჟიმი, რა თქმა უნდა, განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისაგან.“²⁴⁷ აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი²⁴⁸ ინფორმაციის თავისუფლების კონკრეტულ შემთხვევას - ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას იცავს.²⁴⁹ ნებისმიერი უფლების სრულყოფილად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დაიცვას როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება, რომ ადამიანების უფლებით სარგებლობა არ გახდეს ფრაგმენტული და მის ძირითად დანიშნულებას მოკლებული, რომელიც თითოეული უფლების შინაარსში დევს.²⁵⁰ შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის გადასაწყვეტი, რამდენად გამართლებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა.²⁵¹

ინფორმაციის მიღება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უფლების ნაწილს. გამოხატ-

²⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II პარაგრაფი 14. იხ. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.11.

²⁴³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სა-სამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011, გვ. 25.

²⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18.

²⁴⁵ იხ. იქვე., მუხლი 17.

²⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.11.

²⁴⁷ იხ. იქვე.

²⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.13.

²⁵⁰ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სა-სამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011, გვ. 28.

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/3/359 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 1. იხ. აგ., 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდანი ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარაგრაფი 1.

ვის თავისუფლების სუბიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები.²⁵² სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის საკითხებში.²⁵³ აღნიშნულის მსგავსია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება: ადამიანი ვერ მოახერხებს განვითარებას, თუ მას არ მიეცა საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის შესაძლებლობა.²⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში²⁵⁵ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოხატვის თავისუფლების კანონიერი შეზღუდვა დასაშვებია, მხოლოდ მისი შეზღუდვის ფარგლები, ანუ დაცული სიკეთე, საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) მნიშვნელობისა უნდა იყოს. აღნიშნული დასტურდება გამოხატვის თავისუფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების არა აბსოლუტური ხასიათი.²⁵⁶ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს,²⁵⁷ რომელიც მოიცავს არა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ, მესამე პირთათვის სასიამოვნო შეხედულებების გამოხატვას, არამედ დაუფიქრებელ, სპონტანურ, მწვავე და პოლემიკურ გამონათქვამებსაც,²⁵⁸ რომელიც არ უნდა სცდებოდეს სასამართლოს ფარგლებს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს.²⁵⁹ აღნიშნულ საფუძველზე კი, სახელმწიფოში შესაძლებელი გახდება სხვადასხვა საკითხზე შესაბამისი პოზიციის დაფიქსირება, ადამიანის ნების საფუძველზე მისი ინტერესების გასაჯაროება და სხვ.²⁶⁰

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ეხება. აზრის თავისუფლება ინფორმაციის ერთგვარი წყაროა, ხოლო ინფორმაციის თავისუფლება აზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.²⁶¹ ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, იგი ინფორმაციის პასიურად მიღების უფლებით სარგებლობს, როგორცაა გაზეთი, ინტერნეტი და სხვა.²⁶² ინფორმაციის თავისუფლების პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, საქართველოში ინფორმაციის საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა მწირია. ინფორმაციის გასაიდუმლოება კი, უნდა ხორციელდებოდეს „ზომიერების“ ფარგლებში, ხოლო, ინფორმაციის საიდუმლოება ზღვარდადებული უნდა იყოს, რადგან ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს თავისუფალი ცხოვრების წინაპირობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც და ხელი შეეწყოს მათი დაცვის გაუმჯობესებას.

საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო აქტები ადგენენ სახელმწიფოს ვალდებულებას

²⁵² კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები., 211. იხ. აგრეთვე., ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედია-სამართალი“, თბილისი 2014, გვ. 81.

²⁵³ გოცირიძე ე., „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“, თბ. 2007, გვ. 292.

²⁵⁴ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები., 210. იხ. აგრეთვე., ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედია-სამართალი“, თბილისი 2014, გვ. 82.

²⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 26.

²⁵⁶ იხ. იქვე.

²⁵⁷ ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, ჩიქ, თბ., 2013, 24-ე მუხლი, გვ. 255.

²⁵⁸ ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედია-სამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

²⁵⁹ იხ. იქვე.

²⁶⁰ ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი მეორე., საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი., გამომცემლობა „პეტიტი“, ჩიქ, თბილისი, 2013, 24-ე მუხლი, გვ. 256.

²⁶¹ იხ. იქვე., გვ. 260.

²⁶² ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედია-სამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

ბას უზრუნველყონ ინფორმაციის თავისუფლების უფლების შესრულება. უზრუნველყოფის მექანიზმები კი შემოიფარგლება ეფექტიანი მექანიზმების შექმნის ვალდებულებით. ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა. სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმთავრეს მოთხოვნას.²⁶³

ინფორმაციის თავისუფლება, დემოკრატიულ საზოგადოებასა და სახელმწიფო ინტერესების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებობს კანონმდებლობის მიზანი გამჭვირვალე გახადოს საჯარო დაწესებულებათა საქმიანობა რაც, არ შეიძლება დაბრკოლდეს ბიუროკრატიული, სამართლებრივად უსაფუძვლო შეხედულებებისა და დამოკიდებულებების მიზეზით. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენს ყველა საჯარო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია, მიუხედავად იმისა არის თუ არა განმცხადებელი ამ ინფორმაციის ავტორი.

ინფორმაციის თავისუფლების ორი სახე არსებობს: პასიური ინფორმაციის თავისუფლება და აქტიური ინფორმაციის თავისუფლება. პასიური ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის ძებნას, მოპოვებასა და მიღებას, ხოლო, აქტიური ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის გადაცემასა და გავრცელებას.²⁶⁴ ინფორმაციის თავისუფლება დაკავშირებულია პირის თავისუფლებასთან და წარმოადგენს აზრის გამოხატვის წინაპირობას. სახელისუფლებლო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომა წარმოადგენს ხელისუფლების შებოჭვის ერთ-ერთ თანამედროვე საშუალებას. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ინფორმაციის მოთხოვნისთანავე გასცეს აღნიშნული.²⁶⁵

საქართველო წლების განმავლობაში დიდი გამოწვევების წინაშე იდგა. აზრთა ჭიდილი მიმდინარეობდა ინფორმაციის თავისუფლებასა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის ერთგვარი ბალანსის დადგენის მიზნით. აღნიშნული მიჯნის განსაზღვრის პროცესში კი, არსებითი ზიანი მიადგა ინფორმაციის თავისუფლებას, განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ნაწილში, ვინაიდან, სწორედ სასამართლოები უზრუნველყოფენ კანონის სიცოცხლისუნარიანობას, რითაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ინფორმაციის თავისუფლებისა და ღია მმართველობის პრაქტიკის დანერგვაში, როგორი პრაქტიკაც არსებობს მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლებისა და მმართველობის საჯაროობის კუთხით, არსებითად შეიცვალა 2013 წლიდან. დღესდღეობით ქვეყანაში სამწუხარო რეალობას ვუპირისპირდებით, რადგან პერსონალური მონაცემების დაცვას ენიჭება უპირატესობა. აღნიშნულით კი, ირღვევა სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი, არსებითი ზიანი ადგება პირველ რიგში სამოქალაქო საზოგადოებას და თავად სახელმწიფოს დემოკრატიაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

უდავოდ უპრეცედენტოა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება,²⁶⁶ სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციის

²⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიცივილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II, პარ. 4.

²⁶⁴ <<https://gia1999.wordpress.com/2016/04/28>> [23.07.2019].

²⁶⁵ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის Nბს-1410-1374(კ10) გადაწყვეტილება.

²⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. იხ. <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-4-693-857-aaip-mediis-ganvitarebis-fondi-da-aaip-informaciis-tavisuflebis-ganvitarebis-instituti-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg1.page>

ტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით კი აპრიორი უპირატესობა მიენიჭა ინფორმაციის თავისუფლებას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან მიმართებით. უფლება ინფორმაციაზე, საერთაშორისო სამართალში არსებული მიდგომებით დაცულია როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება - გამოხატვის თავისუფლება. პროგრესული ინტერპრეტაციის საშუალებით, ინფორმაციის უფლება გაგებული იქნა, როგორც თანმდევი გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო გარანტიისა. „გამოხატვის თავისუფლებისათვის დამახასიათებელია საზოგადოების უფლება ინფორმაციის ღია წვდომაზე და იმის ცოდნა, თუ რას აკეთებს ხელისუფლება მათი სახელით, რის გარეშეც სიმართლე შესუსტდებოდა და სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობა ფრაგმენტული სახით წარმოდგებოდა.“²⁶⁷

ინფორმაცია, თუ აღნიშნული არ ატარებს პირად ხასიათს, არ არსებობს გამოხატვის თავისუფლებასა²⁶⁸ და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დადგენის აუცილებლობა.²⁶⁹ ამის ნაცვლად, უპირატესობა გამოხატვის თავისუფლების ინტერესს ენიჭება. მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი, ავტომატურად არ წარმოშობს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.²⁷⁰

ამერიკის შეერთებული შტატები ისტორიულად წარმოადგენს ქვეყანას, სადაც დადგენილია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სტანდარტი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს კონსტიტუცია არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც კონკრეტულად დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გარანტი იქნებოდა, აღნიშნული განმტკიცებულია კონსტიტუციის პირველი შესწორებიდან, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება.²⁷¹ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ეხება. აზრის თავისუფლება ინფორმაციის ერთგვარი წყაროა, ხოლო ინფორმაციის თავისუფლება აზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.²⁷² ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, იგი ინფორმაციის პასიურად მიღების უფლებით სარგებლობს, როგორცაა გაზეთი, ინტერნეტი და სხვა.²⁷³

²⁶⁷ Joint Declaration of the International Mechanisms for Promoting Freedom of Expression, 26th of November, 1999 იხ. <https://www.osce.org/fom/99558?download=true>

²⁶⁸ მოცემულ შემთხვევაში უფლებას ინფორმაციის წვდომაზე.

²⁶⁹ Joint Declaration of the International Mechanisms for Promoting Freedom of Expression, 26th of November, 1999 ix. <https://www.osce.org/fom/99558?download=true> პარაგრაფი 196.

²⁷⁰ იხ. იქვე.

²⁷¹ <http://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment> [23.07.2019].

²⁷² იხ. იქვე., გვ. 260.

²⁷³ ჯორჯენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედისამართალი“, თბილისი 2014, გვ. 83.

დასკვნა

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლებისა და მმართველობის საჯაროობის კუთხით, არსებითად შეიცვალა 2013 წლიდან. დღესდღეობით ქვეყანაში სამწუხარო რეალობას ვუპირისპირდებით, რადგან პერსონალური მონაცემების დაცვას ენიჭება უპირატესობა. აღნიშნულით კი, ირღვევა სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი, არსებითი ზიანი ადგება პირველ რიგში სამოქალაქო საზოგადოებას და თავად სახელმწიფოს დემოკრატიაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

საქართველოში არ არსებობს კანონმდებლობა „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, რითაც არსებითად შეიცვლებოდა ის ხისტი პრაქტიკა, რომელსაც დღესდღეობით ვხვდებით პრაქტიკაში. ამასთან, ფუნდამენტურად მოწესრიგდებოდა ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტი. სამოქალაქო საზოგადოების უფლება ინფორმაციის წვდომაზე იქნებოდა დარეგულირებული და არ მოხდებოდა აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვა ან სრულად ხელყოფა. ინფორმაციის თავისუფლება, როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და წარმოადგენს გამჭვირვალობის უმაღლეს გარანტს. შესაბამისად, ქვეყნის უმაღლესი კანონით გარანტირებული უფლების დარღვევა, პიროვნების ღირსების შელახვასთანაა დაკავშირებული.²⁷⁴ ადამიანის ღირსება კი, ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება.²⁷⁵ ადამიანის უფლების დაცვა არის დემოკრატიული სახელმწიფოს უზენაესი პრინციპი. სწორედ ამ მიზნით უნდა შემუშავდეს კანონმდებლობა „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, რომელიც ერთიანი, დაბალანსებული სისტემის შექმნის მყარი საფუძველია. ამასთან, ინფორმაციის თავისუფლება უპირველეს ყოვლისა პირის თავისუფლებასთანაა დაკავშირებული.

რეზიუმე

წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის საკვლევი თემას წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლო პრაქტიკა. აღნიშნული საკითხის აქტუალობა განპირობებულია მისი მნიშვნელობით დემოკრატიული რეჟიმისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის.

ნაშრომში ხაზგასმული ინფორმაციის საჯაროობის მნიშვნელობა პროგრესული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლისთვის ნაშრომში დეტალურად არის ასახული როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა, ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

Resume

The research topic of presented scientific paper is freedom of information and judicial practice. The significance of this issue is due to its importance for the formation of a democratic state and civil society.

The main issue outlined in the work is the importance of publicity of the information serving to formation and development of a progressive state. For deep scientific research goals, paper discusses in detail domestic and international legislation as well as case law regarding freedom of information.

²⁷⁴ <<https://elawjournal.wordpress.com/Documents>> [02.12.2019].

²⁷⁵ იბ. იქვე.

Резюме

Тема исследования представленной научной статьи - свобода информации и судебная практика. Значение этого вопроса связано с его важностью для формирования демократического государства и гражданского общества.

Основным вопросом является важность гласности информации, служащей формированию и развитию прогрессивного государства. В целях научных исследований в статье подробно обсуждается национальное и международное законодательство, а также прецедентное право в отношении свободы информации

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ავტორთა კოლექტივი, „ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის“, მარინა დეკანოიძის რედაქტორობით, თბ. 2013
- 2.გოცირიძე ე., აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (დისერტაცია), თბილისი, 2006
- 3.გოცირიძე ე., „გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“, თბილისი, 2007
- 4.Scepanski ი., „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები“, თბილისი 1997
- 5.თაყველიძე მ., ლლონტი გ., ქემერტელიძე ნ., „სამართალი“, „ბიზნესი და მართვა“, სტატიათა კრებული, თბილისი, 2018
- 6.ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, თბილისი, 2013
- 7.ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი მეორე, საქართველოს მოქალაქობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „პეტიტი“, ჩიხ, თბ., 2013
- 8.ჯორბენაძე ს., მაჭარაძე ზ., ბახტაძე უ., „მედიასამართალი“, თბილისი 2014
- 9.საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, „სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წლები“, თბ. 2011
- 10.სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2016
- 11.John Henry Dingfelder Stone., Court Interpreters and fair trials, 2018
- 12.Pretto and Others v. Italy, 8th of December 1983 Case N 7984/77, Par 26.
- 13.Werner v. Austria., 24th of November 1997, Case N 21835/93 Par.
- 14.Szonja Navratil., A comprahative overview of publicity in the administration of justice
- 15.Attila Bado., Fair Trial and Judicial Independence., Hungarian Perspectives., Comparative Perspectives on Law and Justice
- 16.Byfield Paul., Kroytor O., Accessibility of judicial decisions in the EBRD’s countries of operations: a comparative review., Law in Translation online 2015.
- 17.Lesch W., Medien ethik zwischen öffentliche mund privatem, 11 Juli 1998
- 18.Joint Declaration of the International Mechanisms for Promoting Freedom of Expression, 26th of November, 1999

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995 www.matsne.gov.ge

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები — თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

6. საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის”, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს კონსერვატიული პარტია”, საქართველოს მოქალაქეები — ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები — დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შ.პ.ს. სამაუნყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შ.პ.ს. ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მერე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N2/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

15.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“

16.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

17.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/3/359 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ელექტრონული რესურსები:

- <https://elawjournal.wordpress.com/Documents> > [02.12.2019].
- http://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment > [23.07.2019].
- <https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-decisions-in-the-ebuds-countries-of-operations> > [20.07.2019].
- <http://oldtcc.court.ge/index.php?m=443&date=2016.5.16&newsid=841> > [02.12.2019].
- <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41650.pdf> > [02.12.2019].

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი საერთო სასამართლოების მიმართ

სოფიო დამატრაშვილი *

შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ერთ-ერთ არსებით პრინციპს სამართლის წყაროთა სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობა წარმოადგენს. სახელმწიფო ორგანოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკა კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი კანონის მოქმედება მთელ ტერიტორიაზე. კონსტიტუციის უზენაესობის, მისი დებულებების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მართველობის სისტემაში უფლებადამცავი და უფლებააღმდგენი უფლებით აღჭურვილი უზენაესი სასამართლოების ნაცვლად, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოები მოქმედებენ. საკონსტიტუციო სასამართლოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის გარანტიის თვალსაზრისით. მისი უმაღლესი ფუნქცია სწორედ იმით შეფასდება, თუ როგორ იქნება დაცული კონსტიტუცია ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ. საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს კონსტიტუციის დაცვის ნეიტრალურ და ობიექტურ გარანტს. კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო თავად ნორმები, არამედ მათი განმარტებანიც. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმები საერთო სასამართლოებთან ერთად საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავით²⁷⁷ არის დადგენილი, ერთი შეხედვით, ქართული კანონმდებლობა მას სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად განიხილავს, თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლებას.²⁷⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს სასამართლოს. თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება ამ საქმის გადაწყვეტის შემდეგ.²⁷⁹ საერთო სასამართლოების სისტემა დადგენილია საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“.²⁸⁰ საერთო სასამართლოები საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტები

²⁷⁶ * საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტი, აღმოსავლეთის ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

²⁷⁷ იხ., საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავი, 82-91 მუხლები.

²⁷⁸ იხ., Гегенава Д., Правовая Природа Конституционного Суда, Как Специального Органа Конституционного Контроля и Его Место Среди Высших Органов Власти, International Students' Olympiad in National and Comparative Constitutional Law, Batumi, 2011, 184-202.

²⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁸⁰ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08.12.2009, N41.

არიან არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი იხილავენ (ერთპიროვნულად ან კოლექტიურად შემადგენლობით) კონკრეტულ საქმეს და ამ საქმის გადანყვეტიცისათვის საჭირო ნორმატიული აქტის გამოყენებისას სასამართლოს გაუჩნდება ვარაუდი მისი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ. საერთო სასამართლოს ზოგადად, კონკრეტული საქმის გარეშე, უფლება არა აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამა თუ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. ამ შემთხვევაში იგი არაუფლებამოსილ სუბიექტად ჩითვლება და საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ ნარდგინებას განსახილველად არ მიიღებს.²⁸¹ თავდაპირველად საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: „მართლმსაჯულებასა და საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა, უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და სამართალწარმოების წესი დადგენილია ორგანული კანონით.“²⁸² რაც ნიშნავდა არამარტო დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას, არამედ საერთო სასამართლოების ფუნქციების არაეფექტურად განსაზღვრასაც. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი არ იძლევა სასამართლო გადანყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას.²⁸³

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს სამართალწარმოების სპეციალურ პროცედურებს. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია შეიმუშავოს რეკომენდაციები და წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, რაც თავისთავად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართალშემოქმედებით პროცესზე.²⁸⁴ საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ შესაძლებელია გარკვეულ ვადებს აძლევდეს პარლამენტს, რათა მან თავად შეცვალოს კანონი და მოიყვანოს იგი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.²⁸⁵ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შესაძლებელია იყოს საკონსულტაციო და დამდგენი ხასიათის. პირველ შემთხვევაში კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადანყვეტილებას, დასკვნას აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი და მისი შესრულება სავალდებულო არაა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მიღებული გადანყვეტილება უშუალოდ და პირდაპირ მოქმედებს და ზოგადი ხასიათი გააჩნია.²⁸⁶ „საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, კოლექტიულობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის“ პრინციპებზე დაყრდნობით. კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს. ეს პრინციპები, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, აუცილებელი თეზისებია და ისიც ისევე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საერთო სასამართლოებს.

გადანყვეტილების მშობლივი ძალა

სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ინსტრუმენტული ხასიათის გარანტია და იგი სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საშუალებაა.²⁸⁷ მისი გამართული მოქმედება აუცილებელ-

²⁸¹ მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება. N/3/99, თბილისი, 1999 წლის 22 აპრილი. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, გვ.101-105.

²⁸² საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლი.

²⁸³ „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი გადანყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

²⁸⁴ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, გვ. 48.

²⁸⁵ საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადანყვეტილება.

²⁸⁶ გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998, გვ. 28.

²⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის N1/2/440 განჩინება, II-1.

ლია მართლმსაჯულების ჯეროვნად წარმართვისათვის.²⁸⁸ სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.²⁸⁹ კანონმდებელი კანონების მიღებისას უნდა ემორჩილებოდეს სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალგანვითარების დონეს ამა თუ იმ ქვეყანაში. კანონმდებლის სამართლით შემოჭვა გულისხმობს მის უდიდეს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო სტაბილურობის მიმართ, რომელიც მყარი სამოქალაქო წესრიგის საფუძველია ქვეყანაში. სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა წარმოადგენს.

სპეციფიურია კონსტიტუციის ტექსტის განმარტება, რადგან არცერთი პრინციპი იერარქიულად მეორეზე მაღლა არ დგას, ამიტომ განმარტება იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ ნორმებს შორის შესაძლო წინააღმდეგობის ჰარმონიზაცია მოხდეს.²⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს კონსტიტუციის ნორმათა განმარტების დამოუკიდებელი უფლება და სასამართლოს მხრიდან უფლებების შინაარსის გარკვევა და განმარტება კონკრეტულ ინდივიდუალურ კონსტიტუციურ დავასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ხდება. ცნობილია, რომ სასამართლო მის შესახებ მხარეებს, საზოგადოებას, დაინტერესებულ მკითხველს ესაუბრება თავისი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი არგუმენტების მეშვეობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.²⁹¹ შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია არსებითად არის ის, რადაც მას პრაქტიკა აქცევს. ხშირად კონსტიტუციის ზოგად დებულებებს ნამდვილ შინაარსს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ანიჭებს. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს კონსტიტუციის მნიშვნელობას, ადგენს სამართლებრივად სავალდებულო კონსტიტუციურ სტანდარტებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ კონსტიტუციის ნორმათა შინაარსის განმარტებისათვის.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება სამართალშემოქმედებითი საქმიანობაც, მაგრამ მაინც რჩება ხარვეზები სამართლის ნორმის გაგების საკითხში, ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია რა დევს მის შინაარსში, რაც მისი შეფარდებისას სხვადასხვაგვარად გამოიყენება. აღნიშნული აუცილებლად მოითხოვს ახსნა-განმარტებას, რათა ყოველთვის სწორად იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ნორმა და არ ხდებოდეს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის ან სხვა პირის მიერ სამართლის ნორმით თავის სასარგებლოდ მანიპულირება.²⁹² იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მუდმივი პრობლემაა. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, აზუსტებს კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმების აზრს და სხვა ნორმატიულ აქტებს. სამართლის ნორმის განმარტებისათვის აუცილებელია, რომ იგი გამომხატავდეს სახელმწიფოებრივ ნებას. ნორმის განმარტება არის მისი შემდგომში გაგების პროცესი, პრაქტიკაში სწორად რეალიზების მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება კონსტიტუციის ახსნა-განმარტების შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ მათი გამოცემა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტების მოთხოვნის საფუძველზე, რადგან, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს, საკუთარი ინიციატივით არ აქვს ნორმის განმარტების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე

²⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება, II-1.

²⁸⁹ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 143.

²⁹⁰ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, ვ. 3.

²⁹¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

²⁹² ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2009 წ.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ დინამიური განვითარების განსაკუთრებული გზა განვლო. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასევე იმ გარემოებამაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსის განმარტებისას ხშირად მიმართავს ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ ძირითადი უფლებები სამართლის განმარტებისა და ფორმირების კონსტიტუციურ მასშტაბს განსაზღვრავს.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს კონსტიტუციის ნორმათა განმარტების დამოუკიდებელი უფლება და სასამართლოს მხრიდან უფლებების შინაარსის გარკვევა და განმარტება კონკრეტულ ინდივიდუალურ კონსტიტუციურ დავასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ხდება. ცნობილია, რომ სასამართლო მის შესახებ მხარეებს, საზოგადოებას, დაინტერესებულ მკითხველს ესაუბრება თავისი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი არგუმენტების მეშვეობით.²⁹³ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისას გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი სამეტაპიანი მოქმედებათა სქემა: 1. შესაბამისი წესის (ნორმის) მოძიება; 2. ნორმის განმარტება; 3. ნორმის მისადაგება კონკრეტულ შემთხვევასთან.²⁹⁴

აღსანიშნავია რეტროაქტიური ხედვა²⁹⁵ მოსამართლის/მოსამართლეთა განსხვავებული აზრის გამოხატვის თაობაზე, კერძოდ, მოსამართლის განსხვავებული აზრის დაფიქსირება ადრეული პრაქტიკის მიხედვით თვით გადაწყვეტილებაში/სასამართლოს აქტში ხდებოდა, ისე, რომ არ იყო მითითებული კონკრეტული მოსამართლის/მოსამართლეთა ვინაობა, შემდგომ პრაქტიკა შეიცვალა და გადაწყვეტილებაშივე იყო მითითებული მოსამართლეთა განსხვავებული აზრები (მოსამართლეთა ვინაობის დაფიქსირებით), უფრო გვიანდელი პრაქტიკის მიხედვით მოსამართლის/მოსამართლეთა განსხვავებული აზრი ცალკე წერილობითი სახითაა ფორმულირებული და თან ერთვის სასამართლოს გადაწყვეტილებას.²⁹⁶

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება არის სამართლის შემეცნების პროცესი. დაუშვებელია ნორმის განმარტება მოხდეს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ყოველგვარი მიკერძოებისა, თუ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გარეშე. საკონსტიტუციო უფლებამოსილების განხორციელებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს კონსტიტუციით, ამონებს ნორმის კონსტიტუციურობას, კერძოდ, ახდენს კონსტიტუციის ნორმის განმარტებას, რითაც თავისთავად ეხმარება კანონმდებელს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ცალკე არ ახდენს ნორმის განმარტებას, იგი პარალელურად, თავის გადაწყვეტილებებში ახდენს კონსტიტუციის ინტერპრეტაციას, რაც ვერ იქნება მიჩნეული უფლებამოსილების გადამეტებად. კანონის განმარტება ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობის გაგებას, ხდება კანონის აზრის განსაზღვრა და სამართლის ნორმების ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, ცალკეული ნორმ-

²⁹³ მაგ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის №2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, საქმეზე მოქალაქეები: 1) ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I.3.5 და სხვ.

²⁹⁴ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012. გვ. 33.

²⁹⁵ კაპანაძე მ., „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი“, გვ. 40.

²⁹⁶ იხ. მაგ: სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი. პ.9;

ის აზრის დადგენა. დაუშვებელია კონსტიტუციით განმტკიცებული რომელიმე სამართლებრივი ღირებულების რეალიზაცია სხვა სამართლებრივი ღირებულების ხარჯზე. კონსტიტუციური ნორმების განმარტება უნდა მოხდეს ფუნქციონალური მართლზომიერების პრინციპის საფუძველზე. კონსტიტუციის განმარტება არ უნდა არღვევდეს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებს. დაუშვებელია კონსტიტუციური ნორმის ისეთი განმარტება, რომელიც შეავიწროებს (ან გააფართოებს) სახელმწიფო ორგანოს თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის სფეროს. განმარტება გამოიყენება იქ, სადაც არსებობს განმარტების საგანი. ასეთი საგანი კი შეიძლება იყოს სამართლის ნორმა, რომლის შინაარსის შემეცნება შესაძლებელია. ასეთი შინაარსი კი ის არის, რომელშიც ქცევის გარკვეული ნესია მოცემული. ნორმატიულ სინამდვილეში ხშირია შემთხვევები, როცა ნორმის შინაარსი ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი იძლევა მისი თანაბრად სხვადასხვაგვარად ნაკითხვის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება და თუ დადასტურდება მისი ასეთი ბუნება, იგი ჩაითვლება არაკონსტიტუციურად.

საინტერესოა ასევე, სადავო ნორმის ბუნდოვნება შეიძლება თუ არა იყოს მისი კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძველი. ნორმის ბუნდოვნება თვით საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მოხსნას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობა. შესაბამისად, როცა ნორმა ბუნდოვანია, სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს მისი ნამდვილი შინაარსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღსაღნიშნავია დებულება, რომელშიც ნათქვამია: „სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია“.²⁹⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს მიაჩნია, რომ სამართალგამოყენებით პრაქტიკაში ნორმატიული აქტის არასწორი განმარტების საკითხი შეუძლებელია გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძველი.“²⁹⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებით, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხლოს ხელისუფლების სამივე შტოს მიერ ადმინისტრაციის დირექტორის უფლებების დარღვევის თაობაზე არსებული შემთხვევები. აგრეთვე, მას შეუძლია მოახდინოს ნებისმიერ აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემოწმება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირის სარჩელის შემთხვევაში განიხილავს ადმინისტრაციის დირექტორის უფლებების თავთან მიმართებაში არსებულ ნორმათა კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საკითხს, თუმცა მას არ აქვს უფლება ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ განხორციელებული ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე იმსჯელოს.

ძალზედ იშვიათია, როდესაც საარჩევნო ნორმის არაკონსტიტუციურობამ გამოიწვიოს არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და მტკიცებულებების შესწავლის შემდეგ სასამართლოს არჩევნები გამოუცხადებია არაკონსტიტუციურად, ამასთან, არ დამდგარა არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციური საკითხი.²⁹⁹ ყოველივე ზალნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვა მითითებული უფლების განხორციელებაში, რადგან ამით სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებას ეშლება ხელი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ არ მოქმედებს

²⁹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი.

²⁹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმარტება ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე 2002 წლის 10 ივლისის განჩინება N9/183.

²⁹⁹ ხეცურიანი ჯ., საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება N6/134-139-140. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე.

სამართლებრივი შეზღუდვის სხვა მექანიზმი, გარდა თვითშეზღუდვისა. საკონსტიტუციო სასამართლოს თვითშეზღუდვის ინსტიტუციონალური მექანიზმის არარსებობის პირობებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის პიროვნებას და მოსამართლედ განწესების პროცედურების დახვეწას, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა შერჩევას მაღალი სტანდარტის პროფესიული და პიროვნული კრიტერიუმების საფუძველზე.

სამართო სასამართლოების პრაქტიკის დე ფაქტო კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად,³⁰⁰ საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებულ ორგანოდ არის აღიარებული. საქართველოს კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს განსაკუთრებული ურთიერთობა და როლი საერთო სასამართლოებთან. სასამართლოს არსებობა, უპირველეს ყოვლისა, სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფას ემსახურება მიზნად. ის აღჭურვილია უფლებამოსილებებით, რომელიც არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნია. სასამართლო ხელისუფლება შეიძლება განიმარტოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სამართლებრივი ხასიათის კონფლიქტების მოგვარებას სახელმწიფოსა და მოქალაქეს, თავად მოქალაქეებსა თუ იურიდიულ პირებს შორის; ახორციელებს სასამართლო კონტროლს, ადგენს იურიდიულ ფაქტებსა და გარემოებებს.³⁰¹

კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს საკონსტიტუციო იუსტიცია (კონტროლი).³⁰² საკონსტიტუციო კონტროლი არის კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფისა და დაცვის სპეციფიკური ინსტიტუტი.

საკონსტიტუციო კონტროლის პირველი პრეცედენტი მე-18 საუკუნის 80-90-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა.³⁰³ ამ პერიოდისთვის აშშ-ს ცალკეულ შტატებში უკვე დანერგილი იყო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სასამართლოები ამონებდნენ შტატების კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს და იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას.³⁰⁴ საკონსტიტუციო კონტროლის პირველი პრეცედენტი 1803 წელს ცნობილ საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“, როდესაც საქმე ეხებოდა კონგრესის მიერ მიღებული კანონის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობას. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის „ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი“ და „საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას“.³⁰⁵ შესაბამისად, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ჯონ მარშალმა ფედერალური და შტატების კანონმდებლობისა და ადმინისტრაციის მოქმედების საკონსტიტუციო კონტროლის უფლება ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე დაამკვიდრა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ასეთ უფლებამოსილებაზე კონსტიტუციაში არაფერი იყო ნათქვამი.³⁰⁶

³⁰⁰ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი.

³⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2014, გვ. 268.

³⁰² კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი).

³⁰³ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, გვ. 27.

³⁰⁴ იხ. იქვე, გვერდი 54.

³⁰⁵ მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000, გვ. 242.

³⁰⁶ შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის

კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სავალდებულობაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში საუბრობდა ჰანს კელზენი, რომელიც თვლიდა, რომ კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს უმთავრესი და ძირითადი კანონის, რომლის შინაარსიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა კანონი, სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კონსტროლის განსაკუთრებული სისტემის - დაცვის კონკრეტული გარანტიების არსებობა.³⁰⁷ თავდაპირველად, ქართულ კანონმდებლობაში საკონსტიტუციო კონტროლი ნახსენებია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, რომლის 83-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო“.³⁰⁸

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია სასამართლო სისტემაში. იგი არ წარმოადგენს რომელიმე ინსტანციის სასამართლოს და შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების განხილვით. საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს და არ წყვეტს კონკრეტულ ფაქტობრივ დავებს-ეს საერთო სასამართლოების ფუნქციაა. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ჩვეულებრივი დავები მხოლოდ ერთ შემთხვევაში იჩენს თავს: როდესაც საერთო სასამართლო საქმის განხილვისას კონსტიტუციურ საკითხს აწყდება. ასეთ შემთხვევაში, იგი მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, საერთო სასამართლოებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით, თუ მიაჩნიათ, რომ კანონი, ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენონ საქმის გადანწყვეტისას, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. თუმცა, საერთო სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან უგულებელყოფენ კონსტიტუციურ საკითხებს, რაც ხელს უშლის კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარებასა და სრულყოფას.

თუ სასამართლოს გადანწყვეტილება ან განაჩენი კონსტიტუციის ნორმების დარღვევით იქნება მიღებული და მხარე ვერ მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად, დაირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებული უფლება, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერთა ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლო გადანწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დაწესებას.³⁰⁹

სასამართლოს გადანწყვეტილებებზე შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი იწვევს საქმის გადასინჯვას არა სრული მოცულობით, არამედ მხოლოდ გადამოწმებას კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევათა არსებობის შემთხვევაში. ის გარემოება, რომ საქმის წარმოებისას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ან შეფასების დროს, რომელიმე კანონის განმარტების ან კონკრეტულ საქმეში მისი გამოყენებისას დაშვებული იყო შეცდომები, არ მიუთითებს რომ დაირღვა ძირითადი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლო ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადანწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმებისას გმობს მხოლოდ ძირითად უფლებათა დარღვევას. ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა ოდენ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადანწყვეტის, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონშესაბამისი, დროული აღსრულების უზრუნველყოფით“.³¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების გადანწყვეტილებათა კონსტიტუციურ კონტროლს არ ახორციელებს. არ არის სწორი საკონსტიტუციო სასამართლომ არკვიოს სასამართლო გად-

თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ. 52.

³⁰⁷ იხ., Kelsen H., La garantie juridictionnelle de la Constitution, Revue du droit public et de la science politique en France, P., 1928, N2, პ. 198. აგრეთვე, კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 12.

³⁰⁸ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

³⁰⁹ ადამიანი და კონსტიტუცია, 1998 წ. N1, გ. გენაძის სტატია „საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები“.

³¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმე ბს-168-131-კ-05.

ანყვეტილებების კანონებთან შესაბამისობის საკითხი, როგორც ამას ადგენს აზერბაიჯანის კანონმდებლობა,³¹¹ თუმცა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლოა გულისმობდეს საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის შემონ-
მებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესს (საკონსტიტუციო
წარდგინების, საკონსტიტუციო სარჩელის რეგისტრაციიდან, გადანყვეტილების ძალაში შესვ-
ლის მომენტამდე), საკონსტიტუციო სამართალწარმოება ეწოდება.³¹² საკონსტიტუციო მართლ-
საჯულება ხორციელდება, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოების, ისე - საკონსტი-
ტუციო კონტროლის სპეციალიზებული სასამართლოს - საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.³¹³
გამომდინარე იქიდან, რომ კონსტიტუციურ კონტროლს ჩვენ ქვეყანაში ახორციელებს საქართ-
ველოს საკონსტიტუციო სასამართლო,³¹⁴ ცხადია მის აქტებსაც იურიდიული ძალა ექნება საქა-
რთველოს მთელ ტერიტორიაზე³¹⁵ და საკონსტიტუციო კონტროლის არსი არის ნორმატიულ
აქტთა კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა.

ნორმის ნორმატიული კონტროლი

საკონსტიტუციო კონტროლი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ფორმით ხორ-
ციელდება. თითოეულ მათგანში კონტროლის ფუნქციებით სხვადასხვა სუბიექტები არიან აღ-
ჭურვილნი, რომლებსაც ასევე განსხვავებული საკონტროლო უფლებამოსილებები აქვთ მინი-
ჭებული. საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის
შემონმების მექანიზმი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელსაც ქვეყნის
უზენაესი კანონი - კონსტიტუცია აქვს.³¹⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს
საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფორმით და როგორც საკონსტიტუციო კონტროლის
სასამართლო ორგანო, უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტი-
ტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების
დაცვას. ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო სამართალშეფარდების პროცესში ყოველთვის
იყენებს/განმარტავს კონსტიტუციას. საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კონსტი-
ტუციის მეორე თავით განსაზღვრული ძირითადი უფლებების განმარტების ან გამოყენების
ხარისხს, საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად ვერ აკონტროლებს, რადგან ნორმატი-
ული საკონსტიტუციო სარჩელი ამის საშუალებას არ იძლევა ან/და საერთო სასამართლოები
არ მიმართავენ კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს. საერთო სა-
სამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლება
პირველად 1929 წელს ავსტრიის სასამართლო სისტემაში დაინერგა, თუმცა ამ უფლებით მაშინ
მხოლოდ უზენაესი სასამართლო სარგებლობდა. დროთა განმავლობაში, აღნიშნული მოდელი ევ-
როპის ბევრმა სახელმწიფომ გაიზიარა. დროთა განმავლობაში ეს უფლება გავრცელდა დაბალი
ინსტანციების სასამართლოებზეც. სხვადასხვა სახელმწიფოებში აღნიშნული უფლებით ყველა
ინსტანციის სასამართლო სარგებლობს (მაგალითად: ლიტვა, პოლონეთი და სხვა), თუმცა არის
გამონაკლისებიც, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლე-

³¹¹ конституционное правосудие в странах СНГ и Балтии, М, 1998, С 407.

³¹² გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემუ-
რი პრობლემები, თბილისი, 2012, გვ. 62.

³¹³ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი
2011, გვ. 44-46.

³¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 59, პუნქტი 2.

³¹⁵ ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 2.

³¹⁶ მაგალითად, დიდ ბრიტანეთს არ ჰყავს კონსტიტუციური კონტროლის განმარტებული ორგანო.

ბა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს გააჩნია.³¹⁷ საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც ძველი გადაწყვეტილება იცვლება ახლით, ანუ ხდება ძველი პრეცედენტების ახლით ჩანაცვლება/განახლება.³¹⁸ ამის ნათელი მაგალითია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელიც შეიცავს თანასწორობის იმ სტანდარტს, რაც ისტორიულად მკვიდრდებოდა ადამიანთა შორის ურთიერთობაში.³¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დისკრიმინაციის ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით შესამჩნევია პრეცედენტების ცვალებადობა ევროკონვენციით მოაზრებული ფართო განმარტების მიმართულებით. სასამართლო თავდაპირველად კატეგორიულად გამორიცხავდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფართო განმარტებას და დისკრიმინაციის იმ შემთხვევებით შემოიფარგლებოდა, რა შემთხვევებიც იყო მასში გათვალისწინებული, სარჩელი არ მიიღებოდა განსახილველად.³²⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში ნათქვამია: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც, დაუშვებელია ადამიანის დისკრიმინაცია. მოსარჩელებმა და მათმა წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაუშვებელი დისკრიმინაციის რომელიმე სახესთან, უფრო მეტიც, განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ნიშნებიდან არც ერთი არ შეეხებათ.“³²¹ საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა მხარს უჭერს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფართო განმარტებას. სასამართლო აღნიშნავს: „...ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა... მხოლოდ ვინც გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში.“³²² ნორმის მიზანი ნორმის მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში მიზანი გაცილებით ფართოა, ვიდრე მასში არსებული ჩამონათვალი. შესაბამისად, კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები გამოყენებამდე საჭიროებს ახსნა-განმარტებას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევებიც, როდესაც კონსტიტუციური წარდგინებით მოსამართლეები თავისი სახელით მიმართავდნენ, რაც წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.³²³

საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სისტემაში დღეს დღეობით არ არსებობს. მიმაჩნია, რომ რიგი ცვლილებებია განსახორციელებელი, რადროსაც გასათვალისწინებელია საერთო სასამართლოთა როლი და უპირველეს ყოვლისა, თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მზაობა ძირეული რეფორმის მიმართ, რადგან

³¹⁷ მაგალითად ბულგარეთი და სხვა.

³¹⁸ თეიმურაზ ტულუში., გიორგი ბურჯანაძე., გიორგი მშვენიერაძე., გიორგი გოცირიძე., ვახუშტი მენაბდე., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 37-38.

³¹⁹ ზოიძე ბ, „კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემონების პრობლემები“, თბ. 2015, გვ. 4.

³²⁰ თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 37-38.

³²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის 2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³²³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინება, საქმე N1/8/116, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება.

ცხადია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ინტეგრაცია საკონსტიტუციო სამართალწარმოების სისტემაში ნიშნავს ეროვნული მართლმსაჯულების სისტემის თითქმის ფუნდამენტურ რეფორმას. ცხადია, უზენაესი სასამართლო შეინარჩუნებს ბოლო ინსტანციის ფუნქციას, თუმცა დაკარგავს ზეგავლენას საერთო სასამართლოების სამართალშემოქმედების კონტროლის მიმართ. როდესაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ, ეს ხდება ჩვეულებრივი პროცედურის გამოყენებით (დეცენტრალიზებული კონტროლი), ხოლო, როცა სპეციალიზებული სასამართლო - შესაბამისი სპეციალური პროცედურების საშუალებით (ცენტრალიზებული კონტროლი).³²⁴

საერთო სასამართლოების გადანყვეტილები კონტროლის კონსტიტუციურობა

საკონსტიტუციო კონტროლი კონსტიტუციონალიზმის აუცილებელი და საინტერესო შემადგენელი ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებას. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სახეა. მისი მთავარი ამოცანაა სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ზომების მიღება მათ აღმოსაფხვრელად.³²⁵ კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და წარმოადგენს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთ საშუალებას.³²⁶ საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლად და ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება მიიღება სახელმწიფოს სახელით, მოქმედებს სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, გააჩნია სავალდებულო სამართლებრივი ძალა და შესაძლოა დაძლეული იყოს მხოლოდ ახალი კონსტიტუციის მიღებით ან მოქმედ კონსტიტუციაში ცვლილება/დამატებების განხორციელებით. მეცნიერთა ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლო გადანყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დაწესებას.³²⁷ საერთო სასამართლოთა გადანყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს,³²⁸ რომლებიც მოქმედებენ როგორც უზენაესი სასამართლოები და განიხილავენ საერთო სასამართლოების გადანყვეტილებებს.³²⁹

გერმანიაში ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის უმაღლეს სასამართლო ორგანოს, ძირითადი კანონითა და “ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონით მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილებანი. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უფლებამოსილებაა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული აქტის არაკონსტიტუციურობა ცნობა, არაკონსტიტუციური კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება და არაკონსტიტუციური გადანყვეტილების გაუქმება. გერმანიის კანონმდე-

³²⁴ Витрук Н.В. конституционное правосудие. Судебное конституционное право и процесс, Москва 1998, ст. 24.

³²⁵ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011, გვ. 29.

³²⁶ კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი და თეორიული საკითხი), უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, გვ. 39.

³²⁷ “ადამიანი და კონსტიტუცია”, 1998 წ. N1. გ. გენაძის სტატია „საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები“.

³²⁸ მაგალითად, გერმანიისა და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოებს.

³²⁹ ჰ. შვარცი “კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში”, 2009 წ. გვ. 67.

ბლობით, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაარღვია მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება ან გადანყვეტილება დააფუძნა კანონზე, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითად კანონს — კონსტიტუციას, შეუძლია კონსტიტუციური საჩივრით მიმართოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. პროცესის მონაწილე მხარეს არ შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით, რომ კიდევ ერთხელ იქნეს გადამოწმებული სასამართლოს გადანყვეტილების მართებულობა. ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციურ საჩივართან დაკავშირებული წარმოების წესი რეგულირდება “ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონით. ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ მისი ძირითადი უფლებები დარღვეულია ხელისუფლების მიერ. გასაჩივრებული აქტი უშუალოდ უნდა არღვევდეს მოსარჩელის უფლებებს. კონსტიტუციური საჩივრის შეტანის უფლება აქვს იურიდიულ პირსაც, თუ მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითადი უფლებები. საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ შეიძლება იყვნენ ძირითადი უფლებების სუბიექტები, ვინაიდან ისინი ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომელიც თვლის, რომ დარღვეულია მისი ძირითადი უფლებები, ამონურა ყველა შესაძლო სამართლებრივი ფორმა და მიმართა ყველა იმ ინსტანციას, რომელიც ვალდებულია დაიცვას მისი ძირითადი უფლებები. კონსტიტუციური საჩივრის მიზანი არ არის მხოლოდ მოქალაქის უფლებათა დაცვა. კონსტიტუციურმა საჩივარმა ასევე უნდა დაიცვას მთლიანად კონსტიტუციური სამართალი.³³⁰

დასკვნა

ნორმატიული აქტის ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისობაში დადგენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა. აღსაღნიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოს იმის უფლებამოსილებას, რომ ამ უკანასკნელმა მოახდინოს საერთო სასამართლოთა გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის დადგენა, რაც მის ძალაუფლებას არსებითად გაზრდიდა.³³¹ უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია შეიცავს ნორმას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იძულებულს გახდის, კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობაზე იმსჯელოს.³³² საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა. აღნიშნული წარმოადგენს ერთად-ერთ ორგანოს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას სავალდებულო იურიდიული ძალით განმარტავს. ამასთან, კონსტიტუციური მართლმსაჯულების გარეშე შეუძლებელია კონსტიტუციის გაგება. საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება კონსტიტუციის არსებობითა და მისი დარღვევის თავიდან აცილების საჭიროებით არის განპირობებული. კონსტიტუციის დაცვა წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის უმთავრეს მიზანს, მის დანიშნულებას. სწორედ ეს გარემოება არის საკონსტიტუციო კონტროლის ფართოდ გავრცელების ძირითადი ფაქტორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს მოქმედი კონსტიტუციის უზენაესობას. ამიტომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო ორგანოების სისტემაში.

კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლი.³³³ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მნიშვნელობა, ბუნე-

³³⁰ ზალიშვილი ნ., „საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა“, თბ. 2014, გვ.2.

³³¹ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა, თბ. 2019, გვ. 235.

³³² საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

³³³ კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი და თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, გვ. 39.

ბრივია, მთლიანად დაკავშირებულია იმ სამართლებრივ შედეგებთან, რომელთა გამოწვევაც მას შეუძლია.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე ზოგადი კონტროლი მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომლის განხორციელებისას უზრუნველყოფილია კონსტიტუციის, როგორც ძირითადი კანონის უზენაესობა.³³⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს არის ინსტიტუცია, რომლის მიზანია, დაიცვას კონსტიტუცია ხელისუფლების შტოების არაკონსტიტუციური ჩარევებისგან,³³⁵ რაც სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის მაკონსტროლებელ უმაღლეს ორგანოდ აქცევს.

აღსაღნიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლო, ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლების შინაარსისა და ფარგლების დასადგენად, იყენებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ანალოგიური უფლების ირგვლივ სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალს. პრაქტიკის განვითარება, მისი დანერგვა და ერთგვაროვნება ერთ-ერთი წინაპირობაა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

რეზიუმე

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი და 1996 წელს ამოქმედებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლის არსებობა - ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები ხშირად მოქცეულა საზოგადოების ყურადღებისა და მეცნიერთა კვლევის სფეროში. პრობლემები, რომელიც გამხდარა ამგვარი ინტერესის საგანი, როგორც წესი, ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს კონსტიტუციისა და ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმში, მის ფუნქციებსა და მისი საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, ამასთან ერთ-ერთი თემა, რომლის გარშემო დღესაც არსებობს დიდი ინტერესი და მიმდინარეობს მწვავე დისკუსიები, არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ძალა და ამ გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემა. უწინარესად ეს ინტერესი განპირობებულია იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ცენტრალური ადგილი უკავია საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში. გადაწყვეტილებათა მიღებით, სასამართლო ახდენს თავისი კონსტიტუციური ძალმოსილების რეალიზებას, უზრუნველყოფს კონსტიტუციის, როგორც ძირითადი, კანონთა კანონის უზენაესობას და პირდაპირ მოქმედებას, აღმოფხვრის კანონმდებლობაში თუ სამართალშემოქმედებით პრაქტიკაში არსებულ მის დარღვევებს.

Resume

Existence of the Constitutional Court of Georgia established by the Constitution of Georgia on August 24, 1995 and enacted in 1996 - issues related to functioning have often been the focus of public scrutiny and scholarly research. Problems that were the subject of such interest usually concerned the place of the Constitutional Court in the constitution and fundamental rights protection mechanism, its functions and the further improvement of its activities, however, one of the topics around which there is a great deal of interest and heated discussions is the legal force of the judgments of the Constitutional Court of Georgia

³³⁴ კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმატიურობის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009, 62.

³³⁵ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბ. 2012, 26.

and the problem of enforcement of these decisions. First of all, this interest is due to the fact that the decisions of the Constitutional Court occupy a central place in the constitutional justice system. By ruling, the Court realizes its constitutional powers, ensures the constitution as a basic, rule of law and acts directly, eliminating its violations of law or law-making practice.

Резюме

Существование Конституционного суда Грузии, учрежденного Конституцией Грузии 24 августа 1995 года и вступившего в силу в 1996 году, - вопросы, связанные с функционированием, часто находились в центре внимания общественности и научных исследований. Проблемы, которые вызывали такой интерес, обычно касались места Конституционного Суда в конституции и механизме защиты основных прав, его функций и дальнейшего совершенствования его деятельности, Тем не менее, одной из тем, вокруг которых существует большой интерес и жаркие дискуссии, является юридическая сила решений Конституционного Суда Грузии и проблема исполнения этих решений. Прежде всего, этот интерес связан с тем, что решения Конституционного Суда занимают центральное место в системе конституционного правосудия. Постановляя, Суд реализует свои конституционные полномочия, обеспечивает конституцию как основную, верховенство закона и действует непосредственно, устраняя его нарушения закона или законотворческой практи.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995 (2018 წლის რედაქცია).

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 04/12/2009.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 31/01/1996.

საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ 21/03/1996.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 26.06.1997.

სამეცნიერო ლიტერატურა:

Kelsen H., La garantie juridictionnelle de la Constitution, Revue du droit public et de la science politique en France, P. 1928.

გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 1998.

Витрук Н.В. конституционное правосудие. Судебное конституционное право и процесс, Москва 1998.

конституционное правосудие В странах СНГ и Балтии, М, 1998.

მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2000.

შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძის თარგმანი, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003.

იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005.

კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი და თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006.

ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007.

კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008.

შვარცი ჰ., „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში“, 2009 წ.

ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2009 წ.

კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმატკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009.

კაპანაძე მ., „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი“.

კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში - თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი, 2011.

Гегенава Д., Правовая Природа Конституционного Суда, Как Специального Органа Конституционного Контроля и Его Место Среди Высших Органов Власти, International Students' Olympiad in National and Comparative Constitutional Law, Batumi, 2011.

გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012.

კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები (ზოგიერთი თეორიული საკითხი).

თეიმურაზ ტულუში., გიორგი ბურჯანაძე., გიორგი მშვენიერაძე., გიორგი გოცირიძე., ვახუშტი მენაბდე., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2013.

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2014.

ზაალიშვილი ნ., „საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა“, თბ. 2014.

ზოიძე ბ., „კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები“, თბ. 2015.

კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა, თბ. 2019.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება. N/3/99, თბილისი, 1999 წლის 22 აპრილი. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის განჩინება, საქმე N1/8/116, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოდან შეტანილი კონსტიტუციური წარდგინება.

ხეცურიანი ჯ., საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება N6/134-139-140. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე.

საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემე-

კის) წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმარტება ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე 2002 წლის 10 ივლისის განჩინება N9/183.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის №2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, საქმეზე მოქალაქეები: 1) ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმე №ბს-168-131-კ-05.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის N1/2/440 განჩინება.

სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება.

არასამთავრობო ორგანიზაციების მასსიათიხელი დემოკრატიულ სახელმწიფოში

თინათინ დაუთავილი *

მსოფლიოში არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის და მოსახლეობას მეტად საჭირო მომსახურებას სთავაზობენ. არასამთავრობო ორგანიზაციები ნათლად აჩვენებენ პიროვნებასა და საზოგადოების ინტერესების თანაბარ პრიორიტეტს რაც საფუძვლად უდევს სამოქალაქო საზოგადოებას.

არასამთავრობოები მონიტორინგს უწევენ ადამიანის უფლებებზე მომუშავე უწყებებს და დგანან ადამიანის იმ უფლებათა სადარაჯოზე, რომლებზეც მათი მანდატი ვრცელდება.³³⁷ ეს არის ძირითადი არსი რისთვისაც იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა კვლევის შედეგები საქართველოს მაგალითზე სულ სხვა რეალობას გვიჩვენებს. რასაც შემდგომ მოგახსენებთ.

არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალფეროვნების გამო რთულია გაკეთდეს განსაზღვრება, თუ რას ნისნავს არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ აღწერენ როგორც მოხალისე, მოგებაზეარაორიენტირებულ კერძო ორგანიზაციებს, რომლის მრავალფეროვანი საქმიანობა ცვლილებისაკენაა მიმართული, მხარს უჭერს და წინ წევს მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს. არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირია რომლის მიზანია სამოქალაქო ფასეულობების განმტკიცება, დაცვა და ა.შ.³³⁸ როდესაც ვსაუბრობთ არასამთავრობო ორგანიზაციებზე მხედველობაში გვაქვს სოციალური ჯგუფის ერთ-ერთი ფორმა, რომლითაც იქმნება იურიდიული ორგანიზაცია, პრობლემის გადასაჭრელად და რომელიც სახსრებს იღებს დონორებისგან. არასამთავრობო ორგანიზაციები როგორც ყველა სხვა იურიდიული პირი საჭიროებს მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციას. არასამთავრობო ორგანიზაცია ეს არის მოქალაქეთა გაერთიანება საკუთარი ნუხილების, ინტერესების, სურვილების მიხედვით. ასეთი ორგანიზაცია ნათლად აჩვენებს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების თანაბარ პრიორიტეტს, რაც საფუძვლად უდევს სამოქალაქო საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაში პიროვნების ინტერესი ემთხვევა კონკრეტული სოციუმის ინტერესს და ურთიერთშეზღუდვები დაშვებელია და სასურველია ორივე მხარისათვის.³³⁹

არასამთავრობო სექტორი მოაზრებულია რომ წარმოადგენს მესამე სექტორს (მთავრობისა და ბიზნეს სექტორის შემდეგ) რომელიც საჯარო სივრცის ფორმირებაში ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენადაა შექმნილი. არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე მოიხსენიებენ ეგრეთ ნოდებულ ენჯოებად. ტერმინი ენჯეო (NGO) პირველად 1945 წელს გაეროს დაფუძნებასთან ერთად გამოჩნდა, როდესაც გაერო გარკვეულ სპეციალიზაციის მქონე არასახელმწიფო სააგენტოებს შეხვედრებზე დამკვირვებლის სტატუსს ანიჭებდა. ყველაზე ძველ არასამთავრობო ორგანიზაციად მოაზრებულია ნითელი ჯვარი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში შეიქმნა. არსებობს მთელი წყება სხვადასხვა პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქველმოქმედო, მომსახურების მიმწოდებელი, თანამონაწილეო-

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის დოქტორანტი

337 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაცია NGO <http://www.justice.gov.ge>

338 sasamarTlo Jurnalistikis saxelmZRvanelo. Tbilisi, 2002

339 სამოქალაქო საზოგადოება : ფონდ ევრაზიის გრანტის C97-0124 საფუძველზე / [რედ.: ლევან ბერძენიშვილი და გიგა ბოკერია]; სამოქალაქო განვითარების საერთაშ. ცენტრი - თბ., 1998

ბითი, ნაციონალური და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებია. ის ფონდებიც კი რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ, შესაძლებელია ენჯეოების გარკვეული ტიპი იყოს.³⁴⁰

USAID არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაზღვრავს, როგორც კერძო მოხალისეობრივ ორგანიზაციებს. განსაზღვრება ამკარად პრობლემატურია, რამდენადაც მათი უმეტესობა მთავრობისა და კორპორაციების მიერ ფინანსდება და ასევე რთულია თქვა, რომ ორგანიზაცია სადაც პერსონალს პროფესიული ანაზღაურება აქვს, მოხალისეობრივია.³⁴¹

მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების უამრავი კატეგორიისა სტატიის განსახილველ თემაში ვკონცენტრირდები ისეთი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც სოციალური და პოლიტიკური მიზნების შემცველი ცვლილებებისათვის „იბრძვიან“.

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობას დაახლოებით ორმოცწლიანი ისტორია აქვს. არასამთავრობო ორგანიზაციები 1980-იანი წლების ბოლოს წარმოიშვნენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თუმცა მალევე მოხდა (განსაკუთრებით, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ) მათისწრაფი ფრაგმენტაცია სხვადასხვა თემატიკის, პროგრამის, მიზნის, ინტერესთა სფეროსა თუსუბიექტთა პროფილის მიხედვით. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირების პარალელურად ხდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების სწრაფი რაოდენობრივი ზრდა. მათ თავის დროზე დიდი როლი შეასრულესავტორიტარული, არასაბაზრო პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების - დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკის მქონესაზოგადოებად ტრანსფორმირებაში.³⁴²

არასამთავრობო ორგანიზაციები როგორც წესი, იქმნება კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ იმისათვის, რომ საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება მიეპყროს იმ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებსაც მათიაზრით, სათანადო ყურადღება არ ენიჭება შესაბამისი სტრუქტურების მიერ, ან რომელთა თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება გვიანდება, რეაგირება კი არ არის ადეკვატური. არიანარა სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე ათეული წლები საქმიანობენ გლობალური მასშტაბით დარომელთა ავტორიტეტისა და სოციალურ-ეკონომიკურ დაპოლიტიკურ პროცესებზე გავლენისგამო, მათი დასკვნები თუ შეფასებები მოხვედრილ სტრუქტურებზე ეროვნული ხელისუფლების მიერ არამხოლოდ მხედველობაში მიიღება, არამედ გათვალისწინებასაც ექვემდებარება.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მეოთხედ საუკუნეზე მეტი დროისმანძილზე გამოვლინდა რიგი თავისებურებები, რომელთა აღნიშვნა აუცილებელია თანამედროვეპირობებში არასამთავრობო ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის დასახასიათებლად.

საქართველოში, როგორც გარდამავალი ტიპის სახელმწიფოში, მეცნიერების საზოგადოებრივ-ინსტიტუციური როლი და ფუნქციები ძალიან მოკლე ვადებში დიდწილად არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაანაცვლეს. თუ მანამდე მეცნიერება იყო ქვეყნის ბოლო ინსტანცია და მას ეკითხებოდნენ რჩევებს, რეკომენდაციებს, ექსპერტულ შეფასებებს, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში თითქმის უაპელაციოდ ქვეყნის ბოლო ინსტანციად არასამთავრობოების აზრის დომინირება გახდა. ამ ასპექტით, თავისი გავლენის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მცდელობის ინტენსივობითა და „შედეგიანობის“ თვალსაზრისით, არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება თავისუფლად მოვიხსენიოთ როგორც „მეხუთე ხელისუფლება“ - რიგითობით საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებებისა და მედია საშუალებების შემდეგ. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობა შეუძლია ნებისმიერ პირს 18 წლის ასაკიან. მეცნიერების საზოგადოებრივ-ინსტიტუციური

340 GOOD GOVERNANCE PRACTICES FOR THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS UNITED NATIONS New-York and Geneva, 2007

³⁴¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაცია NGO <http://www.justice.gov.ge>

³⁴² სასამართლო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო. თბილისი, 2002

როლი კი გაცილებით მნიშვნელოვანია და მათი ჩნაცვლება ყველა საკითხზე წარმოუდგენელია. ყველაზე მისაღები ფორმა ჩემი აზრით იქნებოდა მეცნიერების საზოგადოებრივ-ინსტიტუციური ფუნქციების რეალიზება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებში.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციებს საერთოდ არ შეუვიწროებიათ მეცნიერება და ამ უკანასკნელის როლი ისევე დიდი, მყარი და პრესტიჟულია, როგორც ათეული წლების წინ.

განსხვავება გარდამავალი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებისა და განვითარებული ეკონომიკის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ის გახლავთ, რომ — განვითარებული ეკონომიკის არასამთავრობო ორგანიზაციები იმის გათვალისწინებით რომ ამ ქვეყნებს ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, პარტიებ, როგორც წესი, თავად ქმნიდნენ საკუთარ ინსტიტუტებსა და მათთან აფილირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. საქართველოში, ფაქტობრივად, საპირისპირო პროცესს ჰქონდა ადგილი: ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია დროთა განმავლობაში ქმნიდა ახალი პოლიტიკური გაერთიანების ბირთვის, ამის კლასიკური მაგალითია 1996 წელს შექმნილი თავისუფლების ინსტიტუტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ჯერ იდეოლოგიურ, შემდეგ კი ორგანიზაციულ ფორმირებაში, ბოლოს კი, 2003 წელს — ძალაუფლების ხელში აღებაში.³⁴³

მკვლევარები არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი ფუნქციისა და მამულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა კატეგორიებად აჯგუფებენ. განსხვავებენ ოპერაციულ და კამპანიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მოკლედ განვიხილავ თითოეულმათგანს.

ოპერაციული არასამთავრობო ორგანიზაცია - მიდრეკილია პატარა პროექტების შექმნისკენ, რომელიც შესაბამისად მიმართულია მოკლევადიანი მიზნების მიღწევისკენ. მათი მიზანია მოიპოვონ გრანტები, დონაცია და დაფინანსების სხვა წყაროები. მათი საპროექტო აქტივობა ფულის მიღებითაა მოტივირებული.³⁴⁴ სწორედ აღნიშნული ოპერაციული არასამთავრობო ორგანიზაციებია მრავლად საქართველოში. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები პატარა და ადგილობრივი მასშტაბის არასამთავრობო ორგანიზაციებია, მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც იცავს ქალთა უფლებებს, არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც იცავს უპატრონო ძაღლებს და ა.შ

კამპანიური არასამთავრობო ორგანიზაცია - კონკრეტული საკითხების ირგვლივ იქმნება, რის შესახებაც ისინი სხვადასხვა საჯარო აქციასა და დემონსტრაციას აანონსებენ. ასეთი ტიპის ორგანიზაცია, როგორც წესი, იქმნება მაშინ როდესაც გარკვეული პრობლემების გამო საზოგადოებაში უკმაყოფილება ჩნდება, ხოლო ეგრეთწოდებული ენჯეო (არასამთავრობო ორგანიზაცია) სხვადასხვა ინსტიტუციონალური აქტივობებით გამომწვევი უკმაყოფილების მიზეზების ათვისებასა და მისთვის მიმართულების შეცვლას ცდილობს, ასრულებს რა მთავრობასა და ხალხს შორის მედიატორის ფუნქციას. ასეთს განეკუთვნება დიდი არასამთავრობო ორგანიზაციები. ორგანიზაცია, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი აქვს მინიჭებული. როგორცაა „ნითელი ჯვარი“, „Amnesty International“, „Scouts“³⁴⁵

არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გაერო-ს პოლიტიკაზე ზეგავლენის თვალსაზრისით და ბევრი მათგანი გაერო-ში ოფიციალური საკონსულტაციო სტატუსითაც სარგებლობს.³⁴⁶

³⁴³ სამოქალაქო საზოგადოება : fonde აზიის გრანტის #97-0124 საფუძველზე / [რედ.: ლევან ბერძენიშვილი და გიგაბოკერია]; სამოქალაქო განვითარების საერთაშ. ცენტრი - თბ., 1998

³⁴⁴ GOOD GOVERNANCE PRACTICES FOR THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS UNITED NATIONS New-York and Geneva, 2007

³⁴⁵ The role and impact of NGOs in capacity development From replacing the state to reinvigorating education UNESCO 2009

³⁴⁶ არასამთავრობო ორგანიზაციების საქართველოში: როლი და გავლენა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე- <http://globalresearch.ge/research/joseph-archvadze-ngo.html> 2017

ზოგადად არასამთავრობო სექტორი - საჯარო სივრცის ფორმირებაში, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენადაა შექმნილი.

მნიშვნელოვანი მახასიათებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობასთან დაკავშირებით არის “სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის უზრუნველყოფა”. დემოკრატიულ სახელმწიფოში - სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგი და შეზღუდვა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებში - მათი დემოკრატიზება. არასამთავრობო ორგანიზაციების მაღალი აქტივობა ავსებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტიანობის და კვალიფიკაციის ამაღლება. სწორედ ამ თვალსაზრისით არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა უფრო ეფექტურს გახდის პოლიტიკური პარტიების საქმიანობას.

არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების და პრაქტიკის დამკვიდრების მატარებელი, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისის მონახვის სურვილი, სანინააღმდეგო აზრის პატივისცემა. ეს ის ღირებულებებია რისი დანერგვაც საქართველოში დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება და ეფექტურს გახდის მმართველობას. არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს დემოკრატიას, როდესაც იგი ქმნის მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაცია მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. რაც საბოლოო ჯამში ქმნის ღია მმართველობას.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ზოგადად „მესამე სექტორი“ საზოგადოების დემოკრატიზების იარაღად მოიაზრება, უფრო მეტიც, ეს სექტორი განიხილება ცენტრალიზებული ძალაუფლების, რეპრესიის, სილატაკისა და ზოგადად კოლექტიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის ალტერნატივადაც. მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე არასამთავრობო ორგანიზაციებს შენევეთ უნარი გახდნენ მედიატორი მთავრობასა და ხალხს შორის.

რეზიუმე

სტატია ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების როლს და მათი საქმიანობის მნიშვნელობას. სტატიის მიზანია, არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობის ჩვენება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგს და შეზღუდვას, პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირებას, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლებას, დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარებას. სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციულ მონაწილეობას, სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

Resume

The article deals with the role of non-governmental organizations and the importance of their activities. The article aims to show the importance of NGOs' working activities, which involves: monitoring and restriction of the state power implementation, stimulation of political participation, improvement of citizens' political effectiveness and qualification, recognition of the duties and rights of democratic citizenship, organizational participation in civil society, possibility to participate in state governance, on the local self-governmental level

Резюме

Статья касается роли негосударственных организаций и значения их деятельности. Цель статьи – продемонстрировать значение негосударственных организаций, что подразумевает мониторинг и ограничение исполнения власти со стороны государства, стимулирование политического процесса, повышения политической эффективности и квалификации граждан, признание прав и обязанностей демократической гражданственности. Организационное участие в гражданском обществе, возможность участия в государственном управлении на уровне местного самоуправления.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში: როლი და გავლენა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე <http://globalresearch.ge/research/joseph-archvadze-ngo.html> 2017
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაცია NGO <http://www.justice.gov.ge>
3. სასამართლო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო. თბილისი, 2002წ.
4. სამოქალაქო საზოგადოება : ფონდ ევრაზიის გრანტის №97-0124 საფუძველზე / [რედ.: ლევან ბერძენიშვილი და გიგა ბოკერია]; სამოქალაქო განვითარების საერთაშ. ცენტრი - თბ., 1998
5. ფლაუერსი, ნენსი. კომპასიტო: სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში. რედ. და თანაავტ. ნენსი ფლაუერსი. საბოლოო რედ. ჟუჟანა სელენი. ილ. დაიანა ნეგი. მთარმენ : თამარ მიქაძე, ანა გეგეჭკორი; რედ. დავით გელაშვილი - თბილისი 2009
6. GOOD GOVERNANCE PRACTICES FOR THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS UNITED NATIONS New-York and Geneva, 2007
7. The role and impact of NGOs in capacity development From replacing the state to reinvigorating education UNESCO 2009

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლის მეორე ნაწილით დარღვეულია სამართლიანობის ზოგადი პრინციპი, რის გამოც ხარვეზის გამოსწორების მიზნით ხსენებული ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების მოშლისას დაუბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების მოშლამდე განეული ხარვეზი მარჩენალს აუნაზღაურდეს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

თავისი სამართლებრივი ბუნებით სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულება არის ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალური³⁴⁸.

ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შესრულებები ერთმანეთზე დამოკიდებულია, რასაც სახელშეკრულებო სინალაგმა ეწოდება.

ორმხრივი სინალაგმატური ხელშეკრულების დროს შესრულება და საპირისპირო შესრულება ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ვალდებულება იმიტომ სრულდება, რომ მიღებულ იქნეს საპირისპირო შესრულება³⁴⁹.

სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულება არის ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება, რომლითაც თითოეულ მხარეს ერთდროულად გააჩნიათ უფლებებიც და ეკისრებათ ვალდებულებებიც.

სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი, რომლითაც სარჩენის ქონების გადასვლა ხდება მარჩენლის საკუთრებაში (გარკვეული შეზღუდვებით) განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით.

სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულება კონსენსუალურია, რადგან იგი დადებულად ითვლება, როდესაც მხარეები ყველა მის არსებით პირობებზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით³⁵⁰.

სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულების დეტალურად განხილვა არ წარმოადგენს მოცემული სტატიის მიზანს. წინამდებარე სტატიის მიზანია საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება, რის გამოც შევეხებით მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის შინაარსს და გამოვთქვამთ ჩემს მოსაზრებებს.

სამოქალაქო კოდექსის 948-ე, 949-ე და 950-ე მუხლებში საუბარია სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულების სხვადასხვა მიზეზით დაუმთავრებლობა, დაუსრულებლობაზე. სკ. 946-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინი მოშლა, ხოლო 949-ე და 950-ე მუხლებში - შეწყვეტა. ხელშეკრულების შეწყვეტა ნიშნავს ხელშეკრულების დამთავრებას, დასრულებას - შედეგის დადგომით, ხოლო ხელშეკრულების მოშლა ნიშნავს ხელშეკრულების დაუმთავრებლობას, დაუსრულებლობას, რის გამოც სამართლებრივი შედეგიც მათ შორის განსხვავებულია. ხელშეკრულების შეწყვეტის ანუ დამთავრების შემთხვევაში მხარეები აღწევენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზანს, ურთიერთვალდებულებები შესრულებით ამონურულია, რის გამოც მხარეებს ერთმანეთის მიმართ,

347 სამართლის დოქტორი, პროფესორი

³⁴⁸ ზ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, გვ. 428

³⁴⁹ იქვე, გვ. 591

³⁵⁰ ზ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, გვ. 428

როგორც წესი, პრეტენზია არ გააჩნიათ. ვალდებულების შესრულება ძირითადად განიხილება, როგორც შემწყვეტი (რემისული) იურიდიული ხასიათის მოქმედება, რომელიც კანონით დადგენილი პირობების არსებობისას წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს³⁵¹.

სამართლებრივ ურთიერთობებს გააჩნიათ დასაწყისი და დასასრული, რაც სავსებით ლოგიკურია. ყოველი კონკრეტული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა ორიენტირებულია მიზნის მიღწევით შეწყვეტაზე. უმეტეს შემთხვევაში, მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპასუხო შესრულების მიღება. ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობა საპასუხო შესრულების მიღებაზეა ორიენტირებული, რასაც, იდეალურ შემთხვევაში, შედეგად მოყვება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა³⁵².

სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად „ვალდებულებითი ურთიერთობები წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება)“. შესრულება კი ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტას იწვევს. სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა, შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზეა დამყარებული. ორივე მხარეს გარკვეული სარგებლობის მიღების სურვილი ამოძრავებს³⁵³.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 362-ე პარაგრაფის მიხედვით „ვალდებულება“ წყდება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება სრულდება კრედიტორის მიმართ“.

ხელშეკრულების მოშლის ანუ დაუმთავრებლობის შემთხვევაში მხარეებს ერთმანეთის მიმართ კვლავ წარმოეშობათ ურთიერთვალდებულებები, კერძოდ, ხელშეკრულების მოშლის შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.

სამოქალაქო კოდექსის 949-ე და 950-ე მუხლებში შეწყვეტის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს ტერმინი ხელშეკრულების მოშლა.

ხელშეკრულება დაიდება მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი მხარე მათგან სარგებელს მოეწივს³⁵⁴.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლის დროსაც სარჩენის მიერ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საბაზლიოდ მარჩენალი კისრულობს ვალდებულებას სამისდღეშიოდ, ზოგჯერ განსაზღვრული ვადით, სარჩენს უხადოს სარჩო, რომლის ერთდროული ანაზღაურების ოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, როდესაც უძრავი ქონება უბრუნდება სარჩენს, ხოლო, ხშირად წლების განმავლობაში სარჩენზე მარჩენლის მიერ განეული ხარჯები ამ უკანასკნელს სკ 949-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არ აუნაზღაურდება, ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა: აღნიშნულით ხომ არ ირღვევა სამართლიანობის პრინციპი და სარჩენის მხრიდან ხომ არა აქვს ადგილი უსაფუძვლო გამდიდრებას?

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პირის მიერ სარგებლის მიღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამართლებრივი საფუძველით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო (კანონისმიერი)³⁵⁵.

როგორც საქართველოს, ისე უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობა ძირითადად იძლევა უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულების წესს და საფუძველებს³⁵⁶.

განვითარებულ მართლწესრიგში სამართლიანობის პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს სამართლის სუბიექტებს შორის ქონებრივი ინტერესების დაცვა, მათი დარღვეული უფლებების აღდგენა. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში ნებისმიერი სამართლებრივი

³⁵¹ სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, ზ. ძლიერიშვილი, თბ. 2014, გვ.369

³⁵² სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გ. სვანაძე, თბ. 2014, გვ. 310

³⁵³ იქვე, გვ. 322

³⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, თბ. 2001, გვ.58

³⁵⁵ თამარ ჩიტოშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, 2019. გვ. 85

³⁵⁶ იქვე, გვ. 86

პრობლემა გადაჭრილი უნდა იქნეს სამართლიანობის პრინციპის დაცვით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანთა მშვიდობიანი და ღირსეული თანაცხოვრებისათვის³⁵⁷.

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:203 მუხლის თანახმად „პირმა, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადასცა სხვა პირს ქონება, უფლებამოსილია მიმღებს მოსთხოვოს არასათანადოდ შესრულების უკან დაბრუნება. თუკი არასათანადო გადახდა გამოიხატა ფულადი თანხით, მოთხოვნა ვრცელდება იმავე რაოდენობის თანხის დაბრუნებაზე³⁵⁸.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალში (შვეიცარია, საბერძნეთი) უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნების მოთხოვნას საფუძვლად უდევს ზოგადი ნორმა (შვ.სკ-62 მუხ., საბერძნეთის სკ - 904 მუხ.) რომლის თანახმად ქონება, რომელიც ერთი პირის მიერ არის მეორე პირის ხარჯზე მოპოვებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ექვემდებარება უკან დაბრუნებას³⁵⁹.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფის თანახმად, „პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია მიღებული გადასცეს მას. აღნიშნული ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დადგა.

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 62-ე მუხლის თანახმად „ვინც სხვისი ქონებით უსაფუძვლოდ გამდიდრდება, უკან უნდა დააბრუნოს გამდიდრება. ეს ვალდებულება წარმოიშობა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიმღები ყოველგვარი ნამდვილი საფუძვლის გარეშე არ შემდგარი, ან თავიდან არსებული და შემდგომში გაუქმებული საფუძვლით იღებს შესრულებას³⁶⁰.

უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი თავისებურებებია:

ა) სარგებლის მიღება უსაფუძვლო გამდიდრების დროს. სარგებელი მიიღება ორი სახით: სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდით ან დაზოგვით³⁶¹.

ბ) სარგებლის მიღება ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

უსაფუძვლო გამდიდრების დროს სარგებლის მიღება ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ხოლო მისი დაბრუნების ვალდებულებას კი განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი³⁶².

უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის უსაფუძვლოდ, გაუმართლებლად შეძენილი ქონების (შელავათის, უპირატესობის, უფლების) პრობლემა და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის, „სამართლიანობის“ აღდგენა. ეს ქონებრივი დანაკლისი იმ პირს უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონებრივი გაზრდა, ანუ მისი „უსაფუძვლო გამდიდრება. აღნიშნულს ცონდიცტო ეწოდება, შესაბამისი მოთხოვნა კი კონდიქციურ მოთხოვნად არის ცნობილი³⁶³.

შესრულების კონდიქციურ მოთხოვნას, ანუ შესრულების უკუქცევის მოთხოვნას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც საქმე გვაქვს მოთხოვნის კრედიტორის მიერ მოთხოვნის მოპასუხის მიმართ შეგნებულ და მიზანმიმართულ მოქმედებასთან, რომელმაც ამ უკანასკნელს ქონებრივი შელავათი მოუტანა. შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უნდა არსებობდეს³⁶⁴. კონდიქციურ ვალდებულებათა ფუნქციას წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის

³⁵⁷ თამარ შოთაძე, კონდიქციური სამართალი, შედარებითი კვლევა, 2016.გვ. 5

³⁵⁸ იქვე, გვ. 29

³⁵⁹ თამარ შოთაძე, კონდიქციური სამართალი, შედარებითი კვლევა, 2016.გვ.30

³⁶⁰ გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, შესრულების კონდიქცია, 2017.გვ. 54

³⁶¹ თამარ ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე 2009, N1. გვ. 123

³⁶² ლია შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება, სამართლიანი სამართალი? ჟურნალი „სამართალი“ 2000, N6-7

³⁶³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II გვ. 353

³⁶⁴ იქვე, 54

სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა³⁶⁵.

კონდიქციური ვალდებულების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ალაღდინოს სამართლებრივი წონასწორობა, ანუ უზრუნველყოს დაზარალებულის ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა³⁶⁶.

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად უნდა არსებობდეს საკონდიქციო შემთხვევა, საკონდიქციო მოთხოვნის კრედიტორი და მოვალე. სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ვითომ-კრედიტორს, კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა ეკისრება - დააბრუნოს ის სიკეთე, რაც უსაფუძვლოდ მიიღო. პირს, რომელსაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება შემდგომში მოიშალა. კონდიქციური მოთხოვნისთვის აუცილებელია არსებობდეს ქონების გადაცემის ფაქტი, რასაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანს წარმოადგენს მხარეთა შორის ქონებრივი ბალანსის, სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა³⁶⁷.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთი პირი უნდა მდიდრდებოდეს მეორის ხარჯზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას³⁶⁸.

კონდიქციიდან წარმოშობილი ყველა მოთხოვნის უფლების საერთო წინაპირობაა ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალემ მიიღოს ქონებრივი სარგებელი ამ ცნების ფართო გაგებით. ნებისმიერი სახის უფლება შეიძლება იყოს უსაფუძვლო გამდიდრების საგანი, მიუხედავად იმისა, ის სანივთო უფლებაა თუ ვალდებულებით-სამართლებრივი.³⁶⁹

თუ მიზანი ვერ იქნება მიღწეული, მაშინ შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხდება და შესრულება უკან უნდა იქნეს გამოთხოვილი. წინაპირობა არის მიზნის შესახებ საერთო შეთანხმება და არა უბრალოდ, შემსრულებლის ცალმხრივი მოლოდინი. კონდიქციური მოთხოვნა მიმართულია უკუქცევისაკენ³⁷⁰.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიზანი ხელშეკრულების მოშლის გამო არ იქნა მიღწეული. უსაფუძვლო გამდიდრება ამ შემთხვევაში გულისხმობს როდესაც ვალდებულება აღარ არსებობს ხელშეკრულების მოშლის გამო და ამის შედეგად სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ადგილი დაიკავა კანონიერმა ვალდებულებით-სამართლებრივმა ურთიერთობამ, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრებამ და თუ შესრულების საგანი ფიზიკურად, მატერიალურად აღარ არსებობს, ადგილი იქნება კონდიქციურ მოთხოვნას, ან შესრულების კონდიქციას³⁷¹.

შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არსებობდა. მაგრამ შემდეგში შეწყდა³⁷². გამდიდრება მდგომარეობს მიმღების ქონების შევსებაში, იქნება

³⁶⁵ გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, შესრულების კონდიქცია, 2017, გვ.85

³⁶⁶ მაია ახალაძე, უსაფუძვლო გამდიდრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკული ანალიზი, 2019.გვ. 38

³⁶⁷ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, იან კროფჰოლერი, თბ. 2014, გვ. 591

³⁶⁸ იქვე, 595

³⁶⁹ სუსგ. №ს-184-171-2015

³⁷⁰ გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 54

³⁷¹ იქვე, 57

³⁷² სუსგ. №ს-184-171-2015

ეს აქტივების გაზრდა, თუ პასივების შემცირება. გამდიდრება ასევე შესაძლებელია დანახარჯების დაზოგვით, რომლის დროსაც შესრულების მიმღები ზოგავს იმ დანახარჯებს, რისი გაცემაც სხვა შემთხვევაში საკუთარი ფინანსებიდან მოუწევდა. კონდიქციის მოვალის გამდიდრება უნდა შეესაბამებოდეს კონდიქციის კრედიტორის ქონების შემცირებას³⁷³.

კონდიქციის მოთხოვნა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მიღებული გამდიდრება ნატურით აღარ მოიპოვება, ან შეუძლებელია მისი გამოცალკევება. ეს შემთხვევა შესაძლებელია სახეზე გვექნოდეს მაშინ, როდესაც შესრულება გამოყენების, გადამუშავების ან გასხვისების გამო მატერიალური სახით აღარ არსებობს, ან შესრულების საგანი ფული ან არამატერიალური სიკეთე იყო³⁷⁴.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შესრულების კონდიქცია გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, შესრულდა ხანდაზმული მოთხოვნა, შემძენს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელმა შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის შესახებ, ანუ შეგნებულად გაამდიდრა მიმღები.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 814-ე პარაგრაფის თანახმად, უმართებულოდ შესრულების დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეიძლება, თუ შემსრულებელმა იცოდა შესრულების ვალდებულების არარსებობის შესახებ.

ყველა მართლწესრიგი აღიარებს ტრადიციულ პოსტულატს, რომ შეუძლებელია მოსარჩელემ მოითხოვოს იმის დაბრუნება რაც შეასრულა უზნეოდ ან კანონის დარღვევით წარმატების მიღწევის გზით³⁷⁵.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მოშლის მიზეზი, გარდა მხარეთა შორის ურთიერთაუტანლობისა, შეიძლება სხვა გარემოებაც იყოს, რაც შესაძლებელია ხელშეკრულების დადების შემდგომ გამოვლინდა, მაგალითად, მხარემ არ გამოიჩინა გონივრული წინდახედულების ხარისხი და სამისდღეშიო სარჩოს გადახდა საცილო გახადეს იმ პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

სკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისთვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადები საფუძვლი შეიძლება იყოს კონკრეტული ვითარება, კერძოდ არსებითი ხარისხის ვალდებულების დარღვევა, რაც სასამართლოს შესაფასებელია.

ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს კი წარმოადგენს მისი მონაწილე მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება³⁷⁶.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეები არ უარყოფენ, რომ მათ შორის არის კონფლიქტური სიტუაცია და შესაბამისად შეუძლებელი იქნება მათი შემდგომი ურთიერთობის გაგრძელება“. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „რადგან მხარეთა შორის შეწყდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ამიტომ მარჩენალზე გადაცემული უძრავი ქონება უნდა დაუბრუნდეს სარჩენს (აპელანტს), ხოლო

³⁷³ გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, შესრულების კონდიქცია, 2017, გვ. 57

³⁷⁴ იქვე, გვ. 58

³⁷⁵ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართლიანობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, 2001, გვ. 266

³⁷⁶ სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, ზ. ძლიერიშვილი, გ. სვანაძე, თბ. 2014, გვ. 511

ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდეს“. ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „ვინაიდან მხარეთა შორის შეწყდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ამიტომაც მოსარჩელეს (სარჩენს) უნდა დაუბრუნდეს მარჩენლისათვის გადაცემული საცხოვრებელი ბინა და იგი საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში აღირიცხოს სარჩენის სახელზე, ხოლო განეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდეს³⁷⁷.

მარჩენლის მიერ სარჩელზე გადაცემული მატერიალური ქონება (სიკეთე) თუ ფული ემსახურება გარკვეულ მიზანს, კერძოდ, ხშირ შემთხვევაში სარჩენის მიერ მარჩენალზე უძრავი ქონების შეზღუდულ საკუთრებაში გადაცემას, შედეგის (მიზნის) დადგომის მიუღწევლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ორმხრივი რესტიტუცია, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა³⁷⁸. ნინა აღმდეგ შემთხვევაში სარჩენი აღმოჩნდება ქონებრივი უპირატესობის მდგომარეობაში, ანუ უსაფუძვლოდ გამდიდრდება. ამ შემთხვევაში დაბრუნება ექვემდებარება კონდიქციურ მოთხოვნას.

მარჩენლის მიერ სარჩელზე გადაცემული სიკეთე, ხშირ შემთხვევაში გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონებაა, რასაც ფაქტიურად მოიხმარს სარჩენი და დაბრუნების შემთხვევაში სარჩენმა მარჩენალს უნდა აუნაზღაუროს მისი საერთო ღირებულება (ფულადი კომპენსაცია), რომლის ოდენობა განისაზღვრება მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროს არსებული ღირებულების მიხედვით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის უზრუნველთვისა და საპირისპირო ინტერესთა წონასწორობის აღდგენის მიზნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლის მეორე ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების მოშლისას დაუბრუნდეს სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების მოშლამდე განეული ხარჯები მარჩენალს აუნაზღაურდეს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რეზიუმე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 943—ე მუხლის მეორე ნაწილით დარღვეულია სამართლიანობის ზოგადი პრინციპი, რის გამოც ხარვეზის გამოსწორების მიზნით ხსენებულ ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების მოშლისას დაუბრუნდეს სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების მოშლამდე განეული ხარჯები მარჩენალს აუნაზღაურდეს და სამართლიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.

Resume

Article 943 (2) of the Civil Code of Georgia violates the general principle of justice and therefore, in order to remedy the defect, this provision should be formulated as follows:

~The transferred immovable property shall be returned to the claimant upon termination of the contract, and the expenses incurred prior to the termination of the contract shall be reimbursed to the breadwinner and in accordance with the criteria of fairness, unless otherwise provided by the contract.

Грузинский Патриархальный им. Святой Андрей Первозванный Грузинский Университет

³⁷⁷ სუსგ. Nას-1200-1444-05. სუსგ. N833-885-2011. თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.03.2011. N2/13477-10 გადაწყვეტილება

³⁷⁸ თამარ ჩიტოშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, 2019 გვ. 66

Резюме

Статья 943 (2) Гражданского кодекса Грузии нарушает общий принцип справедливости и, следовательно, для того, чтобы исправить дефект, это положение должно быть сформулировано следующим образом:

«Переданное недвижимое имущество должно быть возвращено заявителю до окончания договора, а также расходы, понесенные до прекращения договора, возмещаются кормильца и в соответствии с критериями справедливости, если иное не предусмотрено договором.»

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ. 2010, გვ.428
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, იან კროფჰოლერი, თბ. 2014, გვ. 591, 595
3. სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, ზ. ძლიერიშვილი, გ. სვანაძე, თბ. 2014, გვ. 369, 310-331
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, თბ. 2001, გვ. 58
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტ. II, გვ. 353
6. თამარ ჩიტოშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, თბ. 2019, გვ. 85, 86
7. თამარ ჩიტოშვილი, უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მაცნე“ 2009, N1, გვ. 123
8. თამარ შოთაძე, კონდიქციური სამართალი, შედარებითი კვლევა, თბ. 2016, გვ. 5,22
9. გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, შესრულების კონდიქცია, თბ. 2017, გვ. 54, 57, 85
10. ლია შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება, სამართლიანი სამართალი? ჟურნალი „სამართალი“ 2000, N6-7, გვ. 34, 36
11. მაია ახალაძე, უსაფუძვლო გამდიდრება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკული ანალიზი, თბ. 2019, გვ. 38, 49
12. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, 2001, გვ. 266
13. სუსგ. Nას-185-178-2012
14. სუსგ. Nას-184-171-2015
15. სუსგ. Nას-1200-1444-05
16. სუსგ N833-885-2011
17. თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.03.2011. N2/13477-10 გადაწყვეტილება

კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში

გიორგი ალანია *

ძვ. ქართულ მემკვიდრეობით სამართალში, კანონისმიერი მემკვიდრეობის განსაზღვრისას კანონით შემოსაზღვრული იყო მემკვიდრეთა წრე. ბუნებით სამართალს ყველაზე მეტად პასუხობს კანონისმიერი მემკვიდრეობა, რომელიც ნათესავთა მემკვიდრედ მონაწილეობის სამართლიან პრინციპს ემყარება. ხშირად ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს და აბსოლუტურად ემთხვევა კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში მამკვიდრებელმა თავისი ნება ანდერძში გამოხატა, მეორე შემთხვევაში, იგივე ნება კანონში გამოიხატა. ასეთ შემთხვევაში ანდერძს ეკარგება აზრი.³⁸⁰ ანდერძისმიერ მემკვიდრეობას მხოლოდ მაშინ აქვს გამართლება, როდესაც იგი სცილდება კანონისმიერ მემკვიდრეობის ფარგლებს და წესს.

ძვ. ქართულ მემკვიდრეობით სამართალში კანონისმიერი მემკვიდრეობის განვითარება ბევრად ჩამორჩება ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. კანონისმიერ მემკვიდრეობას გააჩნია ძლიერი ზნეობრივი ფუნდამენტი, სადაც ისტორიულად მტკიცე იყო მასში ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც წარმოადგენდა გვარის, ოჯახის საფუძველს, მაგრამ ზნეობრივი ფაქტორები მაინც დიდ როლს თამაშობდა. მას შემდეგ რაც გარკვეული გასაქანი მიეცა ინდივიდუალიზმს, კანონისმიერ მემკვიდრეობაში კიდევ უფრო გაძლიერდა ზნეობრივი ფაქტორი და მან შეცვალა ეკონომიკური ფაქტორი. ზნეობრივი მომენტები კი ის ღირებულებებია, რომლებიც გამომდინარეობენ ნათესაური ურთიერთობის შეგნებიდან.³⁸¹

კანონისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტები იყვნენ ახლობელი და შორეული ნათესავები. ქართულ სამართალში ნათესაობის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი გამოიყენებოდა, როგორცაა: შვილი, მკვიდრი, მეყვსი, სახლიკაცი და სხვა. ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში ტერმინი „მკვიდრის“ ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა არის მემკვიდრე. X საუკუნის ქართველი მემკვიდრის ცნობით „მკვიდრი“ არის მამრობითი სქესის ჩამომავალი და მემკვიდრეს „მკვიდრი“ ერქვაო.³⁸²

ასევე ამ ტერმინთან უშუალო კავშირში არის ტერმინი „სანულე“. აღ. საქართველოს მთის კუთხეებში, კერძოდ ფშავ-ხევსურეთში, თემის წევრად ითვლებოდა მხოლოდ თემის მფარველი ღვთაების (ჯვრის, ხატის) ყმა. „სანულე“ გულისხმობს ზოგიერთი რიტუალის შესრულებას (ერთ წლამდე შიშველი ვაჟის დროშის ქვეშ შეგორებას), რომლის შემდეგაც პირი თემის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. მას წილი დაედებოდა სოფლის, დედამიწაზე, მთა-ბარზე, ადგილ-მამულზე.³⁸³

შუა საუკუნეებში მემკვიდრის სინონიმად გვხვდება ტერმინი „ძე“. ქართულში მემკვიდრის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ორივე სქესის მიმართ, როგორც ვაჟიშვილის, ისე ქალიშვილისადმი. ძვ. ქართულ სამემკვიდრო სამართალში სისხლისმიერი ნათესაობის გვერდით გვხვდება ხელოვნური ნათესაობაც. ასეთი სახის ნათესაობა მემკვიდრეები არ არიან, თუმცა არებობდა გამონაკლისებიც. ვახტანგ VI-მ თავის სამართლის წიგნში დაადგინა ქალაქური მემკვიდრეობის წესი. ინდივიდუალურ ოჯახში მემკვიდრეობა როდი ვრცელდებოდა ცოლ-შვილის ფარგლებს გარეთ. მემკვიდრეებად გამოდიან შვილები (როგორც წესი ვაჟიშვილი და ქალიშვილი) მეუღლე და ამის შემდეგ ქონება უმემკვიდრეოდ ცხადდება.³⁸⁴

* სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

³⁸⁰ ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, თბილისი 2000, გამომცემლობა „უფლება“ გვ 85

³⁸¹ ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, თბილისი 2000, გამომცემლობა „უფლება“ გვ 89

³⁸² ივ. ჯავახიშვილი, თსუ გამოცემა, 1984 წ. ტომი VII გვ. 27

³⁸³ ყ. ერიაშვილი, „უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში“, თბ. მეცნიერება, თბ. 1982 გვ 63

³⁸⁴ გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ მეცნიერება, 1965 წ. გვ160

ვახტანგის სამართლის წიგნის 1-5, 13, 89, 90, 140,143-ე მუხლებით მოწესრიგებულია დეტალურად მემკვიდრეობის საკითხი, როგორც მამის სახით, ისე დედის სახით.³⁸⁵ მემკვიდრეობის წრეზე გავლენას ახდენდა რელიგიური მომენტი. ქრისტიანთა მემკვიდრეები ისევ ქრისტიანებია, მაჰმადიანი არაა მათი მემკვიდრე. შვილთა სამემკვიდრეო უფლებები უფრო ბუნებითი სამართლიდან გამომდინარეობს. სწორედ ამ პოზიციიდან ასაბუთებდნენ შვილების სამემკვიდრეო უფლებებს რომელი იურისტები. იურისტი პაულიუსი ამბობს „ბუნებრივი გონიერება, როგორც რაღაც ჩუმი კანონი, მშობლებისგან სამომკვიდროს აძლევს შვილებს მოუწოდებს, ასე ვთქვათ, კუთვნილი მემკვიდრეობისაკენ“

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 109-ე მუხლში საუბარია როგორც ძველ, ისე ახალ გაყრაზე.³⁸⁶ძველი რიგის თანახმად სანამდის ძმანი ერთად არიან, ქირი, ლხინი, საშოვარი, უშოვარი, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგულნი, რაც რამ ფერი, ყველა ერთი არის, ძმურად უფროსმან - საუფროსო, უმცროსმან - საუმცროსო ასე ყოფილა.³⁸⁷ რაც შეეხება ახალ გაყრას, რომელიც მოცემულია ვახტანგის სამართლის წიგნის 105-ე მუხლში „თუ თავისი ნაშოვნის საქონლით, ან იშოვა რამე, ან იყიდა, მაგდენს ნილს ძმათათვის არ მიაცემინებენ.“ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 113-ე მუხლით თუ კაცი უშვილოდ გადავარდა, მის ქონებაზე სამართლებრივად ხელი არ მიუწვდებოდა მის ახლო ნათსავეებს. გარდაცვლილის მთელი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა.

ქართული ჩვეულებითი სამართლით და საერო ხასიათის საკანონმდებლო ძეგლებით ოჯახის გაყრისას უფროსი ღებულობს საუფროსოს, უმცროსი - საუმცროსოს, ხოლო შუათანა ძმა - საშუალოს. მაგრამ დამატებით სამემკვიდრეო წილიდან უფროსი ღებულობს კიდევ დამატებით ნილს. ეს იყო უფროსი ძმის მოთხოვნა და უფლება, ხოლო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება კი მოვალეობაა. ყოველივე ეს განმტკიცებული იყო ბიბლიით.³⁸⁸ ოჯახის გაყრის შდეგად უფროსი ძმა სარგებლობდა განსაკუთრებული პატივით, იგი ფაქტობრივად ცვლის მამას და დანარჩენები ყოველთვის უწევენ ანგარიშს მის აზრს. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 108-ე მუხლი, რომელიც საუმცროსოს ადგენს: „თუ უფროსი ძმა უშვილოდ ამოვარდა, საუფროსო მისი შემდეგის არისო. და თუ უმცროსი ამოვარდა და შვილი არ დარჩენია საუმცროსო სხვა ძმისა არისო.“³⁸⁹საერთოდ სასურველი იყო გაყრა ნებაყოფლობით მომხდარიყო. თვით სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც წესი გაყრის წინააღმდეგი იყო, მიუხედავად ამისა იგი აღიარებდა გაყრის აუცილებლობას. სახელმწიფო ხელისუფლება მაშინ ერეოდა საქმეში, როცა სახლიკაცები ნებაყოფლობით ვერ მორიგდებოდნენ. ქართული ჩვეულებითი სჯულიდან ვიგებთ რომ „ როდესაც ძმანი, ბიძანი, ბიძაშვილნი თავიანთი კეთილი ნებით არ გაიყრებოდნენ და მოხდებოდა ჩივილი, მაშინ რამდენიმე საპატივცემულ მოქალაქეს გაანდობდნენ მათ გაყრას.

საქართველოს ჩვეულების თანახმად მონაწილეებს ეძლეოდათ „გაყრის წერილები.“ ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, ქალი სამემკვიდრო ურთიერთობის სუბიექტი იყო. გათხოვილი და გაუთხოვარი ქალის სამემკვიდრო უფლებები სხვადასხვა, იყო. გათხოვილის სამემკვიდრო უფლებები ძირითადად მზითევით ამოიწურებოდა. მზითევი კი იყო ის ქონება, რომელიც ეძლეოდა ქალს გათხოვებისას მშობლების ქონებიდან, რომელიც მას მიჰქონდა ქმრის ოჯახში. მზითევი ქალის ქონებრივი დამოუკიდებლობის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენდა. მზითვის გატანება გათხოვილი ქალისათვის ქართული ჩვეულებითი სამართლით სავალდებულო ყოფილა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მზითვის უფლებით სარგებლობდა უკანონოდ შობილიც. ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტის ცნობის თანახმად მზითვის

³⁸⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 252

³⁸⁶ ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, თბილისი 2000, გამომცემლობა „უფლება“ გვ 122

³⁸⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 510-511

³⁸⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 511

³⁸⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 532

გატანება ქალისთვის საჭოჭმანოდ ხდის მის აუცილებლობას. ლამბერტი გადმოგვცემს, რომ ევროპისგან განსხვავებით, „კოლხიდაშიო ქალს არავითარი მზითვი ქმრისთვის არ მიაქვსო, მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი“³⁹⁰ ცნობილი ქართველი მეცნიერის. მაკალათია განსაზღვრავს თუ როგორ ხდებოდა მზითვის სიდიდის განსაზღვრა „ მზითვის განსაზღვრა დამოკიდებული იყო ქალის მშობლების შეძლებაზე და ვაჟის მოთხოვნაზე. ამ³⁹¹ შემთხვევაში საქმეს აგვარებდა შუამავალი.“³⁹² საქართველოში მამულის მზითვად გაცემა უკიდურესი ღონისძიება როგორც წესი მამული არ წარმოადგენდა მზითვის ობიექტს. ქართული ჩვეულებითი სამართლიდან გაუთხოვარი ქალი, მშობლების გარდაცვალების შემდეგ, სახეზე თუ არ იყვნენ ტრადიციული მემკვიდრეები, როგორცაა ვაჟიშვილი, გაუყრელი ძმა, ბიძა და ბიძაშვილი, მაშინ მამული ქონება მას რჩებოდა ქალიშვილის სამემკვიდრო უფლებებს ავსებს ზედსიძეობის ინსტიტუტი. მისი მეოხებით ქალი ფაქტობრივად მემკვიდრე ხდება მშობელთა ქონებისა.

სამართლებრივ წყაროებში ხან ქალიშვილი ცხადდება მემკვიდრედ, ხან კიდევ ზედსიძე. უფრო ხშირად ზედსიძე. ზედსიძეობა ავსებს ქალიშვილის სამემკვიდრეო უფლებებში არსებულ ხარვეზებს და ამასთან იგი დადასტურებაცაა ქალის უფლებებისა. თორემ, ქალი რომ ვაჟიშვილის თანასწორი ყოფილიყო სულაც ზედმეტი იქნებოდა ზედსიძეობის ინსტიტუტი. ზედსიძეობის ინსტიტუტის შესახებ საუბარია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 145-ე, 257-ე მუხლებში. 145-ე მუხლში ნათქვამია, „თუ კაცი ამოვარდება და ვაჟიშვილი არ დარჩეს და ქალი დარჩეს, ის ქალი ვინც შეირთოს, თავისი მამის სახლ-კარი, საქონელი, იმ ქალს მიეცეს. იმ კაცის ვალიც იმ ქალმა და მისმა ქმარმან გადაიხადოს. თუ ის ქალიც და მისი ქმარიც მამკუდარა და შვილები დარჩობის.“ ასევე აკანონებს 257-ე მუხლიც.³⁹³

ძვ. ქართულ მემკვიდრეობით სამართალში ნაშვილები ბუნებითი შვილის ადგილს იკავებს და ფართო უფლება-მოვალეობის სუბიექტია. ნაშვილების სამემკვიდრო უფლებებს აღიარებს ჯერ კიდევ ძვ. ბაბილონის კანონმდებლობა. ქართული ჩვეულებების თანახმად, ნაშვილები ძირითადად ქმრის ნათესავთაგანია, მშვილებელი კი შეიძლება იყოს, როგორც მამაკაცი, ისე ქალი. ³⁹⁴ ამას მოწმობს საქართველოს ჩვეულებითი სჯულის 32-ე ნორმა, რომელიც უვაჟოდ დარჩენილი ოჯახის განედლების გზად ჯერ მიიჩნევს ზედსიძის მოყვანას და თუ მშობლებს ქალიშვილიც არ ეყოლებოდათ, მაშინ ცოლს (ქვრივს) შეეძლო ქმრის ახლო მონათესავთაგანი შვილად აეყვანა და ქმრის ქონება დაეპატრონებინა.³⁹⁵

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 261-ე მუხლი სპეციალურად ეხება ნაშვილების სამართლებრივ სტატუსს - „ნაშვილებისათვის ამ მუხლში გამოკვეთილია მშვილებლის, ნაშვილებისა და საერთოდ შვილების ქონებრივი შედეგები. კანონმდებელი შემდეგს ლაპარაკობს: „თუ ერთმან კაცმა, უძმომ, უსახლკარომ, გაყრილმან, უშვილომ, ცოლმან და ქმარმან.“ ³⁹⁶ ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის 58-ე 59-ე მუხლებით ნაშვილები არის, როგორც ღვიძლი შვილი, მშვილებლის ქონების მემკვიდრეა და ამ უფლებას კარგავს იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახიდან გაძევებულია ლალატისა და შეცოდებისათვის.³⁹⁷

ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობს უკანონოდ შობილთა მემკვიდრეო-

³⁹⁰ ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ, საქ. მეც. აკადემია, 1960 წელი გვ 69- 70

³⁹¹ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. ფედერაცია, 1938 წ. გვ. 82

³⁹² ბოროზდინი, ერისთავი რაფ. „ბატონყმობა საქართველოში“ თბ. 1927 წ. გვ 58

³⁹³ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 453

³⁹⁴ ვ. აბაშმაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები, თბ. თსუ-ს გამოცემა 1989 წ. გვ 91-92

³⁹⁵ ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, თბილისი 2000, გამომცემლობა „უფლება“ გვ206

³⁹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 548

³⁹⁷ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ. მეცნიერება, 1964 წელი, გვ 118

ბის უფლებებსაც. უკანონოდ შობილი კანონიერი ქორწინების გარეშე შობილია. მათ ქართული სამართლის ძეგლებში მოიხსენიებენ შემდეგი ტერმინებით: ბუში, ბიჭი, ნაბიჭვარი. პირველი ძველი საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც უკანონოდ შობილთა უფლებებია მოცემული-ესაა ბექას სამართლის წიგნი. მისი 31 მუხლი გვაუწყებს: „ბიჭი დედისა არის, დაბადებული ვერავის გაუმკვიდრებს ვისიცაა დიაცი, მკვდრად მართებს, ვაჟიცა მისია, ვერავინ გაზრდილებით ემართლებს, თავის გულით ნავა, თუ სთხოვს მკვიდრი ბატონი. თუ დიდებულის შექმნილი იყოს და მასვე ყმად ყვეს აზნაურული წესითა და სამამულესა რასმე ქონებით, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს.“³⁹⁸ ნაბიჭვართა უფლებრივ მდგომარეობას ეხება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 110-ე მუხლი. „ნაბიჭვრის წილი არ არის მამულში.“³⁹⁹

ნაბიჭვარი თავს ვერ აღწევს ყმურ დამოკიდებულებას. თავისუფალია მხოლოდ იმის არჩევ-აში, თუ ვის ეყმოს, თუ ვის ძმებს ეყმობა მხოლოდ რჩენის უფლება ჰქონდა, მათ რაიმე წილს ვერ მოსთხოვდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ბუში, როგორც წესი არ სარგებლობს მემკვიდრეობითი უფლებებით, მაგრამ არც ხემლმოცარული რჩება. ბოროზდინის გადმოცემით, ბევრი ყოფილა უკანონოდ შობილი სამეგრელოში (განსაკუთრებით მოახლეთაგან) მძიმე ყოფილა მათი მდგომარეობაც, რისი შემსუბუქებაც განუსაზღვრავს სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანს და კიდევაც დაუდგენია: „უკანონოდ შობილნი საეკლესიო კუთვნილებად ჩათვალეთ და საეკლესიო მამულზე დაასახლეთ.“⁴⁰⁰ ამით მდგომარეობა არ შეცვლილა, რადგან საეკლესიო უწყებამ ისევ მებატონეებს მიყიდა ისინი და იმნაირივე მოჯალაბებდად იქცნენ, როგორც მათი დედები იყვნენ. ამის გამო ლევან დადიანს გაუუქმებია თავისი ბრძანება. ბ.რიჟარაძის ცნობით მთელ სვანეთში ხუთი თუ დათვლებოდა უკანონოდ შობილი და ამის მიზეზად ასახელებს მელოგინეთა მიერ ნაყოფის მონამვლას და უკანონოდ შობილ ბავშვთა მკვლელობას, თუკი რომელიმე ცოცხალი გადარჩებოდა იგი ვერ მიიღებდა მემკვიდრეობას ვერც მამის მხრიდან და ვერც დედის მხრიდან. ქვრივის სამემკვიდრო უფლებები ჯეროვნად არის მონესრიგებული ქართულ სამართალში. ქვრივი ქალის უფლებრივი მდგომარეობა ჩვენში ანალოგიურად იყო ბერძნულ-რომაულისა.

ბერძნულ-რომაული სამართლით ქალი გამოიყურება, როგორც ქონებრივად დამოუკიდებელი სუბიექტი. იუსტინიანეს სამართლით ქმარი გამოიყურება არა როგორც მესაკუთრე, არამედ როგორც მმართველი ცოლის ქონებისა. ბექა-აბულას სამართლის წიგნი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან, შილიანი ქალის მემკვიდრეობას, უშვილო მემკვიდრეობისაგან. მისი 81-ე მუხლის თანახმად, როცა ცოლ-ქმარი უშვილოა ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქალს რჩება მზითევი. „მისი მზითევი თან გაყვეს დამოუკიდებლად.“⁴⁰¹ ხოლო ცოლის გარდაცვალებისას, ქმარი ვერ მიიღებს მზითევს. „მზითევი მის სამშობლოს მართებს, აგრეთვე დაუკლებლად“.⁴⁰² გიორგი ბრწყინვალის სამართლის მე-18 მუხლის მიხედვით ქმრის მკვლელობის შემთხვევაში თუ ცოლი არ გათხოვდება, ლებულობს სისხლისგან სასაპყროს- „მის მოკლული კაცის სისხლისგან სასაპყრო მიეცეს ძალისა მსგავსად.“⁴⁰³ ვახტანგის სამართლის 224-ე მუხლის მიხედვით ერთ შემთხვევაში ქმარი ცოლის ქონების სრული მემკვიდრეა, სხვა დროს კი მზითვის მესამედზე ვრცელდება მისი უფლება.

ქართული ეთნოგრაფიული ცნობებით, ქვრივის უფლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, იგი შვილიანია თუ უშვილო. სვანეთში უშვილოდ დარჩენილი ქვრივი ქალი, ოჯახის გაყოფის შემდეგ, ქმრის რომელიმე ძმასთან რჩებოდა.⁴⁰⁴ ქვრივს შეეძლო წასულიყო ქმრის ოჯახი-

³⁹⁸ ნ. სიზანიშვილი (ურბნელი) გვ 391, 403, 404

³⁹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ 511

⁴⁰⁰ ბოროზდინი, ერითავი რაფ. „ბატონყმობა საქართველოში“ თბ. 1927 წ. გვ 442-443

⁴⁰¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ456-457

⁴⁰² ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I. გვ457

⁴⁰³ ი. დოლიძე გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957წ. გვ 110-111

⁴⁰⁴ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთი სვანეთში, თ. 1989, გვ 58

დან, ან დარჩენილიყო იქ. იყო შემთხვევები, როცა მას მიათხოვებდნენ ქმრის ძმაზე ან სხვა ახლო ნათესავზე. ეს ჩვეულება ისტორიაში შევიდა „ლევირატის“ სახელწოდებით. ამ შემთხვევაში ქვრივი ხდება მემკვიდრეობის ობიექტი. ქვრივი აგრძელებდა ქმრის უფლებრივ სიცოცხლეს, თუ შვილს გააჩენდა მამლისგან ან სხვა ნათესავისგან.

დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს: „ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფისა, ან მომაკვდავის სიტყვიერად, თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელი ნების გამოცხადებას „ანდერძი“ ეწოდება“.⁴⁰⁵

იოანე ბაგრატიონის ქართულ ლექსიკონში ანდერძი განმარტებულია შემდეგნაირად: „ანდერძი მოკუდავის კაცისგან ანუ სიტყვით დარიგება და განკარგულება სისხლისა თვისისა და ანუ წერილით დატოვება წიგნისა, რომელ შემდგომად სიკვდილისა მისისა მემკვიდრეთა მისთა აღასრულონ ანდერძი მომკვდრისა მის“⁴⁰⁶. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ანდერძი“ - მოკვდავისგან დარიგებაა. ⁴⁰⁷თვით ტერმინი ანდერძი ჩვენში სპარსულიდან არის ნასესხები და მ. ანდრონიკაშვილის გამორკვევით იგი საშუალო სპარსულიდან არის შემოსული.⁴⁰⁸ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ყველაზე სრულყოფილი სურათი რომაულ სამართალში გვაქვს. სხვა ხალხებმა რომაული სამართლისგან ისესხეს ანდერძის ძირითადი დებულებები.⁴⁰⁹

ქართული საკანონმდებლო ძეგლები ძლზე მწირ ცნობებს შეიცავენ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შესახებ. შუა საუკუნეების ისეთი საკანონმდებლო ძეგლი „ძეგლის დადება გიორგი V ბრწყინვალისა“ საერთოდ არ ახსენებს ანდერძს. მხოლოდ ამ ძეგლის მე-16 მუხლში ნათქვამია მშობლის შეუზღუდავ უფლებებზე.

მამას აქვს უფლება, ურჩ შვილს ჩამოართვას ნასყიდში მემკვიდრეობის უფლება. საერთოდ ქართული ჩვეულებითი სამართალი ნაკლებად იცნობდა ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. მთის ხალხში უფრო გაბატონებული პოზიცია უკავია კანონისმიერ მემკვიდრეობას.

ქართული საკანონმდებლო ძეგლები ძლზე მწირ ცნობებს შეიცავენ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შესახებ. შუა საუკუნეების ისეთი საკანონმდებლო ძეგლი „ძეგლის დადება გიორგი V ბრწყინვალისა“ საერთოდ არ ახსენებს ანდერძს. მხოლოდ ამ ძეგლის მე-16 მუხლში ნათქვამია მშობლის შეუზღუდავ უფლებებზე. მამას აქვს უფლება, ურჩ შვილს ჩამოართვას ნასყიდში მემკვიდრეობის უფლება.

საერთოდ ქართული ჩვეულებითი სამართალი ნაკლებად იცნობდა ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. მთის ხალხში უფრო გაბატონებული პოზიცია უკავია კანონისმიერ მემკვიდრეობას.

ძვ. ქართულ სამართალში გარდა ანდერძისა ცნობილი იყო ინსტიტუტები, როთაც ქონების მესაკუთრე იმას მაინც აღწევდა, რომ მისთვის არასასურველ კანონისმიერ მემკვიდრეს არ დარჩენოდა სამკვიდრო. ესენია ე.წ ჩუქება და შეწირულობა. ნაჩუქრობის ერთგვარი სახეობაა შეწირულობაც. შეწირულობითაც მესაკუთრენი მათთვის სასურველი პირობებისათვის (ეკლესია-მონასტრების). შეიძლებოდა ჩუქებას რაიმე დაბრკოლება შეხვედროდა, შეწირულობა კი თავისუფალი იყო ამისგან.⁴¹⁰ პირის საანდერძო უფლებაუნარიანობა ხორციელდება ქმედუნარიანობის წყალობით. ფიზიკური პირის ქედუნარიანობა ქართულ ფეოდალურ სამართალში 14-15 წლიდან იწყება.⁴¹¹ ძვ. ქართულ სამართალში ქალისა და მამაკაცის საანდერძო ქმედუნარიანობის ასაკში განსხვავება იყო. რუის-ურბნისის კრებით ქალისათვის საქორწინო ასაკი 12 წელი იყო, ხოლო ვაჟისათვის 14-15 წელი.

ქართულ ეროვნულ ძეგლებში ქალის საანდერძო ქმედუნარიანობაზე არაფერი არ არის,

⁴⁰⁵ .ივ. ჯავახიშვილი ტVII თსუ - გამოცემა, 1984წ.

⁴⁰⁶ ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“ თბ. „მეცნიერება“, 1975წ გვ 116

⁴⁰⁷ მ. ანდრონიკაშვილი, „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ 1975 გვ184

⁴⁰⁸ თ. შურღაია, „ანდაზას“ მნიშვნელობისათვის ქართულსა და სპარსულში, მაცნე 1989წ, 2 გვ106

⁴⁰⁹ ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, გამოცემა „უფალი“ 2000 წელი გვ 287

⁴¹⁰ .ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, გამოცემა „უფალი“ 2000 წელი გვ801-802

⁴¹¹ ი.დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ 1969 გვ 86

ქართული ჩვეულებითი სამართლის 52-ე მუხლის ნორმა, რომელიც ქვრივის ანდერძს ეხება გვეუბნება: „და თუ გათხოვდებოდა (ქვრივი), სარჩოსაც მისცემდნენ და სამარხსაც, რაოდენი რამე რიცხვს დაუნიშნავდნენ შეძლებისამებრ და იმ მიცემულს მზითევს და ნიშანს, თუ სახელდობრ რომელსამე შვილს განსაკუთრებით კი არ უანდერძა, შემდგომ იმი სიკვდილისა შვილნი თანასწორ დაიმკვიდრებდნენ. არამედ ღირსეულსა ნივთს გარეშე კაცს ვერ უანდერძებდნენ.⁴¹² ისეთი ავადმყოფები, როგორებიც იყვნენ გიჟები და სულელები საერთოდ მოკლებულნი იყვნენ საანდერძო ქმედუნარიანობას. რაც შეეხება, ყრუ-მუნჯებს, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 115-281-ე მუხლები დადებითად წყვეტს მათი მემკვიდრეობის საკითხს. 281-ე მუხლის ძალით „ყრუ იყოს, უნდა მუნჯი, თავის მამის და დედის სამკვიდრებლისგან ითხოვს და კიდევ დაიმკვიდრებს“⁴¹² ასევე ძვ. ქართული სამემკვიდრო სამართალი მემკვიდრეობასა და სხვა სამოქალაქო უფლებებს ართმევს ბედოვლათებს.⁴¹³ ანდერძის შინაარსი არ უნდა შეიცავდეს ისეთ რამეს, რაც ეწინააღმდეგება კანონსა და ადამიანის კეთილნებას.

ანდერძით მემკვიდრე როდი იყო პასიური სუბიექტი, რომელიც მხოლოდ იმას ელოდება, როდის მიიღებს სამკვიდროს. მოანდერძე ზოგჯერ რიგ მოვალეობებს აკისრებს მას. ხან ავალებს, რომ ნაანდერძვი ქონებიდან ამა თუ იმ პირს გადასცეს მისი გარკვეული ნაწილი ან მის სასარგებლოდ შეასრულოს სხვა რაიმე მოქმედება.

მემკვიდრე, ბუნებრივია, ვალდებულია შეასრულოს იგი, თუკი დაეუფლება სამკვიდროს. ყოველივე ამას ძვ. ქართული სამემკვიდრო სამართალში საანდერძო დანაკისრი ერქვა. ასეთი სახის დანაკისრები გვხვდება დავით აღმაშენებლის ანდერძებში და გვიან შუა საუკუნეების ანდერძებში.⁴¹⁴

ქონება, რომელსაც მოანდერძე უტოვებდა მემკვიდრეს, მოუდევარი ქონება იყო. სხვანაირად ანდერძი ბათილად ჩაითვლებოდა.

ანდერძის შედგენა მაუწყებელია იმისა, რომ სადღაც ახლოს არის სიკვდილი, რომლის შემდეგაც ადამიანი არამატერიალურ სულში აგრძელებს არსებობას. სწორედ სიკვდილის კარზე მოსულ პიროვნებას ანუხებს ყველაზე მეტი ცოდვები, რომელიც მას ჩაუდენია და ექნება ძლიერი მითხოვნილება მათგან გათავისუფლებისა.

სამღველო პირისათვის აღსარების მიცემაც ამას ისახავდა მიზნად. ამიტომაცაა, რომ ანდერძი, რომელიც ადამიანის ნების უკანასკნელი გამოვლინებაა, არ უნდა შეიცავდეს სიყალბეს, რამაც შეიძლება მისი სული დაამძიმოს.⁴¹⁵

მონადერძის ნების გადანყვეტას მნიშვნელობა ენიჭება ანდერძის ნამდვილობაში. ანდერძი არ უნდა ყოფილიყო ვინმეს მიერ ძალით, მუქარით, დაშინებით დაწერილი.

ნ. ბერძენიშვილი, როცა განიხილავდა მელქისედექ კათალიკოსის ანდერძს, ასეთ კომენტარს უთითებდა: „ანდერძი დადებისას მოანდერძის“ სიცოცხლე ე.ი. არაავადმყოფობა აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო, რათა მის ნაანდერძევს კანონიერი ძალა ჰქონოდა.“⁴¹⁶

მოანდერძის ნების თავისუფალ გამოვლენაზე შეიძლება გავლენა მოეხდინა გარეგან ფაქტორებს. დავით ბატონიშვილი სამართლის წიგნის პროექტში შენიშნავს, რომ ანდერძის თქმის დროს საჭიროა რამდენიმე კაცის დასწრება „რათა არა შურითა, განაბირებითა და ანუ ანგარებითა მოყუასთა გამო, მნებავთა თვისთადმი მოხვეჭისა და ანუ სნეულებისა გამო დაწერილ იქნეს“⁴¹⁷

ანდერძის ფორმა მოანდერძის ნების გამოხატვის ფორმაა. ქართული მემკვიდრეობითი სამართლით იცნობს არსებითად მის ორ სახეს, ზეპირსა და წერილობითს. ისტორიულად ჯერ სამოქალაქო სამართალში ანდერძის ზეპირი ფორმა აღმოცენდა, ხოლო შემდგომ კი წერილო-

⁴¹² ა. ფუტყარაძე, სანივთო სამართლის სუბიექტების შესახებ, გვ 86

⁴¹³ ა. ფუტყარაძე, სანივთო სამართლის სუბიექტების შესახებ, გვ 86

⁴¹⁴ ი. დოლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ II გვ 78.

⁴¹⁵ .ბ.ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, გამოცემა „უფალი“ 2000 წელი გვ319-320

⁴¹⁶ ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. მეცნიერება, 1967წ წიგნიIV გვ248

⁴¹⁷ სამართლი ბატონიშვილ დავითისა, გვ 8

ბითი ფორმა.

ფეოდალურ საქართველოში უფრო ხშირად ფიქსირდება ანდერძის წერილობითი ფორმა, ვიდრე ზეპირი.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსია იცნობს ანდერძის ზეპირ ფორმას. 118-ე მუხლით ორსულმა ქალმა აბანოში სიკვდილის წინ ცხრა-ათი მოწმის თანდასწრებით დატოვა ანდერძი, ხოლო ამ სამართლის წიგნის 115-ე მუხლის ძალით მოლაშქრე მხედარმა სამი და ოთხი მონის თანდასწრებით ზეპირად დატოვა ანდერძი.⁴¹⁸ ანდერძი შეიძლება დაწეროს თვით მოანდერძემ ან სხვა პირმა. ჩვენამდე მოღწეული წყაროებით ასეთებად უფრო ხშირად ჩანან სასულიერო პირები. სირიულ-რომანული სამართლის ქართული ვერსიის 94-ე მუხლის თანახმად შეიძლებოდა მოანდერძის დანაბარები მისი სიკვდილის შემდეგ გაფორმებულიყო.⁴¹⁹

საერთოდ მემკვიდრეობით სამართალში წერილობითი ანდერძს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამით მეტი გარანტია ეძლეოდა მის საიდუმლოებას. ზეპირი ანდერძი დარჩა ჩვეულებითი სამართლის კუთვნილებას, რომელშიც ნაკლებად იყო იურიდიული ფორმალ-იზმის მომენტები. ანდერძში აუცილებლად უნდა გამოკვეთილი ყოფილიყო მოწმის ხელმოწერა. მისი ხელმოწერის გარეშე ანდერძი კარგავდა იურიდიულ ძალას. ცნობები ანდერძის მოწმეთა შესახებ დაცულია ქართლის ცხოვრებაში. მემატეანის გადმოცემით მირიან მეფის ანდერძის მოწმეებია, მისი შვილი ბაქარი და ცოლი, ნანა.⁴²⁰ ვახტანგ გორგასალი ოსებზე ლაშქრობის წინ სრულიად საიდუმლოდ წერს ანდერძს ყოველგვარი მოწმის გარეშე და აბარებს თავის დედას.⁴²¹ სამაგიეროდ, სიკვდილის პირას მისული ვახტანგ გორგასალი წარმოთქვამს ანდერძს წარჩინებულთა წინაშე.⁴²² ამრიგად, ანდერძის სიმტკიცის აუცილებელი პირობა იყო მოწმეების დასწრება. მაგრამ მათი რიცხვი განსაზღვრული არ ყოფილა.

ძვ. ქართული სამართლით ყოველგვარი პირი მოწმე ვერ იქნება. ვახტანგის სამართლის მე-13 მუხლის მიხედვით: „ასრე იციან კაცმან თუ რისაც საქმეზე ასეთი მოწმე მოუყვანია, რომე იმ მოწამეთ ღვთისა ემინოდეს სული იცოდეს, ჭკუა ქონდეს, ან საღმრთო კაცი იყოს ან სსამართლის, ხმა ქონდეს დავარდნილი და კაცისაგან, სანდო იყოს, უნდა დაუჯერონ.“⁴²³

ძვ. ქართულ სამემკვიდრო სამართალში ცნობილი იყო ანდერძის მოშლა ან მისი გაუქმება. ანდერძის დამტოვებელი თავისი ანდერძის აღმასრულებლად ჩვეულებრივ განსაკუთრებულ პირს ასახელებდა. ასეთად მოანდერძეს შეეძლო აერჩია მემკვიდრე ან სხვა პირი. ვახტანგ გორგასალი ოსებზე განაშქრების წინ დაწერილ ანდერძში მის აღსრულებას ავალებს დედას. ანდერძში ხაზგასმულია ის, რომ აღმასრულებელმა ყველა პირობა ისე უნდა აღასრულოს, როგორც დაიბარა მოანდერძემ. „რათა იგინი წმინდათ და დაურღვევლად აღასრულონ ყოველნი ქვემრედ აღწერილი მუხლნი კეთილი ჩემსა ანდერძისა. ზედა ჩემის სრულის ნებისა.“⁴²⁴

ანდერძის ყოველი ნორმა მოანდერძის ნების გამოვლინებაა. მოანდერძეს იგი უნდა აღესრულებინა. წმინდა ნინოს ანდერძის თანახმად, რომელიც ისე აღესრულა, როგორც მან დაიბარა, თუმცა აღმასრულებლებს სურდათ მისი დარღვევა კეთილი მოსაზრებით. საქმე იმაშია, წმინდა ნინომ დაიბარა, რათა დაემარხათ ზედა კახეთში. აღმასრულებლები კი მიიჩნევდნენ, რომ იგი, როგორც ქრისტიანობის გამავრცელებელი, საპატიო ადგილას- მცხეთას დაეკრძალათ. მაგრამ ვერ გადაუხვიეს მოანდერძის ნებას და დამარხეს ისე, როგორც მან დაიბარა.⁴²⁵

⁴¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. გვ 160-161

⁴¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII გვ 828

⁴²⁰ .ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1965 წ. გვ 128-129.

⁴²¹ .ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1965 წ. გვ 153

⁴²² ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1965 წ. გვ 203

⁴²³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. გვ 344

⁴²⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი ტ. I გვ 58

⁴²⁵ ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, გამოცემა „უფალი“ 2000 წელი გვ 337

რეზიუმე

კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში.

ქართულ სამემკვიდრო სამართალში ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს და აფსოლიტურად ემთხვეოდა მემკვიდრეობის ფარგლებში. ძველ ქართულ მემკვიდრეობით სამართალში კანონისმიერი განვითარება ბევრად ჩამორჩება ანდერძისმიერ მემკვიდრეობას.

შუა საუკუნეებში მემკვიდრეობის სინონიმად გვხვდება ტერმინი „ძე“ მემკვიდრეობის წრეზე გავლენას ახდენს რელიგიური მომენტი.

ვახტანგ ის სამართლის წიგნის 113-ე მუხლით თუ კაცი უშვილოდ გადავარდა მის ქონებაზე სამართებრივად ხელი არ მიუწვდებოდა მის ახლო ნათესავებს. გარდაცვლილის მთელი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა.

Resume

Lawful and testamentary inheritance in ancient Georgian inheritance law.

The inheritance inherent in Georgian inheritance law is formal in nature and is inherently coherent within the inheritance.

In the Middle Ages, the term “Son” has become a synonym for inheritance, a religious moment influenced by the circle of inheritance.

Under Article 113 of the Vakhtang Book of Law, if a man relentlessly transferred his property, his close relatives would have no legitimate access. The entire property of the deceased was transferred to state ownership.

Resume

Законное и завещательное наследование в древнегрузинском наследственном праве.

Наследование, присущее грузинскому закону о наследовании, носит формальный характер и совпадает с наследованием в рамках наследства. Правовое развитие в древнем грузинском праве о наследовании далеко позади воли.

В средние века термин «сын» стал синонимом наследования.

Согласно статье 113 Вахтангской книги закона, если человек безжалостно передавал свою собственность, его близкие родственники не имели бы законного доступа. Все имущество погибшего было передано в государственную собственность.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ზოიძე, „ძვ. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, თბილისი 2000 , გამომცემლობა „უფლება“ გვ 85
2. ივ. ჯავახიშვილი, თსუ გამოცემა, 1984 წ. ტომი VII გვ. 27
3. ჟ. ერიაშვილი, „უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში“, თბ. მეცნიერება, თბ. 1982 გვ 63

-
4. გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ მეცნიერება, 1965 წ.
 5. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I
 6. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ, საქ. მეც. აკადემია, 1960 წელი
ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. ფედერაცია, 1938წ
 7. ბოროზდინი, ერისთავი რაფ. „ბატონყმობა საქართველოში“ თბ. 1927 წ.
 8. ვ. აბაშმაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები, თბ. თსუ-ს გამოცემა 1989 წ.
 9. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ. მეცნიერება, 1964 წელი,
 10. ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი) გვ 391, 403,
 11. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთი სვანეთში, თ. 1989,
 12. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“ თბ. „მეცნიერება“, 1975წ გვ 116
 13. მ. ანდრონიკაშვილი, „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ 1975 გვ184
 14. თ. შურღაია, „ანდაზას“ მნიშვნელობისათვის ქართულსა და სპარსულში, მაცნე 1989წ, 2 გვ106
 15. ა. ფუტყარაძე, სანივთო სამართლის სუბიექტების შესახებ,
 16. ა. ფუტყარაძე, სანივთო სამართლის სუბიექტების შესახებ,
 17. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. მეცნიერება, 1967წ ნიგნიV გვ248
 18. სამართალი ბატონიშვილ დავითისა,
 19. ქართლის ცხოვრება, ტI, თბ. 1965წ
 20. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი ტI

**საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი ქართულ
ჩვეულებით სამართალში (საზოგადოების ღალატი, ეკლესიისა და ჯვარ-
ხატის გატაცვა) საერთო(სასოფლო-სათაემო) და ჯვარ-ხატების ქონების
ხელყოფა**

ბადრი (კახა) კვარაცხელია⁴²⁶

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ხელყოფის მთავარი ობიექტი საზოგადოებრივი, საჯარო ინტერესია. ეს შესაძლებელია ყოფილიყო ნებისმიერი ინტერესი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, მაგ.: მესხი ინფორმატორების გადმოცემით, სოფლის ინტერესების დამრღვევის მიმართ გამოიყენებოდა საჯარო ხასიათის სასჯელი.⁴²⁷ სვანეთშიც სოფლის საერთო ინტერესების დამრღვევს ჰიბრი უნდა გადაეხადა.⁴²⁸ როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, თემის ყრილობა მავნე პირს თემიდან განდევნიდა, გადაწვავდა მის სახლ-კარს.⁴²⁹ ხევსურეთში საზოგადოებრივი ინტერესების დამრღვევს, საერთო წესების ხელმყოფს, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ჩაქოლავდნენ ან მოკვებავდნენ.⁴³⁰ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის უმძიმესად საზოგადოების - თემის, სოფლის ღალატი ითვლებოდა. მთიულეთში, თემის ღალატი ხატის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იყო, მაგ: ხანდოელებს თემის ღალატად მიუჩნევიათ თემის სალოცავის - „ყოვლადწმინდას“ ვენახიდან კულუხის მიუტანლობა.⁴³¹ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მნიშვნელოვანი ნაწილი სუბიექტი მოცემული საზოგადოების წევრი იყო, მაგალითად, თემისა და ხატის ღალატი მოცემული თემის წევრის და ხატის ყმას ჩაედინა, საზოგადოების გადაწყვეტილებით, საერთო საქმეში მონაწილეობის მოუღებლობა. ძველი ქართული სამართალი კარგად იცნობს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ივ. ჯავახიშვილი ამ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნებს „განდგომას“ „ღალატს“ „ორგულობას“, რომელთაც საკმაოდ ხშირად ჰქონია ადგილი ქართულ სინამდვილეში, ასევე მეფის „შეურაცხყოფა“.⁴³² რაც შეეხება გვიანფეოდალურ სამართლის ძეგლს ვახტანგ VI სამართლის წიგნის 222-ე მუხლით უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს, ქვეყნის და რჯულის ღალატი, რომლის ჩამდენის მიმართ „ყოველი ავი მართებულ არის“.⁴³³ ამ მუხლით შესაძლებელი იყო პიროვნება სიკვდილით დაესაჯათ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 221-ე მუხლი ითვალისწინებს დამასახიჩრებელ სასჯელს ომის დროს მტრის მხარეზე გადასვლისათვის, ხოლო 221-ე მუხლი ციხის საიდუმლოს გაცემისათვის, რასაც მტრის ლაშქრის თავდასხმა მოჰყვა.⁴³⁴ სახელმწიფოს ღალატი სამეგრელოს სამთავროშიც უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. იტალიელი მისიონერი დონ ქრისტეფორე დე კასტელი აღნიშნავს, რომ სამეგრელოს სამთავროში სიკვდილით დასჯას მიმართავდნენ. ეს სასჯელი აქ ჩვეულებაც არ იყო და მას ეკლესიის გაძარცვის გარდა,

სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

427მ. კეკელია, მასალები მესხთა ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1986, N2, გვ.13.

428დ.დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ. 1974, გვ 188

429 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ.188

430მ.კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, 1951, გვ. 5-6

431გ. დავითაშვილი, დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, გვ. 388

432ივ. ჯავახიშვილი, ტ7, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბ 1984, გვ 210,217

433ქართული სამართლის ძეგლები, ი. ლოლაძის რედაქციით, ტ 1 თბ 1962, გვ 528.

434იქვე, გვ 528-529

მხოლოდ მთავრის მკვლელობას, ან სახელმწიფოს დამხობის მცდელობის შემთხვევაში იყენებენ.⁴³⁵ სამეგრელოს სამთავროში მთავრის წინააღმდეგ შეთქმულებისა და ამბოხებისათვის გამოიყენებოდა უმძიმესი დამასახიჩრებელი სასჯელი, როგორც იყო თვალის დაწვა და ხელ-ფეხის მოკვეთა. საქართველოს მთის რეგიონებში საზოგადოების ლალატი შესაძლოა მიმართული ყოფილიყო როგორც მთელი ხეობის, ისე ცალკეული თემის თუ სოფლის ინტერესების წინააღმდეგ.

სვანეთში, ხევსურეთში, მთიულეთში თემის, სოფლის ლალატი, „თემის, სოფლის გატეხვადაც“ მოიხსენიება.⁴³⁶ საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც საზოგადოების ლალატი ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ფიქსირდება, როგორც დანაშაული, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მძიმე დანაშაულებრივ ქმედებად აღიქმებოდა. მაგალითად, სოფლის მოლაღატის ჩაქოლვა, მოკვეთა დაფიქსირებული არის მესხეთში, ხევში, ფშავში, მთიულეთში, ხევსურეთში და აჭარაშიც.⁴³⁷ ძალიან ხშირად გამოიყენებოდა საქართველოს მთიანეთში სასჯელის ისეთი სახე, როგორც იყო დარისხვა. დამნაშვეს ლალატისთვის და საიდუმლოების გაცემისთვის, სასჯელის სახით მოკვეთასთან ერთად დაარისხებდნენ და ჯარიმასაც გადაახდევინებდნენ.⁴³⁸

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, საზოგადოების ყრილობა სიკვდილით სჯიდა „ვერიმუქდენი“ ქვეყნის მოლაღატეს, საზოგადოების წევრს თუ იგი ცდილობდა საზოგადოება რომელიმე თავადისშვილს ხელში ჩაეგდო საყმოდ კერძო ინტერესებისათვის. თუ რაიმე პატივსაღები საბუთი ექნებოდა დამნაშვეს სიკვდილით დასჯა მისი და მისი ოჯახის თემიდან გაძევებით შეიცვლებოდა. ამ დანაშაულის მაგალითად ავტორს მოჰყავს იფარის საზოგადოებაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ადგილობრივ მცხოვრებ გივი გულბანს შემოუხიზნავს აზნაური გელა დევდარიანი, რომელსაც იფარელების ბატონობა სდომებია. გივი გულბანის ბოროტი განზრახვა საზოგადოებას გაუგია, იგი წვეტიან ანძაზე წამოუცვამთ და ისე მოუკლავთ.⁴³⁹ საზოგადოების ლალატად ითვლებოდა უცხო ქვეყნის და მოდგმის ხალხის საკუთარი თემის, სოფლის წინააღმდეგ სამტროდ დახმარება, მტრის შემოშვება საკუთარ თემ-სოფლის ასაკლებად.⁴⁴⁰

საზოგადოების წინაშე ლალატი შეიძლება გამონატული ყოფილიყო სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებებში. საზოგადოების მოლაღატეები ხელს უწყობდნენ მტერს გაბატონებულიყო მის თემში, სოფელში ეხმარებოდნენ მტერს საკუთარი თემის, სოფლის თავდასხმაში. ამისათვის ისინი მტერს უჩვენებდნენ გზას, ბილიკებს, გასცემდნენ სამხედრო ხასიათის საიდუმლოებებს, არ ასრულებდნენ სამხედრო მოვალეობებს, გაიქცეოდნენ ბრძოლის ველიდან, თანამოდმეთა წინააღმდეგ დახმარებისათვის მიმართავდნენ უცხო ძალას. ზემოაღნიშნული ქმედებები შეიძლება ჩადენილიყო როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

ძველი ქართული სამართალი ეკლესიის გატეხვას, გაძარცვას უმძიმებს დანაშაულად განიხილავდა. „კათალიკოსის სამართლის“ მე2 მუხლის თანახმად, „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცვოს, უკანონოდ ძეგლსა მიეცეს.“⁴⁴¹ ტერმინი „ძეგლთა მიცემა“ ძველ ქართულ სამართალში ნიშნავდა სიკვდილით დასჯას და ჩამოხრჩობას. სამეგრელოს სამთავროში ეკლესიის გატეხვისათვის კათალიკოსის სამართალი დამნაშვეს სიკ-

435 ქრისტეფორე დე კასტელი, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977, გვ 46

436 . ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ.1988, გვ 74; ეგ.გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ.1987, გვ 70

437 კ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული N1 გვ. 69

438 ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ.1988, გვ. 290

439 ბ.ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1927, გვ 48

440 ვაჟა-ფშაველა, მოკვეთილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ VII თბ., 1964, გვ 293.

441 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1988, გვ 73

ვდილით სჯიდა ან უფარდებდა ჩამოხრჩობას. ასეთი სახის სასჯელები გამოიყენება სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში. სხვა შეთხვევაში არსად არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული მთავრის მკვლელობა და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობა.

იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის მიხედვით, ოდიშის მთავარს ჩვეულებად არ ჰქონია ვინმეს სიკვდილით დასჯა არც ერთი დანაშაულისათვის, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო იგი. მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჰქონდა დანესებული სიკვდილით დასჯა, სახელდობრ, ეკლესიის გატეხვისათვის. სხვა ყოველივე დანაშაული შეიძლება ეპატიებინა მთავარს და დამნაშავეს ფულად ჯარიმას გადაახდევინებდა. ეკლესიის გამცემი, ვერც ფულით და ვერც თხოვნით ვერ შეაბრალებდა თავს მთავარს და ის უსათუოდ სიკვდილით უნდა დასჯილიყო. როგორც ა. ლამბერტი გადმოგვცემს, ავაზაკებმა სხვადასხვა ეკლესიაში მოიპარეს რამდენიმე ოქრო და აგრეთვე სხვა ძვირფასი საეკლესიო

ნივთები. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქურდები დიდხანს ვერ იპოვეს. ბოლოს ავაზაკები ხელში ჩაუვარდნენ, იქვე დასჭრეს თავები და ჩამოჰკიდეს იქ, სადაც დანაშაული ჩაიდინეს.⁴⁴²

XIV-XV საუკუნის პირველი ნახევრის სრულიად სვანეთის ხევის დადგენილებაში მითითებულია, რომ ეკლესიის გამტეხი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.⁴⁴³ სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ეკლესიის გატეხვა ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა.

ბ. ნიჟარაძე ასეთი სახის მძიმე დანაშაულს ქვეყნის ღალატთან ერთად განიხილავდა. ორივე ასეთი სახის დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. მისი ცნობითვე უშგულში ორ ძმა რატიანს ადგილობრივი ეკლესია გაუძარცვათ, საზოგადოებას დამნაშვეთათვის სიკვდილით დასჯა მიუსჯია, კერძოდ, ეკლესიიდან გამოტანილი შუბებით ორივესთვის მუცელი გამოუფატრავთ.⁴⁴⁴ ლ. დავითულიანის მიხედვითაც ეკლესიის ხელყოფისათვისაც გათვალისწინებული იყო: 1. სიკვდილით დასჯა ჩაქოლვით და 2. ხევიდან აყრა-გადასახლება.⁴⁴⁵ ეკლესიის გამტეხის ვერ აღმოჩენის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დამნაშავეს(დამნაშვეების) დაწყევლას, დარისხებას, რაც ხალხის რჭმენით აუცილებლად გამოიწვევდა დამნაშვეთა უბედურებას.

ჯვარ-ხატის ფშავ-ხევსურეთში საკუთარი თას-განძი გააჩნდა. ჯვარ-ხატი ფშავ-ხევსურეთში ფლობდა დიდი ოდენობით განძეულს(ოქრო, ვერცხლი, ჯვრები, სპილენძი, ძვირფასი სამსახურებელი ქურჭელი, ქამარ-ხანჯალი), რომელიც ჩაბარებული ჰქონდა სპეციალური პირს - მაგანძურს (ფშავში - მეთაურს).⁴⁴⁶ რაკი ჯვარ-ხატის საყმოს განსახლების ტერიტორია ჯვარ-ხატის საკუთრებად ითვლებოდა, ამდენად ამ ტერიტორიაზე არსებული განძიც მის საკუთრებას წარმოადგენდა. ყმას ეკრძალებოდა განძეულობის გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის, რადგანაც განძეული უნდა ყოფილიყო შენახული და ჯვრის სამსახურში მოხმარებული.⁴⁴⁷ ჯვარ-ხატის, თას-განძის ხელყოფა ფშავ-ხევსურეთში თემისა და ხატის ღალატად ითვლებოდა მაშინ, თუ დამნაშვე იქნებოდა მოცემული საზოგადოების (თემის, სოფელის) მცხოვრები გატეხილი ჯვარ-ხატის ყმა. უცხო პირის (არა მოცემული ჯვარ-ხატის ყმის) მიერ ამ დანაშაულის ჩადენა თემისა და ხატის ღალატად ვერ ჩითვლებოდა, რადგან უცხო არ შეიძლება ყოფილიყო ამ დანაშაულის სუბიექტი. ასეთ შემთხვევაში ჯვარ-ხატის, თას-განძის ქურდობა დამოუკიდებელ დანაშაულად განიხილებოდა. უცხო პირის მიერ ეკლესიის ან ჯვარ-ხატის გატეხვისას ვერ მოხდებოდა მისი დასჯა გაძევებით ან მოკვებით, რადგანაც საზოგადოებას ამ სასჯელების დაკისრება, მათი ბუნებიდან

442 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1998, გვ 73

443 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1961, გვ. 5

444ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ. 5

445 დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ 1974-1975

446 ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I ქუთაისი 1996.

447 გ. დავითაშვილი, დანაშულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 017, გვ. 400

გამომდინარე, შეეძლო მხოლოდ საკუთარი წევრის მიმართ.⁴⁴⁸ ქართული ჩვეულებითი სამართლით უცხო პირის მიერ ასეთი სახის დანაშაულის ჩადენა ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას.

ძველ ქართულ ჩვეულებით სამართალში საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიჩნეული იყო საზოგადოების საერთო ქონების ხელყოფა, როგორც იყო სათემო, სასოფლო საკუთრებაში არსებული, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების ყელყოფა. ასევე საზოგადოების (სოფლის, თემის წინაშე არსებული ქონებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობა).⁴⁴⁹

მინების მითვისება, მათი უკანონო ექსპლუატაცია და კერძო ინტერესებისათვის გამოყენება (მაგ: მინების მოხვნა-დამუშვება, ტყის გაჩეხვა პირადი სარგებლობის მიზნით), აქ მოყვანილი მოსავლის მოპარვა, ამ მინებით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადის გადაუხდელობა ინვევდა საზოგადოების მხრიდან გარკვეული სასჯელის დაწესებას⁴⁵⁰

მესხეთში ჩანერილი ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, სოფლის მცხოვრებმა საერთო სასოფლო მიწა, კერძოდ ,საძოვარი, მოხნა და დაამუშვა, როს გამოც სოფელი შეიკრიბა, გადანყვიტა „სასოფლო მუშტის დარტყმა“⁴⁵¹

რაც მესხეთში საკმაოდ გავრცელებული საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა.

დღევანდელ დღემდე მოღწეული უძველეს მარცვლებში ხშირად გვხვდება საერთო ტყის, ე.წ სახატო ტყის გაჩეხვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ასეთი ხასიათის ჩადენილი დანაშაულისათვის ძალიან ხშირად ხდებოდა სასჯელის სახით დამნაშვის დარისხება, მაგ: ხევში სოფელ სიონში ღვთისმშობლის ეკლესიი გვერდით არის ხატის ტყე, ხატის ტყის ირგვლივ კი სასოფლო ტყე, რომელიც უმოწყალოდ ნადგურდებოდა. სოფლის მცხოვრებნი შეკრებილან და მღვდლის თაოსნობით დაურისხებიათ ტყის გამჩეხველი.⁴⁵²

ხევისურული მონაცემების მიხედვით , ჯვრის, საზოგადოების (სოფლის) საკუთრებაში არსებობდა ხილის ხეებიც, მაგ.: შატილის ტერიტორიაზე, იდგა პანტის, მაცვლის და ტყემლის ხეები. ერთ დღს დანიშნავდნენ, ყველანი წავიდოდნენ და ერთბაშად დაბერტყავდნენ, მიღებულ მოსავალს სოფელში თითო კომლზე გადაანაწილებდნენ⁴⁵³.

გარკვეული საჯარო სასჯელები დაწესებული იყო ჯვარ-ხატის თუ თემ-სოფლის ჭირნახული განადგურებისათვის. ხუცესი საჯაროდ აცხადებდა იმ პირებს , რომელთა საქონელმა ჭირნახული გაანადგურა ჩვეულებითი სამართლით ჯვრის მესვეურები ჭირნახულის წამხდენს ჯარიმას დაუნესებდნენ.⁴⁵⁴ განსახილველი კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნებოდა საზოგადოების (თემის, სოფლის) წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა , კერძოდ, ბეგარი, კულუხის გადაუხდელობა. ბუნებრივია, ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული, მაგ.: ხანდოელთა თემის სალოცავს - „ყოვლადწმინდის“ მაისის სოფელ არაგვისპირში ჰქონდა ვენახი. ამ ვენახს უვლიდა ხანდოდან გადმოსახლებული ქაშიაშვილების გვარი, რომლებსაც სახატო დღეობებისათვის ბარიდან კულუხი ღვინო მიჰქონდათ. შემდგომში ქაშიაშვილებს ღვინის (კულუხის) მიტანა შაუნყვეტიათ, რადგა ხატის ვენახი მათ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა. ეს გარემოებასრულიად არ გაუთვალისწინებიათ და ბარში ოდესღაც გადასახლებულა. მეთემეები დაუნყვეტიათ: „ალარც ღვინო გვინდა მათი, ალარც ის მამულები და ალარც ის ხალხიო.“⁴⁵⁵

448 იქვე, გვ 423.

449 იქვე, გვ 405-406.

450 . იქვე, გვ. 406.

451 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, გვ 50

452 მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984 N2, გვ. 50

453.ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 2005, გვ. 251

454 იქვე, გვ 251

455რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმოანშთები ხევში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ IV , თბ., 1989, გვ. 17

მთიულეთში დაფიქსირებული მასალების მიხედვით დანაშაულად ითვლებოდა არასათანადო ხარისხის კულუხის, ბეგარის გადახდა. მისატანი არაყი და სხვა უნდა ყოფილიყო სათანადო ხარისხის.

რეზიუმე

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ხელყოფის მთავარი ობიექტი საზოგადოებრივი საჯარო ინტერესია. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა შორის უმძიმესად საზოგადოების - თემის, სოფლის ღალატი ითვლებოდა.

სახელმწიფოს ღალატი სამეგრელოს სამთავროში უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა საქართველოს მთის რეგიონებში საზოგადოების ღალატი შესაძლოა მიმართული ყოფილიყო, როგორც მთელი ხეობის ისე ცალკეული თემის თუ სოფლის ინტერესების წინააღმდეგ.

ძვ. ქართული სამართალი ეკლესიის გატეხვას, გაძარცვას უმძიმეს დანაშაულად განიხილავდა. სამეგრელოს სამთავროში ეკლესიის გატეხისთვის კათალიკოსის სამართალი დამნაშევს სიკვდილით სჯიდა ან უფარდებდა ჩამოხრობას.

Resume

The main object of encroachment against the public is the public interest.

Crimes against society were considered to be the heaviest community-based, community betrayal.

Betrayal of the state was considered the gravest crime in the principality of Samegrelo In the hostile regions of Georgia public opinion may have been directed against the interests of the whole valley, as well as the individual community or village.

BC Georgian law considered the church to be broken and robbed as the heaviest crime. In the Samegrelo Principality, the Catholic's' Law punished or punished the perpetrator for hanging a church.

Резюме

Основным объектом посягательств на общество является общественный интерес. Среди преступлений против общества были рассмотрены самые тяжелые сообщества - сообщества, измена сельской местности.

Государственное предательство в Княжестве Самегрело считалось самой серьезной ошибкой в горных районах Грузии, поскольку общественное предательство могло быть направлено против интересов всей долины, а также отдельных общин или деревень.

Согласно грузинскому законодательству, церковь труднее грабить. В Княжестве Самегрело закон католикоса наказывал преступника за разрушение церкви.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მ. კეკელია, მასალები მესხთა ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, N2
- დ.დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, თბ. 1974, გვ 188
- ბ. ნიჭარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ.188
- მ.კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, 1951,
- გ. დავითაშვილი, დანაშულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, გვ. 388.
- ივ. ჯავახიშვილი, ტ7, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბ 1984, გვ 210,217.
- ქართული სამართლის ძეგლები, ი. ლოლაძის რედაქციით , ტ 1 თბ 1962, გვ 528.
- ქრისტეფორე დე კასტელი, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977, გვ 46
- ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ.1988,
- ეგ.გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ.1987,
- კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N1
- ვაჟა-ფშაველა, მოკვეთილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ VII თბ., 1964,
- ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1988,
- პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 196
- ბ. ნიჭარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962,
- დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ 1974-1975
- ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I ქუთაისი 1996.
- გ. დავითაშვილი, დანაშულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2017,
- მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984 N2,
- რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმოანშთები ხევში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ IV , თბ., 1989,
- თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია, თბ. 2006,

სასესხო—სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა

ეკატერინე ჟინგალია*

საქართველოში მიმდინარეობს ინტენსიური კანონმემოქმედებითი საქმიანობა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლებურად რეგულირდება თანამედროვე სტანდარტების დონეზე. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება აგრეთვე მოქმედი ნორმატიული აქტების შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებით.

ქართულ კანონმდებლობაში ცვლილებების ხშირი შეტანა საბაზრო მეურნეობის პრინციპების მყარად დამკვიდრებას და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის აუცილებლობის ამოცანებითაა განპირობებული. სამოქალაქო კოდექსის ბოლოდროინდელი ნოვაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სასესხო ურთიერთობათა ახლებური რეგულაცია. მიღებულ იქნა ახალი ნორმები, რომელთა მიზანია: სასესხო ორგანიზაციათა სისტემის დაზუსტება; ქარბვალ-იანობის შემცირება; სესხის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებისა და საპროცენტო განაკვეთების ახლებურად განსაზღვრა; მოქალაქეთა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების შემოღება და საფინანსო სექტორის საქმიანობის გაუმჯობესება. ამ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობა გამოიწვია მოსახლეობის დაბალმა მატერიალურმა დონემ და სასესხო სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსის გაუთვითცნობიერებამ.

საქართველოს საფინანსო სექტორის ფუნქციონირებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ—ი). საფინანსო სექტორი ფართო არეალს მოიცავს და მისი მრავალრიცხოვანი სუბიექტებიდან სესხის გაცემის ტრადიციული უფლება გააჩნიათ: კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. 2019 წლის 1 იანვრიდან მათ მიემატა ახალი სუბიექტი — ნებისმიერი პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფი, რომლის მიმართაც ერთდროულად 20—ზე მეტ ფიზიკურ პირს, მათ შორის, ინდივიდუალურ მენარმესაც, აქვს სასესხო ვალდებულება. ასეთი გამსესხებლის სახელწოდებაა „სესხის გამცემი სუბიექტი“ (სგს). აღნიშნულ გამსესხებლებს სპეციფიკური სტატუსი გააჩნიათ. სგს—ს შექმნამდე არსებობდა მისი მსგავსი ორგანიზაცია „კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი“ (მაგ. საფინანსო კომპანიები „საქართველო და „ემეფიქს ჯორჯია“). იგი იურიდიული პირი იყო და სესხების აღება—გაცემის უფლება მაშინ ეძლეოდა ეროვნული ბანკის მიერ თუ ფულად სახსრებს მოიზიდავდა 400—ზე მეტი ფიზიკური პირისაგან (მოზიდული სახსრების ოდენობის მიუხედავად) ან რომლის მიერ მოზიდული სახსრები აღემატებოდა 5 მილიონს (ფიზიკური პირების რაოდენობის მიუხედავად). ასეთი ინსტიტუტების საქმიანობა პრობლემატური აღმოჩნდა. ათასობით მეანაბრისგან შეპირებული მაღალი პროცენტით აღებული ჰქონდათ მილიონობით თანხები, რომელთა არამიზნობრივად და ანგარებითი მიზნით გამოყენების გამო ვერ შეძლეს ვერც სესხების გაცემა, ვერც საგადასახადო ვალდებულებების შესრულება და ვერც სესხის მნიშვნელოვანი ნაწილის მეანაბრეებისათვის დაბრუნება. ისინი გაკოტრდნენ და დავა კვლავაც მიმდინარეობს. სესხის გამცემთა მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ეროვნული ბანკის ზედამხედველობის მიღმა მყოფი გამსესხებლები — ფიზიკური პირები (მათ შორის, მევახშეები) და იურიდიული პირები. ასეთი გამსესხებლების მიმართ შედარებით მკაცრი რეგულაცია არსებობს.

სესხის გამცემი სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა და მისი საქმიანობის მიხედვით სგს შეიძლება ფუნქციონირებდეს — ინდივიდუალური მენარმის, შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების (მისო—ს) ფორმით. აუცილებელია მისი რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და მისგან ნებართვის მიღება. მხოლოდ რეგისტრირებულ სგს—ს აქვს უფლება თავის საფირმო სახელწოდებაში შეიტანოს ტერმინი „სესხის გამცემი სუბიექტი“ ან აბრევიატურა „სგს“. სხვა პირებს ასეთი უფლება არ გააჩნიათ. ამგვარად, სესხის გამცემი სუ-

* სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბიექტი ამავე დროს სამენარმეო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტიცაა. სესხის გამცემ სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს ფილიალი, რომელიც მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიცაა, სადაც ხორციელდება სგს საქმიანობა ან მისი ნაწილი. ეროვნულ ბანკში სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ინდივიდუალურმა მენარმემ ან სამენარმეო საზოგადოების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართოს ეროვნულ ბანკს — სგს—ად დარეგისტრირების თაობაზე. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნას „წესებით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ეროვნული ბანკი 45 სამუშაო დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ—სამართლებრივ აქტს — სგს—რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან დამატებითი დოკუმენტაციის წარსადგენად 30 კალენდარული დღეა დადგენილი. ინფორმაცია რეგისტრაციის თაობაზე აისახება ეროვნული ბანკის რეესტრში და ქვეყნდება მის ვებგვერდზე. ყოველგვარი ცვლილების შესახებ. „წესებით“ განსაზღვრულ ვადაში ინფორმირებული უნდა იქნეს ეროვნული ბანკი. რეგისტრაციაზე უარის თქმის ან სგს რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ—სამართლებრივ აქტს. ფილიალის გახსნა კი ხდება სგს—ს მიერ ეროვნული ბანკისადმი მიმართვიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაშიც ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ—სამართლებრივ აქტს. შესაძლებელია სგს—ის მნიშვნელოვანი წილის შექცევა, ოღონდ თუ იგი გადააჭარბებს სგს—ს კაპიტალში შექცენის მსურველის ან მისი ბენეფიციარის კუთვნილ 10%—ს, ამის შესახებ ეროვნულ ბანკს უნდა ეცნობოს, რომელიც 15 დღის განმავლობაში დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტს ამ საკითხს.

სესხის გამცემი სამივე ორგანიზაციულ—სამართლებრივი ფორმის სუბიექტები ვალდებულია სასესხო ოერაციები განახორციელოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სესხის გასაცემად აუცილებელი მატერიალური ბაზა მათ უნდა შექმნან ფიზიკური პირებისაგან, მათ შორის ინდივიდუალური მენარმეებისაგან, მოზიდული დაბრუნებად სასხრებისაგან. თითოეული პირისაგან მოსაზიდი სასხრების ოდენობა ძირითადად განსაზღვრული არ არის. გამონაკლისი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ არსებობს. თუ მისო 20—ზე მეტი ფიზიკური პირისაგან იზიდავს სასხრებს, თითოეულისაგან მიღებული თანხა არ უნდა იყოს 100 ათას ლარზე ნაკლები, ანუ მას მინიმუმ 2 მილიონი ლარი უნდა ჰქონდეს თავის საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად. თუ მისოს ასეთი მოთხოვნის ვალდებულება წარმოემოხა და აღმოჩნდება 20—ზე ნაკლები პირისაგან მიღებული 100 000 ლარზე ნაკლები თანხა, ვალი უნდა გადაიხადოს ერთი წლის განმავლობაში. როგორც წესი, სგს უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ სესხის მიღება—გაცემისა და ამოღების ოპერაციები. ამასთან თუ იგი ეროვნულ ბანკში უკვე რეგისტრირებულია ვალუტის გადამცვლელ სუბიექტებად, მას შეუძლია პარალელურად განახორციელოს ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებული საქმიანობაც.

2.2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის დებულება (24.XII.18) ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ. იგი (გამონაკლისების გარდა) მოქმედებს ფიზიკურ პირზე გასაცემი ყველა სახისა და ვადის სესხზე. მსესხებელს შეიძლება მიეცეს: იპოთეკური (უძრავი ქონების მიზნობრივობით და უძრავი ქონების უზრუნველყოფით) სესხი 15 წლიანი მაქსიმალური ვადით; უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საყოფაცხოვრებო (ნებისმიერი მიზნით გარდა სამენარმეოსა) სესხი ათწლიანი ვადით; სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხი — ექვს წლამდე, დანარჩენი საყოფაცხოვრებო სესხები — ოთხწლიანი ვადით. სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით — სესხის გაცემა ან თავდებობა დაუშვებელია როგორც მსესხებლის ისე თავდების ან ოჯახური მეურნეობით მსესხებელთან დაკავშირებული თანამსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის

გარეშე. მსესხებელს არ უნდა მიეცეს იმაზე მეტი სესხი, რომლის გადახდასაც ის შეძლებს. მსესხებლის ყოველთვიური წმინდა შემოსავლებისა და გადასახდელებს შორის სხვა უნდა აღემატებოდეს დადგენილ საარსებო მინიმუმს.

სესხის ოდენობისა და პროცენტის განსაზღვრა ხდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით. მაგალითად, თუ ჰეჯირებული მსესხებლისათვის (რომლის ყოველთვიური წმინდა შემოსავლები მეტია სესხის მომსახურებისათვის საჭირო შემოსავლებზე) 1000 ლარამდე შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირს სესხის მომსახურების მაქსიმალური 35%—იანი კოეფიციენტის პირობებში დაეკისრება ყოველთვიური მაქსიმუმი 350 ლარის გადახდა. არაჰეჯირებული მსესხებლისათვის სესხის მომსახურების კოეფიციენტი შედარებით დაბალია (25%), ხოლო იპოთეკური სესხი ოჯახს (მსესხებელი და თანამსესხებელი), რომლის შემოსავალი თვეში 3000 ლარია, შეიძლება მიეცეს 110 000 ლარის ოდენობით წლიური 12%—იანი საპროცენტო განაკვეთით და 15 წლიანი ვადის განმავლობაში ყოველთვიური მომსახურების თანხა იქნება 1350 ლარი, 5წლიანი სესხის შემთხვევაში კი — 1650 ლარი. თუ ოჯახის შემოსავალი აღნიშნულზე მეტია, მაშინ გამსესხებელმა შეიძლება სესხად გასცეს მეტი თანხა და შესაბამისად გაიზრდება სესხის მომსახურების ოდენობაც. მცირეშემოსავლიან ფიზიკურ პირს შეიძლება სესხი არ მიეცეს.

პასუხისმგებლიან დაკრედიტების პირობებში ბევრ ფიზიკურ პირს რეალური მატერიალური პირობების გამო გაუჭირდება სესხის აღება გამსესხებელი ორგანიზაციებისაგან და შესაძლოა სასესხო ურთიერთობებმა გადაინაცვლოს არაფორმალურ სექტორში.

სესხის გამცემი სუბიექტის მიერ ეროვნული ბანკის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა განსაზღვრულ ფინანსურ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რაც ფულადი ჯარიმების დაკისრებაში გამოიხატება. სესხის დაჯარიმების თაობაზე გამოიცემა სესხის პრეზიდენტის განკარგულება. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება დარღვევათა სიმძიმის მიხედვით. მაგ. სარეგისტრაციო პირობების დარღვევა 2 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო ფინანსური ანგარიშგების დადგენილი ფორმით ან ვადაში წარუდგენლობა, წერილობითი მითითების შეუსრულებლობა ან აკრძალული ოპერაციების წარმოება — 1000 ლარით თითოეულ ფაქტზე. გადახდილი ფულადი ჯარიმა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. დაკისრებული ჯარიმის გადახდა სავალდებულოა მაშინაც კი, როცა მიღებულია გადაწყვეტილება სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

3. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა გამოიწვია საჯარო და კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების თანასწორობისა და განვითარების კონსტიტუციური გარანტიების მტკიცედ შერწყმა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებთან და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. დღის წესრიგში ლოგიკურად დადგა ვალდებულებითი ურთიერთობების სრულყოფილი სამართლებრივი მონესრიგების აუცილებლობა. სამართლებრივი დოქტრინა და პრაქტიკაც ამას გვეკარნახობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა სასესხო უფლება—მოვალეობების ანალიზს — ნების თავისუფლების, საკუთრების უფლებისა და სოციალურ—სამართლებრივ სახელმწიფოს შესახებ საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური დებულებების ფონზე.

საყოველთაოდ ცნობილი უზოგადესი ფორმულა — სესხი ფულის ან ქონების დროებით გადაცემა სხვისთვის — კონკრეტულ სახეს ღებულობს კერძო სამართალში. სამოქალაქო კოდექსში ორი თავი აქვს დათმობილი სესხთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას. ესენია — სესხის ხელშეკრულება და საბანკო კრედიტი. აქვეა განმტკიცებული ბანკის მიერ ფულადი სახსრების სესხად აღების პროცესიც. ასეთი რეალობა რამდენიმე ლოგიკური კითხვის საფუძველი ხდება 1. არსებითი მსგავსების გამო მიზანშეწონილია თუ არა სესხისა და საბანკო კრედიტის ან თუნდაც ანაბრის ხელშეკრულების დამოუკიდებელ ინსტიტუტებად

წარმოდგენა; 2. სესხის გაცემა გამსესხებლის უფლებაა თუ მოვალეობა; 3. კანონი ერთნაირად იცავს თუ არა კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს; 4. როგორია საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისა და ვალის დროული დაბრუნების მექანიზმი. მათზე კვალიფიციური პასუხის გაცემა მეტად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ „სესხსა“ და „საბანკო კრედიტს“ შორის ძირითად დებულებათა თანდამთხვევა არსებობს, საბანკო კრედიტი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რაც მისი სასესხო ურთიერთობის ნაირსახეობად გამოყოფის საფუძველს ქმნის. ამას ადასტურებს სამოქალაქო (საბანკო) კანონმდებლობის ანალიზიც. სესხისა და საბანკო კრედიტის ერთმანეთისაგან განცალკევებულ თავებში მოთავსება საკითხისადმი საბჭოური მიდგომის ანარეკლია. საბჭოთა პერიოდში საკრედიტო—საანგარიშსწორებო ურთიერთობები სასესხო ვალდებულებებისგან განსხვავებულ სამოქალაქოსამართლებრივ ვალდებულებათა დამოუკიდებელ ჯგუფად განიხილებოდა. სესხის გამოყენების სფერო შეზღუდული იყო, კომერციული სესხი აკრძალული იყო, ხოლო საბანკო კრედიტი, ადმინისტრაციულ—მბრძანებლური სისტემის არსებობის პირობებში სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით ეკონომიკის განსაზღვრული სფეროს რეგულირებისათვის გამოიყენებოდა. დღეს ვითარება არსებითადაა შეცვლილი. ამიტომ მიზანშეწონილია ჩვეულებრივი (საცალო) სესხის მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობა ჩაითვალოს სასესხო ვალდებულებათა ზოგად ნაწილად, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსდეს საბანკო სესხი და სხვა სასესხო ვალდებულებები, რომელთა მიმართ შესაძლებელი იქნება ზოგადი ნორმების გამოყენება. მათ შეიძლება მიეკუთვნოს: კომერციული სესხი, ანაბარი, ოვერდრაფტი, განვადება და სხვ. სასურველია აღნიშნულის გათვალისწინება სამოქალაქო კანონმდებლობის მომავალი კოდიფიკაციის დროს.

ყველა სახის სასესხო ვალდებულების ერთ ინსტიტუტად განმტკიცება გაადვილებს საკითხის გადაწყვეტას იმის შესახებ, რომ სესხის გაცემა გამსესხებლის უფლებაა თუ მოვალეობა. სესხის თითოეული სახის მაკვალიფიცირებელი ნიშნების გათვალისწინებით აღნიშნულ კითხვაზე პასუხის ერთგვაროვნად გაცემა შეუძლებელია. ერთი სახის სესხის მიხედვით იგი შეიძლება უფლება იყოს, მეორეთი კი — მოვალეობა. ამიტომ როცა საკითხი ეხება სასესხო ვალდებულებათა იურიდიულ კვალიფიკაციას ზოგადად, შესაძლებელია სესხის გაცემა უფლებადაც ჩაითვალოს და მოვალეობადაც. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულება ყოველთვის რეალურია. სესხის გაცემა გამსესხებლის ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება. შეთანხმება და სესხის გაცემა ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ თუ მხარეები შეთანხმდებიან იმაზე, რომ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ერთი სესხს მისცემს მეორეს, ეს იქნება არა სესხის ხელშეკრულება, არამედ სესხის შეპირება, რომელსაც სესხისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი შინაარსი გააჩნია. აქაც გამსესხებლის, როგორც მესაკუთრის ნებაა მთავარი. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება სესხის გაცემა ვალდებულება იყოს — მაშინ როცა გამსესხებელი ბანკია. ამ დროს ხელშეკრულება კონსესუალურია. ამ ნიუანსების გაუთვალისწინებლობა აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი ხდება.

სამოქალაქო კანონმდებლობით სესხის გაცემისას შეღავათები და შეზღუდვები დგინდება იმის მიხედვით, თუ ვინ ვისზე გასცემს სესხს. თუ სესხს ფიზიკურ პირზე გასცემს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაუქვემდებარებელი პირი (ძირითადად — მევახშე) მაშინ სესხის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება დაგირავება — ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებებისა და იპოთეკით დატვირთვა — მისი ან სხვა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთისა, აგრეთვე ნყლისა და საჭაერო სატრანსპორტო საშუალებისა. უკანასკნელ შემთხვევაში გამონაკლისი შეიძლება გაკეთდეს თუ უძრავი ნივთი იპოთეკის ხელშეკრულებით საცხოვრებელ სადგომად გამოყენების მიზნით სარგებლობაში გადაეცემა იპოთეკარ ფიზიკურ პირს. სხვა ქონების დატვირთვა გირაოთი ან იპოთეკით შესაძლებელია. ამასთან, თუ უზრუნველყოფის საგნის ღირებულება არაა საკმარისი მოთხოვნის დასაფარად იგი მაინც დაკმაყოფილებულად

ითვლება და სხვაგვარი შეთანხმება მხარეთა შორის დაუშვებელია. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საფინანსო სექტორის სუბიექტების მიერ გაცემულ სესხზე, რაც მიზანშეუწონელია. სესხის ანაზღაურებითი ხასიათი გამსესხებელთა თანაბარ სამართლებრივ სტატუსს უნდა დაედოს საფუძვლად.

იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებით მხარეთა მიერ განსაზღვრული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2,5—მაგი ოდენობის ერთ მეთორმეტედს. ასეთი შეზღუდვა არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დადებულ სესხის ხელშეკრულებებზე. რაც შეეხება წლიურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რომელშიც სესხის გაცემასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაითვალისწინება, იგი უნდა განისაზღვროს 5%—ის ფარგლებში. ეს მოთხოვნა კი ყველა სახის სესხზე მოქმედებს. მართალია სასესხო პროცენტის ოდენობის ასეთი შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მოვალის მდგომარეობას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაღალია. მნიშვნელოვანია არა მარტო მევახშეები და ეროვნული ბანკის ზედამხედველობის მიღმა ფუნქციონირებადი სხვა სუბიექტები, არამედ ყველა გამსესხებელი ექვემდებარებოდეს ასეთ რეგულაციას.

მნიშვნელოვნად შემცირდა მსესხებლისათვის ხელშეკრულების ნებისმიერი დარღვევისათვის დასაკისრებელი ფინანსური სანქციის ოდენობა. იგი წინანდელთან შედარებით (0,41%) თითქმის განახევრდა (0,27%) და თითოეული დღისათვის ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი თანხის 1,5—მაგი ოდენობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში ჭარბვალიანობის აღმოფხვრის ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებით რადგან მკაცრდება ფიზიკურ პირებზე საფინანსო სექტორის მიერ სესხების გაცემის პირობები. მსესხებლების განსაზღვრულ კატეგორიას სესხზე წვდომას უსპობს და არაფორმალურ სასესხო ურთიერთობებში ჩაბმისაკენ უბიძგებს.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სასესხო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის აქტუალური საკითხები. დეტალურადაა განხილული სასესხო ურთიერთობათა ახლებური რეგულაციები, რომლებიც ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის აუცილებლობის ამოცანებითაა განპირობებული.

წარმოდგენილ სტატიაში ასევე ყურადღებაა გამახვილებული ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხებზე.

Resume

The article discusses current issues of of legal entities protection interests. Here are also discussed in detail new provisions on credit relations, which are associated with the need for harmonization with European legislation.

The article also highlights the issues of legal regulation of obligatory relations.

Резюме

В статье рассматриваются актуальные вопросы защиты интересов субъектов правоотношений . Так же подробно обсуждаются новые положения кредитных отношений, которые связаны с необходимостью гармонизации с европейским законодательством. В статье также рассматриваются вопросы правового регулирования обязательных отношений.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., 2014.
2. ლადო ჭანტურია, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012.
3. ზურაბ ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010.
4. თამარ შოთაძე, სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, პროფ. რომან შენგელიას საიუბილეო კრებული, თბ., 2012.
5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები“, გურამ თავართქილაძის სახეობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 2019.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის ნორმატიული აქტები სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსისა და ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ.

ეკონომიკური და სამოხელეო დანაშაულობანი - ეს ყველაზე გავრცელებული და მზარდი დანაშაულია თანამედროვე მსოფლიოში. ყურადღებას იქცევს ამ დანაშაულობათა ცვლადი ხასიათი. ეს დანაშაულობანი - ყველაზე მოძრავი და ისტორიულად ცვალებადი სახეა დანაშაულის. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში განსაკუთრებით იზრდება კრიმინოგენული სიტუაციები ეკონომიკის სფეროში; ასე იყო 20-30 -იან წლებში საქართველოში და ახლაც, საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პერიოდი აქვს, რომელიც ქმნის დანაშაულობების ახალ ფორმებს და სახეებს ეკონომიკის სფეროში. ეს იწვევს ეკონომიკური დანაშაულობების შეღწევას ისეთ სფეროებში, რომელიც მანამდე მიუწვდომელი იყო, ესენია ფინანსური გარემო, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საგადასახადო სფერო, საკრედიტო ურთიერთობები საბანკო სისტემაში, საგარეო ეკონომიკური სფერო და ა.შ.

ტერმინი „ეკონომიკური დანაშაულის“ ყველაზე ცნობილი დეფინიციის ავტორია ამერიკელი კრიმინოლოგი ედვინ საზერლენდი, და მას „ნჰიტე-ცოლლარ ცრიმე“ — „თეთრსაყელოიანთა დანაშაული“ უწოდა, „ჩადენილი მაღალი სოციალური სტატუსის მქონე რესპექტაბელური ადამიანის მიერ თავის სამუშაო ადგილას“ - ასეთი განსაზღვრება მისცა მან ეკონომიკურ დანაშაულს 1949 წელს გამოშვებულ წიგნში „თეთრსაყელოიანთა დანაშაული“⁴⁵⁸.

მას ამით სურდა საზოგადოების ყურადღება იმ ფაქტზე გაემახვილებინა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულებს საშუალო და ზედა ფენის წარმომადგენლებიც ჩადიან. მან ასევე აჩვენა, რომ დანაშაულს შეიძლება ჩადიოდეს ბიზნესმენთა ჯგუფები, ორგანიზაციები, კორპორაციები. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეს გაბედული დეფინიცია, ერთი მხრივ, ძალიან ვიწროა, ვინაიდან იგი მხოლოდ ქმედების ჩამდენზე ფოკუსირდება და, მეორე მხრივ, ცნება ძალიან ფართოა, რადგან ის ყოველ დასჯად ქმედებას მოიცავს, ასევე იმ ქმედებებს, რომლებიც არ არიან ეკონომიკური ხასიათის.⁴⁵⁹

თეთრსაყელოიანთა დანაშაულობის დამახასიათებელი ნიშნებია - დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, ორგანიზაციათა გარკვეულ ფორმებთან კავშირი; პროფესიული ან თანამდებობრივი საქმიანობის გამოყენება; მოცემული დანაშაულობის სუბიექტების მაღალი სოციალური მდგომარეობა. თეთრსაყელოიანთა ყველაზე გავრცელებულ დანაშაულობებს მიეკუთვნება: ფინანსური მახინაცობები, თაღლითობა, ხაზინის ქურდობა და მექრთამეობა, გადასახადების დამალვა, არაკანონიერი ფინანსური ოპერაციები, მათ შორის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული, დოკუმენტების გაყალბება, ნდობის ბოროტად გამოყენება, ფულის გათეთრება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ თეთრსაყელოიანთა დანაშაული არ მოიცავს ძალადობას, ის ორიენტირებულია ნორმების, კანონების, სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევაზე, ოღონდ არა ძალადობრივად. ასეთ საქმეებში მოქმედებს იგივე კანონები, რაც სხვა დანაშაულის შემთხვევაში, მაგრამ მეორე მხრივ, თეთრსაყელოიანთა დანაშაულობანი უფრო რთულია და დაკავშირებულია მრავალრიცხოვან რთულ იურიდიულ და ფაქტობრივ პრობლემებთან.

მიუხედავად იმისა, რომ თეთრსაყელოიანები სხვა დამნაშავეების მსგავსად არღვევენ კანონს, საზოგადოება და კანონდამცველები ყველანაირად ცდილობენ გამოაცალკეონ ისინი დამნაშავეთა კატეგორიიდან; ხელისუფლება მათი დანაშაულობის მიმართ შედარებით ტოლერანტუ-

⁴⁵⁸ https://explanatory_sociological.academic.ru

⁴⁵⁹ ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, მარტინ პაულ ვასმერი, მოხსენება, 4.11. 2016

ლია, ვიდრე ნაკლებ პრივილეგირებული კლასების დანაშაულობათა მიმართ. თეთრსაყელოიანთა დანაშაული პრობლემაა მთელს მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. საკმაოდ დიდი კვლევებია ჩატარებული აშშ-ში თეთრსაყელოიანთა დანაშაულობის შესახებ. თანხა, რომელიც ფიგურირებს თეთრსაყელოიანთა დანაშაულებში 40-ჯერ აღემატება თანხას, რომელიც ფიგურირებს „ჩვეულებრივი დანაშაულის“ დროს (ძარცვა, ქურდობა, ყალბი ფულის დამზადება, ავტომობილების გატაცება და ა.შ.).

„თეთრსაყელოიანთა“ ცნება, ედვინ საზერლენდის განმარტებით იმდენად გაურკვეველი იყო, რომ მისი გამოყენება ნებისმიერი ადამიანის მიმართ იყო შესაძლებელი. ამიტომ მისგან გასხვავებით, განსხვავებით, მეცნიერები ცდილობდნენ მისთვის უფრო ფართო განმარტების მიცემას.

კრიმინალურ პრაქტიკაში ახალი ტენდენციების გამოჩენასთან დაკავშირებით, ეს ცნება გაფართოვდა, გაფართოვდა ეკონომიკური დანაშაულობის სუბიექტების წრე, ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ კორპორაციების არა მარტო ხელმძღვანელ პირებს, არამედ სხვა თანამშრომლებსაც; თანდათანობით ეკონომიკურ დანაშაულთა სიას დაემატა ისეთი დანაშაულები, როგორცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, კომპიუტერული და სხვა, რომლებიც ზიანს აყენებენ სახელმწიფოს ეკონომიკას, მის ცალკეულ სექტორებს, სამენარმეო საქმიანობას, მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესებს. ეს ცვლილებები განპირობებული იყო არა მარტო სამეცნიერო ცოდნის განვითარებით, არამედ ეკონომიკური დანაშაულობის ევოლუციით.


მოვიყვანოთ ცოტაოდენი სტატისტიკა. აშშ-ში თეთრსაყელოიანთა დანაშაულობანი ქვეყანას უჯდება 200 მლრდ-ზე მეტი წელიწადში.

პირველ რიგში, ეს დანაშაულობანი ასოცირდება კორპორატიულ დანაშაულობასთან, ეს შეიცავს ინსაიდერულ ვაჭრობას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას, ფინანსური ანგარიშგების გაყალბებას და ა.შ. 2011 წ. ფედერალური ბიუროს მიერ წარდგენილი იყო 242 ბრალდება და გაასამართლეს 241 „თეთრსაყელოიანი“ ეკონომიკური დანაშაულები, თაღლითებმა ანაზღაურეს \$ 2,4 მლრდ ზარალი და გადაიხადეს \$16,1 მლრდ ჯარიმა. ამ სახის დანაშაულთა სხვა სახეა - ფულის გათეთრება; იგივე 2011 წლის სტატისტიკით, აშშ ფედერალური ბიურომ განიხილა 303 საქმე, აქედან 37 დასრულდა ბრალდებით, ხოლო 45 განაჩენით; ანაზღაურდა \$18,4 მლნ ზარალი, და \$983 536 ჯარიმა იქნა გადახდილი. ერთ-ერთი საქმე ეხებოდა ჩრედიტ შუისსე კომპანიას, რომელიც ფინანსურ მომსახურებას ეწეოდა, ატარებდა არაკანონიერ ოპერაციებს ირანის, სუდანის და სხვა ქვეყნების კლიენტების სახელით. მათზე დადებული სანქციებით ხდებოდა თანხების არაკანონიერი მოძრაობა. კომპანია ჩრედიტ შუისსე-მა ისტორიაში ყველაზე დიდი ჯარიმა \$536 მლნ გადაიხადა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ეკონომიკური დანაშაულის ნახევარზე მეტი ფულად-საკრედიტო სისტემაზე მოდის. IDFI -ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2004-2014 წწ. გამოვლენილია სხვადასხვა სახის ფინანსური ხასიათის დანაშაულის 9815 შემთხვევა, ყველაზე მეტია 2005 წელს - 1863, ხოლო ყველაზე ცოტა 2008 წელს - 422⁴⁶⁰. ხოლო შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, ეკონომიკური დანაშაულის რაოდენობა 2018 წლის იანვარ-ივლისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდამ 19,6% შეადგინა. ფულადსაკრედიტო სისტემაში 406 დანაშაულია რეგისტრირებული, რაც 74-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით; საფინანსო საქმიანობის სფეროში 131 დანაშაული დარეგისტრირდა, აქედან გახსნილი კი 54-ია. მსგავსი ტიპის დანაშაულის რეგისტრაციის მაჩვენებელი 42%-ით გაიზარდა⁴⁶¹.

⁴⁶⁰ <https://idfi.ge/ge/statistics-of-financial-crimes-2004-2014->

⁴⁶¹ <https://commersant.ge>



ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, გლობალიზაციის პროცესი ეხება ეკონომიკური ურთიერთობების ყველა სფეროს, მათ შორის ხარისხობრივად შეცვალა დანაშაულის ხასიათი, რომელიც სულ უფრო ხშირად უკავშირდება ერთზე მეტი ქვეყნის კანონების დარღვევას. ეკონომიკური დანაშაული განვითარდა და ტრანსნაციონალური ხასიათი შიძინა სწორედ იმიტომ, რომ ის კანონის წვდომის ფარგლებს გარეთ დარჩა. უფრო მეტიც, ეკონომიკური დანაშაულობის ჩადენისას ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება სულ უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით კრიმინოლოგებმა შემოიღეს ტერმინი „ტრანსნაციონალური დანაშაული“. ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულის პრობლემას პირველად გაერომ მიაქცია ყურადღება 1975 წლის უენევის კონგრესზე, სადაც აღიარებულ იქნა, რომ დანაშაულობა საერთაშორისო ბიზნესის ფორმით უფრო სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედებების ტრადიციული ფორმები. ამ პრობლემას რეგულარულად ეძღვნება გაეროს დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თითქმის ყველა კონგრესი.

მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც ნეაპოლში გაიმართა 1994 წ. შეთანხმდნენ, რომ ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაული არის ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ფორმა, რომელიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით, მუქარისა და ფიზიკური ძალის, გამოძალვის, კორუფციის, შანტაჟის და იძულების სხვა მეთოდების გამოყენებით, აგრეთვე აკრძალული საქონლისა და მომსახურების მოზიდვით.

ამის საფუძველზე, ტრანსნაციონალური ეკონომიკური დანაშაულობის ნიშნებია: 1) ანგარება; 2) მისი პროფესიული საქმიანობის პროცესში განხორციელების შესაძლებლობა; 3) 8 ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფილი სუბიექტების მიერ სამართლებრივი ფორმების გამოყენებით ჩადენა; 4) მსხვერპლთა დიდი მასშტაბი; 5) ვიქტიმიზაციის პროცესის ძირითადად მსხვერპლისგან ფარულად წარმოება; 6) მრავალსუბიექტურობა (იურიდიული და ფიზიკური შემსრულებლები); 7) სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისათვის, აგრეთვე კერძო მენარმეთა და მოქალაქეთა ინტერესებისათვის მიყენებული ზარალი; 8) არაერთგზისი ხასიათი, ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის შედეგად მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილება; 9) სისტემატური ხასიათი; 10) ლატენტურობის მაღალი დონე.

ფულის გათეთრება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, საერთაშორისო ტერორიზმი და კიბერდანაშაული და სხვ., ამ და სხვა ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულებს სწადიან ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც განშტოებული სტრუქტურა აქვთ და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებენ. ტრანსნაციონალურ ფორმირებებს შორის გაეროს ექსპერტები გამოყოფენ დაჯგუფებებს, რომლებიც ყიდვიან იარაღს, ვაჭრობენ მოპარული მანქანებით, ენევიან საქონლის კონტრაბანდას, სათამაშო ბიზნესს, რეკეტულ საქმიანობას, სწადიან დაკვეთილ

მკვლევლობებს, ნარკოდანაშაულს და ა. შ. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის გარანტირებულად დაცული ტრანსნაციონალური ეკონომიკური დაჯგუფებების შემოჭრისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კარი მერვე მთლიანად უკავია ეკონომიკურ დანაშაულობას; თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ასევე შეიმუშაოს ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფცია. ამ მიდგომას თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ტრანსნაციონალური თაღლითობა ფაქტიურად მოიცავს ეკონომიკის ყველა სფეროს.

ამრიგად, ეკონომიკური დანაშაულების მიზეზები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დევს, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური. მისი თავიდან აცილების მექანიზმი, ეს პირველ რიგში, არის სახელმწიფო ხელისუფლების როლის განმტკიცება, მისი ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლება, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება საკრედიტო-ფინანსურ ურთიერთობებში, საბაზრო თვითრეგულირებაზე დაფუძნებული დამცავი მექანიზმების „ჩართვისთვის“ პირობების შექმნა; თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკა კრიმინოლოგიურად არ წარმოადგენს სრულყოფილ სოციალურ ორგანიზმს: ეყრდნობა რა საბაზრო ურთიერთობების კანონმორჩილ და პატიოსან მონაწილეებს, ეკონომიკა რჩება დაუცველი სხვადასხვა სახის თაღლითების მხრიდან, მიუხედავად მათი სტატუსისა სოციალურ და პროფესიონალურ ურთიერთობებში.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, მზარდი და ცვლადი დანაშაულია თეთრსაყელოიანთა ანუ ეკონომიკური და სამოხელეო დანაშაულობანი ყველაზე თანამედროვე მსოფლიოში. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში განსაკუთრებით იზრდება კრიმინოგენული სიტუაციები ეკონომიკის სფეროში; ასე იყო 20-30 -იან წლებში საქართველოში და ახლაც, საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პერიოდი აქვს, რომელიც ქმნის დანაშაულობების ახალ ფორმებს და სახეებს ეკონომიკის სფეროში, რაც იწვევს ეკონომიკური დანაშაულობების შეღწევას ისეთ სფეროებში, როგორიცაა, ფინანსური გარემო, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საგადასახადო სფერო, საკრედიტო ურთიერთობები საბანკო სისტემაში, საგარეო ეკონომიკური სფერო და ა.შ.

ტრანსნაციონალურ ფორმირებებს შორის გაეროს ექსპერტები გამოყოფენ დაჯგუფებებს, რომლებიც ყიდიან იარაღს, ვაჭრობენ მოპარული მანქანებით, ეწევიან საქონლის კონტრაბანდას, სათამაშო ბიზნესს, რეკეტულ საქმიანობას, სჩადიან დაკვეთილ მკვლევლობებს, ნარკოდანაშაულს და ა. შ. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის გარანტირებულად დაცული ტრანსნაციონალური ეკონომიკური დაჯგუფებების შემოჭრისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კარი მერვე მთლიანად უკავია ეკონომიკურ დანაშაულობას; თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ასევე შეიმუშაოს ტრანსნაციონალურ თაღლითობასთან ბრძოლის კონცეფცია. ამ მიდგომას თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ტრანსნაციონალური თაღლითობა ფაქტიურად მოიცავს ეკონომიკის ყველა სფეროს.

Resume

One of the most growing and variable crimes in the modern world are economic crimes. In the economic transformation process, the criminal situation is particularly increasing in the field of economics; The same situation was in 20-30-ies and even now. Georgia has a difficult period of transition to the market economy, which creates new forms and types of crimes in the fields of economy, including Securities Market, Tax sphere, Credit relationships in the banking system, foreign economic sphere, etc.

Among the transnational formations, the UN experts designate groups that sell arms, trade with stolen cars, smuggle goods, gambling businesses, racketeering activities, assassinated murders, narcotics and so on. No country in the world is guaranteed from attack of transnational economic groups.

The eighth section of the the Criminal Code of Georgia considers economic crimes; Georgia must also develop a concept of combating transnational fraud. This approach has a great importance in the modern world, as the transnational fraud actually involves all spheres of economy.

Резюме

Одно из самых распространенных, растущих и изменчивых преступлений в современном мире - это «белые воротнички», экономические и официальные преступления самого современного мира. В период экономических преобразований, особенно криминологическая ситуация в области экономики увеличивается; так было в Грузии в 20-30-х годах, и сегодня Грузия переживает трудный период перехода к рыночной экономике, которая создает новые формы и виды преступлений в области экономики, что ведет к проникновению экономических преступлений в такие области, как финансовая среда, включая рынок ценных бумаг, налогообложение, банковская система кредитных отношений т.е. внешнеэкономическая сфера и тому подобные. Среди транснациональных формирований эксперты ООН выделяют группы, которые продают оружие, торгуют украденными автомобилями, занимаются контрабандой товаров, занимаются бизнесом, рэкетом, убийствами по приказу, преступностью, связанной с наркотиками, и так далее. Ни в одной стране мира не гарантирована защита от вторжения транснациональных экономических групп. Восьмая глава в Уголовном кодексе Грузии полностью предоставлена экономической преступности; однако важно, чтобы в Грузии также была разработана концепция борьбы с транснациональным мошенничеством. Этот подход имеет большое значение в современном мире, поскольку транснациональное мошенничество охватывает практически все сферы экономики

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკური სისტემის სამართლის ევროპეიზაცია, მარტინ პაულ ვასმერი, მოხსენება, 4.11. 2016
2. <https://idfi.ge/ge/statistics-of-financial-crimes-2004-2014->
3. <https://commersant.ge>
4. https://explanatory_sociological.academic.ru

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან და ეკონომიკური უსაფრთხოების გამონაკვეთი

გრიგოლ ლილუაშვილი *

ზოგადი მიმოხილვა

საქართველო წარმოადგენს მცირე ეკონომიკას და მისი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მეზობელ და ხანდახან შორეულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე. შესაბამისად, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას საერთაშორისო, რეგიონალურ და ტრანს-სასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

ასე მაგალითად, 2014-2016 წლებში საქართველოს მეზობელი ქვეყნების ძირითადი ნაწილის (რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი) ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. შენედა ეკონომიკური აქტივობები, გაუფასურდა ეროვნული ვალუტები, შემცირდა საერთაშორისო რეზერვები და სახელმწიფო ფონდებში კაპიტალის მოცულობები, რამაც თავის მხრივ უარყოფითი ასახვა ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე, რადგან საქართველოს მეზობელი ქვეყნები, უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორებიც არიან. თუმცა, 2017 წლიდან საქართველოს ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში (თურქეთი, რუსეთი და სომხეთი) რომელთაც კრიზისი შეეხოთ, ვითარების დასტაბილურების ტენდენციები შეინიშნება, რაც მყისიერად აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მოახდენს ქვეყნის ეკონომიკური კავშირების და შესაძლებლობების დივერსიფიცირებას და მკვეთრად გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს მიერ გაცხადებულ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქციის განმტკიცება და ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ციფრული, ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია;

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის პროექტისა და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროექტებით შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და არსებული სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაცია;

„სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის“ და სხვა რეგიონული და საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება და საქართველოს გავლით, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბება;

საქართველოსთან თავისუფალი ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, გეოგრაფიული არეალის კიდევ უფრო გაფართოება, ქართული პროდუქციის წარმოების და ექსპორტის ხელშეწყობა, ბაზრების დივერსიფიცირება;

შავი ზღვის ეკონომიკური როლის გაძლიერება. სატრანზიტო შესაძლებლობების ზრდა, რეგიონის ქვეყნებთან ტვირთბრუნვის მოცულობისა და მიმოსვლის სიჩქარის ზრდა, ლოგისტიკური და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გაძლიერების ხელშეწყობა და სხვადასხვა რეგიონიდან (მათ შორის ცენტრალური და შორეული აზიის რეგიონებიდან) ტვირთების მოზიდვა;

*სტუ-ს დოქტორანტი

ურთიერთმომგებიანი ორმხრივი ტრანს-სასაზღვრო ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია; საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში — მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკურ ფორუმებში, ასევე პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმხრივ ფორმატებში აქტიური ჩართულობა. მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარე დიალოგში ჩართვა და ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მოწინავე ბაზრების ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმების დანერგვის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.


ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზაცია ხელს უწყობს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ქმნის ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობისა და ქვეყნის ეკონომიკური და ზოგადად უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფუძვლებს.

რეგიონის ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულება და საფრთხეები

საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული/დაკავშირებული რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა მიმართულებებით: ექსპორტით/იმპორტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ფულადი გზავნილებით, ტურიზმით, ენერგო რესურსებით და სხვა. შესაბამისად, საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას რეგიონალურ და ტრანს-სასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებულია (მაღალ დივერსიფიკაციას გვიჩვენებს ჰერფინდალ ინდექსი⁴⁶³, რომელიც 0.072-სა და 0.095-შორის მერყეობს), ცალკეული საექსპორტო პროდუქცია მაინც კონცენტრირდება აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, უკრაინისა და რუსეთის ბაზრებზე⁴⁶⁴, რაც ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2019* წლის იანვარ-მაისში



წყარო: საქსტატი.


ანალოგიური ვითარებაა რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის განხორციელებასთან დაკავ-

⁴⁶³ ჰერფინდალ ინდექსი მოთავსებულია $1/N$ -სა და 1 -ს შორის, სადაც N ფირმების რაოდენობაა (ჩვენს შემთხვევაში საექსპორტო ბაზრების რაოდენობა) და გვიჩვენებს, ზოგადად რამდენად კონცენტრირებულია საექსპორტო პროდუქციის გასაღების ბაზარი. თუ ინდექსი 0.01 -ზე ნაკლებია მაშინ სრულიად კონკურენტული - სრულყოფილად დივერსიფიცირებულია საექსპორტო ბაზარი; თუ ინდექსი 0.15 -ზე ნაკლებია მაშინ საექსპორტო ბაზარი არაა კონცენტრირებული; თუ ინდექსი 0.25 -ზე ნაკლებია, მაშინ საექსპორტო ბაზარი კონცენტრირებულია და თუ ინდექსი 0.25 -ზე მეტია, მაშინ საექსპორტო ბაზარი მაღალ კონცენტრირებულია.

⁴⁶⁴ 2017 წლის მდგომარეობით, საექსპორტო პროდუქციის პირველი 25 პროდუქტი მთლიანი ექსპორტის 78.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომამ 25 პროდუქტიდან 14 დასახელების პროდუქტის კონცენტრირებულად ექსპორტირება ხდება მხოლოდ ქვეყნებში (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი);

შირებით. ზოგიერთ იმპორტულ პროდუქციაზე საქართველო მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცალკეულ ქვეყნებზე. ასე მაგალითად, ძალზედ მაღალია ბუნებრივი აირების იმპორტით აზერბაიჯანზე დამოკიდებულების მაჩვენებელი. ასევე, 2018 წლის მონაცემებით, ბუნებრივი აირის გარდა, საქართველოში ძალზედ მაღალი კონცენტრაციით იმპორტირებულ იქნა ელექტროენერგია. გარკვეული დასახელების პროდუქციის იმპორტი წლების განმავლობაში მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება რუსეთიდან (ხორბალი, საკვები ზეთი, სიმინდი და ქვანახშირი), თურქეთიდან (თურქეთიდან იმპორტირებული პირველ 15 პოზიციაზე მყოფი უმრავლესი პროდუქტი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება).

უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი
მთლიან იმპორტში 2019* წლის იანვარ-მაისში



წყარო: საქსტატი.

ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული პროდუქციის იმპორტის მაღალი კონცენტრაცია მაღალი საფრთხის შემცველი არ არის და ადვილად ჩანაცვლებადია. თუმცა, ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა ბუნებრივი აირი, ხორბალი, პირველადი მოხმარების და მოწოდების თვალსაზრისით ძნელად ჩანაცვლებადი პროდუქტები, სხვა ქვეყნებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭება გავლენის ბერკეტის გადაცემას ნიშნავს და სერიოზული საფრთხის შემცველია. გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს დიდი არჩევანი და სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ გააჩნია.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ექსპორტის შემთხვევაშიც. ექსპორტის სწრაფად დივესიფიცირება საკმაოდ რთულია, რაც „პარტნიორ“ ქვეყნებს საკმაოდ ბერკეტებს სძენს.

განვიხილოთ რეგიონის ქვეყნები ცალ-ცალკე:

ა) რუსეთის ფედერაცია

რუსეთი რეგიონის უმთავრესი მოთამაშეა, რომლის სტრატეგიულ ამოცანას სამხრეთ კავკასიაზე, ექსკლუზიური კონტროლის აღდგენა წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, იგი არ არის დაინტერესებული ეკონომიკურად ძლიერი, უსაფრთხო საქართველოს არსებობით. შესაბამისად, ე.წ. რბილი ძალის და ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენებით მუდმივად ცდილობს საქართველოში პროცესების მისი ინტერესების შესაბამისად წარმართვას. კერძოდ:

რუსეთი რამდენიმე წელიწადში იქცა საქართველოს უმთავრეს სავაჭრო პარტნიორად. მნიშვნელოვან პრობლემებს აჩენს ცალკეული პროდუქტების ექსპორტის მაღალი კონცენტრაცია რუსეთის ბაზარზე. შესაბამისად, „საჭიროების“ შემთხვევაში, ქართული პროდუქციისთვის სა-

კუთარი ბაზრის დაკეცვით რუსეთს ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია.


2019 წლის იანვარ-მაისის მდგომარეობით სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან წინა წელთან შედარებით 3.6%-ით გაიზარდა და 568.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

აღნიშნულ პერიოდში, რუსეთიდან იმპორტი 7.3%-ით შემცირდა და 349.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში 27.9%-ით გაიზარდა და 218.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს რუსეთში ექსპორტი 437.3 მლნ აშშ დოლარის ტოლი იყო (მეორე მაჩვენებელი აზერბაიჯანის შემდეგ - 502.3 მლნ აშშ დოლარი).

2019 წლის იანვარ-მაისის პერიოდში ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრებს შორის რუსეთი სიდიდით პირველია (მთლიანი ექსპორტის 14.9%)⁴⁶⁵.

რუსეთში ექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში



წყარო:საქსტატი.

2019 წლის იანვარ-მაისის მდგომარეობით რუსეთის ბაზარზე კონცენტრირებულია შემდეგი ქართული საექსპორტო პროდუქტები:

- ყურძნის ნატურალური ღვინოები- 62%
- მინერალური და მტკნარი წყლები - 48%
- ციტრუსები - 64%
- ხილი - 87.9%

რუსეთი	იანვარი-მაისი 2018			იანვარი-მაისი 2019		
	1000 USD	ტონა/ლიტრი	% მოცემული პროდუქტების მთლიან ექსპორტში	1000 USD	ტონა/ლიტრი	% მოცემული პროდუქტების მთლიან ექსპორტში
სულ ექსპორტი	171,006	-	13.3	218,080	81,635	14.9
ფეროშენადნობები	57,820	47,299	38.1	61,695	56,009	45.1
ყურძნის ნატურალური ღვინოები	45,105	-	61.0	51,158	-	61.9
მინერალური და მტკნარი წყლები	21,139	-	47.0	25,751	-	47.9
ცენტრიფუგები; აგრეგატები სითხის ან აირის საფორტიფიკაციის ან გასაწმენდი	4,431	5	86.9	15,718	36	94.3
ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.-%ზე ნაკლები, სპირტიანი სამკურნალო საშუალებები	2,593	11	5.0	10,146	24	11.1
წყლები, მინერალურისა და დეგაზიანებული ჩაივით, შაქრის დანამატების შემცველობით გამლი, მსხალი და კომბი, ახალი	3,167	-	31.5	4,413	-	41.7
ნარჩენები და ჯართი სპილენძისა	-	-	0.0	3,110	567	30.9
მსუბუქი ავტომობილები	3,497	-	2.8	2,861	-	1.4
ელექტრული წყაღამაზურებლები	1,621	634	56.4	2,621	850	54.9
კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთილი, კარი და სხვა სახეობის	1,429	670	31.6	2,126	1,059	43.0
ბოსტნეული სხვა, ახალი ან შეყინული	1,753	2,387	57.8	2,112	2,183	51.6
ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამშარი	1,335	2,734	73.3	1,706	3,060	63.7
ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული	56	16	1.7	1,197	185	25.5
სხვა	19,326	-	2.6	17,536	-	2.2

წყარო: საქსტატი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რუსეთის ბაზრის ათვისება არ მომხდარა სხვა საექსპორტ-

⁴⁶⁵ იხ.დანართი №1 -დეტალური ინფორმაცია პროდუქციის მიხედვით


ტო ბაზრებზე ქართული პროდუქციის შემცირების ხარჯზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი დღემდე მიწოდების მაჩვენებლის ზრდით ხასიათდება უკრაინის, ჩინეთის, ბელარუსის და სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად, არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესების შემთხვევაში, ქართული ეკონომიკის ზარალი წლიურად დაახლოებით/საშუალოდ 547 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს. ამასთან, ემბარგოს დაწესება გამოიწვევს მაღალ სოციალურ უკმაყოფილებას, რადგან ემბარგოს ქვეშ ხვდება სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლის წარმოებაშიც დასაქმებულია 659.2 ათასი ადამიანი (დასაქმებულთა 39%).

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს რუსეთის მხრიდან დაწესებულ ემბარგოს რუსეთიდან განხორციელებულ იმპორტზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. ამ მხრივაც, განსაკუთრებული ადგილი რუსეთიდან განხორციელებულ გზავნილებს უკავია, რაც ასევე დამატებით ბერკეტებს სძენს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოში ფულადი ტრანსფერების სიდიდით რუსეთი პირველ ადგილზეა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა ქვეყნებიდან (საბერძნეთი, იტალია და თურქეთი) ფულადი გზავნილების მოცულობა, ხოლო რუსეთის წილი მთლიან გზავნილებში წლიდან წლამდე მცირდება. 2019 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით რუსეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა 163.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 6.2%-ით ნაკლებია 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.



წყარო: საქსტატი.

პირდაპირი ინვესტიციები

2019 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით რუსეთიდან საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 14.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2018 წელს ინვესტირებული თანხის სიდიდე 60.1 მლნ აშშ დოლარი იყო (ისტორიაში სიდიდით მეორე მაჩვენებელი. 2014 წელს იყო 88 მლნ აშშ დოლარი).

ბოლო წლებში რუსეთიდან განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო საფინანსო, უძრავი ქონების და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს რუსეთის მხრიდან დაწესებულ ემბარგოს რუსეთიდან საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების შეფერხება არ გამოუწვევია.

რუსეთს საქართველოში უკვე შექმნილი აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები,

ხოლო ამჟამად ხორციელდება მხოლოდ მცირე ზომის პირდაპირი ინვესტიციები, რომელთა შეჩერებას საქართველოს ეკონომიკაზე უმნიშვნელო გავლენა ექნება.

ტურისტული ნაპადების ზრდა

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა რუსეთიდან ტურისტების შემოდინება. 2015 წელთან შედარებით, 2018 წელს ვიზიტორების რაოდენობა 1.8 ჯერ გაიზარდა და 1.4 მლნ. ტურისტი⁴⁶⁶ შეადგინა. ხოლო, 2019 წლის პირველ ხუთ თვეში 31.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 539.4 ათას ვიზიტორს მიაღწია.

დღეს სახეზეა რუსეთის მიერ აღნიშნული თემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მაგალითი (არსებობს სხვა მაგალითებიც: რუსეთ-თურქეთს შორის რამდენიმე წლის წინ ურთიერთობის გაუარესების შედეგად განვითარებული მოვლენები, როდესაც რუსეთის მოქალაქეებს საკუთარმა ხელისუფლებამ თურქეთში შესვლა აუკრძალა, რამაც თურქეთის ტურიზმის სექტორს სერიოზული ფინანსური დანაკარგები მოუტანა).

არსებული მონაცემებიდან და ტენდენციებიდან გამომდინარე, რუსეთის მოქალაქეების ტურისტული მიზნით ვიზიტის აკრძალვა საქართველოს ტურიზმის სექტორს წლიურად დაახლოებით 430 მლნ აშშ დოლარით დააზარალებს.

შესაბამისად, დღევანდელი გათვლებით, რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესებისა და ტურისტების შემოსვლის და ფულადი გზავნილების აკრძალვის შემთხვევაში ეკონომიკური ზარალი 4 მლრდ. ლარს გადააჭარბებს (1.5 მლრდ. აშშ დოლარს).

რუსეთის არსენალშია ჰიბრიდული ომის ელემენტებიც, ქვეყანაში არასტაბილური გარემოს შექმნისა და დესტრუქციული პროცესების ხელშეწყობისთვის, რაც სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ოკუპირებული რეგიონები, დივერსიები, ვითარების დაძაბვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, კიბერშეტევები (ენერგეტიკული ობიექტების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა წინააღმდეგ), საინფორმაციო კამპანია საქართველოს იმიჯის შესაღებად საერთაშორისო დონეზე, მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობების გაურესებისთვის ხელშეწყობა და სხვა.

ბ) აზერბაიჯანი

საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობები 100-ზე მეტ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებაში აისახა, რომელიც არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ქვეყნებს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ (სუამის ფარგლებში) ფორმატებში. აზერბაიჯანი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს. დღეისათვის აზერბაიჯანი გაზის ფაქტობრივად ერთადერთი მომწოდებელი, ხოლო ექსპორტის კუთხით საქართველოს ნომერ პირველი ბაზარია. ამასთან, საქართველოში ხორციელდება მსხვილი ინვესტიციები აზერბაიჯანული კომპანიების მიერ. ენერგეტიკის მიმართულებით არსებობს ერთობლივად რეალიზებული არაერთი პროექტი. წარმატებულად მიმდინარეობს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში. ვიზიტორთა რაოდენობით აზერბაიჯანი მონინავე პოზიციაზეა და იგი ყოველწლიურად იზრდება.

აზერბაიჯანთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. არსებობს დიდი პერსპექტივები ურთიერთმომგებიანი პროექტების რეალიზაციისთვის ენერგეტიკის, ელექტრონული კომუნიკაციებისა და წარმოების სფეროებში. სატრანზიტო შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, ახალი შესაძლებლობები გაჩნდა კასპიის

⁴⁶⁶ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით რუსეთიდან ვიზიტორების 64% არის ტურისტი.

ზღვის სტრატეჯის განსაზღვრის შემდეგ შუა აზიიდან კასპია-შავი ზღვის სატრანზიტო დერეფანში ტვირთების მოსაზიდად, რაც ხელს შეუწყობს ტრან-სასაზღვრო თანამშრომლობის გააქტიურებას და რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას.

გარდა ამისა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთთან ერთობლივად რეალიზებულ ენერგეტიკულ პროექტებს, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.

ასევე, აღსანიშნავია, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტი, რომელშიც საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად ჩართულია მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი“ (BP). პროექტი, რომელიც 23 წლის წინ დაიწყო ქვეყნის და რეგიონალური სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტი გახდა. 2019 წლისპირველი ხუთი თვის მდგომარეობით აზერბაიჯანის ბაზარი სიდიდით მეორეა საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის. შესაბამისად, აზერბაიჯანის ეკონომიკის შესუსტება და/ან ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება (რომელსაც ჩვენი მეზობელი პერიოდულად მიმართავს), მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2018 წლის მდგომარეობით აზერბაიჯანის ბაზარზე კონცენტრირებულია შემდეგი ქართული საექსპორტო პროდუქტები:

მსუბუქი ავტომობილები - 46.5%; თამბაქოს ნაწარმი - 66.5%; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 51.6%; მინერალური და მტკნარი წყლები, შაქრის დანამატების შემცველობით - 41.7% ნნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - 54.7%.

2018 წლის მდგომარეობით, აზერბაიჯანში კონცენტრირებულად ექსპორტირებულ პროდუქციას, ქართული ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვანი დარგები აწარმოებენ და მათ მაღალი სოციალური ეფექტი გააჩნიათ. საქართველო თითქმის 100%-ითაა დამოკიდებული აზერბაიჯანულ გაზზე, ხოლო აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი, გაზის საცალო ბაზარზეც მონოპოლისტია. მართალია აზერბაიჯანი სტრატეგიული მოკავშირეა და დაინტერესებულია საქართველოში სტაბილურობით, თუმცა ბუნებრივ გაზზე 100%-იანი დამოკიდებულება მეზობელ ქვეყანას საკმაო ბერკეტებს სძენს.

2018 წლის მდგომარეობით, აზერბაიჯანი მე-4 ადგილს იკავებს საქართველოს საიმპორტო ბაზრებს შორის (მთლიანი იმპორტის 6.5%). აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანიდან იმპორტი 6.3%-ით გაიზარდა და 588.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს საქართველოში იმპორტირებული აზერბაიჯანული პროდუქტებიდან მნიშვნელოვანი კონცენტრაციით ხასიათდება ნავთობის აირები, ელექტროენერგია და ცემენტი (იხ. ცხრილი). რაც შეეხება ნავთობპროდუქტების იმპორტს, საქართველოს აზერბაიჯანზე დამოკიდებულების მაჩვენებელი 12.7%-ს შეადგენს.

წყარო: საქსტატი.

აზერბაიჯანი	2017				2018				მცლილება (%)
	1000 USD	ტონა/ლიტრი	% მოცემული პროდუქტების მთლიან იმპორტში	% საქართველოს მთლიან იმპორტში	1000 USD	ტონა/ლიტრი	% მოცემული პროდუქტების მთლიან იმპორტში	% საქართველოს მთლიან იმპორტში	
სულ იმპორტი	553,683.5	2,620,609.9		7.0	588,565.5	2,710,769.3		6.5	6.3
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა ნავთობი და ნავთობპროდუქტები	261,868.7	1,511,098.4	86.4	3.3	269,128.3	1,654,175.3	94.8	3.0	2.8
ელექტროენერგია	112,524.5	230,846.3	16.1	1.4	109,971.4	181,024.9	12.7	1.2	(2.3)
ცემენტი	47,115.3	-	70.6	0.6	63,446.5	#VALUE!	83.7	0.7	34.7
მაღაზი და კონცენტრატები საილეუმის	15,292.3	318,905.5	50.6	0.2	18,471.2	347,341.0	54.3	0.2	20.8
წნეული ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	20,730.6	9,628.6	6.1	0.3	12,729.4	5,753.4	3.2	0.1	(38.6)
თამბაქო; აპკიდირი; ბათქანი	7,103.5	14,893.9	15.8	0.1	11,360.9	21,137.7	13.8	0.1	59.9
ნახვი თევზი, ნახვი-მალღობი, პრასი, ნორი და სხვა ხაჭუნდგარი ნისქნული რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სადგომო არათვიმცავალი	13,042.4	107,910.0	59.5	0.2	9,249.5	115,240.9	51.7	0.1	(29.1)
ნახვი თევზი, ნახვი-მალღობი, პრასი, ნორი და სხვა ხაჭუნდგარი ნისქნული რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სადგომო არათვიმცავალი	948.6	2,451.6	10.4	0.0	6,676.0	16,888.3	58.7	0.1	603.8
აშუა მასაგრო-ვაჭრობის სადგომო, საჭურვი ან სატყეო და სხვა მანქანის და მოწყობილობის ნაწილები	770.0	3,850.0	86.8	0.0	5,243.5	48,578.6	95.3	0.1	581.0
საქონლის დანიშნულების ვეტომობილები	542.2	64.2	4.0	0.0	3,842.7	524.4	17.4	0.0	608.8
რაი, არამატარებელი ან არამატარებელი კაპალი სხვა, ახალი ან გამზარი	3,324.4	67.0	14.7	0.0	3,726.3	32.0	14.1	0.0	12.1
ზღვაოპროდუქტები, ვეტერინარული, ექსპედიტორები, სატყეო მანქანები და სხვა	2,668.9	427.3	35.4	0.0	3,683.3	615.2	41.5	0.0	38.0
მეტალური იზოლირებელი, კაბელები	3,888.1	779.0	31.6	0.0	3,274.8	683.8	11.2	0.0	(15.8)
მეტალური იზოლირებელი, კაბელები	7,347.7	186.0	14.4	0.1	2,972.8	32.0	5.3	0.0	(59.5)
მეტალური იზოლირებელი, კაბელები	1,478.5	379.9	2.7	0.0	2,654.3	734.6	4.3	0.0	79.5
სხვა	55,037.6	0.0	0.9	0.7	62,134.6	0.0	0.9	0.7	12.9

ფულადი გზავნილების სიდიდით, აზერბაიჯანი მეათე ადგილზეა. 2018 წლის მონაცემებით აზერბაიჯანიდან ჩარიცხულმა თანხებმა 20.4 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 30.6%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

აზერბაიჯანი, ბოლო რამდენიმე წელიწადი, ყოველწლიურად ნახევარ მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტიციებს ახორციელებდა ტრანსპორტის სექტორში, რაც არსებული მილსადენების (ტრანს-ანატოლიური გაზსადენი) გაფართოებას და გამტარიანობის გაზრდას უკავშირდება. შესაბამისად, საქართველოში წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით, აზერბაიჯანი ბოლო წლებში პირველ ადგილს იკავებდა.

შესაბამისად, აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ ნაკლებ მოსალოდნელია რომ აზერბაიჯანიდან უახლოეს წლებში დიდი მოცულობის ინვესტიციები განხორციელდეს.

აზერბაიჯანი	2016	2017	ცვლილება 2017 წელს წინა წელთან შედარებით		I-IIIQ 2017	I-IIIQ 2018	ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	
			ათასი აშშ დოლარი	%			ათასი აშშ დოლარი	%
სულ FDI	558,458.6	465,040.8	-93,417.8	-16.7	365,937.9	169,831.3	-196,106.7	-53.6
დამამუშავებელი მრეწველობა	-4,573.9	1,181.6	5,755.5	-	1,807.1	580.5	-1,226.6	-67.9
დანარჩენი სექტორები	12,614.7	6,365.8	-6,248.9	-49.5	2,670.3	10.9	-	-
ენერჯეტიკა	19.6	-52.3	-71.9	-	-32.4	0.0	-	-
კავშირგაბმულობა	48.3	17.7	-30.7	-	8.8	48.3	39.5	448.0
მშენებლობა	1,164.1	6,936.7	5,772.6	495.9	3,399.5	19,170.7	15,771.2	463.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა	164.3	115.4	-48.9	-29.7	85.2	40.0	-45.2	-53.1
სასტუმროები და რესტორნები	485.1	668.3	183.2	37.8	-751.1	2,596.2	3,347.3	-445.6
საფინანსო სექტორი	3,785.1	2,997.4	-787.7	-20.8	2,758.8	1,929.6	-	-
სოფლის მეურნეობა,თევზჭერა	-105.1	-123.2	-	-	-72.2	-1,353.6	-	-
ტრანსპორტი	546,426.6	444,618.1	-101,808.5	-18.6	353,134.0	148,241.0	-204,893.0	-58.0
უმრავი ქონება	-2,257.4	2,033.2	-	-	2,355.5	-1,078.4	-	-
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	687.2	282.1	-405.0	-58.9	574.4	-353.7	-	-

წყარო: საქსტატი.

საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შესაფასებლად გამოყენებული ორი ქვეყნის ურთიერთგადამკვეთი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. აზერბაიჯანის ეკონომიკური მონაცემების ანალიზიდან ცხადად ჩანს, რომ აზერბაიჯანისთვის საქართველო უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორი არ არის, თუ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებსარ ჩავთვლით. აზერბაიჯანისთვის საქართველო მე-7 ადგილზეა როგორც საქესპორტო ბაზარი, ხოლო 21-ე ადგილზე როგორც საიმპორტო. აღნიშნული გამოწვეულია იმით რომ აზერბაიჯანის ეკონომიკის 70% ნავთობის და გაზის ექსპორტისგან შედგება.


ერთი შეხედვით საქართველოს აზერბაიჯანზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები არ გააჩნია, თუმცა სწორედ საქართველოა აზერბაიჯანული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებლის, ენერგომატარებლების უმთავრესი გამტარი.

ბ) თურქეთი


თურქეთთან არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა 76 მოქმედ ხელშეკრულებას მოიცავს და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს. ორი ქვეყნის მოქალაქეები მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით სარგებლობენ. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ახალ შესაძლებლობას ქმნის ელექტროენერჯით ვაჭრობის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზერბაიჯანთან ერთობლივად რეალიზებულ ენერგეტიკულ პროექტებს, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.

თურქეთის რესპუბლიკა ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. 2019 წლის პირველი 5 თვის მდგომარეობით სავაჭრო ბრუნვამ 701.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მათ შორის ექსპორტმა შეადგინა 106.1 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა 595.7 მლნ აშშ დოლარი). თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქცია საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რასაც ვერ ვიტყვით თურქეთში განხორციელებულ ექსპორტზე.



თურქეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები წლიდან-წლამდე იზრდება და აშშ-დან (ფულადი გზავნილების 10.6%), იტალიიდან (ფულადი გზავნილების 14%) და საბერძნეთიდან (ფულადი გზავნილების 11.5%) განხორციელებულ ფულადი გზავნილების მოცულობებს უახლოვდება.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივი დივერსიფიკაციის კუთხით, თურქეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები გამოირჩევა, რომელიც თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორს მოიცავს. თურქეთის ინტერესი საქართველოში წლიდან-წლამდე იზრდება.

შესაბამისად თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ პროცესებზე.

დ) სომხეთი

სომხეთთან ურთიერთობები ფართო სახელშეკრულებო ბაზით რეგულირდება, რომელიც 80-მდე დოკუმენტს მოიცავს. სომხეთის რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

სომხეთთან ეკონომიკური და ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობების გააქტიურებას დიდი პო-

ტენციალი აქვს. სომხეთი შეიძლება განვიხილოთ ირანთან დამაკავშირებელ საინტერესო მიმართულებად, რომელსაც, დღეს არსებული საერთაშორისო წინააღმდეგობების მიუხედავად, ენერგო რესურსების დივერსიფიკაციისა და სხვა ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით დიდი პერსპექტივები გააჩნია.

2019 წლის პირველი ხუთი თვის მდგომარეობით, სომხეთი მეოთხე პოზიციას იკავებს საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ბაზრებს შორის (მთლიანი ექსპორტის 8.1%). აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ექსპორტი სომხეთში 19.9%-ით გაიზარდა და 116.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის პირველი ხუთი თვის მდგომარეობით სომხეთის ბაზარზე კონცენტრირებულია შემდეგი ქართული საექსპორტო პროდუქტები:

- მსუბუქი ავტომობილები - 23.2%;
- სატვირთო ავტომობილები - 68.8%;
- კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაქციებისას - 86.2%;
- შინაური ფრინველი, ცოცხალი - 98.5%;
- ფილები მერქან-ბურბუშელის - 100%.

შესაბამისად, სომხეთის ეკონომიკის შესუსტება მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოდან სომხეთში ექსპორტირებული პროდუქტის სექტორში მოქმედ ბიზნესებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, რომლებიც რეექსპორტის სახით გადის საქართველოდან სომხეთში, სომხეთსაც თავადაც რეექსპორტზე გააქვს.

2018 წლის მდგომარეობით, სომხეთი მე-8 ადგილს იკავებს საქართველოს საიმპორტო ბაზრებს შორის (მთლიანი იმპორტის 3.7%). აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სომხეთიდან იმპორტი 21%-ით გაიზარდა და 340.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სომხეთი	2017				2018				ცვლილება (%)
	1000 USD	ტონა/ლიტრი	% მოცემული პროდუქტების მთლიანი იმპორტში	% საქართველოს მთლიანი იმპორტში	1000 USD	ტონა/ლიტრი	% მოცემული პროდუქტების მთლიანი იმპორტში	% საქართველოს მთლიანი იმპორტში	
სულ იმპორტი	281,322	0		3.5	340,157	-		3.7	21
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	226,596	223,010	67.0	2.9	278,988	233,553	70.3	3.1	23
ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები	7,722	21,347	24.5	0.1	10,334	29,247	27.4	0.1	34
საფრენი აპარატები სხვა	0	-	0.0	0.0	7,149	31	51.3	0.1	-
მადნები და კონცენტრატები მერყისა და ლითონებისა	455	282	12.4	0.0	5,236	3,621	84.4	0.1	1050
ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან მის შესაფუთად პლასტმასებისაგან	2,096	1,150	6.8	0.0	3,207	1,640	8.9	0.0	53
სიგარები, სიგაროები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცველებისაგან	2,310	277,360	2.3	0.0	2,986	351,466	1.6	0.0	29
ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. % ან მეტი	4,518	4,224,110	26.5	0.1	2,504	1,881,438	8.0	0.0	-45
სამკურნალო საშუალებები	2,514	2,400	0.7	0.0	2,301	2,195	0.7	0.0	-8
მოკლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა შუა პროდუქტები	1,679	458	3.1	0.0	1,651	425	3.1	0.0	-2
ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან	1,124	227	17.3	0.0	1,366	288	19.0	0.0	22
პლასტმასის სამშენებლო დეტალები, სხვა ადგილს დაუსახელებელი ან ჩაურთველი	1,152	439	10.0	0.0	1,308	542	8.9	0.0	14
მონომერი, წველები, ღერძები და ფასონური პროფილები	1,005	593	4.1	0.0	1,246	725	5.1	0.0	24
პოლიმერული მასალებისაგან									
ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი	149	2	0.3	0.0	1,197	10	2.6	0.0	703
მიწები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები	1,000	556	2.3	0.0	1,028	525	2.2	0.0	3
პლასტმასებისაგან									
გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღღინძო, ახალი	552	1,284	55.5	0.0	989	1,878	54.4	0.0	79
სხვა	28,450	-	0.4	0.4	18,666	-	0.2	0.2	-34

წყარო: საქსტატი.

ფულადი გზავნილების სიდიდით, სომხეთი მეოთხე ადგილზეა. 2018 წლის მონაცემებით სომხეთიდან ჩარიცხულმა თანხებმა 9.1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 18.1%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. საქართველოდან სომხეთში ფულადი გადარიცხვები 15.5%-ით გაიზარდა და 7.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით სომხეთი საქართველოსთვის უმნიშვნელო პარტნიორია. 2018 წლის მონაცემებით სომხეთი 19-ე ადგილს იკავებს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით.

სომხეთი	2016	2017	2018
სულ FDI	4,315.8	6,803.7	9,673.1
დამამუშავებელი მრეწველობა	766.3	-1,288.9	649.6
დანარჩენი სექტორები	2,983.8	6,913.7	5,618.5
კავშირგაბმულობა	-20.9	-52.6	-41.7
მშენებლობა	459.2	885.6	985.0
სასტუმროები და რესტორნები	562.1	-547.5	216.1
საფინანსო სექტორი	2.0	-0.4	-
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-568.9	-610.0	-648.9
ტრანსპორტი	-302.6	715.3	778.0
უძრავი ქონება	434.8	788.7	2,116.4

წყარო: საქსტატი.

არც სომხეთის და საქართველოს ურთიერთ-გადამკვეთი სტატისტიკური მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ვხელმძღვანელობთ დამოუკიდებლად ორი ქვეყნის მონაცემებით. სომხეთის ეკონომიკური მონაცემების ანალიზიდან ცხადად ჩანს, რომ სომხეთისთვის საქართველო მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი უფრო საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთთან და ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის თვალსაზრისითაა. ამ მხრივ სომხეთის საქართველოზე დამოკიდებულება ძალიან დიდია. სომხეთისთვის საქართველო მე-10 ადგილზეა როგორც საექსპორტო ბაზარი, ხოლო მე-14 ადგილზე როგორც საიმპორტო.

ე) უკრაინა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-უკრაინას უშუალო სახმელეთო საზღვარი არ გააჩნია, ორ ქვეყანას ტრადიციულ პარტნიორობასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები აკავშირებთ. არსებული სახელმეკრულებო-სამართლებრივი ბაზა 105 ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას მოიცავს და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა პრაქტიკულად ყველა სფეროს არეგულირებს.

უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და უკრაინას შორს მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში (სუამ-ის ფარგლებში). აქტიურად ვითარდება თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით. დამყარებულია პირდაპირი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირები ორი სახელმწიფოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის.

პრიორიტეტულია ტურიზმის სფერო. საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას უკრაინელი ტურისტებისათვის, რაზეც მეტყველებს საქართველოში ჩამოსული უკრაინელი ტურისტების რაოდენობის მუდმივი ზრდა. უკრაინიდან ვიზიტორების რაოდენობამ 2018 წელს 177 ათასი ადამიანი შეადგინა. ტურისტთა რაოდენობის სიდიდით უკრაინა საქართველოში მე-6 პოზიციას იკავებს (ვიზიტორების 2%).

2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან უკრაინაში გატანილ იქნა 175 მლნ აშშ დოლარის საექსპორტო საქონელი (მთლიანი ექსპორტის 5.2%). აღნიშნული მაჩვენებლით უკრაინა საქართველოს საექსპორტო ბაზრებს შორის მე-6 პოზიციას იკავებს. საექსპორტო პროდუქციებს შორის აღსანიშნავია: მსუბუქი ავტომობილების, ეთილის სპირტის, ღვინის, სასუქების და მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი.

აღნიშნულ პერიოდში უკრაინიდან იმპორტმა 514.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი იმპორტის 5.6%). აღნიშნული მაჩვენებლით უკრაინა მე-4 პოზიციას იკავებს საიმპორტო ბაზრებს შორის. იმპორტირებული პროდუქტებიდან აღსანიშნავია: თამბაქოს ნაწარმი, წნელები

ნახშირბადიანი ფოლადისაგან, კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები და დაფასოებული სამკურნალო საშუალებები.

საქართველოში ფულადი გზავნილების სიდიდით უკრაინა მეცხრე პოზიციაზეა. 2018 წლის მონაცემებით უკრაინიდან გადმორიცხულმა თანხებმა 28.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 8.6%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უკრაინიდან ფულადი გზავნილების რაოდენობაზე. 2018 წლის მონაცემებით, ფულადი გზავნილები 2013 წელთან შედარებით 36.8%-ით შემცირებულია.

2018 წლის მონაცემებით უკრაინიდან განხორციელებულმა წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 18.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უკრაინიდან ძირითადად ინვესტიციები ხორციელდება სასტუმრო და რესტორნის ბიზნესში, დამამუშავებელ მრეწველობაში და მშენებლობის სექტორში. აღსანიშნავია, რომ უკრაინა საქართველოში საინვესტიციო აქტივობებით არასდროს ყოფილა ლიდერთა შორის.

უკრაინასთან ურთიერთობებს დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. არსებობს არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის თანამშრომლობის მიმდინარე და პერსპექტიული პროექტები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით უზარმაზარი რესურსი აქვს.

რეზიუმე

ორმხრივი ურთიერთობები ხშირად ყველაზე მოქნილი და სასარგებლო ფორმატია რეგიონალურ და საერთაშორისო ურთიერთობებში. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის სასარგებლო, ასევე დამაზიანებელი ფაქტორებიც. შესაბამისად, ნებისმიერ თანამშრომლობას, ხელშეკრულებას თუ შეთანხმებას, წინ უნდა უძღოდეს დადებითი და უარყოფითი მხარეების მრავალმხრივი ანალიზი, რომელიც ნებისმიერი ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობებისგან მაქსიმალური ეფექტისა და მინიმალური დანაკარგის უზრუნველყოფის საშუალებას მოგვცემს. ეკონომიკური თანამშრომლობის დივერსიფიცირება, ხშირად მცირერიცხოვან „პარტნიორ“ ქვეყნებზე ზედმეტი დამოკიდებულების შემცირების საშუალებას იძლევა და ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდის პირობებს ქმნის.

საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის ქვეყანა, მჭიდროდაა დამოკიდებული რეგიონის სხვა ქვეყნებთან სფეროებში: ექსპორტი / იმპორტი, უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, ფულადი გზავნილები, ტურიზმი, ენერგორესურსები და ა.შ. შესაბამისად, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა რეგიონულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

Resume

Bilateral relations are one of the most flexible and useful formats for regional and international relations. But in these cases there are both useful and damaging factors for economic and political security. Diversification of economic cooperation often makes it possible to reduce too much dependence on small number of partner countries and creates the conditions for improving the country's security.

It is important for Georgia to pursue an economic policy that will diversify opportunities and economic relations and significantly increase the country's economic security.

Georgia, as a country with an open economy, is closely dependent on / connected with other countries

of the region in the following areas: export / import, direct foreign investments, money transfers, tourism, energy resources, etc. Accordingly, mutually beneficial cooperation at the regional and cross-border levels, both in bilateral and multilateral formats, is of particular importance for Georgia.

Резюме

Двусторонние отношения являются одним из наиболее гибких и полезных форматов для региональных и международных отношений. Но в этих случаях существуют как полезные, так и разрушительные факторы для экономической и политической безопасности. Диверсификация экономического сотрудничества часто позволяет уменьшить слишком большую зависимость от небольшого числа стран-партнеров и создает условия для повышения безопасности страны.

Для Грузии важно проводить экономическую политику, которая позволит диверсифицировать возможности и экономические отношения и значительно повысить экономическую безопасность страны.

Грузия как страна с открытой экономикой тесно зависит от других стран региона и связана с ними в следующих областях: экспорт / импорт, прямые иностранные инвестиции, денежные переводы, туризм, энергетические ресурсы и т. д. Соответственно, взаимовыгодное сотрудничество на региональном и трансграничном уровнях, как в двустороннем, так и в многостороннем форматах, имеет особое значение для Грузии.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. პატარაია თ. (2015), „ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“, ჰენრიხ ბიოლის ფონდი.
2. მაკვარლეინი ს. (2012), „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“, Chatman House.
3. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი“ (2016).
4. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (2012), საქართველოს პარლამენტი.
5. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში“, თბ. 2017-2018წ.წ.
6. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“, საქართველოს მთავრობა.
7. „საქართველო - სომხეთი: ერთობლივი საოპერაციო პროგრამა“ (2014), EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).
8. საქართველოს ეკონომიკისა და მსგრადი განვითარების სამინისტრო, www.economy.ge
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge
10. საქსტატის მასალები, www.geostat.ge

რევაზ ცინცაძე- 80 წელი

ღვანულმოსილ მეცნიერ-პრაქტიკოს იურისტ პროფესორ რევაზ ცინცაძეს შეუსრულდა 80 წელი და მის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ უმნიშვნელოდ განვლო დაბადებიდან 80 და პრაქტიკულ, სამეცნიერო- პედაგოგიური საქმიანობის 55 წელი.

რევაზ ცინცაძე დაიბადა 1939 წლის 14 ივნისს, თბილისში, 1959-1975 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1969-1972 წლებში იყო ამ ამავე ინსტიტუტის ჯერ უმცროსი-შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რის შემდეგაც მუშაობდა სხვადასხვა საპასუხიმგებლო თანამდებობებზე.

1977-1983 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ლექტორი, 1983-1991 წლებში საქართველოს უმაღლეს სასამართლოს წევრი და მუშაობდა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიაში მოსამართლედ. 1991-1997 წლებში იყო საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და პრეზიდიუმის მდივანი. 1975-2005 წლებში იყო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტი. 2006-2009 წლებში მუშაობდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. 2010-2017 წლებში იყო თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი. 2013 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მონვეული პროფესორი. ბატონ რევაზს ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

პროფესორი რევაზ ცინცაძე, როგორც პიროვნება ხასიათდება უაღრესად დადებითად, არის კომუნიკაბელური, დავალებათა კეთილსინდისიერი შემსრულებელი, კარგი მეოჯახე, უღალატო და პატიოსანი, მეგობართა შორის სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით.

ბატონი რევაზ ცინცაძე საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების პირველივე სხდომაზე არჩეული იქნა აკადემიის წევრად და დღემდე აქტიურ მონაწილეობას იღებს აკადემიის პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში, რისთვისაც იგი აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოვებულია საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დიპლომით.

ბატონო რევაზ, გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი **შოთა ფაფიაშვილი**

ავთანდილ ხაზალია - 65

სამართლის დოქტორ, პროფესორ, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსს, საზოგადო მოღვაწეს და დიდ მამულიშვილს ავთანდილ ხაზალიას ვულუცავთ 65 წლის - იუბილეს.

ავთანდილ ხაზალია დაიბადა აფხაზეთში, ქალაქ გალში. სკოლის დამთავრების და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ ჩაირიცხა ი.ი. მეჩნიკოვის სახელობის ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1985 წელს იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით.

1980 წლიდან დღემდე ბატონი ავთანდილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, ამჟამად კი გახლავთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის საჯარო სამართლის მიმართულების პროფესორი.

1988 წელს გახლდათ ხელსინკის კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის წევრი, კანონიერებისა და სოციალური სამართლიანობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ქართული ვარიანტის) საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1989-1992 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1993-1998 წწ. იყო სამხედრო მოსამართლე აფხაზეთის რეგიონში უსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით.

1998-2000 წლებში ქ. სანქტ-პეტერბურგის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო სამსახურისა და მართვის აკადემიაში ეკავა დოცენტის თანამდებობა, იყო საერთაშორისო ადვოკატთა კოლეგიის წევრი-ადვიკატი.

2005-2009 წლებში თბილისში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას.

2014 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსად, ამჟამად კი აგრძელებს მუშაობას იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მთავრობის მინისტრის აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

ბატონ ავთანდილი ხაზალიას მიღებული აქვს უამრავ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, აგრეთვე გახლდათ ქართველთა და აფხაზთა ფორუმების მონაწილე ქალაქ ბათუმში, ასევე პროფესიული და სამეცნიერო ჟურნალების რედაქციის წევრია.

2002 წლიდან არის „ფაზისის“ საერო მეცნიერებათა აკადემიის, 2004 წლიდან საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, 2018 წლიდან საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის - კონსულტანტი.

ბატონ ავთანდილ ხაზალიას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელო სამართლის აქტუალურ პრობლემებზე და მონაწილეობა აქვს მიღებული 20-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგში.

ბატონი ავთანდილი დაჯილდოებულია საქართველოს პრეზიდენტის „ღირსების ორდენით“ (სამეცნიერო-პედაგოგიური და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, მათ კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისათვის), „მშვიდობის დროშით და მშვიდობის ოქროს ვარსკლავით“ (აფხაზეთში

კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურების შეტანილი წვლილისათვის) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, უმაღლესი ჯილდოთი - „საპატიო სიგელით“ (ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის).

ბატონო ავთანდილ!

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის წევრებს გვეამაყება თქვენი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა. უზენაესი საკაცობრიო ფასეულობებით, ადამიანისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით განმსჭვალული თქვენი საქმიანობა სამართლის სფეროში, რომელზეც გაიზარდა და კვლავ გაიზრდება თაობები, სა უკეთესო სავიზიტო ბარათია აკადემიისათვის, როგორც უნიჭიერეს ადამიანთა ქვეყნისათვის. ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა უმაღლესი ჯილდოა თქვენი უანგარო შრომისათვის. დღეგრძელობას, უშრეტ ენერჯიასა და კვლავ მრავალ შემოქმედებით წარმატებას გისურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია.

ავტორთა საყურადღებოდ!

„იურისტი“ არის საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო—პრაქტიკული ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მწერალთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.


გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: —სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე; —ნაშრომს სათაურის წინ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა ;

ნაშრომს თან უნდა დაერთოს რეზიუმე (8-12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი; —ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Times New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის—12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. : მარცხნივ და ზევიდან 2 სმ, მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ; ნაშრომის მოცულობა შესაძლოა იყოს A4 ზომის 9-15 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის და რეზიუმეების ჩათვლით;

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ღაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com